სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლევან ჯინჯიხაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა და ტექნოლოგია

(I-VI კლასები)

მეორე გამოცემა. შევსებული და შესწორებული

თბილისი
2024

უაკ (UDC) 811.353.1(072+821.353.(072)
ჯ-498

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს, განკუთვნილს განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალობის სტუდენტებისათვის. მასში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მასწავლებლის პროფესიული და დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროგრამული სტანდარტების მიხედვით დამუშავებულია და გაანალიზებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები.

წიგნი ძირითადად გათვალისწინებულია დაწყებითი სკოლის მასწავლებელთათვის, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება სწავლების მაღალ საფეხურებზეც.

რედაქტორი *– ნათელა მაღლაკელიძე, პროფესორი*

რეცენზენტები *– ნათელა ფარცხალაია, პროფესორი*
რუსუდან კვირკველია, მენტორი მასწავლებელი

© ლევან ჯინჯიხაძე, 2024
© გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-568-5

„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ლაზარე ჰრქვიან... “.

იოანე-ზოსიმე

„ენა არის მძვინვარე არსება, რომელიც არავის აპატიებს თავის შეურაცხყოფას“.

ლათინური ანდაზა

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“.

გრიგოლ ორბელიანი

„წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი მოწმობენ აღმატებასა ერისასა“.

სოლომონ დოდაშვილი

„ენა, ლიტერატურა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალთა თაობათა ძვირფასის განძივით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოები ხალხის გონების, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა.

იაკობ გოგებაშვილი

„ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

ილია ჭავჭავაძე

„ქართული ენა ინახება ხალხში, იქ არის ენის სალარო... ჩვენი ენა მდიდარი არის, უტყუარი და ძვირფასი განძი ხალხისა“.

აკაკი წერეთელი

„გულს მისვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა“.

ვაჟა-ფშაველა

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!“

ლადო ასათიანი

„დედა ენა არის უფლის კურთხევით ჩვენს წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი: დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენაა ფრიად ძნელი“.

კირიონ მეორე

„თუ სწავლა სკოლაში მშობლიურ ენაზე არ წარმოებს, ფუჭია ყოველი შრომა და მეცადინეობა“.

გაბრიელ (გერასიმე) ქიქოძე

„ქართული ენა – ეს არის მუსიკა, არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდმოსული სულიერი მუსიკა! იგია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი“.

ილია II

„ქართული ენის სიწმინდის დაცვა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი“.

კონსტანტინე გამსახურდია

„ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, მთავარი ენაა, ისევე როგორც ლაზარე-იოანე იყო მთავარი მოციქული იესო ქრისტესი“.

ზვიად გამსახურდია

„ქართული ენა იყო და მუდამ იქნება ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის ცოცხალი სიმბოლო, ერის სულიერი ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის მასულდგმულებელი“.

მერაბ კოსტავა

„ქართული ენა ქართველი ერის ისტორიული განვითარების ყველაზე დიდი მონაპოვარია“.

შოთა ძიძიგური

„გამოხატვის საშუალებებით ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია. ის არც სიტყვის მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე უფრო განვითარებულ ენებს“.

რიხარდ მაკელაინი

„ქართული ენა მშვენიერი ენაა, ზუსტი და მოქნილი, ორიგინალური“.

რენე ლაფონი

„გამაოცა ქართული ენის დროთა და კილოთა სიუხვემ“.

გოტფრიდ ლაიბნიცი

„ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულიად და ზუსტად გამოხატავს. ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო-ნიშანი შეესაბამება, ყოველი ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერც ერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება“.

უილიამ ედუარდ დევიდ ალენი

„ქართული ენა ყოველთვის ბედნიერებას მანიჭებს. ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა სწორედ ის, რომ ორიგინალში ვკითხულობ ქართველ მწერლებს და ვთარგმნი“.

ლუიჯი მაგაროტი

„ენა დედაა შენი და მუდამ უნდა გახსოვდეს, უნდა უკვდავყო იგი, როგორც შეგიძლია და რითაც შეგიძლია“.

ნოდარ დუმბაძე

„პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშობლიური ენის სიღრმისეულ შესწავლას“.

შოთა ნადირაშვილი

„ქართული ანბანის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ენა! ქართული ენის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ანბანი! ორთავეს გარეშე წარმოუდგენელია საქართველო! საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია ორთავე!“

მუხრან მაჭავარიანი

„კვლავაც გაგეძლოს ათასწლეულებისათვის, ენავ ქართულო, დედაო ენავ, ერის დედაო!“

ოთარ მიქიაშვილი

განათლება კეთილდღეობისას ჩუქურთმაა
და გაჭირვებისას თავშესაფარი.

არისტოტელე

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი ორიენტირი

ქართველი ერის ცხოვრებაში მშობლიური ენის, და საერთოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ ბევრი დაწერილა. მისი თუნდაც ზედაპირული მიმოხილვა შორს წაგვიყვანდა.

სწავლებაში უპირველესად ისაა აღსანიშნავი, რომ მოზარდს უნდა გამოუმუშავდეს უფაქიზესი მიმართება ყველა ენისადმი, მათი შეთვისებისა და შესწავლისაკენ ლტოლვის უნარი, მაგრამ მშობლიური ენა მისთვის ღვთაებრივი უნდა იყოს. ამას შესანიშნავად მიესადაგება გენიალური იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სიტყვები, რომლებიც მან იტალიაში ჩასვლისას წარმოთქვა: „მე მხიბლავს იტალია, მაგრამ მივესალმები მტვერს, რომელიც გერმანიიდან გამოჰყვა ჩემი ეტლის ბორბლებს“.

დაწყებითი განათლების სპეციალობაზე ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა ერთ-ერთ ძირითად სასწავლო საგანს წარმოადგენს. მისი სწავლება ამ სპეციალობაზე სრულყოფილად გვესახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სასწავლო პროცესში დისციპლინები: ქართული ენა, მეტყველების კულტურა, ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართული ზეპირსიტყვიერება, მითოლოგია და სხვ. ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკასთან ერთად ქმნიან ერთიან პედაგოგიკურ-მეთოდიკურ სისტემას.

ამ შემთხვევაში ოპტიმალურადაა შესაძლებელი ინტერ-დისციპლინარული მეთოდოლოგიის მეთოდიკური პრინციპე-ბის რეალიზება, საგანთაშორისი კავშირების მიზანმიმართული დამყარება.

ასეთ შემთხვევაში შემოქმედებითად და ზედმიწევნითაა შესაძლებელი დაწყებითი სკოლის ეროვნული სასწავლო გე-გმის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტებისა და პროგრამების, აგრეთვე, დაწყებითი სკოლის მასწავლებლის თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესრულება, რაც ქართული სკოლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუცი-ლებლობას წარმოადგენს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ მისი მთავარი ამოცანაა ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანა-თლებლო გარემოსა და რესურსების შექმნა. ამ მიზნიდან გა-მომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტ-ირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას. პიროვნებაზე ორი-ენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში კი დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწე-ული შედეგი.

შედეგზე ორიენტირება კი გულისხმობს მოსწავლისათ-ვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრე-ბას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიკურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისას უმთავრესია სწავლა-სწავლების ძირითადი პრინ-ციპების დაცვა. ეს პრინციპებია:

- ცოდნის კონსტრუირება;
- გაღრმავებული სწავლება;
- დადებითი სასწავლო გარემოს შექმნა;
- მოტივაციის ამაღლება და ჩართულობა;

- ინდივიდუალური მახასიათებლების (ფიზიკური, სოციალური, მეტყველებითი, შემეცნებითი) და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება.
- შეგნებულობა, აქტივობა და დამოუკიდებლობა.
- თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება.
- სისტემატურობის, თანამიმდევრობისა და კომპლექსურობის დაცვა.
- ჯგუფური და ინდივიდუალური მიდგომა.

სწორედ ამიტომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით.

დღეს, როცა ჯერ კიდევ მიმდინარეობს განათლების რეფორმირება, როცა მუშავდება სწავლებისა და განვითარების ფსიქოლოგიური თეორიები, ახალი მიდგომები სწავლებისადმი, – სწორად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ **სწავლებისა** (პიროვნებათაშორისი (ინტერაქტიური) საქმიანობა) და **სწავლის** (სუბიექტის აქტივობა, რომლის დროსაც ხდება დაგროვილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლება) ძირითადი მოთხოვნები კრიტიკული აზროვნების ტერმინებში გარდაისახა.

უნდა შემუშავდეს სწავლების ისეთი მოდელები, რომლებიც ხელს შეუწყობს მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე ყველა სტუდენტის კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ყველა ასაკის მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარების პერსპექტივებს.

ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს მეცნიერულ-მეთოდიკური კვლევაც.

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ცნებათა გააზრებასა და მათი ფარული არსის კვლევას, მათდამი სკეპტიკურ

დამოკიდებულებას თავაზიანობის ფარგლებში, მათ შეპირისპირებას განსხვავებულ თვალსაზრისთან, სარწმუნო და სანდო სისტემების წარმოდგენას მათი სისწორის დასასაბუთებლად და ამ სტრუქტურებზე დაყრდნობით გარკვეული თვალსაზრისის შემუშავებას.

კრიტიკული აზროვნება შემოქმედებითი ინტეგრაციის პროცესია, იგი პროცესია კონცეფციებისა და ინფორმაციის ხელახალი კონცეფტუალიზაციისა და შემუშავების. აქ ინტენსიურად გამოიყენება სწავლების განსხვავებული სტრატეგიული ხერხები. აქ დომინირებს ოქროს დიდაქტიკური ფორმულა: „თუ გსურთ დაიმახსოვროთ, – დაგავიწყდებათ; თუ გსურთ შეიცნოთ, – დაგამახსოვრდებათ“.

აქ მაინც უმთავრესთა შორის უმთავრესია, რომ სტუდენტი, მომავალი მასწავლებელი, დაეუფლოს კითხვის დასმის ხელოვნებას. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი კონკრეტული შედეგებია:

- ესმოდეს, თუ რა კავშირია კითხვის დასმასა და კრიტიკულ აზროვნებას შორის.
- ესმოდეს, თუ რა კავშირია ზოგადად კრიტიკულ აზროვნებას, გადაწყვეტილების მიღებას, პრობლემის გადაწყვეტასა და აზროვნების პროცესს შორის.
- შეეძლოს მოსწავლისათვის თხრობის ტექსტის გაცნობა „პროვოცირების“, „მნიშვნელობის რეალიზების“ და „გააზრების“ ეტაპების გამოყენებით.
- შეეძლოს კლასში კითხვების დასმის პროცესის წარმართვა მრავალვარიანტიანი კითხვების გამოყენებით.
- ესმოდეს მოსწავლისათვის კითხვების დასმის მნიშვნელობა ყველა დონეზე.

- ესმოდეს აზროვნების იმ პროცესის არსი, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა დონის კითხვების დასმას.
- შეეძლოს, ხშირად შეუქმნას მოსწავლეებს წაკითხულისა და მოსმენილის ინტერპრეტირების პირობები.

სტუდენტის კრიტიკული აზროვნების სწორი განვითარება განაპირობებს კარგი მასწავლებლის მომზადებას, რომელსაც შეეძლება

- სწავლების პროცესში გამოიყენოს ინდივიდუალური მიდგომა;
- დაეყრდნოს ისეთი სწავლების შინაარსს, რომელიც ითვალისწინებს ყველა სახის განვითარებას: ფიზიკურს, ემოციურს, სოციალურსა და ინტელექტუალურს;
- იყოს ისეთი სწავლების შინაარსის მომხრე, რომელიც ემყარება მოსწავლის ინტერესებს, ცოდნასა და განვითარების დონეს;
- ჩათვალოს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში დამოუკიდებელი სწავლის, ცვლილებებთან შეგუებისა და სიახლის ათვისების უნარის ჩამოყალიბებას;
- განახორციელოს პრაქტიკული სახის აქტივობები თვალსაჩინო მასალების გამოყენებით, განუვითაროს მოსწავლეებს პრობლემის გადაწყვეტის, კრიტიკული აზროვნებისა და ცნებათა უფრო ღრმა შემეცნების უნარი;
- სტიმული მისცეს მოსწავლეს გააკეთოს საკუთარი არჩევანი;
- ხელი შეუწყოს შემოქმედებითი უნარის, წარმოსახვისა და ინდივიდუალურობის განვითარებას;
- სჯეროდეს თითოეულ მოსწავლეში ჩადებული პოტენციალის;

- უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდეს სწორ პასუხამდე მისვლის პროცესი, ვიდრე თვითონ სწორი პასუხი და სხვ.

ეს კი წინაპირობაა დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა სწორი სწავლების.

სწავლების უამრავ მიზანთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ესთეტიკურ ფენომენს. ტრადიციულად, განიხილავენ ოთხ ძირითად ესთეტიკურ კატეგორიას: მშვენიერს, ამაღლებულს, ტრაგიკულს, კომიკურს. ამათგან მთავარი ყურადღება ექცევა მშვენიერის კატეგორიას. სახელოვან ქართველ მწერალთა ნებისმიერი ნაწარმოები სიტყვის ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია არა მარტო იდეური გადაწყვეტით, არამედ თავისი ესთეტიკური ღირებულებით.

ამდენად, მისი დანიშნულება მოსწავლის ზნეობრივ აღზრდასა და შემეცნებითი სფეროს გაფართოებასთან ერთად, არის ესთეტიკური ტკბობა. არც ერთი ნაწარმოები არ უნდა გაგვიფრინდეს სწავლებისას ხელიდან ისე, რომ ჩვენმა მოსწავლემ ვერ შეიგრძნოს მასში მშვენიერი. მშვენიერია ამაღლებულიც, ტრაგიკულიც და კომიკურიც. სწავლების პროცესში ტრაგიკულის სულიერად განმწმენდ-ამაღლებული გავლენა ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი ბრწყინვალე საშუალებაა.

ლიტერატურული მასალის სწავლებისას, მაგალითად, პეიზაჟის აღწერის სწავლებას განუზომლად დიდი ესთეტიკური ღირებულება გააჩნია. იგი სტუდენტისა თუ მოსწავლის ესთეტიკური გრძნობის განვითარების მძლავრი საშუალებაა. სტუდენტსაც და მოსწავლესაც უნდა ჩამოუყალიბდეს გარკვეული ამაღლებული ხედვა პეიზაჟის ფუნქციებზე:

- გმირთა მოქმედების გარემო, ფონი.

- მოქმედი პირის ან მწერლის სულიერი განწყობილების ან ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების გადმოცემის საშუალება.
- სიუჟეტის ჩანართი ეპიზოდი, მოვლენათა განვითარების ერთ-ერთი რგოლი.
- ნაწარმოების იდეის გამომხატველი.
- სოციალური ვითარების გადმოცემის საშუალება.
- სიმბოლიკა. ზოგჯერ აღწერილი პეიზაჟური სურათი სიმბოლურად განასახიერებს ამა თუ იმ მოვლენას.

სწავლების პროცესში როგორც სტუდენტს, მომავალ მასწავლებელს, ისე შემდგომში შესაბამისად მოსწავლესაც, თანდათანობით უნდა ჩამოუყალიბდეს კოგნიტური სტილი, როგორც სასწავლო მასალის შეთვისების ინდივიდუალურ თავისებურებათა ასახვა. როცა საუბრობენ კოგნიტური სტილების შესახებ, მაშინ მხედველობაში აქვთ შემეცნებითი პროცესების თავისებურებანი.

კოგნიტური სტილების შესწავლა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. ეს სტილები შემოქმედებითად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკაში როგორც ლექციების კითხვისას, ისე პრაქტიკულ-სემინარული მუშაობის პროცესში. ეს სტილებია:

- ველის დიფერენცირებადობა (ველის დანაწევრებულობა, ფსიქოლოგიური დიფერენციაცია).
- კატეგორიების განზოგადებულობა (გლობალური – სპეციფიკური).
- კონცეპტუალიზაციის სტილი (აბსტრაქტული – კონკრეტული).
- რეაგირების ტიპი (იმპულსურობა – რეფლექსიურობა).

• კოგნიტურობა „სირთულე – სიმარტივე“.

მეცნიერულ-მეთოდიკური კვლევა უნდა წარიმართოს კოგნიტური სტილის გამომუშავების მიმართულებით. კვლევა ამ მიმართულებით ხელს შეუწყობს შემეცნებითი პროცესის გააქტიურებას.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებლობად მიგვაჩნია ჰერმენევტიკული მეთოდების დანერგვა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჰერმენევტიკულ მეთოდოლოგიაზე საუბარი დაიწყეს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან. თანამედროვე ჰერმენევტიკა წარმოგვიდგება როგორც ფილოსოფიური შემეცნების მეთოდი და ძირითადად უკავშირდება მარტინ ჰაიდეგერის, ფრიდრიხ შლაიერმახერის, ვილჰელმ დილთაისა და ჰანს-გეორგ გადამერის სახელებს.

ჰერმენევტიკა [ბერძ. Hermēneia, გერმ. Hermeneitik] ეს არის თარგმნის, ახსნის ხელოვნება. მე-19 საუკუნეში ჰერმენევტიკა სასულიერო და რელიგიური ტექსტების ახსნა-განმარტების სპეციფიკურ მეთოდად იქცა. ზოგადად რომ ვთქვათ, ჰერმენევტიკა გარკვეული საზრისის შემცველი მოცემულობების **განმრტება-გაგების** ხელოვნებაა, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ჰერმენევტიკა ეს არის სწავლება რაიმეს პრაქტიკული გამოყენების შესახებ, რომელიც მოითხოვს **ახსნა-განმარტებას**, სწავლება **ინტერპრეტაციის** პრინციპების შესახებ. ჰერმენევტიკა სხვაგვარად გაგების მეთოდადაც არის აღიარებული და გულისხმობს გარკვეული ხიდის არსებობას წარსულ კულტურასა და თანამედროვე მკვლევარს შორის, პიროვნების ნააზრევსა და შემოქმედებას და მის მკვლევარს შორის.

შესაბამისად, **განმარტება-გაგება** ერთ დიალექტიკურ მთლიანობას ქმნის, რის საფუძველზეც წარმოიქმნება ე.წ. ჰერ-

მენევტიკული წრე, ანუ ჰერმენევტიკული სპირალი, რომლის უსასრულოდ გაფართოება იმთავითვეა დაშვებული: ე.ი. როდესაც **განმარტებისა** და **გაგების** შედეგად რაიმე ხდება **გაგებული**, ხოლო ამის შემდგომ **გაგებული** საფუძვლად ედება **განმარტება-გაგების** შემდგომ პროცესს და ასე დაუსრულებლად, ვიდრე არ მოხდება ტექსტის შინაგანი დაფარული პირველსაზრისის **საბოლოო** წვდომა.

ასე რომ, აქედან გამომდინარე, ჰერმენევტიკა, როგორც ტექსტების განმარტება-გაგების ხელოვნება და მეცნიერება, შეიმუშავებს **განმარტება-გაგების** უნივერსალურ მეთოდებს, რომლებიც ნებისმიერი ტიპის ტექსტის, და, რა თქმა უნდა, მათ შორის მხატვრული ტექსტის, ინტერპრეტაციის ამოცანებს გადაწყვეტდა.

მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია და ზოგადად ჰერმენევტიკული პროცესი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემით:



ჰერმენევტიკას შეიძლება აგრეთვე მივუდგეთ როგორც დისციპლინას, რომელსაც, უბრალო ახსნისაგან განსხვავებით, სხვა დამატებითი ფუნქციებიც აქვს და, რომლებიც უპასუხებენ კითხვაზე, თუ რა შეიძლება გადმოგვცეს მოცემულმა ტექსტმა შინაარსის მიღმა.

პედაგოგის პიროვნების სტრუქტურაში, პედაგოგიურ ლოგიკასა და პედაგოგიურ ცნობიერებასთან ერთად, უდიდეს როლს თამაშობს რწმენა აღსაზრდელის შესაძლებლობებში, აღფრთოვანება პედაგოგიური ზეამოცანებით – მოსწავლის

პიროვნების განვითარება და ჩამოყალიბება, პედაგოგიური ინტუიცია, იმპროვიზაციის უნარი, პედაგოგიური არტისტიზმი.

პედაგოგიკურ-მეთოდიკური კვლევა გვერდს ვერ აუვლის ამ თვისებათა დიაგნოსტირებას, მათი განვითარების გზების ძიებას. ამასთან, კვლევის მრავალი ტრადიციული თუ ინოვაციური მეთოდი, რომლებიც დაკავშირებულია პედაგოგიური მოვლენების ფორმალიზაციასთან, აღმოჩნდა ამ საქმისათვის უვარგისი. კვლევის რაციონალური მეთოდები არ არის საკმარისი, ისინი ვერ სწვდებიან ზემოაღნიშნული თვისებებისა და პროცესების არსში. აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მივმართოთ საკითხის შესწავლის ჰერმენევტიკულ საშუალებებს, რადგან ჰერმენევტიკული მიდგომა მოსწავლეებს გაუღვივებს ინტერესს სწავლის მიმართ, განუვითარებს და დააუფლებს მათ ანალიზურ და შემოქმედებით აზროვნებას.

პრაქტიკუმისათვის
სადისკუსიო საკითხები:

- *სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები;*
- *კრიტიკული აზროვნება, როგორც შემოქმედებითი ინტეგრაციის პროცესი;*
- *სწავლების ჰერმენევტიკული მეთოდოლოგია.*

სწავლების მეთოდოლოგიური პრინციპები და მეთოდების კლასიფიკაცია

➢ **სწავლების მეთოდთა კლასიფიკაცია და დახასიათება.**

ადამიანის საქმიანობის სტრუქტურის სხვადასხვაგვარი კვლევა მუდმივად ხაზს უსვამს მასში მოტივაციის კომპეტენტურობის არსებობის აუცილებლობას. ნებისმიერი საქმიანობა წარიმართება გაცილებით ეფექტურად და მოგვცემს ხარისხიან შედეგს, თუკი პიროვნებას გააჩნია ძლიერი, ნათელი და ღრმა მოტივები, რომლებიც იწვევენ სასურველ აქტიურ მოქმედებას, სიძნელეების გადალახვას, დასახული მიზნისაკენ დაჟინებულ სწრაფვას. აქ უნდა წარმოჩინდეს მოსწავლის ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა მიზანსწრაფულობა, ორგანიზებულობა, მომთხოვნელობა, კონკრეტულობა, თანმიმდევრულობა და სხვ.

ყოველივე ამას კი პირდაპირი კავშირი აქვს სასწავლო საქმიანობასთან, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება უფრო წარმატებული, თუ მოსწავლეებს აქვთ ჩამოყალიბებული დადებითი დამოკიდებულება სასწავლო საქმიანობისადმი, თუკი მათ აქვთ ცოდნისადმი ინტერესი, მოთხოვნილება ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევებისადმი, გამომუშავებული აქვთ პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა. სწორედ სასწავლო საქმიანობიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს პიროვნების თანდათანობითი ფორმირება.

პიროვნების ფორმირება ანუ პიროვნების სრულყოფა ეს არის სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, სტაბილიზაციის გარკვეული დონის მიღწევა, თვისებათა შეძენა, გარკვეული შედეგის მიღწევა *[ნ. ვასაძე].*

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლე წარმოადგენს ინტერაქტიური სწავლების სუბიექტს. იგი სწავლება-სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. სწავლება-სწავლის პროცესი განსაკუთრებით აქტიურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის კვლევითი ინტერესებისაკენ არის მიმართული. ეს ცნება (სწავლების სწავლა) მოიცავს დიდაქტიკურ ძიებებს, სწავლების პროცესში განსახორციელებელი აქტივობების დროში განაწილებას, მასწავლებლისა და მოსწავლის როლების ურთიერთდამოკიდებულებას, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას.

აქედან გამომდინარე, თავად ტერმინი **სწავლება-სწავლა** სწორედ იმას უსვამს ხაზს, რომ ეს პროცესი ინტერაქტიური უნდა იყოს და მისი სუბიექტები როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეც აქტიურად უნდა იყვნენ მასში ჩართულნი. სწავლება-სწავლა წარმოადგენს სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს, სადაც პედაგოგმა უნდა

- მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე;
- დაეხმაროს მას იმ ფაქტორებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომლებიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას;
- აღმოაჩენინოს ის ხერხები და მიდგომები, რომლებიც აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და გამოუმუშაოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი.

სწავლება-სწავლა ადამიანის მიერ ცოდნის, უნარ-ჩვევების ათვისების მიზანმიმართული პროცესია თანამედროვე ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ტერმინების **მეთოდის**, **მეთოდიკის** და **მეთოდოლოგიის** განმარტება ლექსიკონების მიხედვით ასეთია:

მეთოდ-ი [ბერძ. **methodos**] 1. ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კვლევის, შეცნობის ხერხი. 2. ხერხი, წესი, წესების სისტემა რაიმე მოღვაწეობაში.

მეთოდიკა [ბერძ. **methodike**] 1. რისამე პრაქტიკულად შესრულებისათვის საჭირო მეთოდების, წესების ერთობლიობა. 2. პედაგოგიკის ნაწილი, რომელიც გადმოსცემს ამა თუ იმ საგნის სწავლების მეთოდებს.

მეთოდოლოგია [ბერძ. **Methodos** მეთოდი და **logos** მოძღვრება] 1. მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ. 2. ამა თუ იმ მეცნიერებაში გამოყენებულ კვლევის მეთოდთა ერთობლიობა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი).

ფაქტიურად ასევეა განმარტებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც:

მეთოდ-ი [ბერძ. **Methodos** გამოკვლევა] 1. მოვლენის კვლევის ხერხი, – მიდგომა შესასწავლი მოვლენებისადმი, ჭეშმარიტების დადგენის გეგმაშეწონილი გზა. 2. ხერხი, გზა, საშუალება მოქმედებისა.

მეთოდიკა [ბერძ. **methodike**] 1. რაიმე საქმის შესასრულებლად საჭირო ხერხთა სისტემა. 2. პედაგოგიკის დარგი, რომელიც შეისწავლის სწავლების წესებსა და ხერხებს.

მეთოდოლოგია [ბერძ. **methodos** მეთოდი და **logos** სწავლება] 1. მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ. 2. ერთობლიობა კვლევის მეთოდებისა და ხერხებისა, რომელსაც ამა თუ იმ მეცნიერებაში იყენებენ.

მეთოდოლოგია არის მეცნიერება კვლევის იდეალური პოზიციების ლოგიკისა და მეთოდების შესახებ, ხოლო თეორია არის შესასწავლი მოვლენების, პროცესების შემეცნების,

გააზრების შედეგად ჩამოყალიბებული შეხედულებათა, მსჯელობათა, დასკვნების ერთობლიობა *[ა. ნარგიზიშვილი, მ. ნარგიზიშვილი-მიქაძე].*

განასხვავებენ ნებისმიერი მეცნიერების მეთოდოლოგიის სამ დონეს:

- **ზოგადი მეთოდოლოგია** – ზოგადმეცნიერული მიდგომა ადამიანის სწავლებისა და აღზრდის პროცესების კანონზომიერებათა შესახებ;
- **სპეციალური (კონკრეტული) მეთოდოლოგია** – მყარი წარმოდგენების შექმნა ადამიანის ცხოვრების, ფსიქიკისა და მათზე პედაგოგიური აღმზრდელობითი ზემოქმედების შესახებ. ეს მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა იკვლიოს და დაადგინოს ის კანონზომიერებანი, რომელიც დამახასიათებელია კვლევის მოცემული ობიექტისათვის, მასში შემავალი ფენომენებისათვის;
- **კერძო მეთოდოლოგია** – წარმოადგენს იმ მეთოდთა, ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული მოვლენების და, საერთოდ, პედაგოგიური პროცესების შესწავლისა და ანალიზისათვის.

პრაქტიკულად ასეთივე შინაარსისაა ზემოთხსენებული ტერმინების განმარტება პედაგოგიკისა და მეთოდიკის სხვა სპეციალისტთა მიერაც.

მეთოდოლოგიას სხვანაირად მეცნიერული კვლევის სტრატეგიასაც უწოდებენ.

სწავლების მეთოდები გვაქვს ორნაირი, ფართო გაგებით **მეთოდი-კონცეფცია**, ეს არის სწავლების გზებისა და საშუალებების ერთობლიობა. ხოლო, სწავლების მეთოდები ვიწრო გაგებით **მეთოდი-საშუალება** – ეს არის განსაზღვრული

საშუალებები მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთ-თანამშრომლობისა მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელ-ობით, რომელიც მიმართულია სწავლების საგანმანათლებ-ლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი მიზნების მისა-ღწევად.

სწავლების მეთოდები წარმოადგენს მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი მუშაობის საშუალებას, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა შემეცნებითი მოქმედების ორ-განიზაციას, რომელსაც ისინი მიჰყავს არცოდნიდან ცოდნამ-დე, უვითარებს უნარებს კონკრეტული საგანმანათლებლო ში-ნაარსის მასალების ათვისებისათვის *[ა. ნარგიზიშვილი, მ. ნა-რგიზიშვილი-მიქაძე].*

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სწავლების მე-თოდები, მიზანი და შინაარსი ისტორიულად ყოველთვის იცვ-ლებოდა. იგი იცვლება ყოველ გაკვეთილზე მასალის ხასია-თის, მოსწავლეთა ასაკის, მომზადების დონისა თუ გაკვეთი-ლის მიზნის მიხედვით.

სწავლების მეთოდები წარმოადგენს ცოდნის შეძენის გზას, ხერხს, რომელიც ეფუძნება შემეცნების წყაროებს, და შე-იძლება იყოს ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, მოვლენებსა და ფაქტებზე უშუალო დაკვირვებისა და დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის, ასევე, წერითი სამუშაო, რომლებზედ-აც ქვევით უფრო ვრცლად გავამახვილებთ ყურადღებას.

ამდენად, სწავლების მეთოდების შერჩევისას აუცილებე-ლია გავითვალისწინოთ არა მხოლოდ მათი სწავლებითი მნიშვნელობა, არამედ, მათი გავლენაც მოსწავლეთა შემეცნე-ბითი მოქმედების აღზრდასა და განვითარებაზე. ამ მხრივ საი-ნტერესოა ისეთი შემეცნებითი მოქმედება, რომელიც მიმარ-თავს მოსწავლეს შემეცნების გზებისა და ხერხების ძიებისაკენ,

საკუთარი ცოდნის აქტუალიზაციისაკენ, ანალიზისაკენ, სინთეზისაკენ, განზოგადებისაკენ.

დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას მოიაზრება არა მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული გზის შერჩევა, არამედ მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტების ძიება. იმისათვის, რომ სასწავლო საქმიანობის ასეთი მოტივები ჩამოყალიბდეს, აუცილებელია ყველა იმ მეთოდის გამოყენება, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სასწავლო საქმიანობის მიზანმიმართული ორგანიზაციული განხორციელებისათვის.

ეს მეთოდები შეიძლება იყოს:

ცოდნის მიღების წყაროდან გამომდინარე:

- **ვერბალური** (სიტყვიერი) **მეთოდები**, რომლებიც მიმართულია ცოდნის თეორიული ფორმირებისაკენ და ასევე მოსწავლეთა სიტყვიერ-თვალსაჩინოებრივი აზროვნებისა და მეტყველების განვითარებისაკენ;
- **სწავლების თვალსაჩინო მეთოდები**, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა სახოვანი აზროვნებისა და მეხსიერების განვითარებისაკენ;
- **სწავლების პრაქტიკული მეთოდები**, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების, დამოუკიდებელი აზროვნების ფორმირებისაკენ, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და დავალებების შესრულების გზით სასწავლო საქმიანობის ჩვევების განვითარებისაკენ.

მიდგომის ლოგიკურობიდან გამომდინარე:

- **ინდუქციური** – კერძო ფაქტებიდან, ცალკეული დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოყვანა;

- **დედუქციური** – ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოყვანა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დედუქციას გააჩნია ორნაირი გაგება: **ფართო გაგებით** დედუქცია არის აზროვნების ფორმა, როცა ცნობილი აზრებიდან გამოიყვანება ახალი აზრები წმინდა ლოგიკური გზით, გამოიყენება ლოგიკური კანონები. ხოლო **ვიწრო გაგებით** დედუქციაში იგულისხმება მსჯელობები, რომლებშიც გამოიყენება ზოგიერთი ლოგიკური წესი.
- **ტრადუქციული** – ანალოგიებით მსჯელობა, რომელიც შეიძლება გვქონდეს სამი ტიპის: ერთეულიდან ერთეულისაკენ, კერძოდან კერძოსაკენ, ზოგადიდან ზოგადისაკენ.

მასწავლებელ-მოსწავლის თანამშრომლობითი საქმიანობიდან გამომდინარე:

- ლექცია;
- საუბარი;
- გადმოცემა (თხრობა);
- დემონსტრაცია;
- დამოუკიდებელი მუშაობა.
- წიგნთან მუშაობა, რომელიც ორი სახისაა: ახსნითი კითხვის მეთოდი და დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი.

დიდაქტიკური ამოცანებიდან გამომდინარე:

- ცოდნის შეძენა;
- უნარ-ჩვევების ფორმირება;
- ცოდნის შესაბამისად გამოყენება;
- შემოქმედებითი საქმიანობა;
- აღქმითი;
- განმარტებითი;

- განმტკიცებითი და სხვ.

შემეცნებითი საქმიანობიდან გამომდინარე:
- ახსნით-ილუსტრაციული;
- რეპროდუქციული;
- პრობლემურ-ძიებითი;
- ნაწილობრივ-ძიებითი (ევრისტიკული);
- კვლევითი.

ცოდნის დანაწევრების ან გაერთიანების პრინციპიდან გამომდინარე:
- ანალიზური;
- სინთეზური;
- ანალიზურ-სინთეზური;
- შედარებითი;
- განმაზოგადებელი.

დასახელებულ მეთოდებს ახასიათებს არა მხოლოდ სასწავლო-ინფორმაციული თვისებები, არამედ მოტივაციური ზემოქმედებაც. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ ნებისმიერი სწავლების მეთოდის მოტივაციურ-მასტიმულირებელ ფუნქციაზე.

პედაგოგიკური მეცნიერებიდან და მასწავლებელთა სასწავლო საქმიანობიდან გამომდინარე, გროვდება მეთოდთა საკმაოდ დიდი არსენალი, რომლებიც მიმართულია სწავლების დადებითი მოტივების ფორმირებისაკენ, შემეცნებითი აქტივობის სტიმულირებისაკენ, რომლების საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა ცოდნის კიდევ უფრო გამდიდრება და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამ შემთხვევაში სტიმულირების ფუნქცია იწევს წინა პლანზე და სხვა მეთოდთა ხელშე-

წყობით იწვევს საგანმანათლებლო ფუნქციის განხორციელებას.

მასწავლებლის მიერ აღძრული სტიმული მოსწავლეებში, პირველ რიგში, უნდა იწვევდეს შინაგან კმაყოფილებას, რადგან ხშირად ეს აძლევს მათ საშუალებას წარმოაჩინონ საკუთარი თავი, ადგილი დაიმკვიდრონ კლასში, თანატოლებში. მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა მასწავლებელმა მოსწავლეთა მიმართ დაიცვას ზომიერება.

სტიმულირებისა და მოტივაციის მეთოდთა ჯგუფი პირობითად შეიძლება გაიყოს ორ ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში მოთავსდება ის მეთოდები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების გასააქტიურებლად, ხოლო მეორე ქვეჯგუფში – ის მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობების ფორმირებაზე სწავლების პროცესში.

სპეციალური კვლევები, რომლებიც მიძღვნილია **შემეცნებითი ინტერესის** ფორმირების პრობლემისადმი, გვიჩვენებს, რომ ყველა სახის ინტერესი, მისი განვითარების ყველა ეტაპზე, ხასიათდება ძირითადად სამი აუცილებელი მომენტით:

- საქმიანობისადმი ემოციების დადებითი დამოკიდებულებით;
- ამ ემოციების შემეცნებითი მხარის არსებობით;
- სასწავლო საქმიანობის მოტივაციის არსებობით.

ამიტომ, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე სწავლების პროცესში აუცილებელია, ხელი შევუწყოთ დადებითი ემოციების წარმოქმნას სასწავლო საქმიანობასთან, მის შინაარსთან, ფორმებთან და მეთოდების განხორციელებასთან მიმართებაში. ემოციური მდგომარეობა ყოველთვის კავშირშია სულიერ მღელვარებასთან, განცდასთან, როგო-

რიცაა: თანაგრძნობა, სიხარული, მწუხარება, გაკვირვება, აღ-ტაცება. სწორედ ამიტომ ყურადღების, დამახსოვრების, გააზ-რების პროცესში ერთვება პიროვნების ღრმა შინაგანი განცდა, რომელსაც იძლევა თვით ეს პროცესები სასწავლო პროცესის ინტენსიური მიმდინარეობისას და აქედან გამომდინარე, იგი ხდება მეტად ეფექტური, მისაღწევი მიზნის გააზრებით.

ბუნებრივია, რომ ყველა აქტივობას საფუძვლად უდევს მოტივაცია, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ინდივიდის ქცევის განხორციელების საფუძველს. რაც უფრო მეტად არიან მოსწავლეები მოტივირებულნი, მით უფრო უმჯობესდება სწავ-ლის ხარისხი. თუ ნაკლებად არიან მოტივირებულნი, შესაბა-მისად სწავლის ხარისხიც დაბალია.

- **მოტივაციის სახეები და ტიპები. შემეცნებითი თამაშობები და სწავლების მეთოდები.**

მოტივაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მოძრაობაში მოყვანას. ეს მოტივით განპირობებული ფსიქოფიზიოლოგიური პროცესია, ადამიანის თვისებაა, საქმის კეთებით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. ეს მდგრადი მოტივების ერთობლიობაა, რომლითაც განისაზღვრება საქმიანობის შინაარსი, ამოცანები და ხასიათი. მოტივი კი ეს არის რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევი მიზეზი, ის, რაც ადამიანის მოქმედებას იწვევს, რისთვისაც იგი სრულდება.

მოტივაციისა და სწავლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის განხილვის დროს უნდა გამოვყოთ მოტივაცია სწავლის დაწყების დროს, სწავლის მიმდინარეობისას და სწავლის ბოლოს.

სწავლის დაწყების ეტაპზე არსებობს ორი მთავარი მოტივაციური ფაქტორი - ატიტუდები და მოთხოვნილებები. ატიტუდები (დადებითი/უარყოფითი) გულისხმობენ თუ რა დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს სკოლის, მასწავლებლების, საგნების მიმართ. თუ მასწავლებელი ზუსტად განსაზღვრავს მოსწავლეთა დამოკიდებულებებს, უფრო ადვილად შეძლებს გადაჭრას პრობლემები. მოთხოვნილებების დიაპაზონი კი გაცილებით ფართოა. ამიტომ მასწავლებელმა უნდა იცოდეს თითოეული მოსწავლის თავისებურება და შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოს მათი უსაფრთხო ფიზიკური და ფსიქოლოგიური გარემო საკლასო ოთახში.

მოტივაცია სწავლის პროცესში. ამ ეტაპზე არსებობს ორი მთავარი რამ – **სტიმულაცია** და **ზეგავლენა**. მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ მოსწავლეები განსხვავებულები არიან და მათთან მუშაობა სტიმულაციის სხვადასხვა ფორმე-

ბის გამოყენებას მოითხოვს. იგი უნდა ეცადოს, რომ უწინარეს ყოვლისა, თვითონ ჰქონდეს მუშაობის ინდივიდუალური სხვაობების გამოვლენის ხერხები.

მოტივაცია სწავლის ბოლოს. აქ გვაქვს ორი მთავარი მომენტი: **კომპეტენცია** და **განმტკიცება**. მასწავლებლის მიზანია დაარწმუნოს მოსწავლეები საკუთარ შესაძლებლობებში, დაეხმაროს იმ უნარების მოძებნაში, სადაც მოსწავლე წარმატებულად იგრძნობს თავს, გამოუმუშაოს და განუმტკიცოს სწორი ქცევის უნარი.

მოტივაციის ამაღლებაზე სისტემატური მუშაობა და ზრუნვა კი დიდწილად განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას და სასწავლო პროცესის საინტერესოდ და სახალისოდ წარმართვას.

არსებობს მოტივაციის შემდეგი სახეები:

შინაგანი და გარეგანი. შინაგანად მოტივირებული მოსწავლისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია თავად აქტივობა, სასწავლო პროცესში ჩართულობა.

შინაგნი მოტივაცია უფრო ხანგრძლივია და მართვადი, ვიდრე გარეგანი, ვინაიდან ეს უკანასკნელი მანამდე არსებობს, სანამ მოსწავლე მოსალოდნელ შექებას, ან რაიმე სახის ჯილდოს მიიღებს.

გარეგან მოტივაციას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა მოსწავლე შესრულებული აქტივობისათვის მოელის შესაბამის წახალისებას. ეს შეიძლება იყოს შექება, კარგი ქულა, კლასში გარკვეული სტატუსის მოპოვება და ა.შ.

ნ. ვასაძის აღნიშვნით პედაგოგიური პროცესის პროდუქტიულობა დამოკიდებულია აღსაზრდელისა და აღმზრდელის შინაგანი სტიმულების (მოტივების) მოქმედებაზე, გარეგანი

სტიმულების ინტენსიურობაზე, დროულად გამოყენებაზე და მათ ხასიათზე.

თუმცა, უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებაც, შესასწავლი მასალის გართულების შემთხვევაში გარე ფაქტორებიც კი ვერ შველის საქმეს და მოსწავლეებმა შესაძლოა ინტერესიც კი დაკარგონ. სწორედ ასეთ დროს მართებს მასწავლებელს იზრუნოს მოსწავლეებში როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე.

დადებითი და უარყოფითი მოტივაცია. მოტივაცია, რომელიც ეფუძნება დადებით სტიმულებს, დადებითია, ხოლო თუ უარყოფით სტიმულებს – უარყოფითია. მაგალითად, „თუ მე მოვაწესრიგებ ჩემს ოთახს, დამასაჩუქრებენ“, ან „თუ მე მოვიქცევი გონივრულად და კარგად ვისწავლი, ველოსიპედს მიყიდიან“ – დადებითი მოტივაციაა. „თუ მე წესიერად არ მოვიქცევი და კარგად არ ვისწავლი, დამსჯიან“ – უარყოფითია.

მდგრადი და არამდგრადი მოტივაცია. მდგრადია მოტივაცია, თუ კი ის ეფუძნება პიროვნების საჭიროებასა და მოთხოვნილებებს და არ მოითხოვს დამატებით მტკიცებულებებს. თუ მოითხოვს დამატებით მტკიცებულებს, მაშინ ის არამდგრადია.

ინდივიდუალური, ჯგუფური და შემეცნებითი. ინდივიდუალურია მოტივაცია, როდესაც მოსწავლე ცდილობს საკითხის (აქტივობის) დამოუკიდებლად გადაჭრას სხვის დაუხმარებლად; გამომუშავებული აქვს და ახასიათებს მიზნისკენ სწრაფვა.

ჯგუფურია მოტივაცია, როდესაც მოსწავლე ცდილობს საკუთარი ადგილის დამკვიდრებას ჯგუფში; აქტიურია და თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან და სხვ.

შემეცნებითია მოტივაცია მაშინ, როცა მოსწავლეები სწავლების პროცესში იყენებენ კვლევით-ძიებით მეთოდებს, აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქმიან თამაშობებში და სხვ.

მოტივაციის ეს სახეები სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ



მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობა შესაძლოა მოსწავლისათვის არც იყოს საინტერესო. ზოგიერთი მოსწავლე დიდი ენთუზიაზმით ეკიდება სწავლას, რადგან მას აინტერესებს საგანი და სწავლის პროცესი. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მასწავლებლის მხარდაჭერის გარეშე სწავლისადმი დიდ ინტერესს არ იჩენენ და მათ მუდმივად ჭირდებათ თანადგომა, შექება და წახალისება.

იმისათვის რომ მოსწავლეებში მოხდეს მოტივაციის ჩამოყალიბება, საჭიროა სასწავლო მასალის სწორი ორგანიზება. არსებობს მასალის დამუშავების ორი გზა:

1. ახალი მასალა ეყრდნობა ძველს და გამომდინარეობს იქიდან;
2. ახლად ნასწავლი მასალა მოსწავლემ უნდა შეადაროს ძველს და თუ საჭიროდ ჩათვლის, მის შესახებ საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოთქვას.

თუ მოსწავლეს არა აქვს გაცნობიერებული, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვერ აცნობიერებს სწავლების მიზანს და სწავლა უჭირს, ამ შემთხვევაში მასწავლებლის მთავარ საზრუ-

ნავია დაეხმაროს მოსწავლეებს მიზნის მისაღწევი საშუალებების შერჩევაში.

ამდენად, როგორც ვხედავთ, მოსწავლის წარმატებულ სასწავლო აქტივობას მთლიანობაში განაპირობებს როგორც გარეგანი, ისე მისი შინაგანი მოტივაცია. ამიტომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის მოტივაცია, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსალოდნელ წარმატებებს. მან უნდა იზრუნოს არა მხოლოდ შინაგანი მოტივაციის გაჩენაზე და შენარჩუნებაზე, არამედ გარეგანი მოტივების ჩართვაზეც.

ამავე დროს მასწავლებელმა უნდა იცოდეს შინაგანად მოტივირებული მოსწავლის მახასიათებლები, რომელთაც

- სურთ თვითონ აკონტროლონ თავიანთი გარემო;
- განვითარებული აქვთ შინაგანი ღირსების გრძნობა;
- უყვართ გამოწვევები და პრობლემების გადაწყვეტა;
- არიან ოპტიმისტები და სჯერათ წარმატების;
- სიამოვნებით იღებენ სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობას;
- დარწმუნებულები არიან, რომ შეუძლიათ სამუშაოს შესრულება;
- ყოველთვის მზად არიან გაიღრმავონ ცოდნა, შეცვალონ საკუთარი შეხედულებები და პრომლემების გადაწყვეტის ხერხები.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის კიდევ უფრო გააქტიურებისათვის, სასურველია მასწავლებლებმა გაითვალისწინონ შემდეგი რეკომენდაციები:

- შეძლონ მოსწავლეებთან კარგი ურთიერთობის დამყარება, გამოხატონ მათ მიმართ პატივისცემა და კეთილგანწყობა;
- ანგარიში გაუწიონ მოსწავლეთა მოთხოვნილებებსა და მიზნებს, რომელიც უკავშირდება სასწავლო მასალას;
- მისცენ მოსწავლეებს საკუთარი სასწავლო სიტუაციის გაკონტროლების უფლება. ისინი მასწავლებელს თანამშრომლად და დამხმარედ უნდა აღიქვამდნენ.
- მისცენ უფლება, რომ ერთმანეთთან შეძლონ კომუნიკაციის დამყარება. ამუშაონ წყვილებში, მცირე ჯგუფებში. ყველას შეეძლოს აზრის თავისუფლად გამოხატვა;
- გამოიყენონ სხვადასხვა სახის აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა მხრიდან მოითხოვს როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ აქტიურობას.
- მოუყვნენ და ესაუბრონ მოსწავლეებს ისეთი ამბებზე, სადაც საუბარია წარმატების მიღწევაზე. ესაუბრონ ისეთ ადამიანებზე, რომლებმაც შეძლეს სირთულეების დაძლევა და წარმატების მიღწევა.
- ხშირად გამოხატონ მოწონება, რომელიც უნდა ეხებოდეს სასწავლო პროცესს და არა შედეგს. დავალების შესრულების შემდეგ სთხოვონ მოსწავლეებს ისაუბრონ იმაზე, თუ რა გაიგეს, რა ისწავლეს;
- რეგულარულად დაუბრუნონ უკუკავშირი.
- მისცენ წარმატების მიღწევის იმედი. პირდაპირ უთხრან მოსწავლეს, რომ სჯერათ მისი.

- საკუთარ მაგალითზე აჩვენონ, რომ სწავლა სიამოვნებაა და დაანახონ მოსწავლეს, რომ თვითონაც სწავლობენ.
- მოაწყონ სხვადასხვა სახის ზეიმი, სადაც ყველა მოსწავლეს შეეძლება წარმოაჩინოს საკუთარი თავი.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ერთ-ერთი ხერხი, რომელიც შედის სწავლების ემოციონალურ-მასტიმულირებელ მეთოდთა სისტემაში, არის **შექმნის** ან **წარმოქმნის ხერხი**, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სახალისო, გასართობ სიტუაციებში, როგორიცაა, მაგალითად, სასწავლო პროცესის შესავალ ნაწილში სახალისო ეპიზოდების მოხმობა, გამოცდილების ფაქტორის გათვალისწინება, პარადოქსული (უჩვეულო, უცნაური) ფაქტები. მასწავლებელს ინტერესის ასამაღლებლად შეუძლია მოიხმოს და გააანალიზოს ეპიზოდები ან ნაწყვეტები მხატვრული ლიტერატურიდან, რომელიც ეხება გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, სწავლების პროცესში ინტერესის სტიმულირებისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს **შემეცნებითი თამაშობები**, რომლის დასაყრდენსაც წარმოადგენს სათამაშო სიტუაციები. შემეცნებითი თამაშობები მასწავლებლის მიერ ყოველთვის უნდა განისაზღვროს საგაკვეთილო მასალიდან გამომდინარე.

სასწავლო პროცესში ასევე შესაძლებელია მასწავლებლის მიერ გამოყენებულ იქნას სწავლების სხვადასხვა მეთოდები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, მაგალითად, **არეული ივავების** მეთოდის გამოყენება არა მხოლოდ აღმზრდელობითი თვალსაზრისით, არამედ მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავება-განმტკიცების, კონკრეტული თემის ან საკითხის შეჯამე-

ბის მიზნით. გვინდა წარმოვადგინოთ ნიმუშები ამ საკითხთან დაკავშირებით:

არეული იგავები. კლასი - III.

დრო – 10 წთ.

მიზანი – დაკვირვებულობის განვითარება. შეგნებულ კითხვაში ვარჯიში.

მასალა – პლაკატზე ან დაფაზე გამზადებული ორი ერთმანეთში არეული იგავი.

მითითება: გადაიკითხეთ ტექსტები. ერთმანეთში არეულია ორი იგავი. იგავების სათაურებია: „მელია და ლომი“ და „ლომი და ბაყაყი“.

დააკვირდით და გაყავით ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთისაგან. წაიკითხე ხმამაღლა, გაარკვიე რომელ იგავს რომელი მორალი მიესადაგება.

„მელია და ლომი“/„ლომი და ბაყაყი“.

1. *ერთხელ მელა ლომს გადაეყარა.*
2. *ლომმა ბაყაყის ყიყინი გაიგონა და ჩაუსფრდა - ეგ დიდი რამ მხეცი იქნებაო.*
3. *მელას ლომი არასოდეს არ ენახა და შიშით კინაღამ ფეხები გაფშიკა.*
4. *უცებ გუბიდან პატარა ბაყაყი ამოღოღდა.*
5. *როცა მეორეჯერ შეხვდა, მაშინაც შეეშინდა, მაგრამ ისე არა, როგორც პირველად.*
6. *ლომი მივიდა და გაჭყლიტა.*
7. *მესამედ ხომ წინ ამაყად დაუდგა და გამოლაპარაკება გაუბედა ნადირთა მეფეს.*

მორალი: არაკი გვეუბნება

- *რასაც თვალს შეაჩვევ, საშიში აღარ გეჩვენებაო.*
- *სანამ საკუთარი თვალით არ ნახავ, ყურმოკრულს ნუ დაუჯერებო.*

დაალაგე მოთხრობად. კლასი - III.

დრო – 10 წთ.

მიზანი – კითხვისა და მოსმენის კულტურის ჩამოყალიბება.

მასალა – პატარა მოთხრობა (არაუმეტეს 7-8 წინადადებისა), რომელიც დაყოფილია ნაწილებად და მოსწავლეებს ეძლევათ ცალკე ბარათებზე.

მითითება – 8 მოსწავლეს დაევალება ხმამაღლა, გარკვევით წაიკითხონ თავიანთ ბარათებზე ჩამოწერილი წინადადებები და თანმიმდევრობით აღადგინონ მთლიანი მოთხრობის სახე. ბოლოს უკვე წაიკითხონ აწყობილი მოთხრობა და შეადარონ პირველწყაროს, რომელიც აქვს მასწავლებელს.

უცნაურია: „ღმერთმა საზამთროს დაუწესა ასეთ პატარა ყლორტზე გაზრდა“.

„ესეც მე“ – გაიფიქრა ვაჟამ – „ღმერთმა უკეთ იცის რას აკეთებს“.

სწორედ ამ დროს კაკალი ჩამოვარდა და ვაჟას თავში მოხვდა.

„ხოლო ეს პატარა კაკალი კი იზრდება ამ უზარმაზარ ხეზე“.

ცხელი დღე იდგა და ვაჟა დაღლილი იყო ბევრი სიხარულისაგან.

ხე იდგა საზამთროს ბაღის გვერდით.

იჯდა ვაჟა და ფიქრობდა.

იგი კაკლის ხის ჩრდილში დაჯდა დასასვენებლად.

შემეცნებითი თამაშობების რიგს მიეკუთვნება სწავლების ისეთი მეთოდი, როგორიც არის მაგალითად **დროის მანქანა**, ანუ **მოგზაურობა წარსულში**. ლიტერატურული ნაწარმოების, ეს იქნება ი. გოგებაშვილის „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, რ. ინანიშვილის „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“ თუ ი. ჭავჭავაძის „ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი“ (V-VI კლ.),

სათანადოდ დამუშავება-შესწავლის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია შესაბამისი მიდგომების გამოყენებით მოსწავლეები ამოგზაუროს როგორც ახლო, ისე შორეულ წარსულში. ანუ არა მხოლოდ მიაწოდოს ინფორმაცია მწერლებისა და ისტორიული პერსონაჟების შესახებ, არამედ დასვას ისეთი სახის კითხვები, რომლებიც მოსწავლეებს გონებით (დროის მანქანით) გადაიყვანს ერეკლე მეორის ეპოქაში იმ მიზნით, თუ რა წვლილს შეიტანდნენ ისინი წინაპრების დასახმარებლად.

ამ საკითხთან დაკავშირებით სასურველია მასწავლებელმა გამოიყენოს **დისკუსიის სიტუაციის შექმნის მეთოდი** მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებისათვის, უპირველესად კი, კრეაციულობისა და თვითშემეცნების თვალსაზრისით. ეს მეთოდი გამოიყენება სასწავლო პრობლემების გადასაჭრელად, გააჩნია შესაძლებლობები კომუნიკაციურ ქცევასა და საკუთარ თავთან მიმართებაში მოსწავლემ მოახდინოს და აწარმოოს ძიებისა და დადებითი თვისებების ფორმირება და განმტკიცება. მისი წარმატებით ჩატარებისათვის კი საჭიროა კლასში სუფევდეს ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, სადაც, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელი უნდა იყოს მისაბაძი მაგალითი.

აღნიშნული მეთოდი გამოყენებულ უნდა იქნას აქტიური სწავლების წარმართვისათვის. მასწავლებელს შეუძლია საკამათო სიტუაცია შექმნას ნებისმიერ მომენტში თუნდაც ტრივიალური (გაცვეთილი) კითხვის დასმით: „ვინ ფიქრობს სხვაგვარად?“ თუ ასეთი კითხვა იწვევს კამათს, მაშინ მოსწავლეები თავისდაუნებურად იყოფიან მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად ამა თუ იმ თემის (საკითხის) გარკვევა-განმარტებისას და ინტერესით ელოდებიან მასწავლებლის არგუმენტირებულ დასკვნას.

მასწავლებლის როლი დისკუსიის მსვლელობისას ზოგადად შეიძლება ასეთი იყოს:

- ზუსტად და გასაგებად განსაზღვროს სადისკუსიო საკითხი;
- არ ჩაერიოს დისკუსიის შინაარსობრივ მხარეში;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეების დისკუსიაში ჩართვას;
- მისცეს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება;
- გააკონტროლოს, რომ მოსწავლეებმა დისკუსიისას დასმული პრობლემიდან არ გადაუხვიონ.

დისკუსიის მოსალოდნელი შედეგებია:

- სასწავლო მასალის უკეთ გაგება, გამოყენება, ანალიზი და შეფასება;
- სწავლა სხვების მოსაზრებებისა და შეხედულებების საფუძველზე;
- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შეძენა;
- საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცება;
- მოსწავლეების მაღალი ხარისხით ჩართულობა სასწავლო პროცესში.

შესაბამისად, დისკუსიის მეთოდის გამოყენება სწავლებაში იძლევა:

- მოსწავლის შემოქმედებითი ძალების გააქტიურებას;
- მოსმენის უნარის განვითარებას;
- პრობლემათა მყისიერად გადაწყვეტის უნარს;
- მოტივაციის ამაღლებას;
- საკუთარი იდეების არგუმენტირებას;
- საკუთარი პიროვნული პოზიციის უპირატესობის ჩვენებას არგუმენტების მოყვანით და სხვ.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ მეთოდს დადებით მხარესთან ერთად გააჩნია უარყოფითი მხარეები:

- ერთგვარად შეზღუდულია მასწავლებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან;
- ჯგუფურმა დისკუსიამ შეიძლება დაკარგოს თავისი მიმართულება;
- ეფექტური ჯგუფური დისკუსია შესაძლებელია მხოლოდ მცირე ჯგუფების შემთხვევაში;
- ძალიან რთულია საჯაროდ გამოთქმულ მოსაზრებაზე უარის თქმა. მოსაზრება მცდარი რომ აღმოჩნდეს, ზოგ მოსწავლეს შეიძლება გაუჭირდეს მისი აღიარება.

სწავლების პროცესში შესაძლებლია გამოყენებულ იქნას შემდეგი სქემაც:



მოსწავლეებს მიეცემათ რამდენიმე თემა, რომლებზეც შეიძლება დისკუსიის გამართვა. აირჩევენ ერთ-ერთ სადისკუსიო თემას, მასწავლებელი კლასს დაჰყოფს ჯგუფებად (გარკვეული აზრის მომხრეებად და მოწინააღდეგეებად). ამის შემდგომ კი წარმართავს დისკუსიას:

- დაასახელეთ დისკუსიის თემა;
- წარმოადგინეთ დისკუსიაში მონაწილე მხარეები და მათი შეხედულებები სადისკუსიო თემის გარშემო;

- მონაცვლეობით მიეცით სიტყვა მოკამათე მხარეების წარმომადგენლებს;
- ტაქტიანად შეაჩერეთ მოსაუბრე, თუკი იგი თემას გადაუხვევს;
- შეეცადეთ თავად ნაკლები ილაპარაკოთ;
- არ შეაფასოთ გამომსვლელის მსჯელობა;
- დასასრულს შეაჯამეთ, აღნიშნეთ, მიაღწიეს თუ არა მხარეებმა შეთანხმებას;
- მადლობა გადაუხადეთ დისკუსიის მონაწილეებს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მასწავლებელი, გარდა იმისა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე აყენებს კონკრეტულ თემას, საკითხს თუ პრობლემას და სადისკუსიოდ განაწყობს მოსწავლეებს, ამავე დროს უნდა იზრუნოს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რომელიც საჭიროა და აუცილებელი დისკუსიის ნორმალურად წარმართვისათვის. მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებში გააღვივოს და დანერგოს აზრი, რომ დისკუსიაში მონაწილეებს აქვთ საერთო პრობლემა და შეხედულებათა შეჯერება მიგვიყვანს პრობლემის სწორ გადაჭრასთან.

დისკუსიის მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სწავლების ისეთი მეთოდი, როგორიც არის **მოვლენათა ჯაჭვი**. სწავლების ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ დაინახონ და დაამყარონ გარკვეულ ფაქტებს ან მოვლენებს შორის ურთიერთკავშირი. სწავლების ეს მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის ტრანსფერის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვის, ანალიზური, დასაბუთებული აზროვნების, შეფასებისა და ასევე თვითშეფასების უნარების განვითარებას. ეს მეთოდი სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს



მოცემული სქემა დაეხმარება მოსწავლეებს არა მხოლოდ დააფიქსირონ მოვლენების თუ ფაქტების ურთიერთკავშირი, არამედ თუ როგორ შეიძლება განვითარდეს შემდგომში მოვლენათა ჯაჭვი.

მოცემულ მეთოდებთან ერთად შეგვიძლია დავასახელოთ კეთებით სწავლების მეთოდიც. სწავლების ეს მეთოდი მიზნად ისახავს მოსწავლეებმა განახორციელონ ისეთი მოქმედებები, რომელიც ხელს შეუწყობს ცოდნის ფორმირებას. კეთებით სწავლა მოსწავლეს დაეხმარება აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და გააცნობიეროს ის, რასაც აკეთებს.

მასწავლებელი ვალდებულია, მოსწავლეებს შესთავაზოს აქტივობის ისეთი სქემა, სადაც მიღწევის დონეები ნათლად იქნება მოცემული და რომლის დროსაც მოსწავლეები შეძლებენ განსაზღვრონ თუ რას მოელის მათგან და როგორ ფასდება მათი წარმატება. მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს ისეთი სახის დავალება (დავალებები), რომლის პრაქტიკულად განხორციელებისათვის საჭიროა ახლად ახსნილი ცნებების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში გამოიკვეთება შესაძლო დადებითი შედეგები გაკვეთილზე, რომ მოსწავლეებმა შეძლონ

- მოცემული მასალის უკეთ ათვისება და გააზრება;
- გაუჩნდეთ ინტერესი, ანუ შინაგანი მოტივაცია შესასწავლი საგანისადმი.
- მიეჩვიონ დამოუკიდებელ აზროვნებასა და დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანას.

სტიმულირების მეთოდებს შორის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში შეგვიძ-

ლია ასევე გამოვიყენოთ **ცხოვრებისეული სიტუაციების ანალიზი**. ეს მეთოდი უშუალოდ იწვევს სწავლისადმი სტიმულირებას კონკრეტული ცოდნის ფონზე.

სწავლისადმი ინტერესის სტიმულირებისათვის აქტიურ მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს მოსწავლეებში **წარმატების მიღწევის სიტუაციის შექმნა**, რომლის დროსაც სწავლებაში შეიძლება გარკვეული სახის სირთულეებსაც წავაწყდეთ. სასწავლო სირთულეების დაძლევის მიზნით მიზანშეწონილია, მასწავლებელმა შეარჩიოს ზოგიერთი ისეთი მოსწავლე, რომელთაც სჭირდებათ სტიმულირება; ისინი მიიღებენ შესაბამის ეტაპზე მათთვის მისაწვდომ დავალებას, რომელიც შემატებდა რწმენას საკუთარი თავისადმი და შეძლებდნენ გაეგრძელებინათ თავიანთი სასწავლო საქმიანობა სასურველ ტემპში. წარმატების მიღწევის სიტუაციის შექმნა შესაძლებელია მოსწავლეთა დიფერენციაციის გზით ერთი და იგივე სირთულის სასწავლო დავალების შესრულებით. წარმატების მიღწევის სიტუაცია იქმნება მასწავლებლის მიერ, მოსწავლის წახალისების, წაქეზების გზით.

პრაქტიკუმისათვის
სადისკუსიო საკითხები:

- მოსწავლის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბება;
- სწავლების მეთოდთა კლასიფიკაცია;
- სწავლების მეთოდთა დახასიათება და ანალიზი;
- მოტივაციის სახეები და ტიპები;
- შემეცნებითი თამაშობებისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.

მიმართებათა კომუნიკაციური ამოცანები პედაგოგიურ პროცესში

➢ **პედაგოგიური ურთიერთობის სახეები.**

თანამედროვე პედაგოგიკა ცვლის თავის წამყვან პრინციპებს. აქტიური ცალმხრივი ზემოქმედება, რომელიც მიღებული იყო ავტორიტარულ პედაგოგიკაში, იცვლება ურთიერთმოქმედებით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი სასწავლო მოქმედება, იგი ამავე დროს ითვალისწინებს მასწავლებლისა და მოსწავლის როლების შეცვლასაც. აქ იგულისხმება ავტორიტარული, მასწავლებელზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეცვლა მოსწავლეზე ორიენტირებულით.

ინტერაქტიური სწავლება მოითხოვს გაკვეთილის პროცესში სწავლების ახალი სტრატეგიებისა და შეფასების ახალი ხერხების დანერგვას. აქედან გამომდინარე იცვლება სწავლების მიზანიც. იგი ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ ცოდნაზე, არამედ შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეც. ამის გამო, პედაგოგიური ურთიერთმოქმედება თანამედროვე პედაგოგიკის საბაზო კატეგორიას წარმოადგენს. თანამედროვე პედაგოგიკის ძირითადი პარამეტრებია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის საღი ურთიერთმიმართება, მხარდაჭერა, დახმარება, ნდობა და სხვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობდა და არსებობს პედაგოგ-მეცნიერთა მოსაზრებები, თუმცა, იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრებები ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდება და არა რადიკალურად:

პედაგოგიური პროცესი არის მიზანმიმართული, შინაარსობრივად გაჯერებული და ორგანიზაციულად გაფორმებული

უფროსებისა და ბავშვის პედაგოგიური ურთიერთქმედება, რომლის დროსაც ბავშვის აქტიური თვითგანვითარება და აღმზრდელის წამყვანი როლი ურთიერთგანპირობებულია *[ნ. ვასაძე]*.

სწავლება, ანუ პედაგოგიური ურთიერთობა, ეს არის მასწავლებლისა და მოსწავლეთა აქტიური ურთიერთობის პროცესი, რომლის დროსაც, მასწავლებელი უბრალოდ კი არ გადასცემს ცოდნას, არამედ სწავლების პროცესში მოსწავლეთა აზროვნებისა და სხვა ფსიქიკური ძალების ასამოძრავებლად იყენებს აქტიურ მეთოდებსა და ხერხებს, თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალას *[ვ. რამიშვილი]*.

პედაგოგიური ურთიერთობა წარმოადგენს მასწავლებლისა და მოსწავლეთა ურთიერთკავშირს, რომლის მსვლელობაში აღმოცენდება ფსიქიკური კონტაქტი გამოვლენილი ინფორმაციის გაცვლაში, ურთიერთზეგავლენაში, ურთიერთგანცდაში, ურთიერთგაგებაში *[კ. მელაშვილი]*.

სწავლება არის ცოდნისა და უნარ-ჩვევების გეგმაზომიერი, ორგანიზებული, სისტემური და თანამიმდევრული გადაცემის პროცესი, აღსაზრდელების შემეცნებითი მოქმედებიანობისადმი ხელმძღვანელობა. და რაც მთავარია, სწავლებაში იგულისხმება პედაგოგისა და მოსწავლეების ერთობლივი საქმიანობა, თანამშრომლობითი პროცესი *[ზ. ცუცქირიძე]*.

სწავლება ორმხრივი პროცესია, რომელიც გულისხმობს მასწავლებლის მიერ ცოდნის, ჩვევებისა და უნარების გადაცემასა და მოსწავლეთა მიერ მათ ათვისებას *[ვ. გაგუა]*.

ი. ბასილაძისა და სხვათა აზრით, თანამშრომლობა ეს არის ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთქმედება, რომელიც ეფუძნება პარტნიორის სიტყვისა და საქმის თავისუფალ არჩევანს, როლს და დავალებას; ორივე მხარი-

სათვის საკუთარი გზის არჩევის უფლება. *[ი. ბასილაძე, მ. ახვ-ლედიანი…].*

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს ერთგვარი დასკვნა, რომ პედაგოგიური ურთიერთ-მოქმედება უწყვეტი და ერთიანი პროცესია და ამ ურთიერთ-მოქმედების არსი მდგომარეობს ამ პროცესის სუბიექტების ერთმანეთზე პირდაპირ ან ირიბ ზემოქმედებაში, რომელიც მათ შორის გარკვეულ ურთიერთმიმართებას წარმოშობს.

პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ გაიგება მოსწავლისადმი უშუალო მიმართვა, მისადმი გარკვეული მოთხოვნის წაყენება. მასწავლებლის სასწავლო მოქმედების სპეციფიკა აუცილებელს ხდის პირდაპირი ზემოქმედების განხორციელებას. ამავ-დროულად, მოსწავლის სამყაროში მუდმივ ჩარევას შესაძლ-ოა მოჰყვეს კონფლიქტური სიტუაციები, ამიტომ მასწავლებე-ლი ვალდებულია, ზოგჯერ გამოიყენოს არაპირდაპირი ზემო-ქმედების ხერხები, რადგანაც ეს უკანასკნელი უფრო ეფექტუ-რია ამ შემთხვევაში. არაპირდაპირი ანუ ირიბი ზემოქმედების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელი უშუალოდ მოსწავლეზე კი არ ზემოქმედებს, არამედ ქმნის საგანგებო გა-რემოს მოსწავლის ირგვლივ და სწორედ ამ გარემოზე ზემო-ქმედებს.

რაც ზემოთ ითქვა, სინამდვილეში ახალი არ არის. სი-მართლე ისაა, რომ სასწავლო პროცესში ავტორიტარული პე-დაგოგიკისა და მისი კანონზომიერებების დომინირებას განა-პირობებდა საბჭოური იდეოლოგია; ეს იყო სახელმწიფო და-კვეთა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მრავალი პედაგოგი, მეთო-დისტი თუ ფსიქოლოგი ეძებდა და პოულობდა სწავლების ეფექტურ მეთოდებსა და სტრატეგიებს.

სპეციალისტები გამოყოფენ პედაგოგიური ურთიერთობის ორ სახეს: სოციალურად ორიენტირებულსა და პიროვნულად ორიენტირებულს.

სოციალურად ორიენტირებული ურთიერთობა ლექციების, მოხსენებებისა და სხვათა სახით, განაპირობებს სოციალურად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრას. აქ რეალიზებულია საზოგადოებრივი მიმართებები.

პიროვნულად ორიენტირებული ურთიერთობა კი მიმართულია საქმიანი ერთობლივი მოქმედებისაკენ, დაკავშირებულია პიროვნებათა ურთიერთმიმართებებთან.

განასხვავებენ პედაგოგიური ურთიერთობის სამ სტილს: ავტორიტარულს, მიმნებლობითსა და დემოკრატიულს.

ავტორიტარული სტილის განხორციელებისას პედაგოგი ერთპიროვნულად წყვეტს ყველა საკითხს. ავტორიტარული აღზრდა – ეს არის პიროვნებაში მორჩილების, სხვის ნებასურვილისადმი დაქვემდებარების მზაობის განცდის აღზრდა.

ტრადიციული ავტორიტარული სწავლების მიზანი თავისი ხასიათით იყო გარკვეული თვისებების მქონე პიროვნების აღზრდა. მას ორიენტაცია უფრო ცოდნის შეთვისებაზე და უნარ-ჩვევათა გამომუშავებაზე ჰქონდა აღებული, ვიდრე პიროვნების განვითარებაზე; პრიორიტეტი შემეცნების რაციონალურ-ლოგიკურ მხარეს ენიჭებოდა, გრძნობად-ემოციონალური თითქმის უგულებელყოფილი იყო *[ჯ. ჯინჯიხაძე].*

მიმნებლობითი ანუ ანარქიული, უგულებელმყოფელი სტილი ხასიათდება პედაგოგის მისწრაფებით სასწავლო საქმიანობაში ნაკლებად ჩართვისაკენ. ასეთი მასწავლებლები თავიანთ ფუნქციონალურ ვალდებულებებს ამოწურავენ მხოლოდ ცოდნის გადაცემით. მათ არ აინტერესებთ სკოლისა და

მოსწავლეთა განვითარების პრობლემები, უპირატესობას ანიჭებენ სასწავლო პროცესში ჩაურევლობის ტაქტიკას.

ურთიერთობის ამ ორი სტილის საერთო დამახასიათებელია, მიუხედავად მათი მოჩვენებითი წინააღმდეგობისა, დისტანციური მიმართებები, ნდობის უქონლობა, ცხადი განცალკევებულობა, საკუთარი დომინირებული მდგომარეობის ხაზგასმა.

ამ ორი სტილის ალტერნატიულია **თანამშრომლობის სტილი**, რომელსაც ხშირად **დემოკრატიულს** უწოდებენ. პედაგოგიური ურთიერთობის ამ სტილისათვის დამახასიათებელია მასწავლებლის ორიენტაცია ურთიერთმოქმედებაში მოსწავლეთა როლის ამაღლებაზე.

თანამშრომლობა არის მოწიფულებისა და ბავშვების ერთობლივი განმავითარებელი საქმიანობის ამაღლებული იდეა. ეს იდეა გულისხმობს მათში მონაწილე სუბიექტების მიერ ერთმანეთის სულიერ სამყაროში შეღწევასა და ურთიერთგაგებას. მისი განსაზღვრით თანამშრომლობის კონცეფციაში მოსწავლე წარმოდგენილია როგორც საკუთარი სასწავლო საქმიანობის სუბიექტი. ერთი პროცესის ორი სუბიექტი მოქმედებს ერთად, საქმიანობაში მონაწილეობს თანაბარი უფლებით და არცერთი მათგანი არ დგას მეორეზე მაღლა. ასე განისაზღვრება მიმართება **მასწავლებელი-მოსწავლე** *[ჯ. ჯინჯიხაძე].*

აღსანიშნავია, რომ რეალურ პედაგოგიურ პრაქტიკაში ადგილი აქვს ურთიერთობის „შერეულ“ სტილს. ხშირია შემთხვევა, როცა პედაგოგიურ ურთიერთობაში გარკვეულ ავტორიტარულ ელემენტს ვერაფერი ვერ შეცვლის.

პედაგოგიური ურთიერთმოქმედების მოდელები არ იქმნება თავისთავად. მათ განაპირობებს სოციოკულტურული მო-

ნაცემები; იგი ასახავს თვით პედაგოგის ცხოვრების გზას, მის ყოველგვარ თავისებურებას, პროფესიონალური კომპეტენტურობისა და პედაგოგიური შემოქმედების დონეს.

პედაგოგიური მოღვაწეობა არის სტანდარტული და არასტანდარტული პედაგოგიური ამოცანების უსაზღვრო რაოდენობის ამოხსნის პროცესი, რომელშიც მუდმივად მიმდინარეობს პედაგოგიურ ურთიერთობათა და ურთიერთმოქმედებათა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი გარდაქმნა.

პედაგოგიურ ამოცანაში გამოიყოფა მისი ძირითადი კომპონენტები: ამოცანის საწყისი მდგომარეობა და ამავე საგნის საბოლოო მდგომარეობის სასურველი მოდელი. ამოცანის საგანი კი შეიძლება იყოს მოსწავლეთა ცოდნა, მათი პიროვნული და საქმიანი მახასიათებლები, მიმართებები და ა. შ., რომლებიც ექვემდებარება რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლილებებს.

მაგალითად, როცა პედაგოგიური ამოცანა წარმოადგენს ახალი მასალის ახსნას, მასწავლებელი აანალიზებს სიტუაციას, არჩევს და უპირისპირებს ერთმანეთს შესაძლო ვარიანტებს, არჩევს შესაბამის მეთოდებს და ამის შემდეგ ახორციელებს პედაგოგიურ მოქმედებას. მასწავლებელი პედაგოგიური ამოცანების ამოხსნის ყველა ეტაპზე იყენებს ურთიერთობის ადეკვატურ სისტემას, რომლის მეშვეობითაც უნდა განახორციელოს მან პედაგოგიური ურთიერთმოქმედება. ამიტომ პედაგოგიური ამოცანის ერთ-ერთი ელემენტი არის **კომუნიკაციური ამოცანა** ანუ **ურთიერთობის ამოცანა**.

ტერმინის **კომუნიკაცია** გაგება ლექსიკონების მიხედვით ასეთია:

კომუნიკაცია [ლათ. **communicatio**] 1. ურთიერთობა. კომუნიკაციის ფუნქცია ენისა. 2. ურთიერთობის, კავშირის საშუალებანი. (ქ.ე.გ.ლ.).

კომუნიკაცია [ლათ. **communicatio**] 2. (ლინგვ.) ენის საშუალებით აზრების გადაცემა, ურთიერთობა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი).

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის განმარტებითი ლექსიკონის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ **კომუნიკაცია** წარმოადგენს ადამიანებს შორის ვერბალური (სიტყვიერი) და არავერბალური სიმბოლოების საშუალებით აზრების, გრძნობების, დამოკიდებულებებისა და იდეების ურთიერთგაცვლას, სადაც ვერბალური კომუნიკაცია გულისხმობს სიტყვების საშუალებით ინფორმაციის გადაცემას, ხოლო არავერბალური კომუნიკაცია კი მოიცავს მოსაუბრის დამოკიდებულებას, რომელიც თან ახლავს და ავსებს სიტყვიერ ინფორმაციას.

ანალოგიურადაა განმარტებული ტერმინი **კომუნიკაცია** ი. ბასილაძის, მ. ახვლედიანის, ნ. სოხაძისა და ნ. დვალის „მოკლე საგანმანათლებლო დიდაქტიკურ ლექსიკონშიც“.

როგორც აღვნიშნეთ ურთიერთობის ცნების პარალელურად არსებობს ცნება **კომუნიკაცია**. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ურთიერთობა უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე კომუნიკაცია, რომელიც ზოგჯერ ადამიანთა შორის კავშირს კი არ გულისხმობს, არამედ მათ შორეულ ურთიერთშეხმიანებასაც. კომუნიკაციას კი განიხილავენ, როგორც ინფორმაციის გაცვლის კერძო შემთხვევას.

კომუნიკაცია პედაგოგიკაში და სოციალურ ფსიქოლოგიაში გამოიყენება ორი დანიშნულებით – მოდელებს შორის საქმიანი და პიროვნებათაშორისი კავშირების სტრუქტურული

დახასიათებისათვის და ადამიანთა ურთიერთობებში ინფორმაციის გაცვლის დახასიათებისათვის *[ნ. ვასაძე]*.

კომუნიკაცია რთული პროცესია, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის ან იდეების გაცვლას ვერბალურად (სიტყვიერად), არავერბალურად და წერილობით. ეფექტიანი კომუნიკაცია გულისხმობს არამარტო ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მიღებას, რაც ითვალისწინებს მოსმენას, დაკვირვებასა და შეგრძნებას... მასწავლებლის რეაქცია ვერბალურ თუ არავერბალურ ნებისმიერ საკლასო სიტუაციაში გავლენას ახდენს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაზე. იმისათვის, რომ მასწავლებელს შესაბამისი რეაქცია ჰქონდეს, სჭირდება კარგად განვითარებული კომუნიკაციის ჩვევები და იმის გაგების უნარი, თუ **რას** და **როგორ** აღიქვამენ მოსწავლეები *[რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი]*.

ჩვენის მხრივ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **კომუნიკაციურობა** ეს არის ურთიერთკავშირი ორ ან მეტ ინდივიდს შორის, რომელიც ეფუძნება ურთიერთგაგებასა და ურთიერთთანამშრომლობას. ეს არის ოპტიმალური ანუ კომუნიკაციური (თანამშრომლობითი) სწავლება ეფექტური ურთიერთმოქმედების თვალსაზრისით.

კომუნიკაციური ანუ **თანამშრომლობითი სწავლება** კი ისეთი სწავლებაა, რომლის ორგანიზება ხდება მხოლოდ კომუნიკაციური ამოცანების საფუძველზე. ასეთი სწავლების მთავარი მიზანია, პირველ რიგში, **ერთად სწავლება**, და არა მხოლოდ რაიმე დავალების ერთად შესრულება. ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ასწავლოს და დააუფლოს მოსწავლე კომუნიკაციას შესაბამისი ხერხებისა და მეთოდების გამოყენების გზით.

არსებობს კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლების რამდენიმე სახე. ეს სახეები კი მასწავლებლის მიერ შემოქმედებითად უნდა იქნეს გამოყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე. მაგრამ, ამავე დროს მასწავლებლის მიერ მკაცრად უნდა იყოს დაცული კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლების შემდეგი წესები. ეს წესებია:

- კლასის ჯგუფებად დაყოფა გაკვეთილამდე, სადაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებანი;
- თითოეული ჯგუფი უნდა შედგებოდეს როგორც ძლიერი, ასევე საშუალო და სუსტი დონის მოსწავლეებისაგან;
- თუ ჯგუფი სასწავლო პროცესის განმავლობაში მუშაობს შეწყობილად ყოველგვარი გართულების გარეშე, მაშინ მისი შეცვლა არაა რეკომენდებული;
- თუ ჯგუფი ვერ ახერხებს თანამშრომლობას, მაშინ, ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს ჯგუფის მონაწილეები;
- ჯგუფს ეძლევა ერთი დავალება, მაგრამ ამ დავალების შესრულებისას თითოეულ მონაწილეს განაწილებული უნდა ჰქონდეს როლები (როლები შეუძლიათ დაინაწილონ თვითონ მოსწავლეებმაც, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია შესაბამისი რეკომენდაციის მიცემა);
- ფასდება არა ერთი მოსწავლის მუშაობა, არამედ მთელი ჯგუფის;
- ასევე აუცილებელია შეფასდეს არა მხოლოდ მოსწავლეთა ცოდნა, არამედ ის ძალისხმევა, რომელიც მოს-

წავლეებმა გასწიეს. ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია მოსწავლეებსაც მივცეთ უფლება თვითონ შეაფასონ საკუთარი მუშაობის შედეგები;

- მასწავლებელი თვითონ ირჩევს ჯგუფიდან მოსწავლეს (ეს შეიძლება იყოს სუსტი მოსწავლე), რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა მოცემულ დავალებაზე. თუკი ის შეძლებს ერთობლივი (ჯგუფური) მუშაობის შედეგების შეჯამებასა და ჩამოყალიბებას, გასცეს პასუხი სხვა ჯგუფის მონაწილეთა შეკითხვებს, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მიზანი მიღწეულია და ჯგუფმა შეძლო მოცემული დავალებისათვის თავი გაერთმია.

კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს **ორმხრივი**, ანუ **აქტიური მოსმენა**, რომლის დროსაც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული კომუნიკაციაში და ცდილობს მიიღოს დამატებითი ინფორმაცია.

აქტიური მოსმენის ფაზებია - აღქმა, შეფასება, კრიტიკული დამოკიდებულება და რეაქცია. მოსმენის ეს ფორმა ეფექტურია სასწავლო პროცესში ინფორმაციის გაცვლისას. ამ დროს მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს უკუკავშირი, რომელიც იძლევა კომუნიკაციის კონტროლის საშუალებას და გააჩნია შემდეგი დადებითი ფუნქციები, როგორებიცაა - საკუთარი თავის შეცნობა, მოტივაციის ამაღლება და სასწავლო პროცესის გაუმჯობესება.

აქტიური მოსმენის დროს მსმენელი ამახვილებს ყურადღებას მოსაუბრესა და მის ნათქვამზე. მსმენელს უნდა შეეძლოს მოსმენილის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. ეს ნიშნავს იმას, რომ მან კარგად გაიგო სხვისი ნათქვამი. ამისათვის აქტიურმა მსმენელმა უნდა დაამყაროს უკუკავშირი

მოსაუბრესთან კითხვების საშუალებით, რათა დააზუსტოს, ერთი მხრივ, გადმოცემულის შინაარსი და, მეორე მხრივ, მოსაუბრის ემოციური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება საკითხისადმი *[ი. ბასილაძე…]*.

გარდა ამისა, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის განმარტებით ლექსიკონშია მითითებული, აქტიური მოსმენისათვის აუცილებელია მოსმენის **გარე** და **შიდა ფაქტორების** გაცნობიერება. გარე ფაქტორებში იგულისხმება ზოგადად გადმოცემული საკითხის სირთულე, მოსაუბრე და გარემო. აქტიური მოსმენის დროს მსმენელს (მოსწავლეს) უნდა შეეძლოს მოსმენის შიდა ანუ საკუთარ თავთან დაკავშირებული ფაქტორების გაკონტროლება. ასეთ დროს მან უნდა შეძლოს ყურადღების გამახვილება მოსაუბრეზე, შეწყვიტოს ყოველგვარი ქცევა მოსმენის დაწყებამდე და გააკონტროლოს თავისი ემოციური მდგომარეობა, წინასწარ უნდა ჰქონდეს გამზადებული შესაბამისი მასალა და ა.შ.

- **კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლების ძირითადი პრინციპები.**

კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლების ანუ კომუნიკაციურ-ორიენტირებული სწავლების ძირითადი პრინციპებია:

- **მოსწავლეთა მეტყველებითი ურთიერთობა**. ეს პრინციპი ნიშნავს პრაქტიკულ-ორიენტირებულ გაკვეთილს, სადაც მოსწავლეები სწავლობენ მეტყველებას მეტყველების გზით, მოსმენას – მოსმენის გზით, კითხვას – კითხვის გზით. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ისეთი სახის სავარჯიშოებს, რომელთა მეშვეობითაც სწავლება ხდება გაცილებით უფრო ეფექტური.
- **ფუნქციონალურობა**. აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს როგორც სიტყვის, ისე გრამატიკული ფორმების ათვისებას სასწავლო პროცესში. ასეთ დროს მოსწავლეების მიერ ხდება რომელიმე მეტყველებითი სავარჯიშოს შესრულება ზეპირი გზით.
- **სიტუაციურობა, სასწავლო პროცესის როლური ორგანიზაცია**. ასეთ შემთხვევაში პრინციპულად აუცილებელია შესაბამისი მასალის შერჩევა და მისი ორგანიზება სიტუაციის საფუძველზე, ურთიერთობის პრობლემურობის გათვალისწინება.
- **სიახლე**. სიახლემ შეიძლება თავი იჩინოს გაკვეთილის სხვადასხვა კომპონენტებში, უპირველეს ყოვლისა კი, მეტყველებით სიტუაციებში (საურთიერთობო საგნის ცვლა, განსახილველი პრობლემები, ურთიერთობის პირობები და ა. შ.), გამოყენებულ მასალაში ინფორმაციულობის თვალსაზრისით, გაკვეთილის ორგანიზაციისას (გაკვეთილის სახეები, ფორმები), საქმიანობის

პროცესში სხვადასხვა მეთოდების და სტრატეგიების გამოყენებისას.

- **ურთიერთობის პიროვნული ორიენტაცია**. როგორც ვიცით, მეტყველება მუდამ ინდივიდუალურია, თითოეული ადამიანი განსხვავდება მეორისაგან თავისი ბუნებრივი თავისებურებებითა და შესაძლებლობებით, სასწავლო და მეტყველებითი საქმიანობის განხორციელების უნარებით, ასევე პიროვნული მახასიათებლებითაც: გამოცდილებით, ინტერესებით, საქმისადმი მიდგომით და სხვ.
- **გუნდური ურთიერთმოქმედება**. სასწავლო პროცესის ასეთი ორგანიზაცია იწვევს მოსწავლეთა აქტიურ ურთიერთობას ერთმანეთში, სადაც ერთის წარმატება ყველას წარმატებაა.
- **მოდელირება**. ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის შესასწავლი მასალა რაოდენობრივად საკმაოდ დიდია და შესაძლებელია მოსწავლეებს გაუჭირდეთ კიდეც მისი ათვისება. ამიტომ, სწავლების შინაარსობრივ მხარეს უნდა წარმოადგენდეს პრობლემები და არა თემები.

საჭიროება მოითხოვს განვსაზღვროთ კომუნიკაციური სწავლების თავისებურებებიც:

- მეტყველებითი ქცევის სოციოკულტურული ადეკვატურობა;
- წარმოთქმულის აზრიანობა და შინაარსიანობა;
- სასწავლო დავალებების ჩატარების ჯგუფური ფორმები;
- სასწავლო ურთიერთობის შინაარსიანობის „პიროვნულობა“;

- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება;
- მოსწავლეთა ესთეტიკურ-ემოციურ-ინტელექტუალური განვითარება;
- ინტეგრირებული გაკვეთილი საგანთაშორისი კავშირების დამყარების გზით;
- პიროვნებათშორისი ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისათვის ხელშეწყობა.

მაშასადამე, საზოგადოდ, პედაგოგიური მოღვაწეობა, კერძოდ კი, მასწავლებლის სასწავლო საქმიანობა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც კომუნიკაციური ამოცანების წყება. ეს ამოცანები იცვლება, ვითარდება, გარდაიქმნება და გულისხმობს პედაგოგიური ურთიერთმოქმედების ორგანიზაციას, მოცემული ამოცანების ადეკვატურად. ე. ი. პედაგოგიური ზემოქმედების შერჩეული მეთოდების პრაქტიკული რეალიზაცია ხორციელდება უშუალოდ ურთიერთობებში.

პედაგოგიური ურთიერთმოქმედების ლოგიკა გვკარნახობს, რომ პედაგოგიური ამოცანის დასახვას უშუალოდ მოსდევს მისი ამოხსნისათვის გამიზნული პედაგოგიური მეთოდების სისტემის შექმნა; შემდეგ უნდა დაისახოს კომუნიკაციური ამოცანები, რომელთა ამოხსნა აუცილებელია პედაგოგიური ურთიერთმოქმედების მეთოდიკის რეალიზაციისათვის და ამ უკანასკნელს უშუალოდ მოსდევს პედაგოგიური ურთიერთმოქმედება. აქედან გამომდინარეობს, რომ კომუნიკაციური ამოცანები პედაგოგიური ურთიერთმოქმედების ინსტრუმენტალური კომპონენტებია.

საჭიროა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან **ზოგადი კომუნიკაციური ამოცანები**, რომლებიც წინასწარ იგეგმება და **მიმდინარე კომუნიკაციური ამოცანები**, რომლებიც წარმოიშობა პედაგოგიური ურთიერთმოქმედების პროცესში.

ზოგადი კომუნიკაციური ამოცანა დაიყვანება ორ ძირითად სახეზე: თხრობა და წაქეზება. თხრობა გამოიყენება შემდეგ მრავალსახეობებში: საკუთრივ თხრობა, განსაზღვრა, ახსნა, ჩამოთვლა, პასუხი, და სხვა; წაქეზებას შეიძლება შემდეგი სახეები ჰქონდეს: ბრძანება, მოთხოვნა, თხოვნა, გაფრთხილება, რჩევა, დავალება და სხვა. ასე რომ, პედაგოგიური ურთიერთმოქმედების პროცესში მასწავლებელი ახდენს ორი ძირითადი მიზნის რეალიზებას: გადასცემს მოსწავლეებს რაიმე ცნობას, ან ზემოქმედებს მათზე, აქეზებს მათ მოქმედებისაკენ.

მ. ბოჭორიშვილი, ნ. ნამიჭეიშვილი და ნ. ნაბულიშვილი გვთავაზობს მოსწავლეებთან პედაგოგიური ურთიერთმოქმედების (ინტერაქციური მიდგომის) სამ ფორმას: ინდივიდუალურს, კონკურენტულს და კოლაბორაციულს.

ტერმინ **ინტერაქციის** განმარტება ასეთია: **ინტერაქცია** [ინგლ. **Interaction** < ლათ. **Inter** - შორის + **actio** - საქმიანობა] – 1. ურთიერთმოქმედება, ურთიერთგავლენის ანუ ზემოქმედების მოხდენა ერთმანეთზე; 2. ამერიკელი ფსიქოლოგის ჯ. მიდის კონცეფციის თანახმად ინტერაქცია განიხილება როგორც პიროვნებათშორისი კომუნიკაცია, რომლის დროსაც თუ როგორ შეიძლება გაიგონ თანამოსაუბრეებმა ან ჯგუფის წევრებმა ერთმანეთის ნათქვამი.

მათი მიხედვით, გაკვეთილზე, თუ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად მუშაობს სასწავლო მიზნის მისაღწევად, ამ დროს მოსწავლე პასუხისმგებელია საკუთარი თავის, პედაგოგის წინაშე და მისი წარმატება არ არის დამოკიდებული სხვის წარმატებაზე – მოსწავლეთა ასეთი ინტერაქცია **ინდივიდუალურია**.

გაკვეთილზე, თუ თითოეული მოსწავლე მუშაობს დამოუკიდებლად სასწავლო მიზნის მისაღწევად და ცდილობს სა-

მუშაო სხვაზე უკეთესად და სხვაზე სწრაფად შეასრულოს – მოსწავლეთა ასეთი ინტერაქცია **კონკურენტულია**.

გაკვეთილზე, თუ თითოეული მოსწავლე აცნობიერებს, რომ მასწავლებლის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად ერთადერთი გზა თანაკლასელებთან თანამშრომლობაა და ერთის გამარჯვება ნიშნავს ყველას გამარჯვებას, რაც გულისხმობს ერთობლივი მიზნის მისაღწევად გუნდური პასუხისმგებლობის გრძნობის გამძაფრებას – მოსწავლეთა ასეთი ინტერაქცია **კოლაბორაციულია** (ფრანგ. **Colaboration** თანამშრომლობა, ერთობლივი მოქმედება) *[მ. ბოჭორიშვილი...].*

როდესაც ვსაუბრობთ პედაგოგიური ურთიერთმოქმედების სტრატეგიებზე, აქ, ჩვენი აზრით, უნდა გამოიყოს ურთიერთმოქმედების ორი უმთავრესი ძირითადი სტრატეგია:

- **კოოპერაცია** (ლათ. **Cooperatio**) – თანამშრომლობა, რომელიც ხელს უწყობს მასწავლებლისა და მოსწავლის, მოსწავლისა და მოსწავლის ერთობლივ მოქმედებაში დადებითი შედეგების მიღწევას.
- **კონკურენცია** – საწინააღმდეგო მიზნების, პოზიციების, ინტერესების დაჯახება, კონფლიქტი.

ამ ორი სტრატეგიიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს კოოპერაციულ, ანუ პიროვნულ-განმავითარებელ პედაგოგიურ ურთიერთმოქმედებას. კოოპერაციული სწავლა ანუ თამაში არის სწავლების ისეთი ტიპი, როდესაც მოსწავლეთა ჯგუფი მუშაობს ერთი საერთო მიზნის მისაღწევად. მთავარია პიროვნულ-განმავითარებელი პედაგოგიური ურთიერთმოქმედების პროცესში პედაგოგმა დაიცვას ურთიერთობის სპეციფიკური ფორმები, გაითვალისწინოს მოსწავლის ფსიქოლოგიური განწყობა-მდგომარეობა, ინტერესები, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მისი პიროვნულობის ზრდა-განვითარებას.

კოოპერაციული თამაში ეს არის ჭეშმარიტი სოციალური მონაწილეობის ფორმა, როდესაც მოსწავლეები ერთსა და იმავე მიზანზე არიან ორიენტირებულნი, როგორიცაა გამოგონილი თემის გათამაშება, ან ერთი და იმავე პროექტზე მუშაობა *[ი. ბასილაძე…]*.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის მე-6 კლასის მე-5 თავში საუბარია კოოპერაციული სწავლების შესახებ. მასში წარმოდგენილია და გაანალიზებულია კოოპერაციული სწავლების აქტივობა, აქტივობის მიზნები, რესურსები, აქტივობის აღწერა, შეფასება და მეთოდური მითითებები.

მოცემული თავის მიხედვით კოოპერაციული ანუ ერთობლივი სწავლა მნიშვნელოვანი მეთოდია იმ თვალსაზრისით, რომ ზეპირმეტყველებასთან ერთად ავითარებს კითხვისა და, გარკვეულწილად, წერის უნარსაც. ხელს უწყობს მოსწავლეების ჯგუფურ თანამშრომლობას. ეს აქტივობა აუცილებელს ხდის ჯგუფის თითოეული წევრის მონაწილეობას, სადაც წარმატება ეფუძნება ჯგუფის წევრების თანამშრომლობას: როგორც ინდივიდუალური წვლილის შეტანას, ისე ჯგუფის შიგნით საქმიანობას.

კოოპერაციული (ერთობლივი) სწავლა განსაკუთრებით შედეგიანია მეექვსე კლასში, რადგან ამ ასაკში ძლიერია შეჯიბრებისაკენ სწრაფვა და ინდივიდუალური ძალისხმევა თვითდამკვიდრებისათვის. კოოპერაციულ სწავლას აქვს უპირატესობა: მოსწავლეები შრომობენ და ერთმანეთს ეხმარებიან.

აქტივობის მიზნები

- ურთიერთობის, ურთიერთანამშრომლობის გაღრმავება;

- ლიდერობის უნარის გამომუშავება და საკუთარი თავის მიმართ რწმენის გაღრმავება; მოსწავლეთა თვითშეფასების გაზრდა;
- მოსწავლეთა სტიმულირება, რათა მათ საკუთარ თავზე აიღონ სწავლაზე პასუხისმგებლობა;
- ჯგუფური მუშაობისათვის აუცილებელი უნარების განვითარება, საერთო საქმეზე პასუხისმგებლობის აღება;
- საკომუნიკაციო და სოციალური უნარების განვითარება, ჯგუფის წევრებთან სამუშაო სიტუაციაში წარმატებული კომუნიკაცია, ყურადღებით მოსმენა, სხვათა აზრის პატივისცემა.

რესურსები

ტექსტი დაყოფილი ნაწილებად; ფორმატები, მარკერები, ფურცლები, საწერი კალმები.

აქტივობის აღწერა

- კლასი იყოფა იმდენ 4-5 კაციან ჯგუფად რამდენ ნაწილადაც არის ტექსტი დაყოფილი;
- ჯგუფის ყოველ წევრს აქვს ნომერი (მინიჭებული ან გადათვლით ან ბარათებით); ერთი ნომრის (შეიძლება ფერის) მქონე მოსწავლეები ქმნიან „ოჯახს“ ანუ ჯგუფს;
- მოსწავლეები გადადიან „ოჯახიდან“ „ექსპერტთა“ ჯგუფში იმ თანაკლასელებთან ერთად, რომლებსაც იგივე ნომერი აქვთ. ერთი ნომრის მოსწავლეები ხდებიან ტექსტის კონკრეტული ნაწილის ექსპერტები;
- თითოეულ ჯგუფს აქვს ტექსტის კონკრეტული ნაწილი ან ქვეთემა და გარკვეული ამოცანა. მოსწავლეები კითხულობენ, იკვლევენ თავიანთ დავალებას. მათ უნდა განსაზღვრონ, თუ როგორ აღნუსხავენ და როგორ აუხსნიან შესწავლილ და დამუშავებულ მასალას თავი-

ანთ „ოჯახის წევრებს“. მოსწავლეებმა ისე უნდა დაამუშავონ საკუთარი ნაწილი, რომ დააინტერესონ სხვები, ადვილად აუხსნან და გააგებინონ მათ.

- როდესაც ამოცანა ან ქვეთემა დასრულებულია, მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ „ოჯახებს“, ანუ თავდაპირველ ჯგუფს;
- ყოველი მოსწავლე უზიარებს დანარჩენებს თავის გამოცდილებას იმის შესახებ, თუ რა ისწავლა ან გააკეთა, როდესაც ის „ექსპერტთა“ ჯგუფში იყო;
- თითოეული ჯგუფი („ოჯახი“) აკეთებს საერთო ნამუშევრის (გამთლიანებული ტექსტის) პრეზენტაციას.

შეფასება. შეფასდება გააზრებული კითხვის, მასალის ორგანიზებისა და სხვებისათვის გაზიარების უნარი, თანამშრომლობის უნარი. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა მონაწილეობას და დაადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხს, აჯამებს ჯგუფებზე დაკვირვების შედეგებს. მოსწავლეები აფასებენ როგორც საკუთარ თავს, ისე ჯგუფის წევრებს.

მეთოდური მითითება. ეს აქტივობა კომპლექსურია. ის ორიენტირებულია როგორც გააზრებული კითხვის (მოსწავლეები კითხულობენ უცნობ ტექსტს, გაიაზრებენ და ორგანიზებას უკეთებენ მნიშვნელოვან საკითხებს), ისე წერისა (აკეთებენ ჩანაწერებს) და ზეპირმეტყველების (გადასცემენ, უხსნიან თანატოლებს) უნარის განვითარებაზე. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯგუფებისათვის დარიგებული ტექსტის ნაწილები დაახლოებით ერთნაირი სირთულის იყოს და მოსწავლეები არ აღმოჩნდნენ არათანაბარ მდგომარეობაში.

სასწავლო პროცესში პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა სახის **კოოპერაციული თამაშობებიც**.

ასეთი მიდგომა სწავლებისადმი გამოიწვევს მოსწავლის გონებრივ განვითარებას. გონებრივი განვითარება კი ეს არის იმ ცოდნისა და უნარის ერთობლიობა, რომელთა ათვისება ხდება უშუალოდ გონებრივი მოქმედების დროს. გონებრივი მოქმედების დროს რეალიზაციის მიზნით მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოქმედების ის ეტაპები, რომლებიც აუცილებელია ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევების ფორმირებისათვის. ეს ეტაპებია:

- მოქმედების მიზნის განსაზღვრა;
- მოქმედების მეცნიერული საფუძვლების გარკვევა;
- მოქმედების მოდელის აგება გუნდური ან ინდივიდუალური, დამოუკიდებელი ძიების გზით. ეს მოდელი მოიცავს მოქმედების სტრუქტურის ანალიზს და განსაზღვრავს ოპერაციების შესრულების უფრო რაციონალურ თანამიმდევრობას;
- მოსწავლეთა მიერ მოქმედების შესრულება, სადაც კონტროლს აწარმოებს მასწავლებელი;
- შესრულებულ მოქმედებაზე თვითკონტროლი;
- მოცემული მოქმედების სხვა სასწავლო სიტუაციებში დამოუკიდებლად ორგანიზაცია.

ამ ეტაპების მიზანმიმართული და სისტემატური დანერგვა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა გონებრივი მოქმედების აქტივიზაციას. გონებრივი განვითარება კი თავისთავად ხელს უწყობს მოსწავლის, როგორც აქტიური პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს, რომელსაც გააჩნია საკუთარი თავის კონსტრუირების უნარი. ასეთი ურთიერთთანამშრომლობა მოსწავლეს კიდევ უფრო წარმოაჩენს როგორც აქტიურ, შემოქმედებით და დამოუკიდებელ პიროვნებას. თუმცა, უარი არ უნდა ვთქვათ კონკურენციულ სტრატეგიაზეც, თუ კი ის ხასიათდება

შეჯიბრობითი, დავალების სხვაზე სწრაფად შესრულების პრინციპით.

პედაგოგიური ურთიერთმოქმედების **პიროვნულ-განმავითარებელი სტრატეგია** ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

- მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა-დადგენა;
- ზრუნვა და ხელშეწყობა მოსწავლის პიროვნულობის განვითარება-თვითგანვითარებისათვის;
- პიროვნულობის თვითრეალიზაციისა და თვითგანსაზღვრისათვის შესაბამისი პირობების შექმნით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებელია მასწავლებელმა იცოდეს პედაგოგიური ურთიერთობის სახეები. ურთიერთობა კი არის ორგვარი: **ვერბალური** და **არავერბალური**.

თავის მხრივ, ვერბალური ურთიერთობა ორგვარია: **გარეგანი** და **შინაგანი**. გარეგანი ურთიერთობა ორგვარია: **ზეპირი** და **წერითი**; ზეპირი ურთიერთობა ორგვარია: **მონოლოგური** და **დიალოგური**.

არავერბალური ურთიერთობა ოთხ სახედ იყოფა: **კინეტიკური**, **პარაექსტრალინგვისტიკური**, **პროკსემიკური** და **ვიზუალური**. პედაგოგიური ურთიერთობის ეს სახეები სქემატურად შეიძლება ასე აიგოს:



ნებისმიერი მასწავლებლისათვის საყურადღებო უნდა იყოს შემდეგი დეფინიციები (**დეფინიცია** [ლათ. **definitio**] – საგნის ზუსტი განსაზღვრა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით):

კომუნიკაცია – ურთიერთობები, რომელთა მიზანია ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა.

ვერბალური ურთიერთობა – სიტყვიერი ურთიერთობა, რომლის პროცესშიც ნიშანთა სისტემად გამოიყენება მეტყველება.

გარეგანი ურთიერთობა – სხვებზე ორიენტირებული მეტყველება; ინფორმაციის გადაცემა მეტყველებით.

შინაგანი ურთიერთობა – ურთიერთობა საკუთარ თავთან.

მონოლოგური ურთიერთობა – ზეპირი მეტყველება, რომელიც გამოიყენება ლექციის, მოხსენების, ორატორული გამოსვლის და სხვა სახით.

დიალოგური ურთიერთობა – მეტყველებითი ურთიერთობა ორ ან რამდენიმე პირს შორის.

დიალოგი სხვადასხვანაირი არსებობს:

- **ინფორმაციული დიალოგი** – ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა საუბრის სახით ან ისეთი გამოსვლის სახით, რომელსაც განხილვა უნდა მოჰყვეს და სხვ.
- **სადისკუსიო დიალოგი** – წინააღმდეგობრივი აზრების, შეხედულებათა, ფაქტების განხილვა დისკუსიის, დისპუტის და სხვათა ფორმით.
- **ფატუსური დიალოგი** (ლათ. **fatuus** სულელი) – უშინაარსო ურთიერთობა, დიალოგი დიალოგისათვის.

არავერბალური ურთიერთობა – ურთიერთობა, რომელშიც გამოიყენება არასამეტყველო ნიშანთა სისტემა.

კინეტიკური ურთიერთობა – ურთიერთობა არავერბალური საშუალებებით: ჟესტებით, მიმიკით, პანტომიმიკით.

პარალინგვისტიკური ურთიერთობა – დამატებითი ინფორმაციის გადაცემა ხმის ჟღერადობის დიაპაზონის, ტონალობის ცვლილებით.

ექსტრალინგვისტიკური ურთიერთობა – დამატებითი ინფორმაციის გადაცემა მეტყველებაში პაუზის, მეტყველების ტემპის ცვლილების ჩართვით.

ვიზუალური ურთიერთობა – ინფორმაციული კონტაქტი თვალების მეშვეობით.

ურთიერთობის პროკსემიკური საშუალებანი – აზრობრივი დატვირთვის მატარებლები, სივრცე და დრო, ე.ი. ურთი-

ერთობის მონაწილეთა განთავსება სივრცეში, ურთიერთობის აქტის ჩატარების დრო.

პედაგოგიური ურთიერთმოქმედების ლოგიკის შესაბამისად საჭიროა გამოვყოთ კომუნიკაციის შემდეგი სტადიები:

- მასწავლებლის მიერ ურთიერთმოქმედებისთვის მომზადებისას მოსწავლეებთან მოსალოდნელი ურთიერთობის მოდელირება (პედაგოგიური ამოცანის დასმა, მისი ამოხსნის მეთოდებისა და ხერხების შერჩევა, კომუნიკაციური ამოცანის გამოყოფა, საკუთრივ ურთიერთობის მოდელირება);
- მოსწავლეებთან უშუალო ურთიერთობის მოდელირება;
- პედაგოგიური ურთიერთმოქმედების დროს ურთიერთობის მართვა;
- ურთიერთობის შედეგების ანალიზი და ახალი პედაგოგიური ამოცანის მოდელირება.

კომუნიკაციის ეს სტადიები ეტაპობრივად იშლება პედაგოგიური ურთიერთმოქმედების პროცესში.

მოსწავლეებთან **მოსალოდნელი ურთიერთობის მოდელირების** ეტაპზე ხორციელდება კომუნიკაციური ურთიერთმოქმედების სტრუქრტურის თვისებრივი დაგეგმვა, რომელიც აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს პედაგოგიურ ამოცანებს, მოცემულ სიტუაციებს, პედაგოგის ინდივიდუალურობას, თითოეული მოსწავლის და საერთოდ კლასის თავისებურებებს.

მოდელირების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს კლასში ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა. ეს კი პირველ რიგში განსაზღვრავს პედაგოგიური ურთიერთმოქმედების ასპექტებს, პედაგოგს ეძლევა საშუალება გამოავლინოს საკუთარი კომუნიკაციური ქმედება და ემოციური მდგომარეობა.

უშუალო ურთიერთობის მოდელირების ეტაპზე პედაგოგმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს ინიციატივა ურთიერთობის წარსამართავად. ამ ეტაპზე ორიენტირება ხდება მოსალოდნელ ურთიერთობასთან დაკავშირებით. მასწავლებელი ვალდებულია

- მოიფიქროს და განსაზღვროს ურთიერთობის სტილი მოსწავლეებთან მიმართებაში;
- გამოცდილების ხარჯზე სწორად წარმართოს ურთიერთობა მოსწავლეებთან;
- ახალი კომუნიკაციის პირობებში გამოარკვიოს ურთიერთობის თავისებურებები.

მოცემული ეტაპის მთავარ აუცილებლობას წარმოადგენს მასწავლებელმა მიიქციოს მოსწავლეთა ყურადღება, რადგანაც ეფექტური ურთიერთობა მოსწავლეებთან მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოსწავლეთა ყურადღება კონცენტრირებულია პედაგოგზე.

ურთიერთობის მართვის მოდელირების ეტაპზე ხდება ურთიერთობის პირობებისა და სტრუქტურის გამორკვევა-დადგენა.

ურთიერთობის შედეგების ანალიზის მოდელირების ეტაპი ეს არის **უკუკავშირის** დამყარება პედაგოგიურ ურთიერთობაში, რომელიც შეიძლება დატვირთული იყოს შინაარსობრივი და ემოციური თვალსაზრისით. შინაარსობრივი უკუკავშირი იძლევა შესწავლილი მასალის კიდევ უფრო ხარისხობრივად ათვისების საშუალებას. იგი ხორციელდება კითხვების დასმის, ექსპრესიული და ფრონტალური გამოკითხვის გზით და ა.შ., რომლის შემდეგაც ხდება ახალი პედაგოგიური ამოცანის მოდელირება. პედაგოგიური ურთიერთმოქმედების

პროცესში მოსწავლეებს უნდა გამოუმუშავდეთ შემდეგი კომუნიკაციური უნარები:

- მოსმენა (ინსტრუქციის მოსმენა, სხვების მოსმენა, ინფორმაციის მოსმენა);
- ლაპარაკი (ნათლად საუბარი, იდეების ლოგიკურად გამოხატვა, საკუთარი აზრების გამოთქმა);
- კითხვა (სხვადასხვა წყაროს კითხვა ინფორმაციისა და სიამოვნების მიღების მიზნით, წაკითხულის გაგება, წაკითხულიდან დასკვნის გამოტანა);
- წერა (ინფორმაციის, პერიფრაზის გაკეთება, საკუთარი აზრის, დასკვნის);
- არავერბალური კომუნიკაცია (მხედველობითი და ტაქტილური (შეხებითი) კომუნიკაციის მნიშვნელობის გაგება);
- ინფორმაციის ტრანსფორმაცია (მხედველობითი, ტაქტილური და სმენითი ინფორმაციის გარდაქმნა, სხვადასხვა სახის წერილობითი ინფორმაციის გარდაქმნა – თხრობითი ფორმიდან ცხრილში, სქემაში ან პირიქით);
- სპეციფიკური ენის ფლობა (სამეტყველო აპარატის ფლობა და სიმბოლოებით ოპერირება).

პრაქტიკუმისათვის
სადისკუსიო საკითხები:

- *პედაგოგიური ურთიერთობის სახეები და სტილები, მათი დახასიათება;*
- *კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლება, მისი სახეები, ძირითადი პრინციპები და სტრატეგიები;*
- *პედაგოგიური ურთიერთობის სახეები: ვერბალური და არავერბალური;*
- *კომუნიკაციის სტადიები და მათი დახასიათება.*

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კომუნიკაციური ტექნოლოგიები

➢ კომუნიკაციური ტექნოლოგიის გაკვეთილის სახეები. სწავლების მეთოდები.

კომუნიკაციური ტექნოლოგიები თანამედროვე სწავლებაში აქტიურად ინერგება და ფართოდ გამოიყენება. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სწავლების ნებისმიერი ტექნოლოგია წარმოადგენს მეთოდთა ერთიანობას, სხვადასხვა დროს კონკრეტულ მეთოდთა სხვადასხვაგვარ კომბინაციას, მასწავლებლის ხელოვნებას, რომელიც ეფუძნება მასწავლებლის ხედვასა და ფილოსოფიას. ხოლო სწავლების სტრატეგია წარმოადგენს მასწავლებლის მიერ მოქმედების გეზის არჩევას, სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მიმართულების მიცემას.

კომუნიკაციური ტექნოლოგიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ორიენტირებულია სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში პიროვნებათშორის ურთიერთთანამშრომლობაზე. ასეთი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი კი ნიშნავს გადასვლას პიროვნულ-ორიენტირებულ პედაგოგიკაზე, რომელიც იძლევა მოსწავლისადმი თავისუფალ მიდგომას სასწავლო-საქმიანობრივ პროცესში.

პიროვნულ-ორიენტირებული განათლება წარმოადგენს ისეთ განათლებას, რომელშიც მოსწავლის პიროვნება მასწავლებლის ყურადღების ცენტრშია და, რომელშიც სასწავლო საქმიანობა – შემეცნებითი საქმიანობა, და არა – ცოდნის გადაცემა, იქნება ტანდემში: **მასწავლებელი – მოსწავლე**, რომ ტრადიციული წარმონაქმნის: **მასწავლებელი – სახელმძღვანელო – მოსწავლე** პარადიგმა შეიცვალოს ახლით: **მოსწავლე → სახელმძღვანელო → მასწავლებელი** *[ჯ. ჯინჯიხაძე].*

ასეთი პროცესი კი გულისხმობს ისეთი პირობების შექმნას, სადაც მოსწავლეები შეძლებენ და მოახერხებენ თავიანთი შესაძლებლობების კარგად წარმოჩენას. ამდენად, თუკი ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემა იძლეოდა შემდეგ ლოგიკურ სქემას: **მასწავლებელი – საგანი – მოსწავლე**, თანამედროვე საგანმანათლებლო მოდელი, კიდევ უფრო რომ გავშალოთ, ჩვენი აზრით, ითვალისწინებს შემდეგს:



კომუნიკაციური ტექნოლოგიები ძირითადად მიმართულია აქტიური მეთოდებისა და ორგანიზაციული ფორმების ძიებისაკენ და აქტიურად გამოიყენება გაკვეთილის უკეთ წარმართვისათვის, თანამშრომლობითი სწავლებისათვის, წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობისათვის. კომუნიკაციური ტექნოლოგიები, რომელიც ვითარდება პედაგოგიური თანამშრომლობის ფარგლებში, ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

- სამყაროს საკუთარ თავში შეცნობას;
- სუბიექტის აქტივობას, რომელიც იძლევა შემოქმედებითობის უმაღლესი დონის გამოვლინებას;
- პიროვნების საქმიანობრივ ფორმირებას.

კომუნიკაციური ტექნოლოგიები წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ წამყვან მეთოდებს სწავლებაში, როგორც ურთიერთობის, ასევე დიალოგურ სწავლებაში. კომუნიკაციურ სწავლებას განსაზღვრავენ როგორც ფუნქციონალურ მიდგომას,

ან ფუნქციონალურ-აზრობრივ მიდგომას ახალი ცოდნისა და უნარების ათვისების საქმეში. კომუნიკაციური შესაძლებლობების განვითარება და კომუნიკაციური კომპეტენტურობა მოიცავს აქტიური მოსმენისა და მეტყველების უნარების განვითარებას, შინაარსის გადმოცემას, თხრობას, დისკუსიაში ჩართულობას, საკუთარი თვალსაზრისის დაცვას, დასკვნების კეთებას, ინფორმაციის განზოგადებას და სხვ.

კომუნიკაციური კომპეტენტურობა ნიშნავს დასვა და გადაჭრა განსაზღვრული ტიპის კომუნიკაციური ამოცანები:

- განსაზღვრო კომუნიკაციის მიზანი;
- შეაფასო სიტუაცია;
- გაითვალისწინო და წინასწარ განჭვრიტო კომუნიკაციური შესაძლებლობები;
- იყო მზად შესაბამისად მეტყველების ქცევის შესაცვლელად.

ის მოთხოვნები, რომელსაც კომუნიკაციური კომპეტენტურობა წინ აყენებს, ითვალისწინებს როგორც **ზეპირ** (დისკუსია, პრეზენტაცია), ასევე **წერით** (კითხვა, სხვადასხვა ჟანრის ტექსტის გაგება და აღწერა) კომუნიკაციის ფორმებს.

კომუნიკაციური კომპეტენტურობა პიროვნებას უყალიბებს ისეთ თვისებას, როგორიცაა კომუნიკაბელურობა. ეს კი გაიგება, როგორც ინდივიდის შესაძლებლობა, თავისი ინიციატივით დაამყაროს კავშირი სხვასთან მიმართებაში და ასევე მტკიცედ დაიცვას ეს კავშირი. მაგრამ იმისათვის, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს კომუნიკაბელურობა, მთავარი და აუცილებელია, პირველ რიგში, თვითონ მასწავლებელს ჰქონდეს ეს თვისება სათანადოდ განვითარებული. კომუნიკაბელური უნარი პედაგოგისა მჟღავნდება არა მარტო იმაში, რომ ის თხრობის დროს მუდმივ კონტაქტშია მსმენელებთან, არამედ

იმაშიც, რომ თვით ცოდნასა და უნარ-ჩვევებს სიღრმეებში წვდება, მოიცავს, გარს უვლის, რომ უპასუხოდ არ დატოვოს არც ერთი კითხვა.

პროფესიული თვალსაზრისით ამ შესაძლებლობას ეძლევა უმაღლესი შეფასება და შედის იმ აუცილებელი პირობების რიცხვში, რომელიც გამოიყენება და უკავშირდება აქტიურ კომუნიკაციურ საქმიანობას. კომუნიკაციური ტექნოლოგია ეყრდნობა ურთიერთმაკავშირებელ კომპლექსურ სწავლებას, რომელშიც თავს იყრის ყველა სახის მეტყველებითი საქმიანობა: აუდირება, მეტყველება, კითხვა, წერა.

კომუნიკაციური ტექნოლოგია იძლევა შესაძლებლობას, გავაცნობიეროთ და გამოვიყენოთ პრაქტიკაში ენის ფუნქციონალური მექანიზმები:

- **ინტერაქტიური ფუნქცია** – ენის გამოყენება სხვასთან ურთიერთობისათვის;
- **პიროვნული ფუნქცია** – ენის გამოყენება საკუთარი აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად;
- **ევრისტიკული ფუნქცია** – ენის გამოყენება გარესამყაროს შეცნობისა და შესწავლისათვის;
- **ინსტრუმენტალური ფუნქცია** – ენის გამოყენება გარკვეული მიზნით;
- **რეგულატორული ფუნქცია** – ენის გამოყენება გარშემო მყოფთა ქცევის საკონტროლოდ;
- **სახოვანი ფუნქცია** – ენის გამოყენება ფანტაზიის შესაქმნელად;
- **რეპრეზენტაციული ფუნქცია** – ენის გამოყენება ინფორმაციის გადასაცემად.

ენის ფუნქციონალური მექანიზმები სქემატურად ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:



კომუნიკაციური ტექნოლოგიის სწავლების მთავარ არსს წარმოადგენს მეტყველებითი ქცევის შინაარსობრიობა, რომელიც შედგება მეტყველებითი სიტუაციების გაცნობიერებისა და მეტყველებითი ქმედებებისაგან. კომუნიკაციური ტექნოლოგიის გამოყენების მთავარი მიზანია – განვუვითაროთ მოსწავლეებს შესაძლებლობები, შეძლონ გადაჭრან კომუნიკაციური ამოცანები სასწავლო პროცესში იმ ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნით, რომელსაც ფლობენ აქტიურ დონეზე.

საგანმანათლებლო ამოცანები, რომელთა გადაჭრა გაკვეთილებზე აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად, მდგომარეობს შემდეგში, მოხდეს:

- მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფორმირება, თავისუფლად შეძლონ გამოხატონ საკუთარი და აღიქვან სხვისი აზრი როგორც ზეპირი, ასევე წერითი მეტყველების გზით;
- სალექსიკონო მარაგის გამდიდრება;

- უნარების განვითარება და მათი გამოყენება მეტყველებაში გრამატიკული კონსტრუქციის სწავლებისას;
- მოსწავლეთა მიერ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების (ორთოგრაფიული, ლექსიკური, გრამატიკული) გაცნობიერება და შესწავლა;
- უნარების განვითარება, შეძლოს საკუთარი მოსაზრების კონსტრუირება და შეფასება.

კომუნიკაციური ტექნოლოგია ითვალისწინებს **მოსწავლის საქმიანობასაც**:

- კითხვების დასმა;
- საკუთარი აზრის განმტკიცება;
- უბიძგოს მოქმედებისაკენ თანამოსაუბრეს კითხვების, საკამათო მტკიცებულებების და სხვათა საშუალებით;
- გამოთქვას ვარაუდი და მოახდინოს გრამატიკული ნორმების აქტუალიზება.

ამასთან, საჭიროა ახალი სიტუაციის გამოყენება:

- ახალი მეტყველებითი ამოცანა;
- ახალი თანამოსაუბრე;
- ახალი საკითხის განხილვა.

კომუნიკაციური კომპეტენტურობის დაუფლების მთავარ საშუალებად ითვლება საქმიანობის სხვადასხვა სახეები, როგორიცაა:

- აუცილებელი ურთიერთობის გაცნობიერება;
- მეტყველების გამოყენების მოთხოვნილება;
- მეტყველებითი ქცევის წარმოდგენის ფორმირება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება გვქონდეს კომუნიკაციური კომპეტენტურობის განვითარების შემდეგი საფეხურები, რომლებიც ძირითადად ხორციელდება მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით:

პირველი საფეხური

- მოსწავლეთა მზადყოფნა სასწავლო პროცესში მონაწილეობისათვის;
- კითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემა;
- შესასრულებელი დავალების შინაარსიდან გამომდინარე კითხვების დასმა;
- კითხვებისა და პასუხების კომენტირება;
- შესაბამისი ინფორმაციის გაკეთება;
- ლოგიკური და თანამიმდვრული თხრობა.

მეორე საფეხური

- საკუთარი აზრის გამოთქმის გამომუშავების უნარი;
- საკუთარი აზრის გამოთქმა ხატოვნად, ცხადად და მოკლედ;
- მაგალითებისა და ნიმუშების მოყვანა საკუთარი აზრის გასამყარებლად;
- რიტორიკული კითხვების გამოყენების უნარი;
- პარტნიორთან და თანამოსაუბრესთან კონტაქტის დამყარების უნარი;
- ხმამაღალი და სწრაფი მეტყველებითი გამონათქვამების დარეგულირების უნარი.

მესამე საფეხური

- წყვილებში და ჯგუფებში საუბრის წარმართვის უნარი;
- კონსტრუქციული დიალოგის წარმართვის უნარი;
- დისკუსიის აგებისა და მისი წარმართვის უნარი;
- კონფერენციებში, თამაშებში და ტურნირებში მონაწილეობის უნარი.

საქმიანობა, რომელშიც ხორციელდება კომუნიკაციური ტექნოლოგია, შეიძლება იყოს სასწავლო, შრომითი ან ატარე-

ბდეს თამაშობით ხასიათს. ყველაზე მთავარ ორგანიზაციულ ერთეულს სწავლების პროცესში წარმოადგენს კომუნიკაციური სიტუაცია. მისი შექმნის დახმარებით

- მაღლდება ურთიერთობის მოტივაცია;
- შესაძლებელია მეტყველებითი მასალის პრეზენტაცია;
- ხდება მეტყველებითი ჩვევების შეძენა;
- ვითარდება მოსწავლეთა აქტიურობა და დამოუკიდებლობა;
- მტკიცდება მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარ-ჩვევები.

მეორე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მხატვრული ტექსტის (ტექსტების) ერთობლივი ანალიზი. ტექსტი კი ქმნის განმავითარებელ და აღმზრდელობით ატმოსფეროს გაკვეთილზე. გაკვეთილზე ტექსტზე მუშაობისას აუცილებლად უნდა ჩანდეს თითოეული მოსწავლის აქტიურობა. ტექსტზე შემოქმედებითი მუშაობა დაეხმარება მოსწავლეებს, შეძლონ საკუთარი ინდივიდუალური ტექსტის კონსტრუირება და დაეუფლონ ანალიზის კეთების საშუალებებს.

ტექსტებისა და დავალებების მიზანმიმართული შერჩევა, კარგად მოფიქრებულ სისტემაში ტექსტზე მუშაობა ყოველ გაკვეთილზე ის პირობებია, რომლებიც იძლევა საშუალებას, კიდევ უფრო განვუვითაროთ მოსწავლეებს მეტყველების უნარი, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ენის განვითარებას. ძალიან მნიშვნელოვანია ტექსტების ანალიზი, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების როგორც ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას, ასევე უმუშავებს მოსწავლეს მოთხოვნილების უნარ-ჩვევას რეფლექსიისადმი.

კომუნიკაციურ ტექნოლოგიაში სასწავლო მასალის შერჩევა უნდა პასუხობდეს მონაწილეთა მოთხოვნილებებს:

- მეტყველებითი კონსტრუქციების შერჩევა ურთიერთობისათვის;
- მეტყველებითი ურთიერთობის სხვადასხვა მოდელების გამოყენება (მარტივიდან რთულზე გადასვლა);

სწავლებამ ზემოქმედება უნდა მოახდინოს მოსწავლეთა არა მხოლოდ აზროვნებაზე, არამედ მათ გრძნობებსა და ემოციებზე:

- შეგულიანება (წაქეზება) ურთიერთობისაკენ;
- შემოქმედებითობის სიხარულის განცდა;
- დადებითი ემოციების გამოხატვა.

კომუნიკაციური ტექნოლოგიის საფუძველზე შეიძლება გვქონდეს გაკვეთილის შემდეგი სახეები:

- გაკვეთილები, რომლებიც ეყრდნობა ფანტაზიას და შემოქმედებას – თხზულება, დებატები, დისკუსია, დისპუტი;
- იმიტირებული გაკვეთილები;
- გაკვეთილი-თამაში – დიდაქტიკური, როლური, საქმიანი, შეჯიბრებითი;
- გაკვეთილი თხზულების შესაქმნელად სურათის, სიუჟეტური სურათის, მოცემული ტექსტის, პირადი შთაბეჭდილებების მიხედვით;
- გაკვეთილები, სადაც მოცემულია ტექსტის კომპლექსური ანალიზი, შემოქმედებითი მუშაობა, საკუთარი ტექსტის შექმნა.

მასწავლებელს, გაკვეთილის მზადებისას, ურთიერთობის დიალოგური პირობების მოფიქრებისას, შეუძლია გამოიყენოს განსაზღვრული პროცესუალური მოდელი, რომელშიც ეტაპობრივად გაიშლება მოსწავლეთა საქმიანობის შესაძლე-

ბლობები სასწავლო პროცესში. ამ შესაძლებლობის სტრუქტურა საკუთრივ წარმოადგენს ოთხ ტექნოლოგიურ საფეხურს:

- კომუნიკაციური სიტუაციის სტრუქტურული შემუშავება;
- გაკვეთილზე მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი საქმიანობის პროექტის შემუშავება;
- მონაწილეობა სასწავლო დიალოგში;
- დიალოგური ურთიერთმოქმედების შედეგების რეფლექსია.

კომუნიკაციური სიტუაციის შექმნა ფართო გაგებით გულისხმობს იმ პირობების სისტემას, რომელიც ითხოვს სუბიექტისაგან მიიღოს აქტიური მონაწილეობა საგაკვეთილო პროცესში. ეს კონკრეტული ცხოვრებისეული ეპიზოდია, რომლის შინაარსშიც შედის:

- პრობლემათა აქტუალიზაცია;
- ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება;
- გადაწყვეტილების მიღება, დამატებითი მასალის ძიება, ანალიზი, შერჩევა;
- საკუთარი მოქმედების აგება ახალი ტიპის ორიენტირების საფუძველზე.

კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში იძლევა შესაძლებლობას, შევასწავლოთ მოსწავლეს ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, სამყაროსა და საკუთარი თავის მასში შეცნობა; განვუვითაროთ აქტიური, შემოქმედებითი აზროვნება, რომ წიგნიერების დონეზე ფლობდეს ყველა სახის მეტყველებით საქმიანობას.

სწავლების კომუნიკაციური მეთოდი გულისხმობს ძირითადად კომუნიკაციურ სავარჯიშოთა სისტემის გამოყენებას,

რომლებიც გრამატიკულ კანონზომიერებებს ეყრდნობა. კომუნიკაციური მეთოდისათვის მნიშვნელოვანია კომბინირებული სავარჯიშოები, რომელთაც გრამატიკულ მიმართულებასთან ერთად კომუნიკაციური ხასიათი გააჩნიათ.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა მიერ იმის გაცნობიერებას, რომ გრამატიკული ფორმები აუცილებელია კომუნიკაციური ამოცანის გადასაჭრელად და რომ მათი გააზრებით ადვილია ამ ფორმების გადატანა და გამოყენება ახალ კონტექსტში.

კომუნიკაციური გრამატიკა აღიარებს სწავლების კომუნიკაციურ მეთოდს, რომელიც ემყარება არა უბრალოდ წინადადებას, არამედ გამონათქვამის დონეზე მუშაობის აუცილებლობას. სწავლების საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია საურთიერთობო მეტყველების ელემენტარული ჩვევების ფლობა, რომელსაც წინ უსწრებს მარტივი წინადადებებისა და ფრაზების გამოყენება, მარტივი შეკითხვის დასმა და პასუხის გაცემა, ურთიერთობის დამყარება მარტივ, ტიპურ სიტუაციებში და სხვ. *[მ. ინასარიძე]*.

ენის გაკვეთილებზე წარმოებს მრავალასპექტიანი მუშაობა სიტყვასთან; სხვადასხვა სახის ლექსიკონების გამოყენება; ასოციაციური მწკრივების ანალიზი და შერჩევა სიტყვასთან მიმართებაში; სიტყვისათვის კონტექსტის შექმნა და ა. შ.

რაც შეეხება სალექსიკონო მუშაობას გაკვეთილებზე, იგი სხვადასხვა სახით თითქმის ყოველდღიურად წარმოებს. ასევე მრავალმხრივია მოსწავლეთა სალექსიკონო მარაგის გამდიდრებისა და გაფართოების გზები. ამიტომ, სწორად ორგანიზებული სალექსიკონო მუშაობა სკოლის საერთო საგანმანათლებლო მუშაობის სისტემაში დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის ფაქტორია. აქტიურობისა და შეგნებულობის, სის-

ტემურობისა და თანამიმდევრობის, მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა მტკიცედ გათვალისწინების დიდაქტიკური მოთხოვნები განსაზღვრავენ სალექსიკონო მუშაობის შინაარსსა და გზებს.

სალექსიკონო მუშაობა მასწავლებელს ისე უნდა ჰქონდეს დაყენებული კლასში, რომ მოსწავლეები თვითონვე უნდა აყენებდნენ მოთხოვნას ამა თუ იმ ტერმინის, უცნობი და გაუგებარი სიტყვის განმარტების შესახებ. დასმული საკითხის გარშემო მსჯელობა და კვლევით-ძიებითი მუშაობა პირველად სწორედ მოსწავლეთა შორის უნდა იშლებოდეს. თუ მოსწავლეები ვერ შეძლებენ დასმული საკითხის გადაჭრას, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაუწიოს მათ დახმარება მასწავლებელმა.

ქართული ენის გაკვეთილებზე შეიძლება გამოვიყენოთ სწავლების შემდეგი მეთოდები და სტრატეგიები:

- სალექსიკონო მუშაობის ინოვაციური მიდგომები: კარნახი-კროსვორდი, კარნახი ილუსტრაციით, თავისუფალი კარნახი, თვითკარნახი და ა. შ.;
- გამოყოფილი სიტყვებისა და გამოთქმებისათვის კულტურული ფონის შექმნა;
- კონტექსტში სიტყვის მნიშვნელობის აზრობრივი ანალიზი;
- სინონიმებისა და ანტონიმების შერჩევა და მათზე მუშაობა, ომონიმებისა და პარონიმების შედარება და სხვ.;
- ტექსტის შედგენა ანალოგიების გზით;
- ფრაზეოლოგიზმებზე, აფორიზმებზე, ანდაზებზე და გამოთქმებზე მუშაობა;
- კონტექსტის შექმნა გამომსახველობით-გამომეტყველებითი საშუალებებით;

- აზრობრივად შორს მდგარი სიტყვის დაკავშირება წინადადებასთან;
- წინადადების გაშლა მეორეხარისხოვანი წევრების ხარჯზე გამომსახველობით-გამომეტყველებითი საშუალებებით, შესავალი სიტყვით და ა. შ.;
- ტექსტის ყველა სახის ასპექტური და კომპლექსური ანალიზი;
- ტექსტში სიტყვის გაშლის მეთოდი და ტექსტის შემცირება საკვანძო სიტყვამდე, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ სქემის სახითაც



ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში უნდა ხდებოდეს ტექსტის მრავალმხრივი დამუშავება, ნაწარმოების მხატვრული ფორმის ანალიზი, სალექსიკონო მუშაობა.

ლიტერატურის გაკვეთილებზე შეიძლება იქნეს გამოყენებული სწავლების შემდეგი მეთოდები და სტრატეგიები:

- გმირის სიტყვიერი დახასიათება (პორტრეტი);
- შინაარსის გადმოცემა (ანალიზური, შეკუმშული, კომენტირებული);
- კონტექსტის შექმნა გამომსახველობითი საშუალებებით;
- ტექსტის შეცვლა გამომსახველობითი საშუალებების დახმარების გამოყენებით;
- ერთი თემის მიხედვით ორი მხატვრული ნაწარმოების შედარებითი ანალიზი;
- სხვადასხვა სახის თხზულება და მათი ხარისხობრივი ანალიზი (დაკვირვების, შთაბეჭდილებათა ემოციონალური მახასიათებლების, ლიტერატურული ნაწარმოების, სურათის, სპექტაკლის და ა. შ.), თხზულება-სტილიზაცია (იგავ-არაკი, ზღაპარი და ა. შ.);
- ლექსთწყობა;
- როლური თამაშები და მეტყველებითი იმპროვიზაცია (ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა, თემის (საკითხის) ზეპირი ან წერილობითი პრეზენტაცია. სხვადასხვა სახის ნაწარმოებთა კომენტირება და ა. შ.);
- კვლევითი ნამუშევრის მომზადება და პრეზენტაცია ლიტერატურული თემის მიხედვით;
- ლიტერატურული ნაწარმოების ეპიზოდის (ეპიზოდების) ინსცენირება და ა. შ.

კომუნიკაციური ტექნოლოგიის აქტიურად გამოყენება შესაძლებელია კლასგარეშე საქმიანობაშიც, როგორიცაა საწრეო მუშაობა, ექსკურსიების მოწყობა კულტურულ-ლიტერატურულ ადგილებში, საბავშვო სპექტაკლებზე დასწრება მისი შემდგომი განხილვით, მოსწავლეთა კონფერენციების, ლიტერატურული საღამოების ჩატარება და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ნაცნობ საკომუნიკაციო სტუაციებში ადეკვატური სამეტყველო ქმედების განხორციელება (განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელმდე, მათზე გარკვეული შთაბეჭდილების მოხდენა); ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენების გზით; გამოუმუშავდეთ სხვისი მოსმენის, გაგების, პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარები; იყონ აქტიურები, კეთილგანწყობილები, ემპათიური მსმენელები, განახორციელონ უკუკავშირი და რეფლექსია; გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა კომუნიკაციის პროცესში.

- **მოსწავლეთა მეტყველებითი კომპეტენტურობის ფორმირება.**

საგანმანათლებლო კომპეტენციების ცნება მოიცავს მოსწავლის აზრობრივი ორიენტაციების, ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების ერთობლიობას. პრაქტიკაში მათი დანერგვა მოგვცემს საშუალებას, გადავჭრათ სკოლის ტიპური პრობლემა, როცა მოსწავლეს, თეორიული ცოდნის შეძენის შემდეგ, უჭირს კონკრეტული ამოცანებისა და პრობლემური სიტუაციების დაძლევა.

დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა მეტყველებითი განვითარების პრობლემა თანამედროვე მეთოდიკაში იძენს განსაკუთრებულ აქტუალურობას. ამიტომ დაწყებითი სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს პირობების შექმნა იმ უნარების ფორმირებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მეტყველებით საქმიანობას სასწავლო პროცესში.

მშობლიური ენის სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლე არა მხოლოდ ფლობდეს და იცოდეს ენის სტრუქტურული და გრამატიკული აგებულება, ჰქონდეს მდიდარი ლექსიკური მარაგი, არამედ იმ შესაძლებლობების განვითარება, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება ენის ფუნქციების რეალიზებისას იმოქმედოს გააზრებულად.

როდესაც ვსაუბრობთ ასეთ საკითხზე, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ისეთი ტერმინების განმარტება, როგორებიცაა: **კომპეტენტური**, **კომპეტენტურობა** და **კომპეტენცია**.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს ტერმინები ასეთნაირადაა მოცემული:

კომპეტენტური [ლათ. **competens** ჯეროვანი] – 1. ამა თუ იმ დარგის, რაიმე საკითხის, რაიმე საქმის სათანადოდ მცოდნე. 2. რისამე გადაწყვეტის უფლების მქონე, უფლებამოსილი.

კომპეტენტურობა – ამა თუ იმ დარგის, რაიმე საკითხის, საქმის სათანადოდ მცოდნე პირის უფლება იმსჯელოს, გამოთქვას თავისი ავტორიტეტული აზრი სათანადო საკითხის შესახებ.

კომპეტენცია [ლათ. **competentia**] – 1. საკითხთა წყება, რომელთა ჯეროვანი ცოდნაც მოეპოვება (ამა თუ იმ პირს). 2. ის სფერო, რომელშიც უფლებამოსილია რომელიმე დაწესებულება ან პირი, – უფლებამოსილების ფარგლები, სფერო.

უცხო სიტყვათა ლექსიკონშიც ანალოგიურადაა განმარტებული:

კომპეტენტური [ლათ. **competens** (**competentis**) სათანადო] – 1. რაიმე დარგის, რაიმე საკითხის სათანადოდ მცოდნე. 2. ცოდნაზე დამყარებული; საფუძვლიანი, ავტორიტეტული. 3. კომპეტენციით აღჭურვილი; სრულუფლებიანი.

კომპეტენცია [ლათ. **competentia**] – 1. საკითხთა წყება, რომელთა ჯეროვანი ცოდნაც მოეპოვება ვისმე. 2. სფერო, რაშიც უფლებამოსილია რომელიმე დაწესებულება ან თანამდებობის პირი.

კომპეტენტურობა ეს არის პიროვნული, პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და განწყობა-დამოკიდებულებების გამოყენება; ხოლო **კომპეტენცია** – კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარების, ცოდნისა და გაცნობიერების, ინტერპერსონალური, ინტელექტუალური და პრაქტიკული უნარებისა და ეთიკური ღირებულებების დინამიური კომბინაცია *[ი. ბასილაძე, მ. ახვლედიანი, ნ. სოხაძე, ნ. დვალი]*.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის განმარტებით ლექსიკონში მითითებულია, რომ **კომპეტენცია** ნიშნავს კონკრეტული ამოცანის შესრულებისათვის საჭირო უნარს. იგი მოიცავს უნარების, ცოდნისა და ქცევის ერთობლიობას.

კომპეტენცია ეს არის ზოგადი სახის ამოცანის ამოხსნისას პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ცოდნის, უნარების გამოყენებისა და წარმატებით მოქმედების უნარი. **პროფესიონალური კომპეტენცია** – პრაქტიკული გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის საფუძველზე პროფესიონალური ამოცანების ამოხსნის დროს წარმატებით მოქმედების უნარი. **კომპეტენციის არე** – ერთობლიობა ადამიანის ცოდნისა და უნარ-ჩვევებისა, რომელთაც ის იყენებს მაღალ, კონკურენტულ დონეზე *[ჯ. ჯინჯიხაძე]*.

უფრო კონკრეტულად და მკაფიოდ რომ ჩამოვაყალიბოთ, **კომპეტენცია** ეს არის პიროვნების მიერ შეძენილი თვისებების ერთობლიობა, როგორიცაა: ცოდნა, უნარები, ჩვევები, საქმიანობის შესაძლებლობები, რომელიც ყალიბდება უშუალოდ სწავლების პროცესში. ხოლო **კომპეტენტურობა** ნიშნავს შესაბამისი კომპეტენციის ფლობას.

განათლებაში **კომპეტენტური მიდგომა** ეს არის თანამედროვე მიდგომა, რომლის დროსაც სწავლების მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა სხვადასხვა პრობლემურ სიტუაციებში. სწორედ ამიტომ კომპეტენტურ მიდგომას საგანმანათლებლო პარადიგმის შეცვლამდე მივყავართ და გვიბიძგებს სწავლების ისეთი მიდგომებისა და მეთოდების ძიებისაკენ, როცა მოსწავლე იძენს მიღებული ცოდნის სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოყენების უნარს. პარადიგმა ეს არის საზოგადოდ დადგენილი ნიმუში, მო-

დელი, რომლითაც უნდა გადაწყდეს პრობლემა. პარადიგმა პედაგოგიკაში ეს არის შინაარსის, განათლების ორგანიზაციის ფორმების, სწავლებისა და აღზრდის საშუალებათა ორგანიზებაში წამყვანი მიდგომა.

სწავლებაში კომპეტენტური მიდგომის გამოყენება ითვალისწინებს პრინციპულ ცვლილებებს სასწავლო პროცესის მართვაში, მასწავლებლის საქმიანობაში. მთავარ ფასეულობას წარმოადგენს მოსწავლეების მიერ ისეთი უნარების დაუფლება-ათვისება, რომლებიც მათ დაეხმარება განსაზღვრონ საკუთარი მიზანი, მიიღონ გადაწყვეტილება და იმოქმედონ შემოქმედებითად როგორც ტიპურ, ისე არასტანდარტულ სიტუაციებში.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პრინციპულად იცვლება მასწავლებლის პოზიცია. ასეთ დროს მისი მთავარი ამოცანაა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მოახდინოს მოსწავლეთა მოტივირება, წარმოაჩინოს და წინა პლანზე წამოწიოს მათი ინიციატივა და დამოუკიდებლობა. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა კი მნიშვნელოვან პედაგოგიურ ამოცანას წარმოადგენს.

მასწავლებელი ვალდებულია გაუკეთოს ორგანიზება მოსწავლეთა დამოუკიდებელ საქმიანობას, ხელი შეუწყოს მის ყოველმხრივ (ინტელექტუალურ, კომუნიკაციურ, ორგანიზაციულ, შემფასებლურ) კომპეტენციების განვითარებას. და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა ხდებოდეს და შეესაბამებოდეს მოსწავლის ინტერესებსა და ნება-სურვილს, რომელსაც ამავე დროს გამომუშავებული უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა.

კომპეტენტური მიდგომის მიზანია მოსწავლეს გამოუმუშავდეს მიღებული, შეძენილი ცოდნის ეფექტურად გამოყენე-

ბის უნარი პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე კომპეტენტური მიდგომის ამოცანებს წარმოადგენს:

- მოსწავლეთათვის მოტივაციის განვითარება.
- მოსწავლეთა შემოქმედებითი ძალების განვითარება კვლევითი სიტუაციების მოდელირების საფუძველზე: პრობლემების დასმა, ჰიპოთეზების წინ წამოწევა, დაკვირვება, შედარება, კლასიფიცირება, დასაბუთების გზების ძიება, მიღებული შედეგების განზოგადება.
- ახალი პროდუქციის დამოუკიდებლად შექმნა თავისი საქმიანობიდან გამომდინარე.
- პრობლემური სიტუაციების შექმნის საფუძველზე შესაბამისი ცოდნის ფორმირება, საგანთაშორისი ამოცანების გადაჭრა.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე კომპეტენტური მიდგომის რეალიზებისას საჭირო და აუცილებელ პირობებს წარმოადგენს იყოს

- შესაბამისი ინფორმაციული რესურსი;
- მეცნიერულ-მეთოდური პირობები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მთავარი, ძირეული ამოცანაა ჩააბას თითოეული მოსწავლე სასწავლო საქმიანობაში, მისცეს თავისუფალი სივრცე მის დამოუკიდებელ აზროვნებასა და დაკვირვებებს, განხილვებსა და დასკვნებს.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების მხრივ განსაკუთრებულ ჩართულობასა და აქტიურობას. ასეთ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვე-

ვების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

საგაკვეთილო პროცესში საგნობრივი შინაარსის რეალიზებისას მასწავლებლის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი მეთოდები, როგორიცაა

- პრობლემური გადმოცემის მეთოდი;
- ნაწილობრივ-ძიებითი (ევრისტიკული);
- კვლევითი.

კომპეტენტური სწავლება იმითაცაა პერსპექტიული, რომ ასეთი მიდგომისას სასწავლო საქმიანობა კვლევით და პრაქტიკულ-ორიენტირებულ ხასიათს ატარებს.

განათლების თანამედროვე რეფორმირების სტრატეგია განსაზღვრავს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საგნობრივ კომპეტენციებს: ენობრივს, ლინგვისტიკურს, კომუნიკაციურს და კულტუროლოგიურს. სპეციალისტების მომზადებისადმი მზარდი მოთხოვნების პირობებში ეს კომპეტენციები არსებით კვალიფიციურ მახასიათებლებს წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, წამყვანი კომპეტენციაა **კომუნიკაციური**, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი ენის ფლობის დონეს განსაზღვრავს. კომუნიკაციურ მეტყველებით კომპეტენციაში იგულისხმება შემდეგი კომპონენტების ერთობლიობა:

- **ლინგვისტიკური** – ენობრივი სისტემების ცოდნა;
- **სოციოლინგვისტიკური** – სოციალური ნორმების ფლობა: მეტყველებითი ეტიკეტი; სხვადასხვა ასაკის, სქესისა და სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის ნორმები;
- **პრაგმატული** – გარკვეული ფუნქციონალური მიზნებით ენობრივ საშუალებათა გამოყენების ჩვევები, სხვადასხვა ტიპის ტექსტების გარჩევის უნარი, ენობრივ საშუა-

ლებათა შერჩევის უნარი ურთიერთობის თავისებურებების გათვალისწინებით და სხვ.

ამ კომპონენტების ცოდნა კი შესაბამისად განაპირობებს კომუნიკაციურ ენობრივ კომპეტენციებს.

დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მოსწავლეთა კომუნიკაციური მეტყველებითი კომპეტენტურობის ფორმირების მთავარ მიზანს წარმოადგენს შესაბამისი პირობების შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება თანამშრომლობითი სწავლების პრინციპებზე. მისი მთავარი ამოცანაა

- განსაზღვროს კომუნიკაციური მეტყველებითი კომპეტენტურობის ფორმირების კრიტერიუმები;
- შეიმუშაოს ისეთი მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს კომუნიკაციური მეტყველებითი კომპეტენტურობა თანამშრომლობითი სწავლების ტექნოლოგიის გზით;
- დაეხმაროს მოსწავლეებს სასწავლო საქმიანობის ორგანიზებაში, რომელიც მიმართულია მათი პიროვნულობის თვითრეალიზაციისაკენ.

მოსწავლეთა კომუნიკაციური მეტყველებითი კომპეტენტური ფორმირება პიროვნების განვითარების ერთ-ერთ მთავარ საკვანძო მომენტს წარმოადგენს, იმიტომ, რომ

- იგი განაპირობებს მოსწავლეთა წარმატებულობას;
- კომუნიკაციური მეტყველებითი კომპეტენტურობა ბევრადაა დამოკიდებული მოსწავლის ადაპტაციაზე სკოლასთან მიმართებაში, კერძოდ, ფსიქოლოგიურ-ემოციური თვალსაზრისით;
- მოსწავლეთა მეტყველებითი კომუნიკაციური კომპეტენტურობა სასწავლო პროცესში განისაზღვრება არა-

მხოლოდ როგორც პირობა მოსწავლის ეფექტურობისა და კეთილდღეობის თვალსაზრისით, არამედ, როგორც რესურსი მისი მომავალი ცხოვრების ეფექტურობისა და კეთილდღეობის თვალსაზრისითაც.

კომუნიკაციური მეტყველებითი კომპეტენცია განისაზღვრება როგორც მოსწავლეთა მიერ ენობრივი საშუალებების შემოქმედებითად გამოყენება, ანუ ენობრივი კომპეტენცია გვთავაზობს ცოდნას თვითონ ენის, მისი აგებულებისა და ენობრივი ნორმების შესახებ. ენობრივი კომპეტენცია ეს არის შემეცნებითი საქმიანობის პროცესუალური შედეგი, რომელიც მიმართულია ენისა და მეტყველების დაუფლებისაკენ, თვითგანვითარებისაკენ.

კომუნიკაციური კომპეტენცია ეს არის ენობრივი შესაძლებლობების გზით განხორციელებული მეტყველებითი საქმიანობა ამა თუ იმ საქმიანობით სფეროში. მისი ფორმირების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია, სადაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.

ქართული ენის სწავლების მთავარ, ძირეულ პრინციპს წარმოადგენს ენის აქტიური გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლება, რაც გულისხმობს მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციის განვითარებას და არა მხოლოდ გრამატიკული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას. აქ ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს გრამატიკის პრაქტიკულ სწავლებაზე. ამიტომ, სწავლის პროცესში ენის საკითხები უნდა უკავშირდებოდეს საკითხავ მასალას და კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციას.

ენის სწავლების ამ კომპონენტს მჭიდროდ უკავშირდება ენის კომუნიკაციური ასპექტები, რომლის მთავარი მიზანია, გამოუმუშაოს მოსწავლეს ის უნარები, რომლებიც აუცილებელია

ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციის მართებულად შეფასებისა და სამეტყველო ქცევის ადეკვატურად წარმართვისათვის, კომუნიკაციის ძირითადი ხერხებისა და სტრატეგიების დასაუფლებლად.

დაწყებითი სკოლის ახალი საგანმანათლებლო სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის მეტყველებითი კომუნიკაციურ განვითარებას, ნიშნავს, რომ მოსწავლეს გაკვეთილზე უნდა გამოუმუშავდეს

- დიალოგში მონაწილეობის უნარი;
- საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმის უნარი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით;
- ზეპირი და წერილობითი ფორმით საკუთარი აზრის ფიქსირების უნარი;
- ჯგუფში სხვადასხვა როლის შესრულების უნარი;
- წყვილებში თანამშრომლობის უნარი.

ნორმატიული დოკუმენტების თანახმად ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენციის ცნება ხასიათდება შემდეგი პარამეტრებით:

- ლინგვისტიკურ თეორიაში გარკვევა, გაცნობიერება მისი, როგორც სისტემისა, რომელიც არეგულირებს მეტყველებაში ენობრივ საშუალებათა გამოყენებას;
- მეტყველების სხვადასხვა თეორიის ცოდნა, მეტყველების სახეების ფლობა;
- ძირითადი ენობრივი (ამოცნობა, კლასიფიცირება და სხვ.) და მეტყველებითი (ამორჩევა-შერჩევა, აქტუალიზება და სხვ.) უნარების ფლობა;
- მეტყველებითი სიტუაციის ანალიზების უნარი და მისი შესაბამისი სამეტყველო ქცევის პროგრამის (ვერბალური და არავერბალური) შერჩევა.

იმ მასწავლებლის წინაშე, რომელსაც სურს ქართული ენის სწავლებაში დანერგოს კომპეტენციური მიდგომა, დგას ძირითადი პედაგოგიური პრობლემა – ეს არის ღია ენობრივი სივრცის შექმნის პრობლემა. საქმე ეხება სწავლებაში პრიორიტეტების შეცვლას: ხდება სწავლების საგნობრივი დონიდან ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების, სწავლებაზე გადასვლა. აქ უკვე მოითხოვება ბუნებრივ კომუნიკაციასთან მიახლოებული პირობების შექმნა.

ქართული ენის გაკვეთილები უნდა დაემყაროს პრაქტიკულ-ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც თავის მხრივ, ემყარება მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებულ გამოცდილებას, და ეს მიდგომა გულისხმობს საგანმანათლებლო სიტუაციის შექმნას, რომელთა ძირითადი მდგენელებია:

- საგანმანათლებლო ობიექტის დაზუსტება;
- დავალების კონკრეტიზაცია;
- სიტუაციის გადაჭრა;
- საგანმანათლებლო პროდუქციის დემონსტრაცია;
- მიღებული პროდუქციის სისტემატიზაცია;
- მუშაობა კულტურულ-ისტორიულ ანალოგებზე;
- რეფლექსია.

ასეთ მეცადინეობაზე მიცემული დავალება გულისხმობს საგანმანათლებლო პროდუქციის შექმნას: არგუმენტირებული ესეს დაწერას, ან კიდევ, კომუნიკაციების მიზნებზე და ამოცანებზე ორიენტირებული შემოქმედებითი სამუშაოს შესრულებას. ამ სამუშაოებისათვის მოსამზადებელი ეტაპი ეძღვნება ტექსტის კომპლექსური, ლინგვისტიკური თუ შეპირისპირებითი ანალიზის დაუფლებას. ამასთან, მეტყველების თემის, იდეის, სტილისა თუ ტიპის განსაზღვრა ხდება არა მიზანი, არამედ მიზნის მიღწევის საშუალება.

თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების სტილის პრინციპული ცვლილება თითოეული ადამიანისაგან მოითხოვს აქტიურ მეტყველებით უნარებს, ფილოლოგებისაგან კი მოითხოვს თავის საგანზე შემოქმედებით ხედვას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პედაგოგიური პროცესი იგება მასწავლებლისა და მოსწავლეების პიროვნული ურთიერთმოქმედების საფუძველზე. მასწავლებლის უპირველესი მოვალეობაა, ამ მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი ურთიერთობების საფუძველზე ჩამოაყალიბოს მოსწავლეთა კომუნიკაციური კულტურა. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია მეტყველების განვითარების გაკვეთილებს, რომელთა ძირითადი ამოცანაა ეფექტური ურთიერთობის სწავლება.

თანამედროვე ეტაპზე ქართული ენისა და ლიტერატურის საბოლოო მიზანია ფორმირება ისეთი კომუნიკაციური პიროვნებისა, რომელიც ფლობს მდიდარ შემეცნებით გამოცდილებას, კომუნიკაციური კომპეტენტურობის მაღალ დონეს, მტკიცედ მიისწრაფვის მშობლიურ ენაში სრულყოფისაკენ.

ჟანრი შეიძლება განვიხილოთ როგორც სწავლების დიდაქტიკური ერთეული, რადგანაც მასში ჩაქსოვილია ნებისმიერი დიდაქტიკური სისტემის სამი საბაზო კატეგორია – მიზანი, შინაარსი და სწავლების მთავარი მეთოდი. მოსწავლეები ღებულობენ წარმოდგენებს ჟანრის შესახებ, ეუფლებიან თეორიულ მასალას მისი შექმნის თაობაზე (მოქმედებებისა და ნიშან-თვისებების აღწერა), ასრულებენ შესაბამის მოქმედებებს – მეტყველების შინაარსის მოგონებიდან მის წარმოთქმამდე.

ყოველივე ამის რეალიზება შესაძლებელია ქართული ენის სასწავლო მასალის ბაზაზე **ბლოკური სწავლების ტექნოლოგიის** გამოყენებით, ხოლო ქართული ლიტერატურის

სასწავლო მასალის ბაზაზე – **ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების** გამოყენებით.

ბლოკურ სწავლებას, თუკი იგი აგებულია სწორი მეთოდოლოგიური პრინციპებით, გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, კერძოდ:

- მოსწავლეებს უადვილდებათ შესასწავლი მასალა;
- აძლევს საშუალებას მოახდინონ დროის ეკონომია ცოდნის განმტკიცებაში და ჩამოუყალიბდეთ შესაბამისი უნარ-ჩვევები;
- იზარდება დამოუკიდებელი მუშაობის ხვედრითი წილი;
- აძლევს შესაძლებლობას ყოველ გაკვეთილზე მეცადინეობისას გაიფართოვონ ცოდნის დიაპაზონი, რადგანაც სასწავლო მასალა ეძლევათ განზოგადებული სახით და არა მცირე ნაწილებად;
- აძლევს შესაძლებლობას გაცილებით უკეთ გააცნობიერონ ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთკავშირი.

ბლოკური სწავლების ტექნოლოგია საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ პირობები სისტემური აზროვნებისა და ყურადღების აქტივიზაციისათვის.

ბლოკური ტექნოლოგიის საფუძველია:

- ანალოგიური ცნებების ერთდროული შესწავლა;
- ინფორმაციის დიდი რაოდენობის წარმოდგენა თვალსაჩინო-ხატოვანი ფორმით;
- დავალებათა გართულება გაკვეთილიდან გაკვეთილისაკენ.

ლიტერატურის გაკვეთილებზე ნაწარმოებების სწავლებისას გამოიყენება ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლო-

გიები პროექტების სახით, რომლებიც თავისი ენობრივი, ტექსტობრივი, კომპოზიციური პარამეტრებით აისახებიან ინფორმაციულ-ზემოქმედ ტექსტებში, ხასიათდებიან ლოგიკურობითა და ლაკონიურობით, ზეგავლენას ახდენენ მკითხველის მიერ წაკითხულის შეთვისებაზე და მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციაზე.

აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოსწავლეები ღებულობენ შესაძლებლობას, განახორციელონ ურთიერთობა, გადასცენ ერთმანეთს ცნობები ტექსტის, ბგერისა და გამოსახულების სახით და ამით უზრუნველყონ შემეცნებითი საქმიანობის მყარი მოტივაცია, მიუდგნენ ცოდნის დაგროვებას შემოქმედებითად, აღიქვან, გაიცნობიერონ იგი და შეთვისებული ცოდნა ჩამოაყალიბონ საკუთარი აზრებით.

გამოყოფენ პიროვნების კომუნიკაციური კომპეტენტურობის ფორმირებადობის ოთხ დონეს:

- **ნულოვანი დონე** – გაუცნობიერებელი კომპეტენტურობა;
- **პირველი დონე** – რეპროდუქციული კომპეტენტურობა;
- **მეორე დონე** – საქმიანი კომპეტენტურობა;
- **მესამე დონე** – შემოქმედებითი კომპეტენტურობა.

ნულოვანი დონის კრიტერიუმად შეიძლება ჩავთვალოთ რეპროდუქციული არადამოუკიდებელი საქმიანობა, რომელიც სრულდება „კარნახით“.

პირველი დონის კრიტერიუმად შეიძლება ჩავთვალოთ ლინგვისტიკური ცოდნის ქონა, მისი გამოყენების არასაკმარისი უნარით; დამოუკიდებელი რეპროდუქციული საქმიანობა, რომელიც სრულდება მეხსიერების ხარჯზე ან ალგორითმით.

მეორე დონის კრიტერიუმია არსებობა ლინგვისტიკური უნარებისა: ანალიზი, სინთეზი, შედარება, განზოგადება; ლინგვისტიკური ცოდნისა და უნარის სინთეზი, რომელიც გამოიყენება როგორც შემეცნების ინსტრუმენტი.

მესამე დონის კრიტერიუმია ზემოთ დახასიათებული კომპეტენტური პიროვნების თვითრეალიზაცია, სადაც ეს პიროვნება შეძენილი ცოდნის, უნარ-ჩვევების, ფასეულობებისა და საკუთარი აზრების ბაზაზე სასწავლო საქმიანობაში შემოქმედებით დამოუკიდებლობას ამჟღავნებს.

პრაქტიკუმისათვის
სადისკუსიო საკითხები:

- *სწავლების კომუნიკაციური ტექნოლოგია და მისი დახასიათება;*
- *კომუნიკაციური ტექნოლოგიის გაკვეთილის სახეები.*
- *ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდები და სტრატეგიები.*
- *კომპეტენტური მიდგომის ამოცანები და მისი რეალიზების გზები;*
- *მოსწავლეთა კომუნიკაციური მეტყველებითი კომპეტენტურობის ფორმირების ძირითადი მიზანი და პრინციპები;*
- *ბლოკური სწავლების ტექნოლოგიისა და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების არსი და მათი დახასიათება.*

მოსწავლეთა აზროვნებისა და მეტყველების განვითარების გზები და მეთოდები

➢ **პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები.**

მოსწავლეთა აზროვნებისა და მეტყველების კულტურის განვითარებისა და ამაღლებისათვის ზრუნვა სკოლებისა და მასწავლებლების ერთ-ერთი საპატიო და ურთულესი ამოცანაა. იგი ერთ-ერთ მთავარ, ძირეულ მიმართულებას წარმოადგენს ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკაში.

ცნებას **მეტყველების განვითარება** გააჩნია როგორც ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური, ისე პედაგოგიური მნიშვნელობა. პიროვნების მეტყველებითი და კომუნიკაციური საქმიანობა ვითარდება მის სულიერ-ზნეობრივ ინტერესებთან ერთად, როდესაც იგი ეცნობა ლიტერატურულ ნაწარმოებებს თუ ხელოვნების სხვა დარგის ქმნილებებს. პიროვნების მეტყველებითი საქმიანობა განუყოფელია მის მორალურ-ესთეტიკურობასა და ქცევასთან, ზოგადად, საქმიანობასთან. მეტყველება ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ენის კანონებზე.

მეტყველების კულტურა ფართო (უნივერსალური) საგანმანათლებლო და კულტუროლოგიური შინაარსის ცნებაა, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს პიროვნებისა და საზოგადოების საერთო ენობრივი გარემოს მოწესრიგებულობას, სახელმწიფო ენის (და სხვა ენა-კილოთა) მიმართ განსაზღვრულ უფლება-მოვალეობით წესრიგს, ერთგვარ სოციოლინგვისტურ ჰარმონიას.

უფრო ვიწრო შინაარსით მეტყველების კულტურა გულისხმობს პიროვნების მიერ იმ ენობრივი ნორმების ფლობას (ცოდნასა და გამოყენებას), რომლებიც სალიტერატურო ენის განვითარების შესაბამისი დონისათვის არის მიღებული და სავალდებულო *[ა. არაბული]*.

იაკობ გოგებაშვილის აზრით, მოსწავლეთა მეტყველების კულტურის, წიგნიერების დონის ამაღლების საკითხი დედაენის საკითხთა სწავლების სისტემაში სკოლის ყოველდღიური ზრუნვის საგანია. მოსწავლეთა მეტყველების განვითარების უმთავრეს წყაროდ ის ლიტერატურას, ხალხურ შემოქმედებას მიიჩნევს. ამ მიზნით მას თავის სახელმძღვანელოებში, განსაკუთრებით კი დედაენის სახელმძღვანელოში, უხვად აქვს წარმოდგენილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, სასაუბროები, სურათები, ზეპირი და წერითი სავარჯიშოები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის ლოგიკურ აზროვნებასა და მხატვრული მეტყველების თანდათანობით განვითარებას, დამოუკიდებელი ჩვევების გამომუშავებას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, ფრაზის სწორად აგებისა და გაბმული მეტყველების ჩვევის გამომუშავებას. გარდა ამისა, დიდი პედაგოგი აღნიშნავდა, რომ მასალა, რომელიც აზროვნებისა და მეტყველების განვითარებისათვის შეირჩევა, უნდა იყოს მარტივი და ბავშვის გონებისათვის მისაწვდომი.

ბავშვის მეტყველება დიდადაა დამოკიდებული სოციალურ გარემოზე. რამდენადაც ორგანიზებულად მოქმედებს ეს გარემო ბავშვის მეტყველებაზე, იმდენად სწრაფად და სწორი ფორმით ვითარდება ბავშვის მეტყველება. განვითარებული კულტურული მეტყველება ეწოდება ისეთ მეტყველებას, რომელიც არის აზრიანი, სწორი, ზუსტი, ცხადი, სუფთა, მწყობრი და სახოვანი *[ვ. რამიშვილი]*.

როცა ვხმარობთ ტერმინს „მეტყველების განვითარება“ მხედველობაში გვაქვს კონკრეტული ინდივიდი, ამჯერად – მოსწავლე. მშობლიური ენის სწავლების მეთოდიკა შეისწავლის მოსწავლეთა მეტყველების (და მასთან დაკავშირებით აზროვნების) განვითარების საკითხებს. ენობრივი კულტურის მაღალი დონე აზროვნების მაღალ დონეზე მიგვითითებს, მეტყველების კულტურისათვის ზრუნვა ამავე დროს აზროვნების კულტურისათვის ზრუნვაც არის *[ნ. მაღლაკელიძე]*.

მიხეილ ჯინჯიხაძის მიხედვით ყოველი აზრი თავის გამოხატულებას ენაში პოულობს. ამიტომაც განვითარებული მეტყველება განვითარებულ აზროვნებას გულისხმობს, განუვითარებელი მეტყველება კი – განუვითარებელ აზროვნებას და პირუკუ. მისი დასკვნით, მეტყველებას აზროვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან, მაგრამ მათი გაიგივება მაინც არ შეიძლება, არსებობს მათ შორის განსხვავებაც. აზროვნებას თავისი კანონები აქვს, ხოლო მეტყველებას თავისი. პირველს ლოგიკა სწავლობს, ხოლო მეორეს – გრამატიკა.

აქ, ამ შემთხვევაში თავს იჩენს ერთი რამ: ბრძოლა მეტყველების განვითარებისათვის მიზანს ვერ მიაღწევს აზროვნების განვითარებისათვის ბრძოლის გარეშე. ასე რომ, ყოველი მასწავლებელი, როდესაც მუშაობს მოსწავლის მეტყველების განვითარებაზე, პარალელურად უნდა ზრუნავდეს ლოგიკური აზროვნების განვითარებისთვისაც.

აზროვნება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასე არის განმარტებული: ტვინის ფუნქცია – პროცესი აზრთა შედგენა-შეპირისპირებისა, მსჯელობისა, დასკვნების გამოტანისა.

აზროვნება არის ადამიანის ტვინის პროდუქტი და სინამდვილის შემეცნების ყველაზე უფრო რთული ფორმა.

აზროვნება ეს არის კოგნიტური პროცესი, რომელიც წარმოადგენს ახალ სიტუაციაში ადამიანის ორიენტაციის, პრობლემის, ამოცანის გადაჭრის უნარს. აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მახასიათებელია **გაგების** მოთხოვნილება, რომელიც განპირობებულია რაიმე ამოცანასთან დაკავშირებული გაურკვევლობის შემცირების შინაგანი მოთხოვნილებით. პრობლემური სიტუაციის გადაჭრასთან ერთად აზროვნების პროცესიც მთავრდება. ის წარმოადგენს მიზანდასახულ, ნებისმიერ პროცესს.

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი ამბობდა – მხოლოდ სწორი აზროვნება არის საგნის ცოდნა და შემეცნება, ამიტომ ჩვენი შემეცნება უნდა იყოს მეცნიერული. ხოლო რენე დეკარტეს მიხედვით გონება რომ სრულყოფილი გახდეს, სწავლაზე მეტი აზროვნებაა საჭირო.

აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური მოვლენაა და მის საგანს შეადგენს:

- აზროვნების სუბიექტი – **პიროვნება** მოტივაციურ-ემოციური სფეროთი, განწყობით;
- აზროვნების ობიექტი – ამოცანა, პრობლემა მისი სტრუქტურული მახასიათებლებით;
- აზროვნების პროცესის ფსიქოლოგიური სტრუქტურა, მისი მიმდინარეობის მექანიზმი.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში განარჩევენ აზროვნების შემდეგ სახეებს:

- **პრაქტიკული ანუ მოქმედებით-ხატოვანი აზროვნება**. ასეთი აზროვნების დროს ამოცანის გადაწყვეტა ხდება

უშუალოდ მოქმედების პროცესში. აზროვნების ამ სახის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ უშუალო აზრითი გარდაქმნების ობიექტია რეალური სიტუაცია. აზროვნების ეს სახე ძირითადია და წარმოადგენს აზროვნებითი მოქმედებების სხვა სახეების განვითარების პირველ საფეხურს.

- **თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება**. აზროვნების ეს სახე ხასიათდება თვალსაჩინო სახეებით მანიპულირების უნარით, პრაქტიკულ მოქმედებათა გარეშე.
- **ლოგიკური აზროვნება** არის ისეთი აზროვნება, როდესაც ამოცანის გადაწყვეტა ხდება ცნებების მეშვეობით და ძირითადად ეყრდნობა ვერბალურ-ლოგიკურ მსჯელობას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ლოგიკური აზროვნების განვითარება არ გამორიცხავს აზროვნების პირველი ორი სახის განვითარებას. ისინიც განაგრძობენ განვითარებას, განსაკუთრებით – ხატოვანი.

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში არსებობს დიქოტომიურ (**დიქოტომია** [ბერძ. **dichotomia** ორად გაკვეთა]-მთელის გაყოფა ორად, შემდეგ თითოეული ნაწილისა კვლავ ორად და ა.შ.) დაყოფაზე დაფუძნებული აზროვნების კლასიფიკაცია. ეს კლასიფიკაცია ასეთნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- **თეორიული აზროვნება**. ეს არის აზროვნება, როდესაც ხდება გარკვეული კანონზომიერებების შემეცნება აბსტრაქტული მიმართებების დამყარების საფუძველზე. **პრაქტიკული აზროვნება**, რომელიც ძირითადად მიმართულია კონკრეტული, კერძო ამოცანების გადაჭრაზე, სადაც გადაწყვეტილება უშუალოდ მიმდინარე პროცესის სწრაფი ანალიზის შედეგად მიიღება.

- **ანალიზური (ლოგიკური) აზროვნება.** ანალიზური აზროვნების დროს პროცესი დროში გაშლილია, მიმდინარეობს ეტაპობრივად და შედარებით გაცნობიერებულია. **ინტუიციური აზროვნების** დროს კი პროცესი დროში შეზღუდულია და მინიმალურადაა გაცნობიერებული.
- **შემოქმედებითი აზროვნება** ემსახურება ახალი კანონზომიერებების აღმოჩენას და მიმართულია ახალი იდეების შექმნაზე. **კრიტიკული აზროვნება** კი მიმართულია უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმებაზე და არსებული შეცდომებისა და ხარვეზების გამომზეურებაზე.
- **რეალისტური აზროვნება** ორიენტირებულია გარე სამყაროზე და ემყარება ლოგიკურ კანონებს. პრობლემის გადაჭრისას იგი მოითხოვს ანალიზსა და აბსტრაქციას. **შინაგანი აზროვნება** კი ძირითადად მიმართულია შინაგან სამყაროზე. პრობლემის გადაჭრისას იგი ეყრდნობა არა მხოლოდ რეალურად არსებულ მიმართებებს, არამედ საკუთარ სურვილებსაც.
- **პროდუქციული აზროვნება** წარმოადგენს ისეთ აზროვნებას, რომლის მეშვეობით მიიღება სრულიად ახალი ცოდნა, გამოცდილება. ხოლო **რეპროდუქციული** აზროვნება პრობლემის გადაჭრისას ემყარება უკვე მზა ჩვევას, გამოცდილ სქემას.

ყოველივე ეს სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ აზროვნების შემდეგი ოპერაციები:

- **ანალიზი**. ანალიზის [ბერძ. **analysis** დაშლა] ოპერაცია ადამიანს საშუალებას აძლევს აღქმული მთლიანი მასალიდან, მოვლენიდან გამოყოს სხვადასხვა მხარე. ის გულისხმობს ამოცანის ცალკეულ ნაწილებად დაშლას და მის შემადგენელ ელემენტებზე მსჯელობის უნარს.
- **სინთეზი.** სინთეზი [ბერძ. **synthesis** შეერთება] ეს არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც ანალიზის საწინააღმდეგო პროცესს წარმოადგენს. იგი გულისხმობს ცალკე მოცემული ელემენტების (ნაწილების, თვისებების) გონებაში გაერთიანებას, ერთ შინაარსად შეკვრას ახალი სტრუქტურული მთლიანობის სახით: მაგ., ნაწილებისაგან ახალი მთელის შედგენა, ცალკე თვისებების გაერთიანება ახალი მთლიანი შინაარსის სახით და ა.შ.
- **აბსტრაქცია.** აბსტრაქცია [ლათ. **abstractio** მოცილება, მოშორება] ისეთი ოპერაციაა, როდესაც შემეცნების პროცესში ხდება ობიექტის (საგნის, მოვლენის) არაარ-

სებითი მხარეების, თვისებებისა და კავშირების უგულებელყოფა და სხვა (არსებითი) ნიშნების გამოყოფა აზროვნებაში – განყენება. იგი გულისხმობს ობიექტთა შედარებით ანალიზს, ამ ობიექტებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნების გამოყოფას და ამ ნიშნების საფუძველზე ობიექტთა კატეგორიაში გაერთიანებას.

ეროვნული სასწავლო გეგმით დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზანი და ამოცანაა:

- განუვითაროს მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი);
- გამოუმუშაოს ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა;
- განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;
- ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსიური აზროვნების უნარი;
- შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;
- გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ზეპირმეტყველების მიმართულება ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას აერთიანებს, ესენია: **მოსმენა** და **ლაპარაკი**. ამ სამეტყველო ქცევებთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების თანამიმდევრული განვითარება მიზნად ისახავს თავისუფალი, თანა-

მედროვე კომუნიკაციისათვის მზადმყოფი პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს გულისხმობს ზეპირი მეტყველების, აზრის გამოხატვის უნარ-ჩვევების, მოსმენის კულტურის, სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქტიური უნარების განვითარებას. მათი განვითარება საფუძველს უყრის ჰუმანური, ტოლერანტული, სხვათა აზრის დამფასებელი პიროვნების აღზრდას.

აქედან გამომდინარე მეტყველება, პირველ რიგში, გულისხმობს ზეპირ მეტყველებას, ბავშვის უნარს, ერთი მხრივ, გამოთქვას თავისი აზრი, შეხედულებები, ფიქრები, ხოლო, მეორე მხრივ, მოისმინოს და აღიქვას გარშემომყოფთა ნათქვამი.

ზეპირი მეტყველება შეიძლება იყოს **რეცეპციული** (რა ესმის), **ექსპრესიული** (რისი თქმა შეუძლია) და **პრაგმატული** (ამა თუ იმ სიტუაციაში როგორ იყენებს ენის ცოდნას). აქ შეიძლება გამოიყოს მეტყველების სხვადასხვა ტიპი:

- **რეცეპციული მეტყველება,** რომელიც გულისხმობს მოსმენასა და მოსმენილის გაგების უნარს. აქ მოსწავლეს შეუძლია მიუთითოს დასახელებულ საგანზე ან დაასრულოს დაწყებული ეს თუ ის მოქმედება;
- **ექსპრესიული** (პროდუქციული) **მეტყველება** მოიცავს მოსწავლის უნარს სიტყვიერად გამოხატოს სხვადასხვა შინაარსი.
- **პრაგმატული განვითარება** იწყება მოთხოვნილებისა და სურვილის გამოხატვით და სრულდება წარმატებული კომუნიკაციით.

კომუნიკაცია კი, როგორც ვიცით, გვაქვს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური, სადაც ვერბალური კომუნიკაცია მოიცავს შინაარსის სიტყვიერ გამოხატულებას, ხოლო არავერბალური კი – ჟესტიკულაციას – სახის გამომეტყველებას, სხეულის

მოძრაობას, ინტონაციასა და სხვა არასიტყვიერ მახასიათებლ-ებს.

მეტყველების განვითარების მეცნიერულ-პედაგოგიკური მნიშვნელობა გაიგება როგორც მასწავლებლისა და მოსწავლე-ების სპეციალური ერთობლივი საქმიანობა, რომელიც მიმართუ-ლია მეტყველების დაუფლებისაკენ. საზოგადოების განვითარე-ბის ყოველ ეტაპზე ფსიქოლოგთა, ფილოლოგთა, მეთოდისტ-თა და პედაგოგთა უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა და წა-რმოადგენს მოსწავლეთა მიერ მეტყველების დაუფლებაზე ზრუ-ნვა, რასაც მუდმივად ექცეოდა და ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

„მეტყველებითი ასაკის“ ცნება განისაზღვრება როგორც პერიოდი, რომელიც განსხვავდება თავისი ფუნქციითა და ფორ-მით მეორე პერიოდისაგან. მეტყველების ათვისება ყოველ ასა-კობრივ პერიოდში დაკავშირებულია მის სპეციფიკურ საქმიანო-ბასა და მოტივებთან.

- **აზროვნებისა და მეტყველების განვითარების მეთოდები და სტრატეგიები.**

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას მთავარი, ცენტრალური ადგილი უჭირავს მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას. მოსწავლეთა მეტყველების განვითარება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სასწავლო-შემეცნებით საქმიანობაში, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მეტყველებითი საქმიანობის სწორი ორგანიზაცია, სწავლების მოტივაცია, პიროვნების ფორმირება, მეტყველების დონის ამაღლება და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება, საკუთარი შეხედულებებისა და განცდების ცხადად და გამომეტყველებით გამოხატვა და ა. შ. საჭიროა მოსწავლეებს გასაგებად განვუმარტოთ და დავარწმუნოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის მეტყველების უნარის გამომუშავება.

ამავე დროს შეუფასებელად მნიშვნელოვანია მეტყველების გაკვეთილების აღმზრდელობითი ფუნქცია, რომლის დროსაც ყალიბდება პიროვნების მსოფლმხედველობა, იდეური პოზიცია, საკუთარი თვალსაზრისის დაცვა, კულტურული ურთიერთობის განვითარება, ზნეობრივ-მორალური ორიენტირის განსაზღვრა.

მოსწავლეთა მეტყველების განვითარება ნიშნავს, გავხადოთ იგი უფრო მეტად სწორი, გამართული, ლოგიკური, გამომეტყველებითი, სახოვანი, ინტონაციურად მდიდარი. ამ შემთხვევაში დაწყებით კლასებში ქართული ენისა (გრამატიკის) და ლიტერატურის გაკვეთილებზე დიდ როლს ასრულებს მრავალმხრივი ლოგიკური სავარჯიშოები, სხვადასხვა სახის სასაუბროები, სურათის აღწერა, ნაწარმოების (ილუსტრაციის) შინაარსის გადმოცემა, თხრობა, ტექსტების შედგენა საკვანძო (საყრდენი) სიტყვების

ან ფრაზების გამოყენებით, სათაურის, ანდაზის, ფაბულის მიხედვით, ანაგრამებზე (**ანაგრამა** [ბერძ. **Anagramma**] – ასოების გადასმა ისე, რომ ერთი სიტყვიდან სხვა სიტყვა მივიღოთ), ლექსიკონსა და წინადადებებზე მუშაობა, გაბმულ და სახოვან მეტყველებაზე ვარჯიში და სხვ.

მეტყველების განვითარება ხელს უწყობს მოსწავლეთა მეხსიერების გაუმჯობესებას, უმუშავებს სახოვან და ლოგიკურ აზროვნებას, ახდენს მათი მეტყველებითი საქმიანობის აქტივიზაციას, უვითარებს მონოლოგური მეტყველების უნარს, ეხმარება დიალოგის აგებაში. მეტყველების კარგად დაუფლება მოსწავლეს აძლევს საშუალებას, იყოს მუდმივად აქტიური სასწავლო პროცესში. ამისათვის კი საჭიროა როგორც ენის (გრამატიკის), ისე ლიტერატურის გაკვეთილებზე გამოყენებულ იქნეს სწავლების სხვადასხვა ფორმა და მეთოდი.

უპირველესად, უდავოდ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ რომ სურათების მიხედვით მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ზეპირი მეტყველებისა და აზროვნების განვითარებისათვის, რომელიც პირველივე კლასიდან იწყება. სურათზე მუშაობა მრავალგვარია: ბავშვის გაცნობა, მისი ამეტყველება, თანამიმდევრული აზროვნების განვითარება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, მეხსიერებისა და შემოქმედებითი ფანტაზიის განვითარება და სხვ. *[მ. ჯინჯიხაძე].*

ფაქტობრივად იგივე შეხედულებებს ვხედავთ სხვა მეთოდისტთა შრომებში, წერილებსა და სტატიებში, სადაც საუბარია თვალსაჩინოებების უდიდეს როლზე მოსწავლეთა მეტყველებისა და აზროვნების განვითარების საქმეში.

სურათებზე მუშაობისას ასევე ვითარდება მოსწავლის სივრცითი და დროითი წარმოდგენები, ვითარდება მისი მრავალი პიროვნული თვისება, გრძნობები, ემოციები და სხვ. აქ ისიც უნდა

შევნიშნოთ, რომ მოსწავლის მიერ იდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯი აბსტრაქტული აზროვნების უნარის გამომუშავებისა და განვითარების მიმართულებით.

მეთოდისტთა და ფსიქოლოგთა შეხედულებებით მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების მიზნით დიდ როლს ასრულებს გრამატიკის ელემენტარული კურსის სწავლება. გრამატიკის შესწავლა კი ყოველთვის მოითხოვს მოსწავლისაგან აქტიურ აზროვნებასა და შემოქმედებით მუშაობას, ენობრივი ფაქტებისა და მოვლენებისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, გრამატიკა ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს მოსწავლის ცნებითი აზროვნების განვითარებას.

გრამატიკის სწავლას ენის განვითარების ახალ საფეხურებზე ასვლა სდევს თან: მეტყველების ენობრივი ფორმა ცნობიერი ხდება და ამიტომ მისი გამოყენების არე პირადი ენობრივი გამოცდილების ფარგლებს შორდება და საგრძნობლად ფართოვდება *[დ. უზნაძე]*.

საერთოდ, სწავლის ძირითადი არსი, როგორც დიმიტრი უზნაძე მიუთითებს, ახსნაში და სინამდვილის მოვლენათა დახმარებაში მდგომარეობს, მოზარდის ცნებითი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს: იგი ცნებითი აზროვნების განვითარების მთავარი პირობაა.

გრამატიკის სწავლებისას ვითარდება მოსწავლეთა დამოუკიდებელი, ცნებითი აზროვნების უნარი, ისინი კონკრეტული, საგნობრივი აზროვნებიდან თანდათან გადადიან აბსტრაქტულ აზროვნებაზე და, რაც მთავარია, იმაღლებენ როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველების კულტურის დონეს, იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს, ეჩვევიან მწყობრ, ლოგიკურ აზროვნებას *[რ. ლიპარტელიანი]*.

გრამატიკის ცოდნა ხელს უწყობს მოსწავლეს როგორც ლოგიკური აზროვნებისა და ფსიქიკური ფუნქციების განვითარება-ფორმირებას, ისე ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებას. გარდა ამისა, იგი მიუთითებს, რომ მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას გრამატიკა მაშინ გაუწევს სათანადო სამსახურს, თუ მოსწავლე ენობრივ მოვლენათა კანონზომიერებას ლიტერატურული და ცოცხალი მეტყველების ფაქტებით გაეცნობა *[ვ. რამიშვილი].*

გრამატიკული მასალის სწავლებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს – იგი ემსახურება სათანადო ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტიკური ჩვევების ფორმირებას, რაც საბოლოოდ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის დახვეწისაკენ არის მიმართული *[ნ. მაღლაკელიძე].*

ლია ჭეიშვილის აზრით სასწავლო პროცესში ლიტერატურული მასალის გაგება-დასწავლა გაკვეთილზე თუ შინ აუცილებლად უნდა ემყარებოდეს ენობრივ საფუძვლებს. როგორც იგი მიუთითებს, ამ პროცესში თავისი წილი მეხსიერებასაც გააჩნია, თუმცა დამახსოვრება-დაზეპირების ნაცვლად უპირატესობა უნდა მიენიჭოს მასალის შინაარსის გაცნობიერებას. ამ მიზნით მასწავლებლის მიერ გამოყენებული უნდა იყოს სწავლების ისეთი მეთოდები, რომლებიც ენის, როგორც გრამატიკული კატეგორიის და როგორც სამეტყველო აპარატის განვითარებისთვისაა საჭირო.

ლ. ჭეიშვილი გამოჰყოფს სწავლების პროცესში მუშაობის ორ დონეს: პირველ დონეზე მუშაობისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გრამატიკული სახის, არსებითი, აუცილებელი და საკმარისი ნიშნების გამოყოფასა და რეალიზებას სავარჯიშოთა სისტემაში, ხოლო მეორე დონეზე მუშაობისას მნიშვნელ-

ოვანია მოსწავლეთა მეტყველების ფუნქციური მხარე, რაც გულ-ისხმობს სიტყვის ფუნქციურ გამოყენებასა და გაგებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით მართებულია ტ. სულაბერი-ძისა და ო. გაჩეჩილაძის მსჯელობა. მათი შეხედულებით მშობ-ლიური ენის ღრმად დაუფლებისა და მოსწავლეთა მეტყველე-ბის განვითარებაზე მუშაობის პროცესში აუცილებელია ენისა და ლიტერატურის სწავლების ურთიერთდაახლოება. მათი განმარ-ტებით საგანთაშორისი კავშირის გაფართოებამ თანამედროვე ეტაპზე კიდევ მეტად აუცილებელი გახადა, რომ ენის თეორი-ული და პრაქტიკული საკითხების დაუფლება უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ლიტერატურის სწავლებას, რადგან მოსწავლის ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარება მათი საერთო მი-ზანია.

როგორც ვხედავთ, ქართველ მეცნიერთა კატეგორიული მტკიცებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებისას წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მივაღწიოთ, თუ ამ ორ საგანს მჭიდროდ დავუკავშირებთ ერთმანეთს, სადაც ენის სწავლება ქმნის საფუძველს ლიტერატურულ ნაწარმოებთა სრულყოფილად შესწავლისათვის და, პირიქით, ლიტერატურუ-ლი კითხვის გარეშე შეუძლებელია ენის საფუძვლიანად დაუფ-ლება, მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლება, ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარება.

ამდენად, აშკარაა, რომ მოსწავლეთა მეტყველების ეფექ-ტური განვითარების ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოად-გენს ენისა და ლიტერატურის საგანთაშორისი კავშირი. იმისათ-ვის, რომ ლიტერატურის გაკვეთილებზე მუშაობა წარვმართოთ მეტყველების განვითარების მიზნით, საჭიროა საყრდენად გამო-ვიყენოთ ქართული ენის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა და უნარები, და მივაქციოთ ყურადღება არა მხოლოდ მხატვრული

ნაწარმოების იდეურ ანალიზს, არამედ მის ესთეტიკურ მნიშვნელობასაც.

მხატვრულ ნაწარმოებთან დაკავშირებით ენის საკითხების ანალიზისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ორ მნიშვნელოვან საკითხზე, პირველი ეს არის ყოველგვარი ნაწარმოების ენობრივი მხარე და მეორე – თხზულების შესრულება გრამატიკული მასალის გამოყენებით.

ნაწარმოების ენობრივი მხარე. თხზულება თავისი თემატიკით საკმაოდ მრავალფეროვანია. მაგრამ რაც უნდა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდეს იგი, აუცილებლად საჭიროებს ენობრივი ფორმების, სიტყვების, წინადადებების შერჩევას, სიტყვების შეთანხმება-შეწყობას მნიშვნელობის მიხედვით, ფრაზის სტილისტიკურად გამართვასა და ნაწარმოების ენობრივ ქსოვილში ადგილის მიჩენას იმისათვის, რომ ნათქვამი იყოს გასაგები და ნათელი, თანამიმდევრული, დასაბუთებული და გამომსახველობითი. ამ ჩვევათა შეძენისათვის კი მასწავლებელმა მუშაობა უნდა განახორციელოს როგორც ლიტერატურის, ასევე ენის გაკვეთილებზე, სადაც მას შეუძლია გამოიყენოს სწავლების სხვადასხვა გზები, მეთოდები და სტრატეგიები. თუმცა, მთავარია შემდეგი:

1. ქართული ენის გაკვეთილებზე მოხდეს გრამატიკის წინაშე დასახული ზოგადსაგანმანათლებლო და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა. ამ მიზნით ნებისმიერი საკითხის შესწავლისას ზუსტად უნდა გამოიკვეთოს სწავლების როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. ყოველი სასწავლო მასალა აუცილებლად მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს მოსწავლეთა მეტყველების განვითარების ამოცანას, რადგან, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მეტყველების განვითარება ამავე დროს გულისხმობს პიროვნების აზროვნების განვითარებასაც. ამიტომ ყოველი გრამატიკული საკითხის შესწავლა ისე უნდა წარიმართოს

მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ შეგნებულად გამოიყენოს ისინი ზეპირი თუ წერითი მეტყველების დროს. შესწავლილი წესი, მეტყველების ნაწილი თუ წინადადების სტრუქტურული ტიპი მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს მის ცნობიერებაში. მოსწავლემ კარგად უნდა გააცნობიეროს მათი როლი როგორც მეტყველებაში, ასევე ენაში. ამ მიზნით კი გრამატიკული საკითხების შესწავლისას საანალიზოდ უნდა შეირჩეს შესაბამისი ლიტერატურული ტექსტი.

კონკრეტული მასალის ნიმუშზე ეს მუშაობა შეიძლება ჩატარდეს შემდეგნაირად. მაგ. მე-5 კლასში შეისწავლება ზედსართავი სახელი. ზედსართავი სახელის რაობა, კითხვები, სახეები, ხარისხის ფორმები, ჯგუფები ფუძეთა მიხედვით, ზედსართავი სახელის ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად. ბუნებრივია, რომ ამ საკითხების სწავლება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს მეტყველების განვითარების ამოცანებს. მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ ზედსართავი სახელის სწორად შერჩევა და გამოყენება ნათქვამს ხდის ემოციურს და განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე. ამ მიზნით უნდა გაანალიზდეს ზედსართავი სახელის შემცველი ტექსტები, მაგალითად, ვაჟა ფშაველას ნაწარმოებიდან „შვლის ნუკრის ნაამბობი“:

*„**პაწაწა** ვარ, **ობოლი**, ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი, ტანზე მაცვია **პატარა მოკლებეწვიანი თეთრი თვლებით მოწინწკლული თხელი** ქათიბი“.*

მოცემული ეპიზოდიდან ჩანს, რომ სწორედ ზედსართავი სახელები აძლევს ემოციურ ძალას და მიმზიდველობას. თუ ტექსტიდან ამოვიღებთ ზედსართავ სახელებს, ტექსტი მშრალი, უემოციო და უინტერესო გახდება: *ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი, ტანზე მაცვია ქათიბი.*

ასეთივე სახის მუშაობა შეიძლება ჩატარდეს მეტყველების სხვა ნაწილების შესწავლის დროსაც და გაგრძელდეს სინტაქსის სწავლების დროსაც.

2. მხატვრულ ნაწარმოებსა თუ მწერლის შემოქმედებაზე მუშაობისას გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს მწერლის ენასა და სტილზე მუშაობას. უნდა გაანალიზდეს ის ენობრივი საშუალებები და მხატვრული სახეები, რომელთა გამოყენებითაც აღწევს მწერალი მიზანს და ნაწარმოებს ხდის მხატვრულ ქმნილებად. ამ საკითხებში გარკვევისათვის კარგ შედეგს იძლევა ერთსა და იმავე სურათზე, საგანზე, მოვლენაზე სხვადასხვა მწერლის მიერ გამოყენებული მხატვრული თუ ენობრივი მასალის შედარება-შეპირისპირება, ანუ მსგავსება-განსხვავების დადგენა, მწერლის სტილისტურ თავისებურებათა გამოვლენა.

ცალკეულ კლასებში შესასწავლ ნაწარმოებებში ძალიან ხშირად არის აღწერილი გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის დილისა თუ საღამოს სურათები. მწერლები მათი აღწერისას განსხვავებულ მხატვრულსა და ენობრივ საშუალებებს იყენებენ. ამ საკითხებში მოსწავლეთა გარკვევისათვის სასწავლო საქმიანობა შეიძლება შემდეგნაირად წარმართოს: მასწავლებელმა კლასების მიხედვით წინასწარ უნდა მოინიშნოს ნიმუშები, ყველა კლასში უნდა შეჩერდეს მათზე, ხოლო მომდევნო კლასში მოსწავლეებს გაახსენოს წინა კლასში შესწავლილი მასალა და შეადარებინოს ერთმანეთს ახალი და ძველი მასალა. ასეთ დროს მოსწავლეები ვალდებულები არიან, უპირველეს ყოვლისა, გამოარკვიონ აღსაწერი მოვლენის თავისებურებებით გამოწვეული მსგავსი საშუალებები, ხოლო შემდეგ ყურადღება გაამახვილონ განსხვავებულ ენობრივ-მხატვრულ საშუალებებზე, რაც მწერლის სტილით არის განპირობებული.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის „იავნანამ რა ჰქმნა?“-ს მე-11 თავში მწერლის მიერ აღწერილია დილის სურათი. ნაწარმოების შესწავლისას მოცემული თავი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგანაც სწორედ აქ არის გადმოცემული ქეთოს მიერ წარსულის გახსენება. მასწავლებელი ვალდებულია ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ იაკობ გოგებაშვილი ძალიან ხშირად მიმართავს ბუნების აღწერას მიზნის მიღწევისათვის. ამ თავში მწერალი აღწერს ჯერ გაზაფხულს, ხოლო შემდგომ გაზაფხულის თვალწარმტაც დილას. იაკობ გოგებაშვილის მიერ თანმიმდევრულად არის მოცემული დილის ყველა კომპონენტი. „შეუდარებელი დილა იყო“ – წერს იგი და ხსნის რა იწვევს ამ შეუდარებლობას. მწერლის მიერ აქ არ არის გამოყენებული მეტაფორული ხერხები, მაგრამ შერჩეული ლექსიკური საშუალებებითა და წინადადებებით ქმნის მიმზიდველ სურათს, რომელიც ქეთოს სულის მკურნალად ევლინება.

3. ყოველი სახის თხზულებათა გასწორებისა და ანალიზის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს მოსწავლეთა მიერ კარგად მიგნებულ სიტყვებზე, წინადადებებზე, მხატვრულ სახეებზე.

მხატვრული ნაწარმოების ანალიზისას, საჭიროა მოსწავლეებმა გაარჩიონ, როგორ არის იგი აგებული, რომელი მეტყველებითი დეტალებია გამოყენებული, რაც მათ უბიძგებს კიდევ უფრო ღრმად დაეუფლონ ენობრივ საკითხებს, სწორად და გამომეტყველებით გამოთქმას, ხატოვან მეტყველებას.

მაგალითისათვის შეიძლება შევარჩიოთ აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ (V კლასი). აქ, ნაწარმოების გაანალიზება-განსჯასთან ერთად ყურადღება ექცევა სწორი მეტყველებისა და ხატოვანი სიტყვა-თქმების დაუფლებას. ეს შეიძლება გამოისახოს სხვადასხვა ფორმით:

სწორად მეტყველებისათვის

არ არის სწორი	სწორია
ერთს მათგანს ჩემ გამდელს უსიამოვნობა აზრდევინებდნენ თავის შვილებს	ერთ მათგანს ჩემს გამდელს უსიამოვნება აზრდევინებდნენ თავიანთ შვილებს

სწორად მეტყველებისათვის

არის	უნდა იყოს
ჩემ ძმას ყოვლიფერი ღენერლის აფიცრები	_____ _____ _____ _____

სწორად მეტყველებისათვის

ძველად ამბობდნენ	დღეს ამბობენ
გამაცეცეს ჩქიფი ხელაობით ჩერო	_____ _____ _____ _____

სწორი მეტყველების განვითარების მიზნით მოსწავლეებს ასევე შეიძლება დავავალოთ მოძებნონ ტექსტში დიალექტური ფორმები (თუ ასეთი არის) და ჩაწერონ პირველ გრაფაში, ხოლო მეორე გრაფაში – თანამედროვე შესიტყვებები

დიალექტური ფორმები	თანამედროვე შესიტყვებები

ხატოვანი სიტყვა-თქმა



მოსწავლეებს სწორი მეტყველების ფორმირებისათვის შეიძლება სხვადასხვა სახის დავალებებიც მივცეთ, მაგ.: ტექსტში მოიძიონ არასწორი ენობრივი ფორმები, ან მონახონ დღევანდელი სალიტერატურო ენის ნორმებთან შეუსაბამო ფორმები, ამოიწერონ და გაასწორონ.

ტექსტის გააზრებისათვის შეიძლება მოსწავლეებს მიეცეს შემდეგი სახის დავალება, მონახონ და ამოწერონ ტექსტიდან აკაკის მამისა და დედის მახასიათებელი თვისებები და შეუდარონ ერთმანეთს. ამის შემდეგ შეავსონ მოცემული კოგნიტური დიაგრამა, ცარიელ სივრცეში ჩაწერონ მათი განმასხვავებული თვისებები, ხოლო კვეთაში კი საერთო:



მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების განვითარების ეფექტურ ხერხს წარმოადგენს **ზეპირი დიალოგი**. დიალოგი კი აქტიური სწავლების საფუძველია, რომლის დროსაც ხდება აზრთა ურთიერთგაცვლა, მოსმენის უნარის განვითარება, თანამოსაუბრის გაგება. დიალოგი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: კითხვა-პასუხი, დისპუტი, კამათი, პოლემიკა.

ლიტერატურის გაკვეთილები იძლევა იმის საშუალებას, მოვახდინოთ როლური დიალოგის ორგანიზება: შეხვედრა ლიტერატურულ პერსონაჟებთან, მწერლისა და კრიტიკოსის დიალოგი და სხვ. როლური (თამაშობითი) დიალოგი ამაღლებს მოსწავლეთა დაინტერესებას კითხვისადმი, ლიტერატურის შესწავლისადმი, ეძლევა სტიმული მათ მეტყველებით აქტივობას. ასეთი მიდგომა კი დაეხმარება მოსწავლეებს, უკეთესად გაიცნონ და შეეთვისონ ერთმანეთს ჯგუფში.

შემდეგ ეტაპს წარმოადგენს გავაცნოთ მოსწავლეებს მეტყველებითი დიალოგის კანონზომიერებები და წარმართვის ხერხები: დიალოგის სახეები, მეტყველების სტილი, მიმართვის ფორმა სიტუაციურ შემთხვევაში და სხვ.

მხატვრული ტექსტიდან მოსწავლეთა მიერ ჯერ წაიკითხება ნაწყვეტი, ხოლო შემდეგ ამოიწერება ლიტერატურული პერსონაჟების დამახასიათებელი ზმნები. ამის შემდგომ კი გაკეთდება დასკვნა, გვაქვს თუ არა ამ სიტუაციაში დიალოგი. ამავე დროს საჭიროა და აუცილებელი მოსწავლეებს ვასწავლოთ დიალოგის აგება.

აკ. წერეთლის ნაწარმოებიდან „ჩემი თავგადასავალი“ მოსწავლეებს დიალოგის აგების მიზნით შეგვიძლია მივცეთ შემდეგი სახის დავალება, დააკვირდნენ, როგორ ესაუბრებიან დედა და მამა აკაკის. დაინაწილონ როლები (ერთი იქნება აკაკი, მეორე – მამა, მესამე – დედა) და გაითამაშონ მათი საუ-

ბარი (მთავარია სწორად შეარჩიონ როლის შესაბამისი ინტონაცია).

კარგი იქნება თუ მოსწავლეებს მივცემთ სხვა სახის ისეთ სავარჯიშოს (სავარჯიშოებს), სადაც მხოლოდ ერთი მოსაუბრის სიტყვებია მოცემული და დაევალებათ, რომ გადაწერონ რვეულში და შეავსონ დიალოგი.

- იცი, გუშინ ზოოპარკში ვიყავი.
- (მართლა? ვისთან ერთად წახვედი?)
- მშობლებთან და ძმასთან ერთად.
- (საინტერესო იყო? რა ნახეთ ზოოპარკში?)
- ზებრები, მაიმუნები, მგლები, მელიები, კურდღლები, სპილოები, დათვები, ფარშევანგები.
- (მეც მინდა წავიდე და ვნახო).
- კარგი იქნება თუ წახვალ და ნახავ. იქ სხვა ბევრი გასართობიც არის.

შემდეგი დავალება შეიძლება იყოს ასეთი სახის, დიალოგის ასაგებად დაიხმარონ რომელიმე თანამოსაუბრე. თემა შეიძლება იყოს:

- მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება;
- გამხნევება, თანაგრძნობა;
- რჩევის, დარიგების მიცემა;
- ახალი ამბავი.

დიალოგი რომ სრულყოფილი გავხადოთ, საჭიროა:

- გაიხსენონ, რას ეუბნებიან ადამიანები მსგავს სიტუაციებში ერთმანეთს;
- შეეცადონ, სასვენი ნიშნების მეშვეობით სწორად გადმოსცენ საუბრის ინტონაცია.

ან შეიძლება ვაწარმოოთ დიალოგი ტექსტთან. ამისათვის კი აუცილებელია აიგოს ტექსტის სქემა და გეგმა. აქ მოსწა-

ვლემ უნდა იცოდეს, რომ ტექსტის გასაგებად მასთან დიალოგი არის საჭირო. მაგრამ როგორ უნდა ესაუბროს მოსწავლე ტექსტს? ამისათვის საჭიროა დავსვათ კითხვები და მოსწავლეებმა ტექსტში ეძებონ პასუხები კითხვებზე.

ტექსტის სქემა კი შეიძლება ასეთი იყოს:

ტექსტის ნაწილები	საიდან სადამდე? (მიუთითეთ აბზაცები)
• შესავალი (დასაწყისი) • ძირითადი ნაწილი • დასასრული	_____ _____ _____

მოცემულ ტექსტთან დიალოგი გულისხმობს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას:

- რის შესახებ მოგვითხრობს ტექსტი?
- რა გაიგეთ შესავალი ნაწილიდან?
- რა გაიგეთ ძირითადი ნაწილიდან?
- რას გვამცნობს სათაური?

მოსწავლეები საკუთარი პასუხებიდან გამომდინარე განსაზღვრავენ და აღნიშნავენ, რომ დიალოგის დახმარებით მათ შეუძლიათ დაახასიათონ ლიტერატურული გმირები, ე. ი. შეაფასონ დიალოგი, როგორც მხატვრული ხერხი ნაწარმოების დედააზრის წარმოსაჩენად.

მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების განვითარების მიზნით მიზანშეწონილია, მათ შეძლონ და მოახდინონ ლიტერატურული პერსონაჟების დიალოგის რეპროდუცირება. ეს არ არის მხოლოდ მოცემული დიალოგის გამეორება, არამედ ასეთი მიდგომა იძლევა სტიმულს მოსწავლეთა მეტყველების ემოციურ-გამომსახველობითი მხარის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოსწავლეთათვის ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ყურადღებით წაიკითხონ ლიტერატურულ გმირთა დიალოგი და შეეცადონ აზრობრივად გადმოსცენ იგი ყოველგვარი წვრილმანი დეტალის გამოუტოვებლად;
- საკუთარი წარმოსახვის, ფანტაზიის მიხედვით შეადგინონ მონაწილე გმირთა პორტრეტები გარეგნული ფორმითა და ჟესტ-მიმიკებით;
- როგორია თანამოსაუბრეთა ურთიერთდამოკიდებულება? მათი ინტონაცია?
- გაიხსენონ პერსონაჟთა დიალოგი, გაითვალისწინონ ავტორის დამოკიდებულება მათდამი და გააკეთონ საკუთარი შეფასება.

4. წერით ნაშრომებში დაშვებული შეცდომები უნდა გასწორდეს არა მექანიკურად, არამედ შესაბამისი გრამატიკული წესის გამოყენებით. უნდა აღინიშნოს რომელი წესია დარღვეული და როგორ უნდა გასწორდეს შეცდომა წესის შესაბამისად. მაგ. წინადადებაში: „სტუმარის თხოვნით სუფრა გზისპირას გააშლევინეს“, მოსწავლემ უნდა იპოვოს შეცდომა (სტუმარის თხოვნით) და აღნიშნოს, რომ „სტუმარი“ ფუძეკუმშვადი სიტყვაა და ბრუნებისას მიცემით ბრუნვაში სიტყვიდან ხდება „ა“ ხმოვნის ამოვარდნა.

საერთოდ თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი არსებითი სახელების სწავლებისას სასურველია მასწავლებლის მიერ გამოყენებულ იქნას შემდეგი სახის სქემა:



მოსწავლე ამავე დროს უნდა მიეჩვიოს სტილისტურ მუშაობასაც. მაგალითად, წინადადებაში „ბავშვებს კაჭკაჭებსავით სწვრთნიდნენ და არა ადამიანის შვილებად!“, მოსწავლემ ასეთნაირად უნდა გაანალიზოს, რომ წინადადება შესაძლოა გრამატიკული თვალსაზრისით სწორად იყოს აგებული, მაგრამ მასში სტილისტური შეცდომაა: არ შეიძლება ვთქვათ, ან დავწეროთ „კაჭკაჭებსავით სწვრთნიდნენ“. უმჯობესია გამოვიყენოთ „კაჭკაჭებივით წვრთნიდნენ“.

მსგავსი სახის სავარჯიშოებზე მუშაობით მოსწავლეები უნდა მიეჩვიონ სიტყვების სწორად შერჩევა-შეწყობას როგორც გრამატიკულად, ასევე სტილისტურად. ყოველივე აქედან გამომდინარე კი მათ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე გამოუმუშავდებათ უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება დაწერონ ნაშრომი სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად.

თხზულება გრამატიკულ მასალაზე. გრამატიკულ მასალაზე მუშაობის დროს ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი (კომპლექსური) სამუშაოები. საშინაო დავალებებსა და საკლასო სავარჯიშოებს ძირითადად სასწავლო დანიშნულება გააჩნიათ, შემაჯამებელი კი აჯამებს ამა თუ იმ შესწავლილ თემას და არკვევს რამდენად კარ-

გად აითვისეს მოსწავლეებმა შესწავლილ მასალასთან დაკავ-შირებული მართლმეტყველებისა და მართლწერის წესები და რამდენად კარგად ახერხებენ მათ გამოყენებას პრაქტიკულ-ად. გრამატიკულ მასალაზე შესრულებულ მრავალფეროვან სახეთა შორის გარკვეული ადგილი ეთმობა თხზულებასაც. ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოების თემა უნდა იძლე-ოდეს გრამატიკული მასალის გამოყენების შესაძლებლობას. ასეთი თხზულებები კი ძირითადად ეყრდნობა პირად შთაბეჭ-დილებებს და იგი უფრო მეტად აღწერითი ხასიათის არის.

მაგალითად, იმის გასარკვევად თუ რამდენად გასაგები გახდა მოსწავლეებისათვის ზედსართავი სახელის როლი მეტ-ყველებაში და მისი გამომსახველობითი ძალა, დაევალებათ აღწერონ რაიმე სურათი, ბუნების მოვლენა, წელიწადის რო-მელიმე დრო, ან გადმოსცენ პირადი შთაბეჭდილება ზედსარ-თავი სახელების გამოყენებით.

ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული სასწავ-ლო გეგმის მიხედვით დიდი ყურადღება ექცევა მართლმეტყვ-ელებისა და მართლწერის წესებს, რომელთა შესწავლის ძირ-ითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებში მართლწერის პრა-ქტიკულ უნარ-ჩვევათა გამომუშავება.

არსებითი სახელის მართლწერის უნარ-ჩვევის გამომუ-შავებისათვის ავიღოთ ასეთი სავარჯიშო:

წაიკითხეთ მაგალითები, მოიგონეთ ნასწავლი წესები და აღნიშნეთ: ა) რომელ ბრუნვასა და რიცხვში დგას არსებითი სახელები? ბ) როდის იყრის თავს ერთად ორი **მ**, ორი **ს**, ორი **შ**, ორი **ზ**, ორი **თ**?

1.**გურამმა** გულიანად გაიცინა.

2.ნეტარების **ჟამმა** დაჰკრა, აშრიალდნენ ჩონგურები.

3.მზე ეფინება ნაზი **ქუთაისსა** და **თბილისს**.

4.მისი ხმის გაგონება **ხალისს** გვმატებდა.

5.ზაზამ თავი **ბალიშში** ჩარგო.

6.ზურიამ ხანჯალი **ქარქაშში** ჩააგო.

7.თითო **ვაზზე** კალათი ყურძენი მოიკრიფა.

8.ლიანდაგის სწორ **ხაზზე** კოლოფივით ჩანდა ბაქანი.

9.**კახეთთან** შედარებით ბაღ-ხეხილებიც ნაკლებობდა.

10.გივიმ ძმას **ბარათთან** ერთად წიგნებიც გაუგზავნა.

მოცემული სავარჯიშოს შესრულების შემდეგ სასურველია მოსწავლეებს მიეცეს სხვადასხვა სახის დავალებები:

დავალება 1. აღადგინეთ გამოტოვებული ბრუნვის ნიშნები და თანდებულები მოცემულ წინადადებებში.

1.ირემ... მტერი ვერ შენიშნა.

2. ორი მდინარე ჩაუდის ხერთვის...

3. მწყემს... ფერი ეცვალა.

4. ბურთი ასპარზ... გაგორდა.

5. გივი ანგარიშ... შეცდა.

6. გიორგი დავით... ერთად წავიდა.

7. ძველ ოდიშ... საუცხოო კაჭიჭი მოჰყავდათ.

8. იალბუზ... ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

დავალება 2. ა) იპოვეთ შეცდომა, გადმოიწერეთ სიტყვები სწორი ფორმით.

1. ექიმა ავადმყოფს წამალი გამოუწერა.

2. ქალაქ თბილის მივუახლოვდი.

3. გაზაფხულზე ხები მწვანედ იფოთლებიან.

ბ) მოცემულ წინადადებებში მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით (*ისტორია, მესტია)* **სწორი ფორმით.**

1. ..... სახელმძღვანელოთი ბევრ საინტერესო მასალას გავეცანი.

2. ..... მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უძველესი ძეგლები ინახება.

მოცემულ თემაზე მუშაობისას კარგ შედეგს იძლევა კომენტირებული წერა. იგი შეიძლება ჩატარდეს შემდეგნაირად - არსებითი სახელის ბრუნების შესწავლის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მართლწერის წესების დაცვის გამოყენებით ადგენს მოკლე თხზულებას. ტექსტი შეიძლება ასეთი იყოს:

გურამმა ურმით ტყეში წამიყვანა. გზის პირას კარგად მოვლილი ბაღები იყო. ერთი მხრიდან ატამმა მაცდურად გაგვიღიმა, მეორე მხარეს მსხალმა გამომწვევად ჩაგვიკრა თვალი. ურემმა ნელა გალია გზა. ტყეს მივუახლოვდით. ჩვენში ბევრი ტყეებია. ტყის სილამაზემ უმალ მომხიბლა. ცადაწვდილ ხეებს ამაყად აემართათ ქოჩორა თავები. ზოგიერთი ხის ტანი ხავერდივით მწვანე ხავსს დაეფარა. ერთგან მელიის სოროსაც წავაწყდით. გაქნილ კუდბუთქუნას სორო სვიის სიახლოვეს გაეკეთებინა, თითქოს სვიის ფოთლებით შეუნიღბავსო.

მოსწავლეებს დაევალებათ ფორმების დაჯგუფება შესწავლილი წესების მიხედვით და მითითება იმ წესებზე, რომელებიც შემდეგნაირად უნდა დააჯგუფონ:

გურამმა, ატამმა, ურემმა – თავს იყრის ორი „**მ**“, ერთი ფუძისაა, მეორე მოთხრობითი ბრუნვის ნიშნისა.

მაცდურად, კარგად, გამომწვევად, ამაყად – გვესმის „**თ**“, მაგრამ ვწერთ „**დ**“-ს, რადგანაც ეს სახელები ვითარებით ბრუნვაშია, ვითარებითი ბრუნვის ნიშანი კი არის „**დ**“ ან „**ად**“.

ტყეები, ხეებს – თავს იყრის ორი „**ე**“, ერთი ფუძისეულია, მეორე მრავლობითის მაწარმოებელია.

ხავსს – თავს იყრის ორი „**ს**“. ერთი ფუძისეულია, მეორე მიცემითი ბრუნვის ნიშნისა.

მელიის, სვიის – სახელის ფუძე **ია**-ზე ბოლოვდება, მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში ორი **ი** იყრის თავს.

ანალოგიურად უნდა მოხდეს სხვა წესების კომენტირებაც. სათანადო უნარ-ჩვევების შეძენის შემდეგ მოსწავლეებს დაევალებათ მსგავსი მოთხრობის შედგენა დამოუკიდებლად.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მოსწავლეთა მეტყველებისა და მოსალოდნელი შედეგების წარმატებით რეალიზებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მოსწავლეთა წინაშე პრობლემის სწორად დასმა, მისი გადაჭრის გზების მართებულად ორგანიზება, ლიტერატურული თემისადმი ახალი მიდგომების მოძიება, მოსწავლეთა მეტყველებითი საქმიანობის სტიმულირება.

ამ მოთხოვნებს, ჩვენი აზრით, პასუხობს არასტანდარტული გაკვეთილები, რომლის დროსაც გამოიყენება გაკვეთილის ჩატარების არატრადიციული ფორმები: გაკვეთილი – საქმიანი თამაში, გაკვეთილი – შეჯიბრება (მოდელირება ანუ თამაშით სწავლა), გაკვეთილი – სემინარი, გაკვეთილი – დისკუსია (დისპუტი), გაკვეთილი – ვიქტორინა, ინტეგრირებული გაკვეთილი და ა. შ., რომელთაც გააჩნიათ ერთი საერთო მიზანი და ამოცანა – კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე სწავლისადმი ინტერესის უნარის გაღვივება-განვითარება:

- სასწავლო პროცესში არატრადიციული ფორმების გამოყენება: ინტეგრირებული მეცადინეობა, ერთი თემის, პრობლემის ირგვლივ გაერთიანება; კომბინირებული, პროექტული მეცადინეობა, შემოქმედებითი ოსტატობა და სხვ.;
- სხვადასხვა თამაშობითი ფორმების გამოყენება;

- დიალოგური ურთიერთმოქმედება;
- პრობლემური მიდგომა მასალისადმი (პრობლემური კითხვები, პრობლემური სიტუაციები და სხვ.);
- სასწავლო პროცესში მუშაობის სხვადასხვა ფორმის გამოყენება (ინდივიდუალური, წყვილური, ჯგუფური, ფრონტალური და სხვ.);
- სწავლების ინტერაქტიური ფორმების გამოყენება (რეპროდუქციული, ნაწილობრივ-ძიებითი, კვლევითი, შემოქმედებითი და სხვ.);
- მოტივაციური მეთოდების გამოყენება (ემოციონალური, შემეცნებითი და სხვ.);
- განმავითარებელი დიდაქტიკური საშუალებებისა და ხერხების დანერგვა (ტერმინოლოგიური კროსვორდები; ტესტები, მეტყველებითი გამოთქმები: „მინდა გკითხოთ“, „დღევანდელი გაკვეთილი ჩემთვის“...; მხატვრული გამომსახველობა სურათების, სქემების, სიმბოლოებისა და სხვათა გამოყენებით;
- შემოქმედებითი მიდგომა სწავლებისადმი.

სასწავლო პროცესში მონაწილეობისას მოსწავლეები სწავლობენ დამოუკიდებლად გამოთქვან საკუთარი თვალსაზრისი და დაიცვან იგი შესაბამისი არგუმენტების გამოყენებით. ამის შედეგი კი არის ის, რომ მათ უვითარდებათ შემოქმედებითი შესაძლებლობები, რის საფუძველზედაც ხდება მათი მეტყველების სრულყოფა.

გაკვეთილზე სამუშაო პროცესში მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების განვითარების მიზნით მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: **იმიტაციური** (სწავლება ნიმუშის მიხედვით), **კომუნიკაციური**, **კონსტრუქციული**.

იმიტაციური მეთოდის გამოყენების დროს შესაძლებელია შემდეგი სახის სავარჯიშოების გამოყენება:

- მოცემული ტიპის მიხედვით მსგავსი წინადადებების შედგენა;
- წაკითხული ტექსტის მიხედვით ანალოგიური ტექსტების (მოთხრობების) შედგენა;
- მეტყველებითი ეტიკეტის გამომუშავება და დაუფლება.

ლიტერატურის გაკვეთილებზე **იმიტაციური სავარჯიშოების** გამოყენება იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებს სხვადასხვა ჟანრობრივი ნაწარმოებების მომზადებისას განუვითარდეთ ინტელექტუალური მეტყველებითი უნარები. ამასთან, კარგი იქნება თუ მოსწავლეები ეცდებიან გაიუმჯობესონ თავიანთი მეტყველების ხარისხი, როგორიცაა სიზუსტე, ლოგიკურობა, მისაწვდომობა, შესაბამისობა, ლაკონიურობა, კეთილხმოვნობა.

კომუნიკაციური მეთოდის გამოყენებისას შეიძლება შეირჩეს შემდეგი ხერხები:

- საუბარი;
- დიალოგის აგება;
- როლური თამაშები;
- ტექსტის ანალიზი;
- მოთხრობის შინაარსის ზეპირი გადმოცემა;
- წარმოსახვითი სიუჟეტების შექმნა;
- მეტყველებითი სიტუაციების შექმნა და სხვ.

კონსტრუქციის მეთოდი შესაძლებლობას იძლევა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე გამოვიყენოთ შემდეგი სახის სავარჯიშოები:

- სიტყვათა მნიშვნელობის განმარტება;
- სინონიმებზე და ანტონიმებზე მუშაობა;

- მოცემული თემის მიხედვით წინადადებების შედგენა;
- წინადადების გავრცობა და მისი რედაქტირება;
- საკუთარი ტექსტის რედაქტირება;
- სხვადასხვა ფუნქციონალურ-აზრობრივი ტიპის ტექსტების შედგენა.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების მიზნით ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ეფექტური სტრატეგიებისა და მიდგომების გამოყენება: პოეზიის ხუთი წუთი, ანალოგიური თხრობა, საშინაო დავალების წინასწარ შესრულება, დისკუსია, მეტყველებითი სიტუაციების ანალიზი და მისი გათამაშება, ლიტერატურული გმირის ზეპირი ფსიქოლოგიური ანალიზი და სხვ.

პოეზიის ხუთი წუთი. ყოველი გაკვეთილის დასაწყისში ერთ ან ორ მოსწავლეს ვათქმევინებთ შესწავლილ, დაზეპირებულ ლექსს გამომეტყველებითი კითხვის დახვეწის მიზნით, ან მათ მიერ მხატვრული ნაწარმოებიდან შერჩეული ნაწყვეტის, ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა. პოეზიის ხუთი წუთის გამოყენებით მოსწავლე ეზიარება მშობლიური ენის პოეტურობას, მის შინაგან სილამაზეს, განუვითარებს ესთეტიურ გემოვნებას, ჩამოუყალიბებს ენის კულტურას, შეიძენს პოეტური ტექსტის პოეტური აღქმის უნარს.

ანალოგიური მოთხრობა არის ისეთი მოთხრობა, რომელიც შედგენილია მსგავსი მოთხრობის მიბაძვით. სწავლების ამ სტრატეგიის შესახებ ჯერ კიდევ 1960 წ. მიუთითებდა მ. ჯინჯიხაძე წიგნში „წერითი მეტყველების განვითარება“.

იმისათვის რომ მოსწავლეებმა შეძლონ ანალოგიური მოთხრობის შედგენა, საჭიროა გაკვეთილზე წაკითხულ იქნას ისეთი მოთხრობა, სადაც გადმოცემული იქნება მათთვის ნაც-

ნობი ამბავი, ფაქტები, მოვლენები, რომლებსაც არაერთხელ დაკვირვებიან, განუცდიათ და საკუთარი ემოციებიც გამოუხატავთ. მოკლედ რომ ვთქვათ, მოთხრობის შინაარსი მოსწავლისათვის კარგად ცნობილი ყოფა-ცხოვრებიდან უნდა იყოს აღებული.

მოთხრობის წაკითხვის შემდეგ პედაგოგის ვალდებულებას წარმოადგენს წარმართოს შესაბამისი საუბარი იმის შესახებ თუ როგორ იწყება მოთხრობა, როგორ ვითარდება და რით მთავრდება. წაკითხვისა და გარჩევა-ანალიზის შემდეგ მოსწავლეებს დაევალებათ შეადგინონ საკუთარი მოთხრობა – წაკითხულის ანალოგიური. აქ უნდა წარმოჩინდეს მოსწავლეთა ისეთი უნარები, როგორებიცაა წარმოსახვა, შემოქმედებითობა, თავისუფალი და დამოუკიდებელი თხრობა. წაკითხულმა ნაწარმოებმა უნდა მისცეს მათ ბიძგი თუ როგორი თანამიმდევრობით შეადგინონ ანალოგიური მოთხრობა, კერძოდ, რითი დაიწყონ, როგორ განაგრძონ და როგორ დაამთავრონ.

სასწავლო პროცესში ასეთი მიდგომა, უწინარეს ყოვლისა, ემსახურება მოსწავლეთა აზროვნებისა და გაბმული მეტყველების უნარის განვითარებას.

საშინაო დავალების წინასწარ შესრულება. ლიტერატურის გაკვეთილზე დავალების წინასწარ შესრულების არსი მდგომარეობს იმაში, რომ რამდენადმე მომზადებულმა მოსწავლეებმა შეძლონ დავალების შესრულება, რომლის შინაარსის აქტუალიზება მოხდება შემდეგ გაკვეთილზე. მოსწავლეები ვალდებულნი არიან თვითონ, დამოუკიდებლად მოამზადონ ლოგიკური პასუხი, შერჩეული მიწოდებული ლიტერატურიდან ჩამოაყალიბონ საკუთარი საინტერესო თვალსაზრისი, მოამზადონ მოკლე, მაგრამ ემოციური და შინაარსობრივი ინფორმა-

ცია. ასეთი სახის დავალების შესრულებისას ხდება არა მხოლოდ დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება, არამედ ზეპირი მეტყველების კულტურის დონის ამაღლება.

დისკუსიური საუბარი. მხატვრულ ნაწარმოებში დისკუსია წარმოდგენილია ორ ან მეტ ლიტერატურულ პერსონაჟს შორის, რომელსაც ასრულებენ მოსწავლეები. მათ ხატოვნად უნდა წარმოადგინონ მოცემული როლები და ჩაებან დიალოგში, კამათში, დისკუსიაში.

ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟთა დისკუსიის გამოყენება მიმდინარეობს ტექსტზე კვლევითი მუშაობის პროცესში, რომლის დროსაც ხდება მეტყველებითი უნარების ფორმირება. საჭიროა მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ დისკუსიის დროს მთავარია ჭეშმარიტების დადგენა.

მეტყველებითი სიტუაციის ანალიზი და გათამაშება. გაკვეთილის დასაწყისში, მთავარი თემის საკვანძო საკითხის განხილვის წინ, სამ-ოთხ მოსწავლეს, სასურველია ნაკლებაქტიურებს, მიეცეთ დავალება, რომელიც შეიცავს განსაზღვრულ მასალას მოფიქრებისა და გააზრებისათვის. გამომსვლელი აკვირდება განხილვის მსვლელობას, დამოუკიდებლად ერთვება საჭირო დროს დისკუსიაში, ამავე დროს შეუძლია მოახდინოს მასალის იმიტირება ან გადმოსცეს შინაარსი საკუთარი სიტყვებით, მოახდინოს მისი განხილვა.

მეტყველებითი სიტუაციური თამაშობა მონაწილეებს აძლევს საშუალებას განავითარონ თავიანთი მსახიობური მონაცემები, ავარჯიშონ დიქცია, ხმის ტემბრი. გარდა ამისა, საჭიროა, მოსწავლეებმა გამოსვლისას დაიცვან მეტყველების ნორმები და იყონ საკუთარ თავში დარწმუნებულნი.

ლიტერატურული გმირის ზეპირი ფსიქოლოგიური ანალიზი. მოსწავლეებს დაევალებათ, აღწერონ და დაახასიათონ რო-

მელიმე ლიტერატურული გმირი, განსაზღვრონ მისი ფსიქოლოგიური მახასიათებლები და მოემზადონ ზეპირი გამოსვლისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ ზეპირი გზით იმსჯელონ თემაზე, მაგალითად: „პორტრეტის როლი პერსონაჟის სახის გახსნისათვის“.

შესაძლოა მეორე ვარიანტიც: მოსწავლეებს მიეცემათ შემდეგი სახის დავალება, აღწერონ ლიტერატურული გმირი ან გმირები მოცემული გარეგნობისა და რეპლიკების მიხედვით და შესაბამისად გაარკვიონ და დაახასიათონ მათი ვინაობა. მოცემული საშუალება ზეპირი ანალიზის გზით გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის შედგენა, მოსწავლეებს დაეხმარება კიდევ უფრო ღრმად გაიაზრონ და ჩაწვდნენ გმირის შინაგან სამყაროს. ასეთ დროს კიდევ უფრო უმჯობესდება და ვითარდება მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების დონე.

მოსწავლეთა მეტყველებაზე ზრუნვა წარმოებს კლასგარეშე მუშაობის დროსაც. კლასგარეშე მუშაობის პროცესში შესაძლებელია ჩავატაროთ სხვადასხვა სახის ღონისძიებები როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური ფორმით. ასეთ ეფექტურ ღონისძიებებს საგნობრივი თვალსაზრისით წარმოადგენს მოსწავლეთა ლიტერატურულ-მუსიკალური აღზრდა, ლიტერატურული საღამოები, ლიტერატურული კონფერენციები, ვიქტორინები, ექსკურსიები და სხვ., სადაც მოსწავლეთა ცოდნის დონესთან ერთად მაღლდება და ვითარდება მათი მეტყველებითი კულტურა. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე და, ასევე, კლასგარეშე მუშაობის დროს მოსწავლეთა მეტყველების განვითარების მთავარ და აუცილებელ პირობებს წარმოადგენს:

- მთელი საგანმანათლებლო პროცესის აგება პედაგოგის ცოდნისა და გამოცდილების, მოსწავლეთა სოცია-

ლურ-ფსიქოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებების, საგანმანათლებლო ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინების საფუძველზე;

- ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების საშუალებათა მრავალსახეობა;
- სისტემური მუშაობა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად და სხვ.

ამდენად, მოსწავლეთა მეტყველების განვითარება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით სკოლაში მოითხოვს მოსწავლეთა თავისუფალ და შემოქმედებით მიდგომას შესასწავლი საკითხებისადმი, რაც გულისხმობს საერთო ენობრივი ვითარების შეფასებას, ენობრივი და სალიტერატურო ნორმების წინ წამოწევას და სწავლების პრაქტიკულ მიზნებსა და ამოცანებში მათ აქტიურ ჩართვას.

პრაქტიკუმისათვის
სადისკუსიო საკითხები:

- *მეტყველება და აზროვნება. მეტყველებისა და აზროვნების სახეები და კლასიფიკაცია;*
- *თვალსაჩინოების, თხზულებისა და გრამატიკის როლი მოსწავლეთა აზროვნების, ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების საქმეში;*
- *გაკვეთილის ჩატარების არატრადიციული ფორმები და მეთოდები. მათი დახასიათება.*

პრობლემური სწავლება და მისი რეალიზების გზები

➢ **პრობლემური სწავლების ძირითადი ასპექტები.**

პედაგოგიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყალიბდება სწავლების ახალი დიდაქტიკური სისტემა, რომელსაც უამრავი მომხრე ჰყავს მსოფლიოში. ეს არის განმავითარებელი სწავლების დიდაქტიკური სისტემა, რომელიც მრავალ განვითარებად ქვესისტემას მოიცავს. ამ სისტემის მნიშვნელოვანი მახასიათებელია სწავლების პროცესისადმი პრობლემური მიდგომა, მიზანი კი შემოქმედი პიროვნების ფორმირებაა. მოსწავლე პედაგოგიური ზემოქმედების პასიური ობიექტის პოზიციიდან გადადის სწავლების პროცესის სუბიექტში, ამ პროცესის აქტიური მონაწილის პოზიციაში.

განმავითარებელი სწავლების დიდაქტიკურ სისტემაში განათლების ახალი შინაარსი გულისხმობს არა ცალკეული ფაქტების შეთვისებას, არამედ შემეცნებას ისეთი სტრუქტურებისა და სისტემებისა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულნი არიან იდეებით, თეორიებითა და კანონებით.

სიტყვა **პრობლემა** (ძვ. ბერძ. ამოცანა, დავალება) უცხო და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც რთული თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც მოითხოვს ახსნას, შესწავლას, გამოკვლევას, გადაწყვეტას.

პედაგოგიკის სპეციალისტებისა და ფსიქოლოგების მიხედვით, სწორედ პრობლემურ სწავლებაში იქმნება და წყდება სასწავლო პროცესის წინააღმდეგობრიობები.

სასწავლო პრობლემა ეს არის შეთვისების პროცესის ლოგიკურ-ფსიქოლოგიური წინააღმდეგობების ასახვა, რომელიც ავლენს გონებრივი ძიების მიმართულებას, აღვიძებს უც-

ნობის არსის გამოკვლევის ინტერესს და, რომელსაც მივყავ-
ართ ახალი ცნების ან მოქმედების ახალი ხერხის შეთვისები-
საკენ. პრობლემური სწავლება ეს არის განმავითარებელი
სწავლების სახე, რომელიც ერთმანეთს უთავსებს მოსწავლე-
თა დამოუკიდებელ, ძიებით საქმიანობასა და მოსწავლეთა მი-
ერ მზა ცოდნის შეთვისებას.

პრობლემური სწავლება ხასიათდება იმით, რომ მოსწავ-
ლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით მონაწილეობას
ღებულობენ მათთვის ახალი შემეცნებითი და პრაქტიკული
ამოცანების ამოხსნაში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა არის მოსწავლეზე
ორიენტირებული სწავლის სტრატეგია. პრობლემაზე დაფუძ-
ნებული სწავლის პროცესში მოსწავლე გვევლინება არა მხო-
ლოდ როგორც შემმეცნებელი, არამედ როგორც პრობლემის
გადამჭრელი, რომელიც ცდილობს პრობლემის გაგებას, ეძ-
ებს გამოსავალს და ამ პრობლემის მოგვარების საუკეთესო
გზას. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა მიმდინარეობს ღია
და მხარდამჭერ გარემოში, სადაც მოსწავლე არის აქტიური
და საკუთარ თავზე ორიენტირებული, ხოლო მასწავლებელი
გვევლინება როგორც თანამშრომელი, მრჩეველი, ინფორმა-
ციის მიმწოდებელი და შემფასებელი, რომელიც ამავე დროს
მოსწავლეს უჩვენებს პრობლემის გადაჭრის გზებს *[ს. ჯანაშია
მ. წერეთელი...]*.

ნ. ჯაში მიუთითებს, რომ პრობლემური სწავლების დროს
მოსწავლეები კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან ცოდნას.
პრობლემის გადაჭრა კი მოითხოვს აზროვნების ისეთ კომპლ-
ექსურ უნარებს, როგორიცაა ანალიტიკური, შემოქმედებითი
და კრიტიკული აზროვნება. პირველად უნდა მოხდეს პრობლ-
ემის განსაზღვრა, გაანალიზება; შემდეგ უნდა ჩამოვაყალიბ-

ოთ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტები, ბოლოს უნდა ამოვარჩიოთ და განვახორციელოთ პრობლემის გადაჭ-რის საუკეთესო გზა და შევაფასოთ მისი ეფექტურობა.

პრობლემური სწავლება წარმოადგენს მასწავლებლის საქმიანობას, რომელიც მოიცავს პრობლემური სიტუაციების სისტემის შექმნას, სასწავლო მასალის გადმოცემას მისი ახსნი-თა და მოსწავლეთა საქმიანობის შესაბამისი მართვით, სადაც მოსწავლეთა საქმიანობა ორიენტირებულია ახალი ცოდნის შეთვისებაზე, როგორც ტრადიციული, ასევე, სასწავლო პრობ-ლემების დამოუკიდებელი დასმისა და მისი ამოხსნის გზით. პრობლემური სწავლების ორგანიზაციის საფუძველია მოსწავ-ლის ძიებითი სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის პრინციპი, ე. ი. მათ მიერ მეცნიერული დასკვნების, მოქმედებათა ხერხე-ბის, ახალ საგანთა გამოგონების ან ცოდნის პრაქტიკაში გამო-ყენების ხერხების აღმოჩენის პრინციპი *[ჯ. ჯინჯიხაძე].*

პრობლემური სიტუაცია კი ეს არის დაბრკოლების სიტუ-აცია. მოსწავლის გონება ამ სიტუაციაში შეიძლება ჩავარდეს, როცა იგი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდება. ამიტომ პრობ-ლემური სიტუაციის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი მას-წავლებელი უნდა იყოს. მასწავლებელი ამით შეუქმნის მოს-წავლეს ინტელექტუალურ ინტერესს ახალი მასალისადმი და განავითარებს მის გონებრივ უნარს.

მაგრამ ისმის კითხვა როგორ უნდა შექმნას მასწავლებე-ლმა პრობლემური სიტუაცია? იმისათვის რომ ასეთი სიტუაცია შეიქმნას, საჭიროა, პირველ რიგში, მასწავლებელმა მოიხმოს პრობლემური ტიპის ამოცანები. ასეთი ამოცანები კი შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ სიტუაციებს, სადაც საჭიროა

- არჩევანის გაკეთება;
- გადაწყვეტილების მიღება;

- შედარება-შეპირისპირება;
- დაკავშირება-კანონზომიერების აღმოჩენა;
- შეუთავსებლობის აღმოფხვრა;
- ობიექტებზე შეხედულებების შეცვლა;
- ექსპერიმენტის ან ცდის ჩატარება;
- კვლევა-ძიება;
- გადაწყვეტის ორიგინალური გზის ძიება.

სასწავლო პრობლემის ქვეშ ჩვენ გვესმის საკითხი (ხშირად – კითხვა), რომელიც უნდა ამოიხსნას დამოუკიდებელი ძალისხმევით და, რომელიც მიიყვანს მოსწავლეებს ახალ ცოდნამდე ან მოქმედების ახალ ხერხამდე. პრობლემით მოცული ინფორმაციის სისრულის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სახითაა ფორმულირებული პრობლემა – კითხვის, დავალებისა თუ ამოცანის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **პრობლემური სიტუაცია** და **სასწავლო პრობლემა** წარმოადგენს პრობლემური სწავლების ძირითად მდგენელებს, რომლებიც განიხილება როგორც ამ ორი საქმიანობის დიალექტიკური ურთიერთმოქმედება და ურთიერთკავშირი, სადაც თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი დამოუკიდებელი ფუნქციონალური სტრუქტურა.

პრობლემური სწავლება ხასიათდება სამი ძირითადი ასპექტით:

- აუცილებელია სწავლა ეყრდნობოდეს ღიად დასმულ პრობლემურ შეკითხვებს;
- სასურველია მოსწავლეების მუშაობა მცირე ჯგუფებში;
- მასწავლებელი უნდა გვევლინებოდეს ხელშემწყობის, დამხმარეს, მრჩევლის როლში, რის შედეგადაც მოსწავლე აიღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და გახდება აქტიური შემმეცნებელი.

აქედან გამომდინარე, პრობლემური სწავლების მთავარ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ მიზანს წარმოადგენს:

- მოსწავლეთა აზროვნების, შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- მოსწავლეთა მიერ ცოდნისა და უნარების შეთვისება, რომლებიც უნდა გამომუშავდეს აქტიური ძიებისა და დამოუკიდებლად პრობლემის გადაჭრის პროცესში;
- მოსწავლის, როგორც აქტიური, შემოქმედებითი პიროვნების აღზრდა, რომელსაც შეეძლება დაინახოს, დასვას და გადაჭრას არასტანდარტული პრობლემები;
- პროფესიული პრობლემური აზროვნების განვითარება, სადაც კონკრეტულ საქმიანობას გააჩნია თავისი სპეციფიკა.

ს. ლობჟანიძე გვთავაზობს პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების შემდეგ საფეხურებს: პრობლემის გამოკვეთა და განსაზღვრა, პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა, პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მობილიზება, შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება, პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა, შერჩეული სტრატეგიის რეალიზება და პროგრესზე დაკვირვება და შედეგების შემოწმება და შეფასება.

სწავლების ეს საფეხურები ს. ლობჟანიძის მიერ შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

1. **პრობლემის გამოკვეთა და განსაზღვრა** – შეკითხვების – რა, სად, როდის, ვისთან და რატომ – დასმა, რათა მოკლედ აღიწეროს პრობლემა (ტექსტის, დიაგრამის, ფორმულის, ცხრილის გაგება, სხვადასხვა წყაროს ერთმანეთთან დაკავშირება და ა. შ.); პრობლემის დანაწევრება სხვადასხვა შემა-

დგენელ ან დაკავშირებულ პრობლემად; პრობლემის პრიორიტეტების მიხედვით დალაგება.

2. **პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა** – პრობლემის საწყისი საფეხურის აღწერა, დამასრულებელი საფეხურის აღწერა, დასაშვები პროცედურების აღწერა, შეზღუდვების გამოყოფა; პრობლემის წარმოდგენა ხელსაყრელი გზით.

3. **პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მობილიზება** – პრობლემის შესაბამისი ინფორმაციის შერჩევა; პრობლემის გადაქცევა ამოცანად, გამიჯვნა იმისი თუ რა არის ცნობილი და რა საძიებელი; გამოცდილებაზე დაყრდნობით ამოცანის ტიპზე წარმოდგენის შექმნა და, შესაბამისად, საძიებელი არეალის შეზღუდვა; ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ინფორმაციის მოძიება და ორგანიზება.

4. **შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება** – იდეების თავისუფლად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე წარმოჩენა; მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა ორიგინალური იდეის წარმოდგენა.

5. **პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა** – პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შეფასება; თითოეულ სტრატეგიასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის განსაზღვრა; უფრო რეალური და მისაღები სტრატეგიის შერჩევა; შერჩეული სტრატეგიის დამაჯერებლობის დასაბუთება.

6. **შერჩეული სტრატეგიის რეალიზება და პროგრესზე დაკვირვება** – პრობლემის გადაჭრის სამოქმედო გეგმის შემუშავება; პრობლემის გადაჭრის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების ინდიკატორების განსაზღვრა; მოქმედების გეგმის სხვებისათვის გაზიარება და ცვლილებების შეტანა.

7. **შედეგების შემოწმება და შეფასება** – წარმატების ინდიკატორების შემოწმება; ახალი ცოდნის, უნარ-ჩვევების შეფასება.

ა. ნარგიზიშვილი და მ. ნარგიზიშვილი-მიქაძე კი გვთავაზობს პრობლემური, ანუ ინფორმაციულ-ძიებითი სწავლების შემდეგი პრინციპების დაცვას:

- **ინფორმაციის მიწოდება** – მასწავლებლის მიერ ახალი სასწავლო ინფორმაციის მიწოდება;
- **პრობლემური კითხვა** – კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემა მხოლოდ აქტიური აზროვნების, ძიების შედეგად არის შესაძლებელი;
- **პრობლემური სიტუაცია** – აზროვნების უმაღლეს დონეზე დაძაბვა წამოჭრილი პრობლემის – მოვლენების, ფაქტების განვითარების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისათვის – პასუხის გაცემა კითხვაზე – რატომ?
- **შემეცნებითი ამოცანა** – მოვლენის, ფაქტის მოკლე აღწერა, კითხვის დასმით მათი განვითარების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისათვის.
- **ჰიპოთეზების ჩამოყალიბება** – სავარაუდო პასუხის ფორმულირება, რომელიც კვლევის, ძიების, მსჯელობის გზით მიიღწევა.
- **ევრიკა** – „აღმოვაჩინე“– დასმული, წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტა, სწორი პასუხის ფორმულირება.
- **პრობლემის გადაწყვეტა** – ამბის, მოვლენის განვითარების, შედეგის კანონზომიერების დადგენა – მსჯელობის გზით ახალი ცოდნის მიღება.

როგორც ვხედავთ, **პრობლემური სწავლება** ეს ისეთი სწავლებაა, რომლის დროსაც ხდება ახალი ცოდნის მოპოვე-

ბა და მოქმედების ახალი ხერხების ფორმირება, მოსწავლეთა გონების დამოუკიდებელი მუშაობის გზით. ასეთი სწავლების იდეის რეალიზაციისათვის კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის აზროვნების ფსიქოლოგიური მექანიზმების გამოკვლევას. ფსიქოლოგები და პედაგოგიკის სპეციალისტები სწორად მიუთითებენ, რომ აზროვნება ჩაისახება მოქმედებაში და იგი თავისი არსით ქმედითი პროცესია.

შეიძლება ითქვას, რომ პრობლემური სწავლება წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ვასწავლოთ მოსწავლეს აზროვნება აზროვნების შესახებ, რომელიც მოიცავს პრობლემის არსებობის აღიარებას, გაცნობიერებას, შესაბამისი სტრატეგიის შერჩევას, გონებრივი რესურსების თანაბრად განაწილებას, პრობლემის გადაწყვეტის მსვლელობის კონტროლსა და ეფექტიანობის შეფასებას. როდესაც მეტაკოგნიცია ეხება საკუთარი სწავლის პროცესების გაცნობიერებას, ხდება სწავლა, ანუ მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვა, რომელიც მოიცავს სწავლის დაგეგმვასა და შეფასებას.

- **პრობლემური გაკვეთილის დაგეგმვა და სწავლების მეთოდები.**

პრობლემური გაკვეთილი არის ისეთი გაკვეთილი, რომელზეც იქმნება პრობლემური სიტუაციები, ხდება პრობლემათა ჩამოყალიბება და გადაწყვეტა. პრობლემური სიტუაცია კი ეს არის სუბიექტისა და ობიექტის აზროვნებითი ურთიერთმოქმედების განსაკუთრებული სახე და ხასიათდება ისეთი ფსიქიკური მდგომარეობით, რომელიც მოითხოვს მოინახოს ახალი, სუბიექტისათვის ჯერ კიდევ უცნობი ცოდნა ან მოქმედების ხერხი.

პრობლემური გაკვეთილის ლოგიკა იგება, როგორც კვლევითი ძიების ეტაპების ტრანსფორმირებული ლოგიკა:

- მოსამზადებელი ეტაპი (ცოდნის გარკვეული მარაგისა და აზროვნების აუცილებელ ოპერაციათა დაგროვება);
- პრობლემური სიტუაციების შექმნა, მისი აღქმა და გააზრება მოსწავლეთა მიერ (კითხვების დასმა, დავალების შეთავაზება, ექსპერიმენტის ჩატარება სავარჯიშოების სახით);
- პრობლემის დასმა და მისი მიღება მოსწავლეთა მიერ;
- ჰიპოთეზისა და მისი დასაბუთების ხერხების წამოყენება;
- ძიების გეგმის შედგენა;
- აუცილებელი ცოდნის აქტუალიზაცია, ძიება იმ სიახლისა, რომელიც უნდა მიემატოს აქტუალიზებულ ცოდნას, რათა ამოიხსნას პრობლემა.
- პრობლემური სიტუაციის ამოხსნა და გადაწყვეტა შესაძლო მიდგომების გამოყენებით (მასწავლებლის ხელმძღვანელობით; ჯგუფური ან დამოუკიდებელი, ინდივიდუალური);

- შედეგების შემოწმება და განხილვა;
- გამოტანილი დასკვნების სიმართლის არგუმენტირება.

პრობლემური გაკვეთილის აგებისათვის მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს პრობლემათა ორი ტიპი: **დახურული** და **ღია**.

დახურული პრობლემა იმით ხასიათდება, რომ მისი ამოხსნისათვის ყველა მონაცემი არსებობს. მოსწავლისათვის საკმარისია შეასრულოს ლოგიკური გარდაქმნები, რომ მივიდეს ახალ ცოდნამდე.

ასეთი სახის პრობლემები ხშირად გვაქვს ლიტერატურის გაკვეთილებზე. მაგალითისათვის ნაწარმოების მოქმედ პირთა დახასიათების საკითხიც კმარა. როგორც ვიცით, დიდი მნიშვნელობა აქვს დადებითი პერსონაჟების დახასიათებას. ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებში მიმზიდველად და საინტერესოდ დახატულ პერსონაჟებს მოსწავლეებზე დადებითი ზემოქმედების ძალა აქვთ. ისინი მისაბაძნი არიან მათთვის. მაგრამ აღმზრდელობითი თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია უარყოფითი პერსონაჟებიც. მათი მოქმედება მოსწავლეებში სიძულვილს იწვევს, მათში უარყოფითი ქმედებისადმი პროტესტის გრძნობა აღმოცენდება ხოლმე. ეს კი მოსწავლის პიროვნულ განვითარებაში არ შეიძლება დადებითი ფაქტორი არ იყოს.

მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება არათანმიმდევრული ხასიათის მქონე პერსონაჟებიც, რომლებიც ზოგჯერ დადებით თვისებებს ავლენენ, ზოგჯერ – უარყოფითს. ამ რთულ სახეთა დახასიათება პედაგოგიურ პროცესში იძლევა დაკვირვების, ანალიზის, სინთეზის, განზოგადების, ძიების, კრიტიკული მიდგომის უნარისა და ლოგიკური აზროვნების განვითარებისათვის შესაფერისი სიტუაციების შექმნის საშუალებას.

მოსწავლეს შეიძლება მიეცეს მაგალითად ასეთი სახის დავალება: „შეადარეთ ერთმანეთს, როგორ ახასიათებს ლიტერატურულ პერსონაჟს ავტორი და როგორ ახასიათებს პერსონაჟი საკუთარ თავს. გამოიტანეთ სათანადო დასკვნა!“

პრობლემური სიტუაციები შეიძლება შეიქმნას როგორც ინდივიდუალური, ისე შედარებითი და ჯგუფური დახასიათების სწავლებისას. აქ შესაძლოა მოსწავლეთა გონებრივ-ლოგიკური გარდაქმნების შედეგად ერთი პერსონაჟის დახასიათებიდან მეორე პერსონაჟის დახასიათებაზე გადასვლა.

ღია პრობლემა ხასიათდება იმით, რომ მოსწავლეს არ ძალუძს მისი ამოხსნა მხოლოდ იმ ცოდნის ბაზაზე, რომელიც მას გააჩნია. მისთვის აუცილებელია ახალი ცოდნის, მოქმედების ახალი ხერხების ძიება. პრობლემის ტიპის შერჩევა დამოკიდებულია გაკვეთილის დიდაქტიკურ მიზანზე. ახალი მასალის შეთვისება თხოულობს ღია პრობლემას, ხოლო განზოგადება, სისტემატიზაცია – დახურულს.

მოსწავლეები გარკვეული გამოცდილებისა და მიღებული ცოდნის გააზრების საფუძველზე იძლევიან სავარაუდო მოსაზრებებს, განაზოგადებენ ადრე მიღებულ ცოდნას, ავლენენ მიზეზებს, ხსნიან მის წარმოშობას, არჩევენ უფრო რაციონალურ ვარიანტს პრობლემური სიტუაციის გადასაწყვეტად.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ერთ-ერთ წამყვან მეთოდს წარმოადგენს **საუბრის** (ვერბალური) მეთოდი. საგულისხმოა, რომ სწავლების ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენებოდა ძველ საქართველოში.

ი. ბასილაძე წიგნში „ქრისტიანული პედაგოგიკის საგანი, ამოცანები, პრინციპები და მეთოდები“ წერს, რომ ჯერ კიდევ მე-5, მე-10 საუკუნეების სწავლებაში, ძირითადად, დიალოგის (კითხვა-პასუხის) უპირატესობა იყო აღიარებული. XI-XII საუ-

კუნეებში კი ქრისტიანულ პედაგოგიკაში უმეტესად გავრცელებული იყო „**კითხვა-მიგების**“ მეთოდი, რაც ლოგიკურ მსჯელობას მოითხოვდა.

საუბრის მეთოდის გამოყენებით შეიძლება როგორც ახალი მასალის ახსნა, ასევე გადაცემულის ათვისების შემოწმება, მისი განმარტება და სისტემაში მოყვანა. პედაგოგიკაში ეს მეთოდი ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით, კერძოდ: **სოკრატული მეთოდი**, **ევრისტიკული მეთოდი**, **კატეხიზაციის მეთოდი**, **კითხვა-პასუხის მეთოდი**.

ტერმინი **სოკრატული მეთოდი** უკავშირდება ბერძენ ფილოსოფოსის სოკრატეს სახელს. სოკრატე მას მიმართავდა როგორც ჭეშმარიტების ძიების, შემეცნების გზას. ეს მეთოდი ითვალისწინებს დიალოგს, დისკუსიას, დებატებს და სხვ. სოკრატული მეთოდი თავისი არსით ძიებითია და ამ სახით იგი სწავლებაში ერთ-ერთ წამყვან მეთოდსაც წარმოადგენს.

კონსტანტინე უშინსკი თავის დროზე მიუთითებდა, რომ თუ პედაგოგს სურს ბავშვმა ნათლად და ნამდვილად შეითვისოს რომელიმე ახალი აზრი, ყველაზე უკეთესად იგი ამას შესძლებს სოკრატეს ხერხით.

სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელი ვალდებულია დასვას მხოლოდ პრობლემური კითხვები. აქ მოითხოვება მოსწავლეთა აზროვნება, რომ ისინი დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით მოსწავლეებმა თავისუფლად, ყოველგვარი წნეხის გარეშე უნდა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, შეთხზან ჰიპოთეზები და ვერსიები, გაანალიზონ ერთმანეთის არგუმენტები.

გაკვეთილზე მასწავლებლის მოვალეობაა:

- დასვას პრობლემური კითხვები;

- მოცემული მოვლენის (ფაქტის) საილუსტრაციოდ როგორც დამხმარე, ისე საწინააღმდეგო მაგალითების (ნიმუშების) მოხმობა;
- კრიტიკულად განიხილოს მოსწავლეთა არგუმენტები;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ჩართულობას დისკუსიაში;
- მისცეს სტიმული მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას.

გაკვეთილზე მოსწავლეების მოვალეობაა:

- დამოუკიდებლად განახორციელონ ფაქტებისა და ცნებების ანალიზი;
- სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება;
- საკუთარ არგუმენტებზე დაყრდნობით შესაბამისი დასკვნის ან შეფასების გაკეთება.

პრობლემური გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებლის მიერ აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი დიდაქტიკური პირობები, რომელთა დაცვა ასეთ გაკვეთილს გაცილებით უფრო ეფექტურს გახდის:

- მოსწავლეებში გარკვეული ცოდნისა და გონებრივი მოქმედების ხერხების დომინანტობა;
- პრობლემური ამოცანების ადეკვატურობა სასწავლო მასალის შინაარსსა და ლოგიკასთან, მოსწავლის გონებრივ შესაძლებლობებთან;
- ცოდნის შეთვისების ინფორმაციულ-რეპროდუქციული და პრობლემური გზების გონიერი შეხამება-შერწყმა;
- მუშაობის გუნდური, ჯგუფური, ინდივიდუალური ფორმების მოქნილობა.

თუ პრობლემურ სწავლებაში ნაკლოვანებები და ხარვეზებია, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი სწავლების არსი არ არის სწორად გაგებული მასწავლებლის მიერ, ან დაცული არ არის რომელიმე დიდაქტიკური პირობა. მასწავლებლის მიერ დასმული პრობლემა მოსწავლისაგან თხოულობს არამარტო ცოდნას, არამედ მსჯელობისა და დამტკიცების ხერხებსაც. თუ მოსწავლეები მათ არ ფლობენ, პრობლემას ვერ ამოხსნიან.

პრობლემური სწავლების პროცესში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მასწავლებლის მიერ აუცილებელია და სასურველი გამოიყენებოდეს სწავლების **პრობლემურ-ძიებითი** მეთოდები.

პრობლემურ-ძიებითი მეთოდები ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში თვალსაჩინო, ვერბალურ (სიტყვიერ) და პრაქტიკულ მეთოდებთან ერთად. ამასთან კავშირში საჭიროა, განვიხილოთ ისეთი მეთოდებიც, როგორებიცაა:

- სასწავლო მასალის პრობლემურობის წინ წამოწევა;
- პრობლემურ-ძიებითი და ევრისტიკული საუბრები;
- პრობლემურ-ძიებითი ტიპის თვალსაჩინო მეთოდები;
- ძიებითი სახის პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება და სხვ.

პრობლემური სწავლების ძირითად მეთოდებს წარმოადგენს **პრობლემურ-ძიებითი** და **ევრისტიკული საუბრები**. ამ მეთოდების გამოყენებისას მასწავლებელი მოსწავლეების წინაშე აყენებს მთელ რიგ თანმიმდევრულ და ურთიერთმაკავშირებელ კითხვებს, რომლებსაც მოსწავლეებმა

- უნდა უპასუხონ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება;
- შეძლონ თავიანთი მოსაზრების დამტკიცება და შესაბამისი არგუმენტებით გამყარება;

- დამოუკიდებლად განახორციელონ წინსვლა ახალი ცოდნის დაუფლებისაკენ.

თუკი ევრისტიკული საუბრის პროცესში მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები ეხება მხოლოდ ახალი თემის (მასალის) ერთ რომელიმე მთავარ საკითხს, ამავდროულად წყდება პრობლემური სიტუაციების მთელი სერია.

მეთოდთა ეს სახეობები საკუთარ თავში რთავს ისეთ კერძო შემთხვევებს, როგორიცაა მასალის პრობლემური გადმოცემის (თხრობის, დალაგების), ნაწილობრივ-ძიებით (ევრისტიკულს) და კვლევით მეთოდებს.

აქედან გამომდინარე შეიძლება გვქონდეს პრობლემური სწავლების სამი ფორმა: **მასალის პრობლემური გადმოცემის (თხრობის)**, **ერთობლივი სწავლების** და **კვლევით-შემოქმედებითის**.

1. **მასალის პრობლემური გადმოცემის** (თხრობის) **მეთოდის** გამოყენებისას, მასწავლებელი ამტკიცებს, განაზოგადებს, აანალიზებს ფაქტებს და მიმართავს მსმენელთა აზროვნებას თავისაკენ, რათა გახადოს ის კიდევ უფრო ეფექტური და შემოქმედებითი. ამ მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეების წინაშე შექმნას პრობლემური სიტუაციები, დასვას კითხვები და უჩვენოს სასწავლო პრობლემების გადაჭრის გზები, უბიძგოს მოსწავლეებს დამოუკიდებელი შემეცნებითი საქმიანობისაკენ. ამით იგი გზას უღობავს წინააღმდეგობრიობის წარმოქმნას.

მოცემულ მომენტში მოსწავლეთა დამოუკიდებლობა შეიძლება არც თუ ისე მაღალი იყოს. ისინი მხოლოდ თვალყურს ადევნებენ ძიებით პროცესს, რომელსაც ეწევა მასწავლებელი და, რომელიც არა მხოლოდ აცნობებს ფაქტებს და აკეთებს დასკვნებს, მაგალითად, ახსნით-ილუსტრაციული მოთხრობის

მიხედვით, არამედ განიხილავს და უჩვენებს მოსწავლეებს როგორ იაზროვნონ, ქმნის ძიებით ატმოსფეროს.

ახსნით-საილუსტრაციო მეთოდის ძირითადი დანიშნულებაა მოსწავლეების მიერ ინფორმაციის შეთვისების უნარი, რომელიც ხორციელდება მასწავლებლის მიერ ინფორმაციის ზეპირი გადაცემის, წერილობითი წყაროების, თვალსაჩინო საშუალებების გამოყენების გზით *[ი. ბასილაძე]*.

მოცემული მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს პროცესის მეცნიერული შემეცნების ნიმუში: მოსწავლეები თვალყურს ადევნებენ პრობლემური საკითხის ლოგიკურ გადაწყვეტას, ეცნობიან მეცნიერული აზროვნების მეთოდებსა და საშუალებებს.

2. პრობლემური გადმოცემის მეთოდი ორგანულად უკავშირდება **ერთობლივი სწავლების** მეთოდს – ეს არის **ძიებითი საუბარი**. ძიებითი საუბარი პრობლემური სწავლების ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდია, რომელიც უმეტესწილად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში გაცილებით უფრო ეფექტური ხდება მოსწავლეთა დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნება. პედაგოგიურ ლიტერატურაში ამ მეთოდს ზოგჯერ **ნაწილობრივ-ძიებით** ანუ **მცირე-ძიებით** მეთოდსაც უწოდებენ. მთავარია მოსწავლეებმა იცოდნენ არა მხოლოდ ფაქტების განზოგადება, არამედ მათი მტკიცე და საფუძვლიანი გამოყენება ცოდნის ათვისება-დაუფლებაში.

ნაწილობრივ-ძიებითი (ევრისტიკული) მეთოდები ეს არის მასწავლებლის კითხვებისა და მოსწავლეთა პასუხების ლოგიკური ურთიერთკავშირი თავისი ყველა პარამეტრით, რაც აისახება პრობლემების დასმასა და მათ გადაჭრაში, ახლის დაუფლებასა და გაცნობიერებაში.

ევრისტიკა (ბერძ. **heurisko** ვპოულობ) ეს არის გამოკვლევისა და სწავლების ხერხები, რომელთა მიხედვითაც ჭეშმარიტება უნდა გამომჟღავნდეს სათანადო მისახვედრი კითხვების დახმარებით. იგი თეორიული გამოკვლევის ლოგიკური ხერხებისა და მეთოდთა სისტემას წარმოადგენს.

ევრისტიკული მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების გადაწყვეტის შედეგის წინასწარ ცოდნას. იგი მოითხოვს არა მარტო შეძენილი ცოდნის აღდგენას, არამედ დასახული პრობლემის გადასაჭრელად მცირე ძიების განხორციელებსაც *[ი. ბასილაძე].*

ნაწილობრივ-ძიებითი ანუ ევრისტიკული მეთოდების გამოყენების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელი ანაწევრებს სასწავლო პრობლემურ დავალებას ქვეპრობლემებად, ხოლო მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ ძიების გზით წყვეტენ მას. თითოეული ნაბიჯი წარმოადგენს მოსწავლის შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ პრობლემის მთლიანი გადაჭრა ამ შემთხვევაში არ ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მეთოდი შედგება ურთიერთმაკავშირებელი კითხვებით და ემსახურება პრობლემური საკითხის, დავალების ან ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას, რომელიც ხორციელდება ევრისტიკული საუბრის გზით.

ნაწილობრივ-ძიებით მეთოდებში შედის:

- **სიტყვიერ-ინდუქციური** – ევრისტიკული საუბარი, მიმართული დასკვნისაკენ, ზოგადისაკენ.
- **თვალსაჩინო-ინდუქციური** – თვალსაჩინოებების (ილუსტრაციების, სქემების, ტაბულების) გამოყენების გზით სვლა კერძოდან ზოგადისაკენ.

- **პრაქტიკულ-ინდუქციური** – მასალის, საკითხის წერილობით, პრაქტიკულად შესრულება, მისი კომენტირება და შესაბამისი დასკვნის გაკეთება.
- **სიტყვიერ-დედუქციური** – მაგალითების, სავარჯიშოებისა და ფაქტების ძიება დაფუძნებული წესებსა და კანონებზე.
- **თვალსაჩინო-დედუქციური**–თვალსაჩინოებების (ილუსტრაციების, სქემების, ტაბულების) საფუძველზე შერჩეული მაგალითები, ფაქტები და სხვ.
- **პრაქტიკულ-დედუქციური** – შესწავლილი წესის, განსაზღვრების, კანონის დასასაბუთებლად პრაქტიკული ქმედება – მაგალითების, ფაქტებისა და არგუმენტების მოძიება.
- **სიტყვიერ-ტრადუქციული** – საერთო, მსგავსი ნიშან-თვისებების გადატანა ახლის გასაგებად ზეპირი გზით.
- **თვალსაჩინო-ტრადუქციული** – თვალსაჩინო საშუალებების გამოყენებით საერთო, მსგავსი ნიშან-თვისებების გადატანა ახლის გასაგებად.
- **პრაქტიკულ-ტრადუქციული** – ახალი მასალის დაუფლება პრაქტიკული (სავარჯიშოები, დავალებები, აღწერა) გზით.

მეთოდთა ეს კლასიფიკაცია სქემატურად შეიძლება ასეთნაირად გამოისახოს:



3. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე **კვლევითი** მეთოდების გამოყენებისას მოსწავლეებს ეძლევათ შემეცნებითი სახის დავალება, რომელსაც ისინი წყვეტენ შერჩეული მეთოდების საშუალებით დამოუკიდებლად. ასეთი სახის დავალება გვთავაზობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის მთლიან ციკლს:

- ინფორმაციების შეგროვება და მათი ანალიზი;
- საკვლევი საგნის (თემის) კონცეპტუალური გააზრება;
- სასწავლო პრობლემების დასმა და მათი გადაჭრა;
- გადაწყვეტილების გადამოწმება;
- ახალი ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში.

კვლევითი მეთოდები ემსახურება იმას, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად ჩაწვდნენ წამყვან იდეებსა და ცნებებს, დამოუკიდებლად დაგეგმონ თავიანთი კვლევები და ივარაუ-

დონ შესაძლო შედეგები, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, განუვითარდეთ შემოქმედებითი უნარ-ჩვევები. ამასთან, ისინი ეუფლებიან მეცნიერული აზროვნების მეთოდებს და იღებენ კვლევით-შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილებას.

აქედან გამომდინარე, კვლევითი მეთოდების ძირითადი ფუნქციებია:

- შემოქმედებითი ძიების ორგანიზება და ცოდნის გამოყენება;
- მეცნიერულ-შემეცნებითი მეთოდების დაუფლება საქმიანობრივ-ძიებით პროცესში;
- ინტერესთა ფორმირება და მოთხოვნილება შემოქმედებითი საქმიანობისადმი.

კვლევით მეთოდებს განეკუთვნება:

- **სიტყვიერ-ინდუქციური** – წიგნზე მუშაობა შესაბამისი მასალის მოსაძიებლად.
- **თვალსაჩინო-ინდუქციური** – თვალსაჩინოების (ილუსტრაციების, სქემების, ტაბულების) თვითანალიზი საერთო დასკვნის გამოსატანად.
- **პრაქტიკულ-ინდუქციური** – წერითი სავარჯიშოების, დავალების შესრულება, პრაქტიკული ქმედება საერთო დასკვნის გამოსატანად.
- **სიტყვიერ-დედუქციური** – წესის, განსაზღვრების, კანონის სისწორის დამტკიცება.
- **თვალსაჩინო-დედუქციური** – შესაბამისი თვალსაჩინოებების გზით წესის, განსაზღვრების, კანონის სისწორის დამტკიცება.
- **პრაქტიკულ-დედუქციური** – პრაქტიკული ქმედებებით დავალებებისა და სავარჯიშოებების შესრულების გზით წესის, განსაზღვრების, კანონის სისწორის დამტკიცება.

- **სიტყვიერ-ტრადუქციული** – ზეპირი გზით მსგავსი ფაქტების, მაგალითებისა და სავარჯიშოების გამოყენება, ანუ ანალოგიებით მსჯელობა.
- **თვალსაჩინო-ტრადუქციული** – შესასწავლი მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე მსგავსი, ანალოგიური თვალსაჩინოებების გამოყენება.
- **პრაქტიკულ-ტრადუქციული** – მოსწავლეთა მიერ მოძიებული მსგავსი სავარჯიშოების, დავალებების, ფაქტებისა თუ მოვლენების პრაქტიკულად განხორციელება.

მოცემული ცნებებისათვის სამართლიანია ზემოთ წარმოდგენილი სქემა.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, სწავლების პროცესში **პრობლემურ-ძიებით** მეთოდებთან ერთად აქტიურად შეგვიძლია გამოვიყენოთ თვალსაჩინოებების საშუალებებიც, რომელებიც ემსახურება ამა თუ იმ პრობლემური თემის (საკითხის) უკეთ გაშუქებასა და დამახსოვრებას. ხოლო ექსპერიმენტული დავალებების მიცემა იწვევს პრობლემური სიტუაციების შექმნას გაკვეთილზე.

თანამედროვე დიდაქტიკა ყველაზე უფრო მეტად მოითხოვს **თვალსაჩინო საშუალებების** გონივრული გამოყენების მრავალვარიანტულობას, რომელიც იძლევა საშუალებას განმავითარებელი ეფექტურობის თვალსაზრისით მიღწეულ იქნას შედეგი საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საქმიანობაში. მისი ძირითადი მიზანია სწავლება გახადოს ადვილი, ეფექტური და მიმზიდველი. აღნიშნული მეთოდი აძლევს ორიენტირს მასწავლებლებს, რომ შესაბამისი თვალსაჩინო საშუალებების გამოყენებით განუვითარონ მოსწავლეებს აბსტრაქტული აზროვნება.

სამართლიანად მიუთითებდა თავის დროზე კ. უშინსკი სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების მნიშვნელობის შესახებ. მისი აზრით, თვალსაჩინოება ეს ისეთი სწავლებაა, რომელიც ემყარება არა განყენებულ წარმოდგენებსა და სიტყვებს, არამედ ბავშვის მიერ უშუალოდ აღქმულ კონკრეტულ სახეებს... სწავლების ასეთი გზა კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ, წარმოდგენებიდან აზრისაკენ, იმდენად ბუნებრივია და ისეთ ნათელ ფსიქიკურ კანონებს ემყარება, რომ მისი აუცილებლობის უარყოფა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც საერთოდ უარყოფს, რომ სწავლება საჭიროა შევუსაბამოთ ადამიანის ბუნების მოთხოვნებს და საერთოდ ბავშვისას განსაკუთრებით.

იოჰან გენრიხ პესტალოცის შეხედულებით სწორად დანახვა და გაგონება არის პირველი ნაბიჯი ცხოვრების სიბრძნისაკენ.

ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი თვალსაჩინოების გამოყენებისას მოითხოვდა ზომიერების დაცვას. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ თვალსაჩინოების გამოყენებისას გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ასაკი, რაც უფრო მეტად მატულობს ასაკი, იმდენად მას ნაკლები ანგარიში უნდა გაეწიოს, რათა არ შეფერხდეს აბსტრაქტული აზროვნების განვითარების პროცესი.

ვ. რამიშვილი თავის დროზე მიუთითებდა, რომ თვალსაჩინოების გზით მიწოდებული მასალა სათანადო ემოციებს იწვევს ბავშვში. ცნობილია, რომ ემოციის როლი ათვისებაში საკმაოდ დიდია. ის, რაც ბავშვის გრძნობაზე დადებითად მოქმედებს, იწვევს მასში გარკვეულ ხალისსა და ინტერესს, ყურადღების აქტივობას, ცხადია, ათვისების ეფექტსაც ამაღლებს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში თვალსაჩინოების როლისა და მნიშვნელობის შესახებ არაერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი აზრი აქვთ გამოთქმული სხვა ქართველ მეთოდისტებსაც.

სწავლების თვალსაჩინო მეთოდების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ზემოთ აღნიშნულ მეთოდებს. ეს ურთიერთკავშირი მომდინარეობს იქიდან, რომ ობიექტური რეალობის შეცნობის დიალექტიკური გზა გვთავაზობს ცოცხალი ჭვრეტის, აბსტრაქტული აზროვნებისა და პრაქტიკის ერთიანობაში, ერთ მთლიანობაში გამოყენებას.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე პრობლემურ-ძიებითი სავარჯიშოები შეგვიძლია გამოვიყენოთ იმ შემთხვევაშიც, როცა მოსწავლეებს შეუძლიათ მასწავლებლის მოცემული დავალება შეასრულონ დამოუკიდებლად, განსაზღვრონ მოქმედების სახეები, რომლებსაც მიჰყავს ისინი ახალი ცოდნის დაუფლებისაკენ. პრობლემურ-ძიებითი სავარჯიშოები გამოიყენება არა მხოლოდ ახალი მასალის ასათვისებლად, არამედ ემსახურება ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავება-განმტკიცების საქმეს.

პრაქტიკუმისათვის
სადისკუსიო საკითხები:

- *პრობლემური სწავლების არსი და მისი დახასიათება;*
- *პრობლემური გაკვეთილის სტრუქტურა, პრობლემათა ორი ტიპი;*
- *პრობლემური სწავლების ძირითადი ფორმები და მეთოდთა კლასიფიკაცია.*

რევაზ ინანიშვილი

დედა

დედაზე მე ისეთი რა უნდა ვთქვა, მაგრამ ჩემი მოსაყოლი მაინც უნდა მოვყვე.

შარშან, გვიან შემოდგომაზე, ნოემბერში, ჩემს სოფელში ჩავედი. დამხვდა საცოდავი დედაჩემი – თითებდამჭკნარი, მაჯებდაწვრილებული. მაინც მიღიმოდა და ისე მეუბნებოდა, – ხან ვნევარ, შვილო, ხან აი, ასე დავრაცრაცებო.

ვიყავი ერთ ღამეს და ერთ დღეს – თითქოს ეზო-ყორეს მოწესრიგებით გართული, სინამდვილეში კი რაღაც ცოდვით შეწუხებული. მეორე საღამოს, უკვე შებინდებულზე წამოვედი.

ჩვენიდან რკინიგზის სადგურამდე ოთხ კილომეტრამდე გზა არის, სულ თავქვე-თავქვე, აქედან კიდევ – აღმართი. გამიმართა დედაჩემმა ძველებური ფარანი, ამინთო: – სადგურში რომ ჩახვალ, მორიგესთან დატოვე და ვინმეს ამოვატანინებ მერეო.

დავიწყე მე სიცილი:

– რა ფარანი მინდა, დედა, ორმოცი წელიწადია, ამ გზაზე დავდივარ, სულ ქვა-ქვა ვიცი-მეთქი ყველაფერი.

– არაო, შვილოო, ახლა სულ შეცვლილია, სად რას აკეთებენ, სად რასო, თან მოლინჭყულია, ფეხი ცურავსო.

ბევრი მეხვეწა, მაგრამ არ წამოვიღე ის ფარანი. გამომაცილა კი კარგა მანძილზე, სანამ დიდი დაღმართი დაიწყებოდა. მომყვებოდა იმ წკვარამში, მინათებდა გზას და თან სულ მარიგებდა დედურად. დიდ დაღმართთან თვითონვე შეჩერდა, ასწია ფარანი ცოტაზე, – წაიღე, შვილოო, – შემეხვეწა ერთხელაც. მე გადავკოცნე ღიმილით: – წადი-მეთქი ახლა! – მივაბრუნე, თითქოს გაბრუნდა, წავიდა კიდეც, მივიხედე და დგას ისევ, მაღლა უჭირავს ფარანი, მეორე ხელიც შეუშველებია. – წადი-მეთქი, წადი! გაბრუნდა, წავიდა. მე თავქვეზე დავეშვი. ზურგჩანთა მკიდია, თითქმის მივრბივარ, მივიხედავ უკან და, რამდენსაც მივიხედავ, იმ წკვარამში იმ ფარნის შუქი ისევ ერთ ადგი-

ლას დგას, ალბათ, მეჩვენება-მეთქი, გავჩერდები, ვაკვირდები, შუქი მაინც არ იძვრის.

– დე-დაა! დე-დაა!

არავითარი ჩქამი! ნიავი სახეში მცემს, ჩემი ხმა იქამადე ვერ ააღწევს.

ისე ჩავედი სადგურში, ისე ავედი მატარებელში, ის შუქი მხოლოდ პატარავდებოდა და არ იძვროდა. ვუყურებდი ვაგონის ფანჯრიდანაც და ვწყრებოდი დედების სიუჯიუტეზე.

ის იყო და ის – ცოცხალი არ მინახავს დედაჩემი. დეკემბრის თექვსმეტში, ღამით, თერთმეტ საათზე, უწვალებლივ დალია სული და დამრჩა იმ ფარნის შუქი სამუდამო დარდად.

რატომ იდვა იქ, იმ აღმართის თავზე, სიბნელეში და სიცივეში იმდენ ხანს? ნუთუ მართლა იმას ფიქრობდა, რომ ცოტათი მაინც მინათებდა ფარნით გზას?! ნუთუ ეგონა, ცუდი რომ რამე მომწეოდა, უთუოდ მისწვდებოდა ქვემოდან ხმა?! თუ სულაც ცუდად გახდა, ჩაჯდა, ვეღარ წამოდგა და იყო ასე, ფარანზე დაყრდნიბილი?! კიდევ უარესი – სამუდამოდ ხომ არ მეთხოვებოდა იმ ფარნით?!

დავუნთებ ხოლმე სანთელს, დავიჩოქებ, მაგრამ ვერაფერს ვშველი ჩემს დარდს...

ტექსტის გააზრებისა და ლოგიკური აზროვნებისათვის

საცოდავი * თითებდამჭკნარი * მაჯებდაწვრილებული * დავრაცრაცებდი * მეორე ხელიც შეუშველებია . . . . . .

– ვისზე და რაზე მიუთითებს ჩამონათვალი?

✓ **„დედაზე მე ისეთი რა უნდა ვთქვა“**, – ასე იწყება ნოველა.

აქ სიტყვას **„ისეთი“** განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. შეგიძლია ახსნა?

– **ვიყავი ... რაღაც ცოდვით შეწუხებული**, – გვეუბნება ნოველის გმირი. რა უნდა ყოფილიყო ეს **რაღაც**?

– **რატომ იდგა იქ, იმ აღმართის თავზე, სიბნელეში და სიცივეში იმდენ ხანს?** – შვილის მიერ საკუთარი თავის მიმართ დასმულ ამ კითხვას შენ როგორ უპასუხებ? მიზეზი უსათუოდ ერთი შეიძლება იყოს თუ რამდენიმეც?

– რას უნდა გამოეწვია შვილის უსაშველო დარდი?

– **„ხან ვწევარ, შვილო, ხან აი, ასე დავრაცრაცებო“**, – ამბობს დედა.

– **„ვიყავი ერთ ღამეს და ერთ დღეს... უკვე შებინდებულზე წამოვედი“**, – ნაღვლიანად გვაუწყებს შვილი.

– რა ლოგიკური კავშირია მოცემულ ორ წინადადებას შორის და რა დასკვნამდე მივყავართ?

ნოველა (იტალიურად – მცირე მოთხრობა) ეპიკური ჟანრის მინიატურული ნაწარმოები, მცირე ფორმის მოთხრობა, სადაც ადამიანის ცხოვრების მხოლოდ ერთი მომენტი, ერთი შემთხვევაა აღწერილი.

პრობლემური კითხვა

– დგას თუ არა მოთხრობაში მარტოობის პრობლემა და არსებობს თუ არა გამოსავალი?

დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
იმითა გვტანჯავს გამჩენი,
სულ მუდამ გვაცოდვილებსა!

„ლეექსო ამოგთქომ“

წერითი მუშაობისათვის

1. **დედის სახე ლიტერატურასა და ხელოვნებაში** – რაც მახსენდება!
2. **მაპატიე, დედა!** – გულწრფელი აღსარება.
3. კლასიდან სამი მოსწავლე, საკუთარი არჩევანით, ერთი კვირის განმავლობაში მოიძიებს მასალებს მსოფლიო შედევრზე: **მიქელანჯელოს „პიეტა“ – ქრისტეს დატირება**.

შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ტექნოლოგია

- **განმავითარებელი სწავლების არსი, როლი და მნიშვნელობა.**

დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე განმავითარებელი მეცადინეობების სისტემატური ჩატარება თამაშობითი და კვლევით-ძიებითი მეთოდების გამოყენებით, გაცილებით უფრო მაღალეფექტურს გახდის საგანმანათლებლო პროცესს. ასეთი მიდგომა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებს შევუქმნათ პირობები შემეცნებითი ინტერესების განსავითარებლად, ჰქონდეთ მისწრაფება ფიქრისა და ძიებისაკენ, გახდნენ დარწმუნებული საკუთარ ძალებში და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში. ასეთი მეცადინეობის წარმართვის დროს მოსწავლეებში ხდება თვითშემეცნებისა და თვითკონტროლის ფორმათა განვითარება, ქრება განცდები და შიში შეცდომის დაშვებისა, და მის მაგივრად იქმნება აუცილებელი პიროვნული და ინტელექტუალური წანამძღვრები სასწავლო პროცესის წარმატებით ორგანიზებისათვის შემდგომ ეტაპებზე.

ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება დაკავშირებულია ყველა იმ დისციპლინასთან, რომლებიც ისწავლება დაწყებით კლასებში. მაგალითად, ლოგიკური აზროვნების, ყურადღებისა და ნებელობის ინტენსიური განვითარება მოსწავლეს ეხმარება ღრმად ჩაწვდეს და გაუკეთოს ანალიზი წაკითხულ ტექსტს, რომელიც შეისწავლა მშობლიური ლიტერატურის გაკვეთილზე, თავისუფლად მოახდინოს გარემომცველ კანონზომიერებებზე ორიენტირება, ეფექტურად გამოიყენოს საკუთარი ცოდნა და უნარები ქართული ენისა და ლი-

ტერატურის, მათემატიკის, შრომისა თუ ბუნებისმცოდნეობის გაკვეთილებზე, დაამყაროს საგანთაშორისი კავშირები.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგანთაშორისი კავშირი, და არა მხოლოდ ეს, არამედ მათი კავშირი სხვა საგნებთან მიმართებისას წარმოადგენს სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს საშუალებას და იგი შეიძლება ჩავთვალოთ მშობლიური ენის სწავლების უმნიშვნელოვანეს დიდაქტიკურ პირობად, რომელიც ზოგადპედაგოგიურ კატეგორიათა რიგს განეკუთვნება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საგანთაშორისი კავშირების როლი განმავითარებელი სწავლების პროცესში უდავოდ დიდია. პედაგოგიურ პროცესში საგანთაშორისი კავშირების აქტიური გამოყენება უნდა იქნეს მიჩნეული განმავითარებელი სწავლების ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად, მის ორგანულ ნაწილად. საგანთაშორისი კავშირების გეგმაზომიერი და მიზანმიმართული გამოყენება იწვევს პედაგოგიური პროცესის განმავითარებლობითი დონის ამაღლებას, მისი ფუნქციონალური მაჩვენებლების ზრდას.

ასეთი სწავლების განმავითარებელი მიმართულებით მოსწავლე იძენს უნარს, დამოუკიდებლად მიიღოს ცოდნა მის მიერ შერჩეულ საგანსა თუ საკითხში.

იდეა განმავითარებელი სწავლების შესახებ ფაქტობრივად იწყება **კონფუცის** (ძვ. წ. 551- ძვ. წ. 479) დროიდან, რომელიც თავის პედაგოგიურ და დიდაქტიკურ გამოთქმებში ამტკიცებდა, რომ სწავლებაში მთავარია მრავალმხრივი განვითარების უზრუნველყოფა. ეს იდეა შემდგომში კიდევ უფრო განავრცეს ცნობილმა ფილოსოფოსებმა, როგორებიც იყვნენ ძველ საბერძნეთში – სოკრატე, პლატონი, დემოკრიტე, არისტოტელე; ძველ რომში – კვინტილიანე და სხვ. ეს გამოჩენი-

ლი ადამიანები ცნობილნი იყვნენ არა მხოლოდ როგორც ფილოსოფოსები, არამედ როგორც პედაგოგიურ შრომათა ავტორებიც.

სოკრატეს (ძვ.წ. 470 ან 469 – ძვ.წ. 399) ტექნოლოგია, რომლის მიხედვითაც ის ქმნიდა საუბრებს (დიალოგებს) ახალგაზრდობასთან, ახლაც წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ სწავლებაში მოსწავლეებთან მიმართებაში შემოქმედებითი აზროვნების განვითარების მიზნით. სოკრატეს ეს საუბრები უღვივებდა მოსაუბრეს ეაზროვნა და დამოუკიდებლად მისულიყო ჭეშმარიტებამდე.

პლატონი (ძვ.წ. 427 ან 428 – ძვ.წ. 347 ან 348) ფილოსოფიას მჭიდროდ უკავშირებდა პედაგოგიკას. მის ფილოსოფიურ ნაშრომებში, უმთავრესად კი „სახელმწიფოსა“ და „კანონებში“ მოცემულია სპეციალური მსჯელობა პედაგოგიკის მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე. ამ ნაშრომებში პლატონის მიერ მოცემულია აღზრდის არსის, როლისა და მნიშვნელობის საკითხი, მისი სახელმწიფოებრივი ხასიათი, გავლენა სახელმწიფოებრივ წყობაზე, მისი მიზანი და ამოცანები, აღზრდის შემადგენელი ნაწილები – გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და სხვ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პლატონი ბავშვთა აღზრდა-განათლების საქმეში ყველაზე უფრო მეტად მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა კითხვასა და ლიტერატურულ თხრობას. მისი მოსაზრებით, საჭიროა ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებების შერჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიწვევენ ბავშვებში ზნეობრიობისა და სიკეთის გრძნობებს, გაამდიდრებენ მათ შეხედულებებსა და წარმოდგენებს და საფუძვლად დაედებიან ჭეშმარიტ ცოდნას.

პლატონი ასევე მოითხოვდა ბავშვების თამაშობისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას, მის სწორ ორგანიზაციას და მისთვის აღმზრდელობითი მიმართულების მიცემას. რაც, მისი აზრით, თავისთავად დაეხმარებოდა პედაგოგს სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვაში. სწორად წარმართული თამაში კი, როგორც ცნობილია, საფუძვლად ედება აღზრდის სწორად დაყენებულ პროცესს.

აქედან გამომდინარე პლატონის აზრი ნათელია, რომ სწავლება, ბავშვის გონებრივი განვითარება უნდა მიმდინარეობდეს არა ნაძალადევი, არამედ თამაშობითი გზით.

დემოკრიტემ (ძვ.წ. 460 ან 470 – ძვ.წ. 370) თავის დროზე გასცა პასუხი იმ კითხვებს, რაც დღესაც საკმაოდ აქტუალურია: რა არის მთავარი და სასარგებლო ბავშვისათვის სწავლებაში – ცოდნის მრავალმხრივი დაუფლება თუ აზროვნების განვითარება. მან ამ შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭა ამ უკანასკნელს – პიროვნების გონებრივ განვითარებასა და აღზრდას.

არისტოტელემ (ძვ.წ. 384 – ძვ.წ. 322) დაამტკიცა, რომ პიროვნების აღზრდის ყველა სახე: ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი უნდა ხორციელდებოდეს ერთ მთლიანობაში და არ შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს რომელიმე მათგანს. განმავითარებელი სწავლების იდეიდან გამომდინარე არისტოტელე თვლიდა, რომ ადამიანს ბუნებისაგან გააჩნია თანდაყოლილი თვისებები: ნიჭი, ჩვევები, შესაძლებლობები, რომელთა განვითარება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ აღზრდის პროცესში.

კვინტილიანე (დაახ. 35 – დაახ. 96. ჩვ. წ. აღ.) თავის პედაგოგიურ ტრაქტატში „ორატორის დარიგებანი“ მიუთითებდა, რომ ბავშვებისათვის შესასწავლი მასალა უნდა იყოს ზომიერი, საინტერესო, მისაწვდომი და გასაგები. მეცადინეობა

უნდა ეფუძნებოდეს თანამიმდევრობისა და სისტემურობის დიდაქტიკურ პრინციპს, რაც გულისხმობს არცოდნიდან ცოდნისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ აზროვნებით მოძრაობას. კვინტილიანე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა ვერბალური მეთოდები (თხრობა, საუბარი, კითხვა-პასუხი, კომენტარი, დისკუსია), წიგნზე მუშაობის მეთოდები (გუნდური კითხვა, ინდივიდუალური კითხვა, ინდივიდუალურ-დამოუკიდებელი კითხვა, წაკითხულის ანალიზი, სინთეზი, შინაარსის წერა და სხვ.), პრაქტიკული მეთოდები (ვარჯიში, კვლევა-ძიება, შეჯიბრება).

მისი შეხედულებით განმავითარებელი სწავლების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს გონებრივი აღზრდა, რაც გულისხმობს შესაბამისი ცოდნის მარაგის დაუფლებას, ამ ცოდნის მოცემულ სიტუაციასთან შესატყვისად გამოყენებას, მოვლენების, ფაქტების ანალიზის, შეფასებისა და დასკვნის უნარების, მეცნიერული მსოფლმხედველობის გამომუშავებას.

პიროვნების გონებრივი განვითარება და აღზრდა კი, ცნობილია, რომ ეს არის მასწავლებლისა და მოსწავლის თანმიმდევრულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირების, ფსიქიკური პროცესების, შემეცნებითი ძალების და შესაძლებლობების განვითარების, გონებრივი შრომის კულტურის გამომუშავების უზრუნველყოფისაკენ.

განმავითარებელი სწავლების იდეამ განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა XVI-XIX საუკუნეებში. ამ მხრივ აღსანიშნავია მიშელ მონტენის, იან ამოს კომენსკის, ჟან-ჟაკ რუსოს, იოჰან პესტალოცის, ადოლფ დისტერვეგისა და სხვათა პედაგოგიური მოღვაწეობა. მათ დაგვიტოვეს მდიდარი პედა-

გოგიური მემკვიდრეობა, რომლის ძირითადი ამოსავალი პრინციპია მთელი განათლების სისტემის ბავშვთა განვითარებისა აღზრდის პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლინების, მათი მიდრეკილებებისა და ინტერესის შესაბამისად მოწყობა. აღორძინების ხანის ჰუმანისტ პედაგოგთა შრომების მიხედვით განმავითარებელი სწავლების იდეა დღესაც აქტუალურად განიხილება და შეისწავლება.

მიშელ დე მონტენი (1533–1592), რომელიც იყო განმავითარებელი სწავლების ერთ-ერთი იდეოლოგი, მხარს უჭერდა პიროვნების თავისუფალი, დამოუკიდებელი აზროვნებისა და კრიტიკული ანალიზის გამომუშავებას. იგი მოითხოვდა პედაგოგიური პროცესის ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლის მთელი ინტელექტუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლინებასა და განვითარებას.

მიშელ მონტენის განმავითარებელი სწავლების თეორიის მთავარ იდეას წარმოადგენდა ის, რომ განმავითარებელ სწავლებას აზრი არა აქვს, თუ არ არის დამყარებული ჰუმანური დამოკიდებულება ბავშვებთან. იგი თვლიდა, რომ განმავითარებელი სწავლება შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური სწავლების პროცესში. მისი მოძღვრების თანახმად, უნდა გამოარკვიო – ვინ იცის უკეთესად და არა ის, თუ ვინ იცის მეტი.

იან ამოს კომენსკი (1592–1670) იყო ახალი დროის პედაგოგიკის ფუძემდებელი. მის შრომებში ბავშვის აღზრდისა და სწავლების საკითხთან დაკავშირებით წარმოჩენილი და გაანალიზებულია თითქმის ყველა პედაგოგიური პრობლემა. ი. ა. კომენსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლების პროცესში მოსწავლეთა აქტიურობასა და დამოუკიდებლობას.

იგი თვლიდა, იმისათვის, რომ ბავშვს განვუვითაროთ შემეცნებითი შესაძლებლობები და გავუღვივოთ ცოდნის დაუფლებისადმი მიდრეკილება, საჭიროა და აუცილებელი წავახალისოთ მათი ბავშვური ცნობისმოყვარეობა და გავუწიოთ ორგანიზება მათ დამოუკიდებლობას დაკვირვებისას, მეტყველებისას, სავარჯიშოებისა და დავალებების შესრულებისას, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისას. მისი პედაგოგიური მემკვიდრეობის ერთ-ერთი მთავარი იდეაა განმავითარებელი სწავლების იდეა, რომელიც დიდი კლასიკოსის ყველა შრომაში წინა პლანზეა წამოწეული.

აქვე ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებასაც, თუკი მ. მონტენის შრომებში იდეა განმავითარებელი სწავლების შესახებ ძირითადად თეორიულ ასპექტშია მოცემული, კ. უშინსკისა და ი. ა. კომენსკის პედაგოგიურ შრომებში მოცემულია პრაქტიკული ხასიათის რჩევები, კერძოდ, **რა**, **სად**, **როგორ** და **როდის** ვასწავლოთ და **რისთვის** ვასწავლოთ. ლიუკ დე კლაპიე მარკიზ დე ვოვენარგის სიტყვები რომ მოვიშველიოთ – ადამიანებზე უნდა ვიმსჯელოთ არა იმის მიხედვით, თუ რა იციან, არამედ იმის მიხედვით, თუ რა და როგორ იციან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **იაკობ გოგებაშვილის** (1840 –1912) სახელმძღვანელოები „დედაენა“ და განსაკუთრებით „ბუნების კარი“ სწორედ განმავითარებელი სწავლების პრინციპებზეა დაფუძნებული.

საერთოდ, სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით დიდი პედაგოგი მიუთითებდა, რომ „კარგი სახელმძღვანელონი ქართულისა ენისა შეადგენენ პირველს ნაბიჯს, საძირკველს განათლებისას“; „დედაენა უნდა იყოს ცენტრი სახალხო სკოლის კურსისა და მის რიგიან შესწავლაზედ უნდა იყოს მიქცეული უმთავრესი ყურადღება“.

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები კი, ცნობილია, რომ ისინი არა მხოლოდ შემეცნებითი დონის ამაღლებას უწყობდა ხელს, არამედ მიხვედრილობის უნარისა და ინტელექტის განვითარებასაც.

განმავითარებელი სწავლება გულისხმობს დედაენის სწავლების ისეთ დონეს, როცა წარმატებით ხორციელდება პროგრამით დასახული აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მიზნები..., რის საფუძველზედაც ინტენსიურად ვითარდება მოსწავლის ცნებითი აზროვნება, მეტყველება, ყურადღება, აღქმა, ფანტაზია, ნებელობა, მეხსიერება და სხვა ფსიქიკური ფუნქციები *[ვ. რამიშვილი].*

სწავლების განმავითარებელ ფუნქციაში იგულისხმება მეხსიერების, აზროვნების, ფანტაზიის, წარმოსახვის, დაკვირვებულობის, აქტივობის, ინტუიციის, მიხვედრილობის უნარები, რომლებიც ემყარებიან სწავლების ფსიქოლოგიურსა და ფიზიოლოგიურ საფუძვლებს და, რომლებიც სწავლა-განათლებისა და აღზრდის საფუძველს წარმოადგენენ. სწავლების განმავითარებელი მიმართულებით მოსწავლე იძენს უნარს, დამოუკიდებლად მიიღოს ცოდნა მის მიერ შერჩეულ საგანსა თუ საკითხში *[რ. ლიპარტელიანი].*

დამოუკიდებელი მუშაობის უნარის აღზრდა კი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა. დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის გამომუშავებაში მოსწავლეს დიდად შეუწყობს ხელს ისეთი ცოდნა, რომელიც სასარგებლოა და მოსწავლემაც იცის, რომ იგი ცხოვრებაში ნამდვილად გამოადგება.

პედაგოგიური პროცესის განმავითარებელი ფუნქცია კი უწინარეს ყოვლისა გამოიხატება პიროვნების განვითარების, თვითგანვითარების და პედაგოგიური პროცესის ურთიერთკა-

ვშირში. საგულისხმოა, რომ პედაგოგიური პროცესი ხელოვნურია და მას შესწევს უნარი მართოს განვითარების და თვითგანვითარების პროცესი, განვითარებასა და თვითგანვითარებაში შეიტანოს სიახლე *[ნ. ვასაძე].*

ნ. ვასაძე ამავე დროს ხაზს უსვამს იმ ფაქტორსაც, რომ პედაგოგიური პროცესის საშუალებით ხდება მოსწავლეთა ფსიქიკური პროცესების, მეტყველების, სენსორული, ემოციური და მამოძრავებელი სფეროების განვითარება. მისი განმარტებით, ამ მხრივ განსაკუთრებულია მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარება, როგორიცაა მეხსიერება, აზროვნება, წარმოსახვა, ემოცია, დაკვირვებულობა, აქტივობა, განსაკუთრებული ნიჭი და სხვა, რომლებიც პედაგოგიური პროცესის ფსიქოფიზიოლოგიურ საფუძველს და აღზრდა-განათლების საგანს შეადგენს.

ვ. გაგუა განმავითარებელ სწავლებასთან დაკავშირებით წერდა, რომ განმავითარებელი სწავლება გულისხმობს ცოდნის დაუფლებისა და აზროვნების განვითარების ერთმანეთთან შეხამებას, რომელიც აუცილებლად საღ პედაგოგიურ საწყისებზე უნდა იყოს დაფუძნებული. მისი აზრით, განმავითარებელი სწავლების პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითი ძალებისა და უნარების გამოვლენას პრობლემური სიტუაციების შექმნის გზით, კითხვა-პასუხით, დისპუტებით, კამათით და ა. შ.

განმავითარებელი სწავლების დროს მიზნები, შინაარსი, მეთოდები, ფორმები და სხვა კომპონენტები პირდაპირ არის ორიენტირებული განვითარებაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციული და განმავითარებელი სწავლების სისტემები ერთმანეთის ალტერნატიულია, მაგრამ არა კონკურენტული.

განმავითარებელი სწავლება კი არ უარყოფს ტრადიციულ სწავლებას, არამედ ავსებს მას *[ჯ. ჯინჯიხაძე].*

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განმავითარებელი სწავლება მაინც გარკვეულწილად განსხვავდება ტრადიციული სწავლებისაგან თავისი ძირითადი პოზიციებით, რომლებიც შეიძლება მოკლედ და კონკრეტულად ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით:

- ცოდნის მიღება, არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც მოსწავლის შემეცნებითი და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება, მისი პიროვნულობის განვითარება მთლიანობაში.
- მოსწავლის საქმიანობა იმ ზონაში, სადაც მას შეუძლია გადაჭრას ახალი სასწავლო ამოცანები, მათ შორის ისეთებიც, რომლის ადრე გაკეთება არ შეეძლო.
- სისტემური ცოდნისა და განმაზოგადებელი შესაძლებლობების ათვისება და მათი გამოყენება კვლევით-ძიებითი საქმიანობის პროცესში, რომლის ხელმძღვანელადაც ითვლება მასწავლებელი.
- ცოდნის არა რაოდენობრიობა, არამედ მოსწავლეთა შემეცნებითი და შემოქმედებითი განვითარება და ცოდნის რაციონალური და შესაბამისი მეთოდ-ხერხებით ოპერირება.
- სასწავლო საქმიანობის მიზნის ჩამოყალიბება მასწავლებლისა და მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობის გზით. ასეთ დროს შეიძლება წარმოიშვას ისეთი პრობლემური სიტუაციების აუცილებლობა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა შეიძლება აღმოაჩინონ საკუთარი ცოდნის დეფიციტი და გაუქრეთ სურვილი წინააღმდეგობრიობის გადალახვისა როგორც ინდივიდუ-

ალური თვალსაზრისით, ისე მასწავლებლის დახმარებითაც.

- გაკვეთილზე სასწავლო საქმიანობის აუცილებელ საქმიანობას წარმოადგენს ათვისებული ინფორმაციების მოდელირება, სიტყვისა და თვალსაჩინოების ურთიერთშეთავსება და მათი მიზანმიმართული გამოყენება გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე.
- ასეთ პირობებში მნიშვნელოვნად მცირდება მასწავლებლის მიერ ინფორმაციების ზეპირი გზით მიწოდების ხვედრითი წილი, სამაგიეროდ მაღლდება მოსწავლეთა დამოუკიდებელი შემეცნებითი საქმიანობა და იქმნება იმისი რეალური პირობები, რომ მოხდეს ახალი მასალის უკეთ დაუფლება გაკვეთილზე.

გაკვეთილზე სწავლების პროცესი ორიენტირებულია თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამონაწილეობის პრინციპებზე, რომელიც თავისთავად ქმნის სასურველ ემოციურ და ფსიქოლოგიურ გარემოს თითოეული მოსწავლისათვის. ასეთი მიდგომა სწავლებისადმი რადიკალურად ცვლის მოსწავლის პიროვნებას, რომელშიც ყალიბდება ახალი, პროდუქტიული აზროვნების ტიპი.

სწორედ ამიტომ სკოლაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ პოზიციას იკავებს განმავითარებელი სწავლება, რომელიც მიმართულია მოსწავლეებში აზროვნების ხერხების ფორმირებისა და შემეცნების მოქმედებიანობის გააქტიურებისაკენ. სასწავლო სისტემის ძირეული ამოცანაა მოსწავლეთა ზოგადი განვითარება, რომელიც გულისხმობს გონების, ნებისყოფის, გრძნობების სრულყოფას. ეს კი, თავის მხრივ, საფუძველია მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ჩვევების ათვისებისა.

მოსწავლეთა ფორმირება და განვითარება სწავლების პროცესში ხორციელდება. სწავლისადმი მოთხოვნილების გაჩენა მის სურვილს წარმოშობს, ხოლო სასწავლო მოქმედებათა დაუფლება სწავლის უნარს აყალიბებს. მოსწავლისათვის სწავლის უნარის მაქსიმალური რეალიზება და შესასწავლი მასალისადმი მოსწავლის სურვილის აღძვრა სასწავლო პროცესის დამახასიათებელი კომპონენტია. მათი გადაწყვეტა დამოკიდებულია იმ საშუალებების შერჩევაზე, რომლებიც უზრუნველყოფს:

- მოსწავლეთა ზოგადინტელექტუალურ განვითარებას;
- აზროვნებისა და შემეცნებითი საქმიანობის წესების ათვისებას;
- კონკრეტული სასწავლო საგნისადმი ინტერესის აღძვრას.

დღეს დღის წესრიგში დგას მხოლოდ საბაზისო ცოდნის მინიმუმის მიწოდების საკითხი, მხოლოდ იმგვარად, რომ მოსწავლეს განუვითაროს ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მოძიებისა და სხვისთვის მიწოდების უნარი, სწავლის სწავლების უნარი, რაც პირველ რიგში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასა და ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებას გულისხმობს *[ნ. მაღლაკელიძე]*.

შემოქმედებითი აზროვნება კი, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის განმარტებით ლექსიკონში არის მითითებული, რთული სააზროვნო უნარ-ჩვევაა.

იგი, უპირველეს ყოვლისა, არის რაიმეს ახალი გზით კეთება ან დანახვა; შემოქმედებითი აზროვნება ხასიათდება იდეების მრავალრიცხოვნობით, მრავალფეროვნებით (მოქნილობა, საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვა), მათი სიახლით

(ორიგინალობით) და გარდაქმნის უნარით (ძველი იდეების საფუძველზე ახლის შექმნა). შემოქმედებითი აზროვნება მნიშვნელოვანია ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას, რადგან საშუალებას იძლევა არასტანდარტული პასუხების მისაღებად.

მეცადინეობის სისტემატური კურსი, თუ კი ის აგებულია ძიებით-შემოქმედებით მასალაზე, იძლევა შესაბამის პირობებს, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ აზროვნების კულტურა. ხოლო აზროვნების კულტურა ხასიათდება იმით, რომ მოსწავლეებმა დამოუკიდებლად, აზრობრივად სწორად წარმართონ საკუთარი საქმიანობა, გამოიჩინონ ინიციატივა, დასახონ მიზანი და მონახონ მისი გადაჭრისა და მიღწევის გზები.

- **თამაშობითი და კვლევით-ძიებითი მეთოდები.**

სკოლაში, დაწყებითი სწავლების პირველ საფეხურზე ბავშვის წამყვან მოქმედებას თამაში წარმოადგენს. თამაშს კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველ რიგში, ბავშვის ფსიქო-ფიზიკური განვითარებისათვის, რადგან სწორედ თამაშის დროს იქმნება განსაკუთრებით სასურველი პირობები ინტელექტის განვითარებისათვის, სწორედ თამაშის პროცესში უვითარდება მოსწავლეს უნარი შექმნას განზოგადებული ტიპიური სახეებისა და მოვლენების სისტემები.

თამაში ხელს უწყობს „უახლოესი განვითარების ზონის“ წარმოშობას, რომლის შინაარსიც ის არის, რომ გარკვეულ ამოცანას ბავშვი თვითონ ვერ ხსნის, მაგრამ აკეთებს უფროსების დახმარებით. სწორედ „უახლოესი განვითარების ზონა“ ადასტურებს უფროსების წამყვან როლს ბავშვის ფსიქიკის განვითარების საქმეში.

დ. უზნაძე თამაშობაში ხედავს მოქმედების უკვე მომწიფებულ, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ გამოუყენებელი ფუნქციების ტენდენციის შედეგს. მისი თეორიის თანახმად, თამაშის ძირითად არსს ბავშვის შესაძლებლობათა ფუნქციონალური ტენდენციის იმპულსით გამოწვეული აქტივაცია წარმოადგენს. კერძოდ, ბავშვი არა მხოლოდ იმ ძალებითაა აღჭურვილი, რომლებიც ბიოლოგიურად მნიშვნელოვანია მისი განვითარების ამ ეტაპზე, არამედ იმ ძალებითაც, რომლებიც მან მემკვიდრეობით მიიღო და რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება განვითარების შემდგომ ეტაპებზე. ბიოლოგიურად აუცილებელი ფუნქციები მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების იმპულსით მოქმედებს, ხოლო ძალების მეორე ჯგუფი მოქმედებს ფუნქციონალური ტენდენციის საფუძველზე. თამაში სწორედ ამ ძალთა მოქმედების ძალთა გამოვლინებაა.

მნიშვნელოვანია, რომ თამაშის საშუალებით ხდება იმ ძალებისა და შესაძლებლობების განვითარება, რომელიც შემდგომში სერიოზული საქმიანობის საფუძველი ხდება.

დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, ბავშვი თამაშობს არა იმიტომ, რომ მას გააჩნია ჭარბი ენერგია ან ემზადება მომავალი ცხოვრებისათვის, არამედ როგორც კი მასში რომელიმე ფუნქცია საბოლოოდ მწიფდება, იგი თავისი შინაგანი ბუნებით მიისწრაფვის ამოქმედებისაკენ.

თამაში ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური და მეთოდური ამოცანის შესრულებას: დაძაბულობის მოხსნას და ბავშვებში ფსიქოლოგიური მზაობის შექმნას; თამაშის მეშვეობით და ერთი და იმავე მასალის მრავალჯერადი ბუნებრივი განმეორებით ვითარდება მეხსიერება, ყურადღება, აღქმა. ხდება ჯგუფის ფსიქოლოგიური მდგომარეობის რეგულირება. ეს ხსნის აგრესიას და ფსიქო-ემოციონალურ დაძაბულობას, ამასთან, განაპირობებს ახალი უნარ-ჩვევების განვითარებას, იძლევა დასვენების და გართობის საშუალებას *[ლ. თავდგირიძე]*.

თანამედროვე სკოლაში, სადაც აქცენტი კეთდება სასწავლო პროცესის აქტივიზაციაზე, თამაშობითი საქმიანობა შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა შემთხვევაში როგორც

- დამოუკიდებელი ტექნოლოგია, სასწავლო საგნის ცნებებისა და თემების შეთვისების მიზნით;
- ზოგადი ტექნოლოგიის ელემენტი;
- გაკვეთილი ან მისი ნაწილი (შესავალი, ახსნა-განმარტება, განმტკიცება, სავარჯიშოები, კონტროლი);
- კლასგარეშე მუშაობის ტექნოლოგია.

თამაშობითი პედაგოგიური ტექნოლოგიები სხვადასხვა პედაგოგიურ თამაშობათა ფორმით მოიცავს პედაგოგიური

პროცესის ორგანიზაციის მეთოდ-სტრატეგიების ერთობლიობას. საკუთრივ თამაშისაგან პედაგოგიური თამაში განსხვავდება არსებითი ნიშან-თვისებებით – პედაგოგიური შედეგების აუცილებლობით, რომელსაც გააჩნია სასწავლო-შემეცნებითი მიმართულება. მეცადინეობის თამაშობითი ფორმა იქმნება თამაშის მოტივაციის საფუძველზე, რომელიც აძლევს სტიმულს მოსწავლეს იყოს უფრო აქტიურად ჩართული სასწავლო საქმიანობაში.

სწავლების პროცესი, მისი შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები დაკავშირებულია მოსწავლის ფსიქიკასთან, მის სულიერ ცხოვრებასთან. ამიტომ სავსებით კანონზომიერია მოთხოვნა, რომ სწავლება ითვალისწინებდეს ფსიქიკის განვითარების კანონზომიერებებს, ემყარებოდეს ზოგადი ან პედაგოგიური ფსიქოლოგიის მონაცემებს, როგორც სწავლების აუცილებელ ფსიქოლოგიურ საფუძველს.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე თამაშობითი ხერხებისა და სიტუაციების რეალიზება შეიძლება წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეთა წინაშე დიდაქტიკური მიზნის დასმა თამაშობითი ამოცანის სახით.
- სასწავლო საქმიანობა აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს თამაშის წესებს.
- საგაკვეთილო მასალის გამოყენება, როგორც ერთ-ერთი მთავარი საშუალება.
- სასწავლო საქმიანობაში შეჯიბრების ელემენტის შემოტანა, რომლის საშუალებითაც ხდება დიდაქტიკური ამოცანის გადაყვანა თამაშობითში.
- დიდაქტიკური ამოცანის წარმატებით დაკავშირება თამაშობის შედეგებთან.

სასწავლო პროცესში თამაშობითი ტექნოლოგიის ადგილი და როლი ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მაღალ დონეზე ფლობს და იცის მასწავლებელმა პედაგოგიური თამაშების ფუნქციები და კლასიფიკაციები. ამ ფონზე შეიძლება გამოიყოს შემდეგი ჯგუფები:

- სასწავლო, სავარჯიშო, კონტროლირებადი და განმაზოგადებელი;
- შემეცნებითი, აღმზრდელობითი, განმავითარებელი;
- რეპროდუქციული, პროდუქციული, შემოქმედებითი;
- კომუნიკაციური, დიაგნოსტიკური და სხვ.

განასხვავებენ თამაშის შემდეგ სახეებს: საგნობრივსა და არასაგნობრივს, სიუჟეტურს, როლურს, საქმიანს, იმიტაციურს, კომპიუტერულს და სხვ. თამაშობითი ტექნოლოგიების გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს გადაიჭრას მთელი რიგი ამოცანები, როგორიცაა

- **დიდაქტიკური** (თვალსაწიერის გაფართოება, შემეცნებითი საქმიანობა, შესაბამისი უნარ-ჩვევების ფორმირება პრაქტიკული საქმიანობის პროცესში და სხვ.).
- **განმავითარებელი** (ყურადღების, მეხსიერების, მეტყველების, აზროვნების, წარმოსახვის, ფანტაზიისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება, ოპტიმალური გადაჭრის გზების ძიება და ა. შ.).
- **აღმზრდელობითი** (დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვა, მსოფლმხედველობრივი და ზნეობრივ-ესთეტიკური პოზიციების ფორმირება, თანამშრომლობითი აღზრდა და სხვ.).

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მიზანშეწონილი იქნება, თუ მასწავლებელი მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარებისათვის სასწავლო პროცესში გამოიყ-

ენებს სხვადასხვა სახის თამაშობებს. ასეთი თამაშობები შეიძ-ლება იყოს:

- **კომბინირებული თამაშობა**, რომელიც ითვალისწინებს ახალი კომბინაციების შექმნას ხელთ არსებული საგნე-ბისაგან;
- **გეგმიური თამაშობა**, რომელიც მიმართულია მიზნის მიღწევისა და დაგეგმვის უნარის ფორმირებისაკენ. ას-ეთ დროს მოსწავლეებმა გეგმის მიხედვით უნდა გან-საზღვრონ, როდის რომელი მოქმედება განახორციე-ლონ.
- თამაშობა, რომელიც მიმართულია ანალიზის უნარის ფორმირებისაკენ (მოძებნე წყვილი, მოძებნე ზედმეტი, გამოცანები, შეავსე რიგი და სხვ.).
- **სამაგიდე თამაშები** – რებუსები, კროსვორდები, ჩაინ-ვორდები (ჩაინვორდ-ი [ინგლ. **Chein** – ჯაჭვი და **word** – სიტყვა] კროსვორდის ნაირსახეობა ერთმანეთის მიყ-ოლებით სიგრძივ განლაგებული უჯრედები უნდა შეივ-სოს ისე, რომ თითოეული მომდევნო სიტყვა იწყებო-დეს წინამავალი სიტყვის დაბოლოებით) და ა. შ. სამა-გიდე თამაშების ძირითადი მახასიათებლებია – შესაბა-მისი თამაშის წესები, რომელშიც მოცემულია შესასრუ-ლებელი თამაშის ამოცანა, დავალება.
- **დიდაქტიკური თამაშები** წარმოადგენს ძირითად საშუა-ლებას მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის აქტივი-ზაციის, მათი დამოუკიდებელი აზროვნების განვითარ-ებას. თამაში უნდა მიმდინარეობდეს ზომიერების ფარ-გლებში, არ შეიძლება იყოს სწრაფი, ან შენელებული. ასეთ შემთხვევაში მოსწავლემ შეიძლება ინტერესი და-კარგოს თამაშისადმი.

- **საქმიანი თამაშები** მოსწავლეებს უვითარებს ფანტაზიის უნარს, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს წინარე შეძენილ ცოდნაზე. მოსწავლეები ეჩვევიან მოცემულ თემაზე, საკითხზე მსჯელობას, საკუთარი აზრის, შეხედულების მტკიცებას, შედარებასა და პარალელების გავლებას.
- **ინტელექტუალურ თამაშებს** კლასიკური თვალსაზრისით მიეკუთვნება ჭადრაკი და შაში. ეს თამაშები იწვევენ მოსწავლეთა დაინტერესებას. ინტელექტუალურ თამაშებს ასევე მიეკუთვნება გამოცანები, მოთხრობა-გამოცანა, ლექსი-გამოცანა, შარადები, მეტაგრამები, ანაგრამები, ლოგოგრამები, „ინტელექტუალურობანა“ და სხვ.

თამაშები და სათამაშო დავალებები.

დაწყებით საფეხურზე გრამატიკის საკითხების სწავლებისას სავარჯიშოების კლასიფიცირება უნდა მოხდეს კლასების მიხედვით: ფონეტიკა, მორფოლოგია, ლექსიკოლოგია, სინტაქსი.

1.ფონეტიკა და გრაფიკა.

გაშიფრეთ ანაგრამები. თუ რომელიმე სიტყვაში ხდება ასოთა ან მარცვალთა გადასმა ისე, რომ სხვა სიტყვა მივიღოთ, მაშინ ასეთ სიტყვას ანაგრამა ეწოდება.

პირობა: ჯგუფებად დაყოფილი თამაშის მონაწილეები ერთმანეთს შესთავაზებენ ისეთ სიტყვებს, რომ შეძლონ მიიღონ სხვა სიტყვის მნიშვნელობა. რომელი ჯგუფიც უფრო სწრაფად შეასრულებს დავალებას, მასწავლებლის მიერ წახალისდება.

მეთოდური მიზნები და ამოცანები: მოსწავლეთა მიხვედრილობის, სითამამისა და ლოგიკური მეტყველების განვითა-

რება; გუნდურობის, მშობლიური ენისადმი პატივისცემისა და სიყვარულის უნარის გამომუშავება.

დავალება 1. მოცემული სიტყვებიდან ასოთა გადანაცვლებით მოფიქრეთ და შეადგინეთ ახალი სიტყვები:

ხარი (არხი), მთა (თმა), მხალი (ხმალი), ტახი (ხატი), თავი (თივა),..

დავალება 2. პირველ სვეტში მოცემული არეული მარცვლები ისე გარდაქმენით, რომ მიიღოთ სიტყვა და დაუკავშირეთ მეორე სვეტში მითითებულ სიტყვებს:



დავალება 3. ვითამაშოთ სიტყვებით. თამაშში მონაწილეობას იღებს ორი ან ორზე მეტი მოსწავლე. ისინი აირჩევენ ერთ სიტყვას, რომლის ბოლო ორი ასოდან გადავლენ ახალ სიტყვაზე ისე, რომ ეს განსაზღვრული წესი არ დაირღვეს. სიტყვებს იგონებენ რიგ-რიგობით. სიტყვების ჯაჭვი არ უნდა გაწყდეს. მაგ. ჩი**ტი** → ტი**ტა** → ტა**ხი** → ხი**ლი** → ლიმო**ნი** → ნიგო**ზი**.

2. ლექსიკოლოგია და ფრაზეოლოგია.

დაფაზე ჩამოწერილი სიტყვებისაგან შეადგინე წინადადება, შეადგინე ანდაზა. გამოიცანი სიტყვა აღწერილობის მიხედვით.

3.მორფოლოგია. გადაეცი ესტაფეტა (თემა – ზმნები და მათი როლი ჩვენს მეტყველებაში).

დავალება: გამოიყენეთ განცდის გამომხატველი ზმნები (სიხარული, სიყვარული, აღტაცება, მშვენიერება, ლამაზი) და შეუწყვეთ ერთმანეთს სიტყვები, ან შეადგინეთ წინადადებები.

პირობა: სავარჯიშოს შესასრულებლად მოსწავლეები იყოფიან ორ ჯგუფად და სხდებიან ერთ რიგში ერთმანეთის გვერდიგვერდ. წამყვანი ჯგუფის პირველ წევრს აძლევს ბარათს, სადაც ჩამოწერილია განცდის გამომხატველი სიტყვები. დავალების შესრულების შემდეგ ჯგუფის წევრები გადააწოდებენ ბარათს უკან მსხდომებს. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომლის წევრებიც უფრო სწრაფად და სწორად შეუხამებენ სიტყვებს ერთმანეთს (სინტაგმა), შეადგენენ წინადადებებს.

მეთოდური მიზნები და ამოცანები: მოსწავლეები ეცნობიან და სწავლობენ გრძნობის გამომხატველ ზმნებს, სინონიმებს, სინონიმურ რიგს, იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს, ივითარებენ მეტყველების უნარს.

4. სინტაქსი. გამოიცანი ქვემდებარე (თემა „წინადადების მთავარი წევრები. ქვემდებარე).

დავალება: წამყვანი მონაწილეებს სთავაზობს როგორც გამოცანებს, ასევე რითმოცანებს, რომლებშიც მოცემულია წინადადების სხვა წევრები ქვემდებარის გარდა. მოსწავლეები ვალდებულნი არიან გამოიცნონ თითოეული გამოცანა და ჩასვან საჭირო სიტყვა – **ქვემდებარე** (მაგ. 1. ღამის მწერია პატარა, ხან გაანათებს ხან არა (ციცინათელა). 2. შავ-წითელი ყვა-

ვილია, ყანის ხშირი სტუმარია, უგვირგვინო დედოფალსა, ტახტი მინდვრად უკავია (ყაყაჩო). 3. ერთი ზღაპრის გმირია, მისი მოგონილია, თუკი მხრებზე თავი გადევს, გზა ყველგან გაქვს ხსნილია (ნაცარქექია). 4. ჩვენ გვეგონა ბრიალა წაიკიდა ტყემ ალი, თურმე ალი კი არა მწიფდებოდა... (ტყემალი).

პირობა: მონაწილეებმა უნდა დაიცვან ეტიკეტი, რიგის მიხედვით გასცენ სწორი პასუხი. არ შეიძლება ადგილიდან წამოძახება, ასეთ შემთხვევაში პასუხი არ მიიღება.

მეთოდური მიზნები და ამოცანები: წინადადების მთავარი წევრების გაცნობა მოსწავლეებისათვის, ქვემდებარის გაცნობა; სითამამისა და სიმკვირცხლის უნარის განვითარება; მშობლიური ენისადმი სიყვარულის უნარის გამომუშავება აღმზრდელობითი თვალსაზრისით. გრამატიკის სწავლებაში სასურველია სხვადასხვა სახის სახალისო დავალებების, კერძოდ, შარადების შეთავაზება მოსწავლეებისათვის. შარადა ეს არის თამაშ-გამოცანა, რომელშიც ჩაფიქრებული სიტყვა დაყოფილია ნაწილებად და თითოეულ ნაწილს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა.

თემა. ღია და დახურული მარცვალი.

1. პირველ და მეორე სვეტებში მოცემული მარცვლები ისე დააჯგუფეთ, რომ მიიღოთ ორმარცვლიანი სიტყვები.

კვა. ტუ. ლო. ჯიხ. ჯო. ძაღ.	ხი. რა. მი. ვი. ხი. ლი.
ტო. ოქ. ორ. თი. ღა. ჭა. ღო.	ტი. რო. მო. ვა. რი. მე. ღი. ბე.

თემა. სიტყვა და წინადადება.

2.მოცემულ ბგერათა ჯგუფებში შემავალი ბგერები ისეთი თანამიმდევრობით დაალაგეთ, რომ თითოეულისაგან ორ-

ორი სიტყვა მიიღოთ. თითოეული მიღებული სიტყვისაგან შეადგინეთ მარტივი წინადადება.

ნიმუში: **ითხო** – ითხი, თოხი.

დათა ჯერ **ითხი** წლის არის. **თოხი** სამუშაო იარაღია.

1. თამ; 2. საი. 3. ვთია. 4. აიმწ. 5. თაით. 6. ლაიდ. 7. იეგმ. 8. ოფვით. 9. ხცირივ. 10. ირზა.

„ინტელექტუალურობანა“ წარმოადგენს თამაშს, რომლის დროსაც V ან VI კლასის მოსწავლეებს შეეძლებათ თავიანთი ცოდნის დემონსტრირება მოახდინონ არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ სხვა საგნებშიც. თამაშის დაწყების წინ მასწავლებელი ორ ჯგუფად დაყოფილ კლასს დაურიგებს ბარათებს, რომლებშიც მოცემული იქნება კითხვები ლიტერატურიდან, ისტორიიდან, ხელოვნებიდან და ბუნებიდან.

ლიტერატურა	1. ცნობილი ქართველი მოღვაწე, რომელიც ერთდროულად იყო მწერალიც, საეკლესიო პირიც და დიპლომატიც. 2. ალექსანდრე ყაზბეგის ნამდვილი გვარი. 3. რომელი ნაწარმოები დაწერა შოთა რუსთაველმა? 4. ვინ დაწერა „ცხოვრება მეფეთმეფე დავითისი?“
ხელოვნება	1. რა ჰქვია თიხის ნაკეთობას? 2. რა არის ანიმაცია? 3. შთაგონების სიმბოლო ხელოვნებაში? 4. რა ჰქვია შენობას, სადაც ინახება ხელოვნების ნიმუშები?
ბუნება	1. ხეზე მცხოვრები ჩანთოსანი ცხოველი. 2. სტიქიური მოვლენა, რომელიც აჩენს ცეცხლს. 3. რომელმა ფრინველმა აღმოაჩენინა თბილისი ვახტანგ გორგასალს?
ისტორია	1. საქართველოს პირველი მეფე. 2. რომელ წელს მოხდა დიდგორის ომი? 3. რომელი სახელით მოიხსენიებდა ხალხი ერეკლე II-ს? 4. ვინ აღმოაჩინა ამერიკა?

მოცემული ნიმუშის მიხედვით მოსწავლეები ამავე დროს დაინახავენ საგანთაშორის კავშირებსაც. სწავლებისადმი ასეთი მიდგომა კი გამოიწვევს მოსწავლეების გონებრივ განვითარებას.

როლური თამაში (სიუჟეტური თამაში, სიმულაციური სიტუაცია) არის სასწავლო დანიშნულების თამაში, რომელიც მიმართულია რომელიმე უნარ-ჩვევის განვითარებაზე, გარკვეული შინაარსის მონაწილეების თვალთახედვიდან განხილვაზე, სტერეოტიპული აზროვნების დაძლევაზე და სხვ.

სიუჟეტურ-როლური თამაში არის პატარა სპექტაკლი, თეატრალიზებული წარმოდგენა. ფსიქოლოგებს და პედაგოგებს დაფიქსირებული აქვთ მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი მხატვრული და ისტორიული შინაარსის თამაშებისადმი, რომლებიც მოითხოვენ ისტორიული მოვლენების შედარებით ზუსტ ასახვას იმპროვიზაციისა და ფანტაზიის ელემენტებით *[ი. ბასილაძე, ნ. ჭოხონელიძე, ნ. კოსტავა]*.

როლური თამაში თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს, რომელიც, პირველ რიგში, მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. მისი მიზანია კონკრეტული სიტუაციის წარმოდგენა (ინსცენირება). აქ შესაძლებელია შეირჩეს ამბავი როგორც ლიტერატურული ტექსტიდან, ისე აღებულ იქნეს რეალური ცხოვრებისეული ეპიზოდი. ან დასაშვებია, რომ მასწავლებელმა ან მოსწავლეებმა თავად მოიფიქრონ ისტორია საჭირო თემაზე და გაითამაშონ იგი.

მასწავლებელი ვალდებულია თვალყური მიადევნოს მოსწავლეების მიერ როლების განაწილებას და შესაბამისად მოქმედების განვითარებასაც. აქ უმთავრესია მაინც მოსწავლეთა შემოქმედებითი მიდგომა როლებისადმი. **როლური თა-**

მაშები იგება წინადადებებზე. მოსწავლე ყველაზე კარგად მაშინ აითვისებს ამ დინამიურ პროცესებს, თუკი იგი აქტიურადაა ჩართული მასში. ამიტომ როლური თამაშების დროს უმთავრესი ყურადღება ექცევა მოსწავლის აქტიურ ქმედებებს. როლური თამაშები მოსწავლეებს ეხმარება:

- საკითხის გააზრებისა და დისკუსიის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;
- შემოქმედებითი აზროვნებისა და როლური ქცევის უნარ-ჩვევის განვითარებაში;
- გააცნობიერონ საკუთარი სოციალური მიზანდასახულობები, აზრები, გრძნობები და შეძლებისდაგვარად დაუკავშირონ რეალობას;
- გააცნობიერონ ქცევის ახალი მოდელი და მიმართვის ფორმები;
- შინაგანად გამონახონ სიტუაციის გადაჭრის ადეკვატური შესაძლებლობა.

შესაბამისად, თამაშობითი მეთოდები სწავლებაში იძლევა:

- მოსწავლეებში თვითშემეცნების განვითარებას;
- მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას და ამ ზრდის გაცნობიერებას თვითონ მოსწავლეთა მიერ;
- მოსწავლეთა მიერ რეფლექსიურობის უნარის დაუფლებას, საკუთარი ქცევის ანალიზირებას და სხვ.

როლური თამაშები ძირითადად შედგება სამი ნაწილისაგან: სიტუაცია, როლური თამაში და ჯგუფური დისკუსია. აუცილებელია მასწავლებელი ძალიან კარგად იყოს მომზადებული და მოსწავლეებიც მოამზადოს როლური თამაშისათვის. სასურველია წინასწარ მისცეს საკითხავი ლიტერატურა, რომელიც მათ საკითხის ირგვლივ გაუღრმავებს ცოდნას.

როლური თამაშების გამოყენებას სასწავლო პროცესში თან ახლავს შემდეგი დადებითი ეფექტი. მოსწავლეები

- ხალისით ერთვებიან თამაშში;
- უვითარდებათ კომუნიკაციის უნარი;
- უკუკავშირს მაშინვე იღებენ;
- თამაშში მონაწილეობა იწვევს ინტერესსა და ენთუზიაზმს;
- ხელს უწყობს ანალიზური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
- შეცდომის დაშვებისას მკაცრ კრიტიკას არ იღებენ;
- ხელს უწყობს შემოქმედებითობის განვითარებას და ზრდის მოტივაციას.

მიუხედავად დადებითი ეფექტებისა, როლურ თამაშებს გააჩნია გარკვეული სახის სირთულეებიც:

- იგი მასწავლებლისა და მოსწავლეებისაგან წარმოსახვის კარგად განვითარებულ უნარს მოითხოვს;
- შეიძლება შეიქმნას ჯგუფის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ჯგუფის ყველა წევრი ჯგუფში შეიძლება ვერ გრძნობდეს თავს კომფორტულად. მოსწავლეებს ზოგჯერ უჭირთ დავალების სიმულაცია, ემოციების და დამოკიდებულებების სხვების თანდასწრებით თავისუფლად გამოხატვა;
- რთულია ყველა წევრზე დაკვირვება და შეფასება.

ამრიგად, ეს მეთოდი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ აქტივობას, შემოქმედებითი საქმიანობისათვის საჭირო უნარების განვითარებას, სწორი გადაწყვეტილების მიღების მოტივაციას.

სხვადასხვა სახის განმავითარებელი თამაშობების აქტიური დანერგვა სასწავლო პროცესში დაწყებითი კლასების მასწავლებლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც დგას დაწყებითი სკოლის წინაშე, ეს არის პიროვნების პოტენციალის შემოქმედებითი აქტივიზაცია. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა შემოქმედებითი წარმოსახვის აქტივიზირება, რამდენადაც წარმოსახვის პროცესი წარმოადგენს ნებისმიერი შემოქმედებითი საქმიანობის ძირითად მდგენელს.

წარმოსახვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ფსიქოლოგები. პიროვნების წარმოსახვის აქტივიზირება არ წარმოიშობა თავისთავად, არამედ ამისათვის აუცილებელია მიზანმიმართული ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ზემოქმედება.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, შემოქმედებითი განვითარება ბავშვებში გაცილებით ადრე უნდა დაიწყოს, ამისათვის კი საჭიროა მიზანმიმართული მუშაობა, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. შემოქმედებითობამ აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი ბავშვის ჩამოყალიბებას ნამდვილ პიროვნებად და ბიძგი უნდა მისცეს მისი ნიჭის სრულად გამოვლენასა და განვითარებას.

წარმოსახვისათვის ანუ ფანტაზიისათვის ერთგვარი შემოქმედების მომენტია დამახასიათებელი, მაშინ, როდესაც მეხსიერება და, საზოგადოდ, რეპროდუქცია ძველის აღდგენას ესწრაფვის. თავისთავად იგულისხმება, რომ შემოქმედება იმ მასალის ნიადაგზე ხდება, რომელიც სუბიექტის ცნობიერების შინაარსშია მოცემული *[დ. უზნაძე]*.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში განარჩევენ წარმოსახვის ორ სახეს: პასიურს და აქტიურს. პასიური წარმოსახვა მიმდი-

ნარეობს ყოველგვარი მიზანდასახულობის გარეშე და თავს იჩენს სიზმრებსა და ილუზიებში. აქტიური წარმოსახვა, ცხადია განსხვავდება პასიურისაგან თავისი მიზანდასახულობით. წარმოსახვითი სახეების შესახებ ცოდნა – აუცილებელი წინაპირობაა უმცროსკლასელთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოსავლენად, და ამავე დროს მნიშვნელოვანია წარმოსახვის ანალიზისათვის სასწავლო პროცესში.

შემეცნებითი პროცესების დახმარებით ხერხდება არა მხოლოდ შეცნობა, არამედ, საერთოდ გარესამყაროს შეცნობა. თითოეული მათგანი ახდენს ზეგავლენას სხვა მიმდინარე პროცესებზეც და შეუძლებელია მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა.

სასკოლო ასაკში წარმოსახვა ჩართულია სასწავლო და შემოქმედებით პროცესებში. სხვადასხვა დისციპლინების სწავლებისას, განსაკუთრებით კი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას იხსნება დიდი შესაძლებლობები მოსწავლეებში შემოქმედებითი წარმოსახვის ფორმირებისა და განვითარებისა.

როგორც ცნობილია, ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ 2-დან 12 წლამდე პერიოდი საუკეთესო პერიოდია ბავშვის წარმოსახვის განვითარებისათვის. შემეცნებითი პროცესების სტიმულირებისას აუცილებელია ჩავრთოთ მოსწავლეები შემოქმედებით საქმიანობაში და ამავე დროს გაკვეთილებზე გამოვიყენოთ განმავითარებელი თამაშობები.

სწორედ განვითარების პროცესში ვითარდება ბავშვის წარმოსახვითი სამყარო. წარმოსახვა წარმოადგენს აუცილებელ პირობას ადამიანის თითქმის ყოველი გონებრივი საქმიანობისა. ფსიქოლოგების განმარტებით: შემოქმედებითი წარმოსახვის ყველა ფორმა შეიცავს საკუთარ თავში აფექტურ

ელემენტებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფანტაზიის ნებისმიერი აგებულება გავლენას ახდენს ბავშვის გრძნობებსა და ემოციებზე.

შარლოტა ბიულერის დასაბუთებით შემოქმედებითი წარმოსახვის უნარი იმ მნიშვნელოვან მონაპოვართა შორის უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც მნიშვნელობის ან აზრის ცნობიერების გაღვიძებასთან არის დაკავშირებული.

ფსიქოლოგიაში მითითებულია შესასწავლი მასალის ორ დონეზე: პირველი დონე ბავშვის განვითარების შესაბამისია, ხოლო მეორე დონე რამდენადმე აღემატება მას და მოითხოვს ბავშვის მიერ გონების დაძაბვასა და გააქტიურებას, ზოგჯერ მის ახსნა-გადაწყვეტაში მასწავლებლის ჩარევასაც. სწორედ ეს მეორე დონე აძლევს სტიმულს მოსწავლეთა განვითარებას.

სოციოკულტურული კოგნიციური თეორიის ძირითადი დებულებები განათლებასთან შემდეგ მიმართებაშია:

1. განათლება, რომელიც გულისხმობს სწავლებას და აღზრდას, მიმართულია ბავშვის პიროვნებაზე;
2. პიროვნების განვითარება მისი კრეატულობის (შემოქმედებითობის) განვითარებაზეა დამოკიდებული, ამიტომ სკოლამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის კრეატიული პოტენციალის განვითარება;
3. მოსწავლე უნდა იყოს სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე;
4. მასწავლებელმა მოსწავლის მოქმედება საჭირო მიმართულებით უნდა განავითაროს. ამ თვალსაზრისით სწავლება თანამშრომლობაა;

5. ყველაზე ეფექტურია სწავლების ის მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს *[ნ. კიკნაველიძე].*

სასწავლო-კვლევითი საქმიანობა ეს არის მოსწავლეთა შემეცნებით-შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც სტრუქტურულად ეთანადება მეცნიერულ საქმიანობას და ხასიათდება მიზანდასახულობით, აქტივობით, საგნობრიობით, მოტივაციურობით, შედეგობრიობით, რომელიც წარმოადგენს შემეცნებითი მოტივების, კვლევითი უნარების, ახალი ცოდნის მიღებასა და ფორმირებას.

კვლევითი სწავლების საფუძვლები შეიძლება მოვიძიოთ და ვნახოთ დიდი კლასიკოს-პედაგოგების ჯონ ლოკის, ი. პესტალოცის, ჟან ჟაკ რუსოს და სხვათა შრომებში.

თანამედროვე სასკოლო პროგრამაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსწავლეთა კვლევით საქმიანობას. ამ საქმიანობას კი განმავითარებელი სწავლების სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია. კვლევითი საქმიანობის უნარის განვითარება, ისევე როგორც სხვა უნარებისა, მოითხოვს ისეთი პირობების შექმნას, რომელიც პასუხობს დასახულ მიზნებს:

მიზანმიმართულობა და სისტემატურობა. კვლევითი უნარის განვითარებაზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ საკლასო გაკვეთილებზე, არამედ კლასგარეშე საქმიანობის დროსაც. ამიტომ მასწავლებელი ვალდებულია დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მუდმივად გამოიყენოს კვლევის მეთოდი, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ და გამოუმუშავდეთ კვლევითი საქმიანობის უნარი.

მოტივაცია. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება გაკვეთილზე პედაგოგისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცა-

ნას წარმოადგენს და განმსაზღვრელი როლი უნდა ითამაშოს სასწავლო პროცესში. მოტივაციის ამაღლება კი თავისთავად განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, უბიძგებს გახდნენ უფრო მეტად ქმედუნარიანები.

ასეთ დროს აუცილებელია მოსწავლეებმა არა მხოლოდ დაინახონ, არამედ შეიგრძნონ საკუთარი შემოქმედებითი კვლევითი საქმიანობის არსი, დაინახონ მასში საკუთარი შესაძლებლობების განხორციელება, და შესაბამისად, გადადგან ნაბიჯი თვითგანვითარებისა და თვითსრულყოფისაკენ.

შემოქმედებითობა. მასწავლებელი ვალდებულია შექმნას შემოქმედებითი, სამუშაო ატმოსფერო კლასში, გაუღვივოს მოსწავლეებს ინტერესი კვლევითი საქმიანობისაკენ.

სწავლების პროცესში, გაკვეთილზე აუცილებელია ჩართული იყოს მოსწავლეთა წარმოსახვა, შესაბამისად მასწავლებლის მიერ აუცილებლად უნდა მოხდეს ამ წარმოსახვის გაკონტროლება, რის ფონზეც მოსწავლეებს უნდა განუვითარდეთ მოვლენათა და ფაქტების აღქმის სიღრმე და მრავალმხრივობა.

ამავე დროს აუცილებელია მასწავლებელი მოსწავლეებს დაეხმაროს შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობისა და დანიშნულების ხედვაში, რადგან შემოქმედებითი აზროვნება თავისი არსით წარმოადგენს მოვლენათა ახლებურად ხედვის და პრობლემათა გადაჭრის ორიგინალურ, მანამდე არარსებული გზის პოვნის უნარს.

რ. ლიპარტელიანი 1999 წელს გამოცემულ წიგნში „დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები“ შენიშნავს: „ამჟამად იმსხვრევა სწავლა-აღზრდის მოძველებული სქემები და სტანდარტები, ყავლგასული სტერეოტიპები და მის ნაცვლად ფეხს იკიდებს მოწინავე ინიციატივა,

შემოქმედებითობა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ჩამოყალიბებას ნამდვილ პიროვნებად, ბიძგს მისცემს მისი ნიჭის სრულად გამოვლენა-განვითარებას“.

შემოქმედებითი მიდგომების მორგებას გაკვეთილის გეგმაზე და მოსწავლეების დაინტერესებას მრავალფეროვანი, მიმზიდველი მასალით, ნამდვილად შეუძლია არა მარტო მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, არამედ, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება. ე. ი. შემოქმედებითი აზროვნება ეს არის რაიმეს ახალი გზით კეთება ან დანახვა, რომელიც ხასიათდება იდეების სიმრავლით, მოქნილობით, საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვით, ორიგინალობით და ძველი იდეების საფუძველზე ახლის შექმნით *[ნ. ნაცვლიშვილი]*.

ფსიქოლოგიური კომფორტი. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ფართოდ წარმოაჩინოს მოსწავლეთა შემოქმედებითი ძალები, სწრაფვა შემოქმედებითი ძიებისაკენ. მთავარია, არ ეშინოდეთ შეცდომის დაშვების, შეეძლოთ უარყოფითი შეფასებისას თავის შეკავება. მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შემოქმედებითი იდეების განვითარებას, მხარი დაუჭიროს მათ და მისცეს სწორი მიმართულება. თითოეულ მოსწავლეს აუცილებელია მიეცეს შესაძლებლობა, შეიგრძნოს საკუთარი ძალები, ირწმუნოს საკუთარი თავის.

პედაგოგის პიროვნება. მოსწავლეთა შემოქმედებითი და კვლევითი შესაძლებლობების განვითარებისათვის საჭიროა შემოქმედებითად მოაზროვნე და მომუშავე მასწავლებელი, რომელიც ისწრაფვის, შექმნას შემოქმედებითი სასწავლო გარემო კვლევითი საქმიანობის ჩასატარებლად.

მხატვრული ნაწარმოების სწავლება მასწავლებლის შეხედულებაზე და მის შემოქმედებით უნარზეა დამოკიდებული.

ნ. ნაცვლიშვილის მიხედვითაც პასუხი კითხვაზე, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს შემოქმედებით მასწავლებლად, მარტივია – ის, ვინც ზრუნავს მოწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე.

ი. აბულაძეც მიუთითებს, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოდერატორს – მასწავლებელს, რომელმაც საკუთარი უნარებისა და მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით უნდა უზრუნველყოს ის, რომ მოსწავლის აზროვნება მაქსიმალურად შემოქმედებითი გახდეს.

მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე თავს იჩენს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურება, გასათვალისწინებელია მათი ფსიქოფიზიოლოგიური შესაძლებლობები. ამიტომ კვლევითი ჩვევების გამომუშავება, მათი ფორმირება საჭიროა განხორციელდეს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ხოლო საკითხისადმი (თემისადმი) კვლევითი მიდგომა უნდა იყოს მათთვის სახალისო და სასარგებლო.

ყოველივე ამისათვის საჭიროა შემუშავდეს და შესაბამისად განხორციელდეს უმცროსკლასელთა კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ტექნოლოგია, რომელიც თავისთავად უნდა ითვალისწინებდეს პედაგოგიურ-ორგანიზაციული პირობების მტკიცე დაცვას. ტექნოლოგიის საფუძველში კი დევს ჰუმანური პედაგოგიკის იდეები, პიროვნულ-ორიენტირებული და საქმიანობრივ-ორიენტირებული მიდგომები.

მეცადინეობა, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიას, ძირითადად ტარდება საკლასო-საგაკვეთილო ფორმით; სხვა ორგანიზაციული ფორმით ჩატარებისას კი – როგორც მონაწილეთა კონსულტაცია. ტექნოლოგიის მიზანია განვახორციე-

ლოთ მოსამზადებელი საქმიანობა კვლევითი უნარების გასავითარებლად. სწავლების შინაარსი გათვლილია შემდეგი ასპექტების უზრუნველყოფისათვის:

- კვლევითი მეთოდების ათვისება და მათი გამოყენება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე;
- შეძენილი უნარებისა და ცოდნის გამოყენება საკუთარი ინტერესების რეალიზაციის პროცესში;
- ინტერესთა განვითარება სასკოლო დისციპლინებისადმი მთლიანობაში.

სასწავლო საქმიანობის ორგანიზებისას აუცილებელია გამოვყოთ უნარების ოთხი ბლოკი:

- **საკუთარი საქმიანობის ორგანიზების უნარი** – სამუშაო ადგილის ორგანიზება, სამუშაოს დაგეგმვა.
- **კვლევითი მახასიათებლების ცოდნა და უნარები** – საკვლევი თემის შერჩევა, მიზანდასახულობა, როგორც საქმიანობის ეტაპი, კვლევის სტრუქტურული აგების უნარი, კვლევის მეთოდები, საერთო-ლოგიკური მეთოდები, ინფორმაციის მოძიება.
- **ინფორმაციის დამუშავების უნარი** – ინფორმაციის სახეები და წყაროები, მეცნიერული ტექსტი, ტერმინი, აღქმა, ტექსტის ნაწილებად დაყოფა და მათი გააზრება: აბზაცები, თავები, პარაგრაფები, ძირითადის გამოყოფის უნარი, მოკლედ გადმოცემა, ციტატა, გეგმის განსაზღვრა, განსაზღვრულის ფორმულირება, დასკვნა, დასკვნის ფორმულირება, ლოგიკური გადმოცემა, პირობითი ნიშნები, მტკიცებულება: არგუმენტები, ფაქტები, დასაწყისი და დასასრული.
- **საკუთარი ნამუშევრის შედეგების წარდგენის უნარი** – შედეგების წარდგენის ფორმები, სამეცნიერო ინფორ-

მაციების შეკრების ფორმები, მოთხოვნილება მოხსენებისადმი, მომხსენებლის მეტყველება.

პირველ კლასში მოსამზადებელი მუშაობა შეიძლება ჩავატაროთ შემდეგი საშუალებებით:

- პრობლემური, ნაწილობრივ-ძიებითი (ევრისტიკული) სწავლება მიმდინარეობს მასწავლებლის ხელმძღვანელობით.
- კვლევითი გაკვეთილი (სასწავლო წლის დასაწყისში დაყენებულ პრობლემებს ახორციელებს პედაგოგი; მისი გადაჭრის გზები კი ხორციელდება მოსწავლეების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის გზით; შემდგომში დასმულ პრობლემებს კი უკვე მოსწავლეები წყვეტენ და ახორციელებენ დამოუკიდებლად შესაძლებლობების ფარგლებში მასწავლებლის დახმარებით; უმჯობესია პრობლემების გადაჭრის გზები მაქსიმალურად დამოუკიდებელი იყოს; დასკვნების გამოტანა მასწავლებლის დახმარებით).
- მოკლევადიანი კვლევები – დაკვირვებული აღწერით მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

პირველ კლასში მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე შესაძლებელია ჩავრთოთ ისეთი სახის დავალებები, რომელიც მიმართული იქნება საერთო ლოგიკური უნარების დაუფლებისაკენ, როგორიცაა ანალიზი, სინთეზი, კლასიფიკაცია, შედარება-შეპირისპირება, განზოგადება.

მეორე კლასიდან შესაძლებელია უკვე გაკვეთილზე მოსწავლეებს მივცეთ სპეციალური დავალება კვლევითი საქმიანობის წარსამართავად. მსგავსი მეცადინეობები მოგვცემს საშუალებას სისტემატურად, მიზანმიმართულად ჩამოვუყალიბ-

ოთ მოსწავლეებს კვლევითი უნარები. ასეთი სახის მუშაობის განხორციელება ხდება შემდეგი მიმართულებებით:

- კვლევითი საქმიანობის თეორიული ცნებების გაცნობა, როგორიცაა კვლევა, ინფორმაცია, ცოდნა და სხვ.
- განსაზღვრული გეგმისადმი კვლევის ერთობლივად შესრულება ყველა ეტაპის დაცვით. აქ მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს და ორგანიზება გაუკეთოს მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობას, რომლის დროსაც მონაწილეები ეუფლებიან კვლევითი საქმიანობის პრაქტიკულ უნარებს.
- გაკვეთილზე გამოიყენება პრობლემური და ძიებითი მეთოდები, რომლის დროსაც ხდება საჭირო ცნებებისა და ტერმინების გაცნობა, ლექსიკონზე და სხვა საინფორმაციო წყაროებზე მუშაობა.
- მასალის სრულყოფილად შესწავლის მიზნით გამოიყენება მოკლევადიანი კვლევები.
- მეცადინეობებზე სასურველია შევთავაზოთ სხვადასხვა სახის ლოგიკური დავალება, რომლებიც წარმოაჩენს მოსწავლის გარკვეულ თვისებებს.
- ხორციელდება მზადება საინტერესო თემების დამოუკიდებლად დამუშავება გრძელვადიანი კვლევებით. ასეთი კვლევები მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარეობდეს.

მესამე კლასში თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე კვლევითი საქმიანობის გზით მოსწავლეები ეცნობიან კვლევის თეორიებს, მეთოდებსა და სტრუქტურებს. ასეთ გაკვეთილებზე სასურველია მასწავლებელმა სასწავლო მასალის შინაარსიდან გამომდინარე მიმართოს და გამოიყენოს სხვადასხვა სახის თამაშობითი მეთოდები. კერძოდ:

- ტარდება მოცემული თემის გუნდური კვლევა. აქ მესამეკლასელთა აქტიურობა გაცილებით უფრო მაღალი უნდა იყოს, გაცილებით უფრო საინტერესოდ უნდა წარმოჩინდეს არაორდინარული მიდგომები და წინადადებები კვლევითი საქმიანობის რეალიზების პროცესში.
- ხორციელდება მონაწილეთა დამოუკიდებელი ხანგრძლივი კვლევა არსებული ცოდნისა და უნარების გამოყენებით (ინფორმაციის მოძიება, ძირითადის გამოყოფა, განსაზღვრის ფორმულირება, დაკვირვება, მოხსენების მომზადება). მონაწილეები ატარებენ გამოკითხვას, ანკეტირებას. გამოკითხვის ჩატარება, როგორც წესი, თეორიული გამოკვლევის მახასიათებელია. მონაწილეთა გამოკითხვა ტარდება წინასწარ შედგენილი კითხვების საშუალებით, იმ მიზნით, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი ცოდნის ფლობის გამოვლინება და ამავე დროს სხვადასხვა ინფორმაციის მოძიების გზით შეძლონ კიდევ უფრო სრულყონ საკუთარი ცოდნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.
- მეცადინეობაზე კვლევისას იხილება მათი კვლევითი საქმიანობა, რომლის დროსაც კონსულტანტი მასწავლებელია. სასწავლო წლის ბოლოს მონაწილეთა დიდ ნაწილს შეეძლება უკვე დამოუკიდებლად შეარჩიოს საკვლევი თემა, შეადგინოს კვლევის გეგმა, განსაზღვროს ერთი ან ორი ამოცანა, მოძებნოს შესაბამისი მასალა, წარმოადგინოს მოხსენება ჩვენებით, დამოუკიდებლად გაიაროს გაკვეთილის დროს კვლევის ეტაპები.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასებში ქართული ლიტერატურის კვლევით გაკვეთილებზე განზოგადდება მიღებული ცოდნა. ყურადღება დაეთმობა საინფორმაციო წყაროების დამუშავებას, უშუალოდ ინფორმაციისა და ტექსტების დამუშავებას, საკუთარი ნამუშევრის (ტექსტის სახით) შედეგის წარდგენას და სხვ.

საბოლოო ჯამში მონაწილეები ვალდებულნი არიან დამოუკიდებლად განახორციელონ შერჩეული თემის კვლევა, ინფორმაციის მოსაძიებლად გამოიყენონ სხვადასხვა გზა, კვლევის მეთოდები, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეძლონ საკუთარი აზრის ციტატებით გამყარება და მისი დასაბუთება.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი ფაქტორები:

- მონაწილეთა რაოდენობა: ინდივიდუალური (დამოუკიდებელი), ჯგუფური, გუნდური;
- ადგილის მიხედვით: საკლასო, კლასგარეშე;
- დროის მიხედვით: მოკლევადიანი, საშუალოვადიანი, გრძელვადიანი;
- თემის მიხედვით: საგნობრივი, თავისუფალი.

ამ ეტაპზე მთავარ განმსაზღვრელად ჩაითვლება კვლევითი შედეგების წარდგენა, რაც მოგვცემს საშუალებას, გადაიჭრას რამდენიმე ამოცანა:

- მეცნიერული მეტყველების განვითარება;
- ტექსტზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარება;
- საკუთარი საქმიანობის ანალიზი და საკუთარი მიღწევების დემონსტრირება;
- ცოდნის შევსება ახალი ინფორმაციებით და კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება და თვითშეფასება.

როგორიც არ უნდა იყოს მოსწავლეთა კვლევითი საქმიანობის შეფასება, მთავარი ერთია:

- მოსწავლეები თავს უნდა გრძნობდნენ წარმატებულად;
- მოსწავლეების ნებისმიერი მიღწევა კვლევითი საქმიანობისას უნდა ითვლებოდეს წინ გადადგმულ ნაბიჯად;
- მოსწავლეთა კვლევითი საქმიანობა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ახალი ცოდნის დაუფლებასა და თვალთახედვის გაფართოებას.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე კვლევითი საქმიანობისას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მათი შემეცნებითი ქმედითუნარიანობის აქტივიზაციის მიზნით საჭიროა გამოვიყენოთ:

- გამოცანები, რებუსები, კროსვორდები, შარადები (სახალისო დავალებები), თამაში-კვლევა, როლური თამაში, ლოგიკური დავალებები შემოქმედებითი შესაძლებლობების გასავითარებლად;
- თამაშობითი მომენტების გამოყენება საგაკვეთილო მასალიდან გამომდინარე – შეკითხვის (ლოგიკური, საზროვნო) დასმა, შესწავლა, ტექსტის განსჯა და გააზრება, ტექსტიდან პერსონაჟების გამოყოფა და სქემის მიხედვით დაჯგუფება, კვლევა, აღწერა, „ასოციაციური რუკის“ გამოყენება და სხვ.;
- საჭიროების შემთხვევაში თვალსაჩინო-გამომსახველობითი მასალის გამოყენება და სხვ.

თამაშების კლასიფიცირება კი უნდა მოხდეს იმისდა მიხედვით თუ გაკვეთილის რომელ ეტაპზე იქნება გამოსაყენებელი ეს თუ ის თამაში. თუმცა, როგორც არ უნდა მოხდეს თამაშთა კლასიფიცირება, მათი მთავარი დანიშნულება და მნიშვნე-

ლობა საკმაოდ დიდია მოსწავლეთა გონებრივი განვითარებისათვის. თამაშის ფუნქცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად გაკვეთილზე, როცა

1.მოსწავლის მიერ ათვისებულია არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სასწავლო მასალა, არამედ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ სწავლისადმი მიდრეკილების უნარი;

2.მთავარია მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ თამაშები კლასში გართობის მიზნით კი არ ტარდება, არამედ, რომ ეს სათამაშო ტექნოლოგიები ემსახურება და ეხმარება მათ კარგად გაიაზრონ და დაიმახსოვრონ ნასწავლი მასალა და შეძლონ მისი მიზანშეწონილად გამოყენება სწავლების პროცესში, რაც ხელს შეუწყობს შემეცნებითი ინტერესის განვითარებას ქართული ენისა და ლიტერატურისადმი, როგორც სასწავლო საგნისადმი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე თამაშები მოსწავლეებს ეხმარება როგორც ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში, ასევე უფართოვებს თვალსაწიერს. მოცემულ თამაშებს თან ახლავს დიდი ემოციური მუხტი, რომლის დროსაც ხდება არამხოლოდ საერთოსასწავლო და განმავითარებელი ამოცანების გადაჭრა მოსწავლეთა მიერ, არამედ ხელს უწყობს ჩამოყალიბდნენ შემოქმედებით პიროვნებად: გამოიჩინონ ინიციატივა, მიზანსწრაფულობა, შეძლონ გადაწყვეტილებების მიღება არასტანდარტული სიტუაციების გადაჭრისას.

მოსწავლეთა სისტემატური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელს აძლევს საშუალებას არამხოლოდ კიდევ უფრო გაამრავალფეროვნოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, არამედ, მოსწავლეებს უბიძგებს იმისაკენ, რომ სხვა თვალით შეხედონ საგანს. მოსწავლის ეს ხედვა კი

უნდა იყოს ცნობისმოყვარული, მაძიებლური, კვლევისკენ მიდრეკილი.

ამდენად, პედაგოგიურ-ორგანიზაციული პირობების განხორციელება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე იძლევა საშუალებას, გადავჭრათ მოსწავლეთა კვლევითი უნარის განვითარების ამოცანა და დავაუფლოთ ახალ შესაძლებლობებს ცოდნის მისაღწევად.

პრაქტიკუმისათვის
სადისკუსიო საკითხები:

- *განმავითარებელი სწავლების არსი, როლი და მნიშვნელობა;*
- *თამაშობითი პედაგოგიური ტექნოლოგიების დახასიათება;*
- *წარმოსახვა და მისი სახეები;*
- *კვლევით-ძიებითი მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში.*

კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია

➢ კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობა და მისი განვითარების გზები.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა საერთოკულტურული, პიროვნული და შემეცნებითი განვითარება. თანამედროვე პედაგოგიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მოსწავლის პიროვნებას, რომელიც განათლების უპირველეს მიზანს წარმოადგენს. სწორედ ამიტომაა, რომ პედაგოგიკურ პროცესს ორიენტაცია აღებული აქვს თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალურ მიდგომაზე. აქ კი მოსწავლეებს ერთმანეთისაგან განსხვავებული თავისებურებები გააჩნიათ. მასწავლებელი ამ პირობებში ვალდებულია ყოველ მოსწავლეში დაინახოს და აღმოაჩინოს მისი საუკეთესო თვისებები, გაითვალისწინოს მოსწავლის პიროვნული თავისებურებები, ჩამოუყალიბოს მას საკუთარი კონცეფცია.

ახალ ინფორმაციულ-საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო პროცესის ორგანიზება დაფუძნებულია თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებზე და მასწავლებელიც თავისუფალია მათ არჩევანში. ამასთან დაკავშირებით აქტუალურია ისეთი პედაგოგიური ტექნოლოგიები, როგორებიცაა:

- საგანმანათლებლო პროექტების ტექნოლოგია;
- კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია;
- განმავითარებელი სწავლების ტექნოლოგია;
- საქმიან თამაშობათა ტექნოლოგია;
- პიროვნულ-ორიენტირებული მიდგომის ტექნოლოგია;

- პრობლემური სწავლების ტექნოლოგია;
- ევრისტიკული სწავლების ტექნოლოგია;
- ახსნით-ილუსტრაციული სწავლების ტექნოლოგია;
- აზრობრივ-საქმიანობრივი პედაგოგიკა;
- მოდელირებული სწავლების ტექნოლოგია;
- პროგრამირებული სწავლების ტექნოლოგია და სხვ.

აქედან გამომდინარე თანამედროვე სკოლის წინაშე დგას მეტად სერიოზული ამოცანა, განუვითაროს და ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს შემდეგი სახის უნარ-ჩვევები:

- **თეორიული აზროვნება** (განზოგადება, სისტემურობა, კლასიფიკაცია, ცნებების განსაზღვრა და ა. შ.).
- **ინფორმაციის გადამუშავების უნარი** (ანალიზი, სინთეზი, ინტერპრეტაცია, შეფასება, არგუმენტაცია, ინფორმაციის შენახვის უნარი).
- **შემოქმედებითი აზროვნება** (გადატანა, ახალი ფუნქციების დანახვა, სტანდარტულ სიტუაციებში პრობლემების დანახვა, საკითხის ალტერნატიული გადაჭრის გზები, სასწავლო პროცესში საქმიანობისას ნაცნობი და ახალი შესაძლებლობების კომბინირება).
- **კრიტიკული აზროვნება** (ფაქტების შეხედულებისაგან გარჩევის უნარი, არსებული ფაქტებისა და მოვლენების შედარება-შეპირისპირების განსაზღვრა და გარკვევა, ინფორმაციული წყაროს სისწორე, ლოგიკური შესაბამისობა და ა. შ.).
- **აზროვნების ხარისხი** (მოქნილობა, სისხარტე და ა. შ.)

ამ ინტელექტუალური უნარების განვითარების მთავარ ღერძს კი წარმოადგენს **კრიტიკული აზროვნება**.

კრიტიკა (kritikē) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გარჩევის ხელოვნებას, განსჯას. ეს სიტყვა უცხო სიტყვათა და ქარ-

თული ენის განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით ასეა ფორმულირებული: 1.რისამე განხილვა ღირსებისა და ნაკლის გამოსარკვევად, შეფასების მიზნით; 2. უარყოფითი მსჯელობა და შეფასება (ნაკლის ჩვენების საფუძველზე); 3. ტექსტის ანალიზი, – ლიტერატურული ძეგლის, ისტორიული წყაროს უტყუარობის, მისი წარმომავლობისა და მასში მომხდარი ცვლილებების რკვევა; 4. ლიტერატურული ჟანრი, მიძღვნილი მხატვრულ-ლიტერატურული, მეცნიერული და სხვ. ნაწარმოებების გარჩევისადმი.

კრიტიკა „ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონში“ ასეა გადმოცემული: განხილვა, გარჩევა, დახასიათება, შეფასება რომელიმე მხატვრული ნაწარმოებისა, სამეცნიერო თუ პოლიტიკური ნაშრომისა.

კრიტიკული აზროვნება განხილულია და გაანალიზებული ისეთი ცნობილი ფსიქოლოგების შრომებში, როგორებიც იყვნენ ჟ. პიაჟე, ჯ. ბრუნერი, დ. ხალპერნი, დ. კლუსტერი, ი. ზაირ-ბეკი და სხვ.

დღევანდელ სხვადასხვა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება მოვიძიოთ სხვადასხვა შეხედულება კრიტიკულ აზროვნებაზე:

კრიტიკული აზროვნება ეს არის კოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რომელიც იძლევა მისაღები საბოლოო სასურველი შედეგების მიღების ალბათობას *[დ. ხალპერნი].*

კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს რაციონალურ, რეფლექსიურ აზროვნებას, რომელიც ორიენტირებულია იმის გადასაჭრელად რა უნდა ვირწმუნოთ ან რომელი მოქმედებაა საჭირო გამოსაყენებლად *[ჯ. ბრუნერი].*

კრიტიკული აზროვნება შემფასებლური, რეფლექსიური აზროვნებაა, რომლისთვისაც ცოდნა წარმოადგენს არა დას-

რულებულს, არამედ საწყის წერტილს, არგუმენტირებულ და ლოგიკურ აზროვნებას, რომელიც დაფუძნებულია პირად გამოცდილებაზე და გადამოწმებულ ფაქტებზე. მათი აზრით, კრიტიკული აზროვნება გონებრივი შესაძლებლობების განსაკუთრებული სახეა, რომელიც ადამიანს აძლევს საშუალებას გააკეთოს ჯანსაღი დასკვნა საკუთარი თვალსაზრისიდან ან ქცევის მოდელიდან გამომდინარე *[ს. ზაირ-ბეკი].*

კრიტიკული აზროვნება ეს არის გონივრული რეფლექსიური აზროვნება, რომელიც ფოკუსირდება იმაზე, რა ვირწმუნოთ და როგორ გავაკეთოთ. მათი აზრით, კრიტიკული აზროვნება ნიშნავს ჯანსაღი აზრის ძიებას *[ჯედი ა. ბრაუსი, დეევიდ ვედი].*

კრიტიკული აზროვნება მოიცავს გააზრების რთულ პროცესს, რომელიც იწყება ინფორმაციის აღქმით და მთავრდება გადაწყვეტილების მიღებით. კრიტიკული მოაზროვნისათვის ინფორმაციის საფუძვლიანი გაცნობიერება ამოსავალი წერტილი უფროა სწავლებისა, ვიდრე სასრული... *[ჯინი ლ. სთილი, ქერთის ს. მერედითი, ჩარლზ თემფლი].*

მათი განმარტებით კრიტიკული აზროვნება აქტიური პროცესია, რომელიც ან განგებ არის პროვოცირებული, ან სპონტანურად მიმდინარეობს და ადამიანს ინფორმაციის კონტროლის შესაძლებლობას აძლევს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ი. ჭავჭავაძე კრიტიკული აზროვნების შესახებ წერილში „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არ გვაქვს“ (1887) წერდა: „შეიძლება კაცს აუარებელი ცოდნა და სწავლა ჰქონდეს და აქ ერთი ფეხიც ვერ წადგას, თუ ის „სხვა უნარიც“ არა ჰშველის, ის „სხვა უნარი“ იგია, რასაც თვითმსჯელობას, თავის მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან... თვითმსჯელობა, თვითმხედველობა

გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა.“

ი. ჭავჭავაძის მიხედვით „კრიტიკა არის განხილვაც, გაჩხრეკვაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად.“ („პასუხი“, 1861). ფაქტობრივად იგივე აზრი აქვს გატარებული წერილებში „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“ (1861) „კრიტიკული აზრის უქონლობა“ (1888), „უარმყოფლობა ჩვენში“ (1888) და სხვ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ვაჟა-ფშაველას შეხედულებაც. მისი აზრით მთავარია „საგანი კარგად, დაწვრილებით იცოდე და ამასთან უნარი კრიტიკისა და სწორი მეთოდი კვლევისა ახლდეს თანა, უამისოდ კვლევა-ძიებას არავითარი ფასი არ ექნება, ნაყოფს არ გამოიღებს“ („ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, 1911).

კრიტიკული აზროვნების შესახებ გამონათქვამები კიდევ მრავლად შეიძლებოდა მოგვეყვანა მე-19 საუკუნის ქართველ მოაზროვნეთა კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებიდან.

კრიტიკული აზროვნება არის ნებისმიერი საგნის, შინაარსის ან პრობლემის შესახებ აზროვნების ისეთი ტიპი, რომელშიც მოაზროვნე აუმჯობესებს თავისი აზროვნების ხარისხს იმ სტრუქტურებისა და ინტელექტუალური სტანდარტების გამოყენებით, რომლებითაც ხასიათდება თვით აზროვნება.

კრიტიკული აზროვნება მოიცავს არა მხოლოდ ორიენტაციას ახალი ინფორმაციის ნაკადში, მისი გააზრებისა და გამოყენების უნარს, არამედ მიღებული შედეგებისა და დასკვნების შეფასებას. ამ უნარის მქონე ადამიანი კრიტიკულად გაიაზრებს მიღებულ ინფორმაციას, დაიცავს რაციონალურად საკუთარ პოზიციას *[ნ. იმედაძე].*

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს გახსნილ, ღია აზროვნებას, რომელიც უარყოფს დოგმებს და ვითარდება საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ახლად მიღებული ინფორმაციის შერწყმის გზით... კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ინფორმაციებისა და იდეების ურთიერთზემოქმედების ბუნებრივ საშუალებას, და აუცილებელია არა მარტო იცოდე იგი, არამედ შეგეძლოს მისი კრიტიკულად შეფასება, გააზრება და გამოყენება *[ნ. ბიბილაშვილი].*

კრიტიკული აზროვნებისათვის უმნიშვნელოვანესია არ–გუმენტირება, რაც არ ახასიათებს ზოგადად ყველა ტიპის აზროვნებას. კრიტიკული აზროვნება არ არის დაუფიქრებელი ქება და კრიტიკა, იგი მოსაზრებების თუ მტკიცებულებების კარგად არგუმენტირებული შეფასებაა *[ს. გორგოძე].*

პ. პაპავამ მოგვცა კრიტიკული აზროვნების შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

1. კრიტიკული აზროვნება ეს არის პროცესი;
2. კრიტიკული აზროვნება არის მიზნისაკენ მიმართული პროცესი, ანუ ის ყოველთვის პრობლემის გადაჭრაზეა ორიენტირებული;
3. კრიტიკული აზროვნება აზროვნების განმასხვავებელ უნარებს მოიცავს. ესენია: ანალიზი, დასკვნების გამოტანა, ახსნა, ინტერპრეტირება, შეფასება და თვითდაკვირვება (მეტაკოგნიცია);
4. კრიტიკული აზროვნება ჩვევაში გადადის. ამგვარი აზროვნების წესებში კარგად გავარჯიშებული პიროვნება ფიქრის პროცესს ამ წესებზე აგებს.

კრიტიკული აზროვნება ზოგადად აზროვნების სტილია, ხოლო კრეატული უნარი არის პიროვნული ნიშანი, რომელიც ვლინდება შემოქმედებით აზროვნებაში.

კრიტიკული აზროვნება რთული სააზროვნო უნარ-ჩვევაა, რომელიც მოიცავს ერთდროულად ორ ან მეტ განსხვავებულ მოსაზრებაზე ფიქრს, სხვადასხვა მოსაზრების გაგებას, რაიმე შეხედულების დასაბუთებას სხვადასხვა მიდგომის საფუძველზე და იმის გაცნობიერებას, რომ სხვასაც შეიძლება საკუთარი განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეს. ხოლო **კრეატიულობა,** ეს არის ინდივიდის სიღრმისეული თვისება შექმნას ორიგინალური ფასეულობები, მიიღოს არასტანდარტული გადაწყვეტილებები *[ი. ბასილაძე, მ. ახვლედიანი,...].*

სწორედ ასევეა განმარტებული ტერმინი **კრეატიულობა** ნ. ვასაძესთანაც.

სასკოლო განათლებისათვის თანაბრად საპატიო მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს **კრიტიკული აზროვნება** (რომელიც განაპირობებს იდეების განვითარებას) და **შემოქმედებითი აზროვნება** (რომელიც განაპირობებს იდეების გენერირებას). მისი შეხედულებით ერთმანეთისაგან ხშირად მიჯნავენ კრიტიკულსა და შემოქმედებით აზროვნებას. კრიტიკულად მოაზროვნეს სერიოზულ, ობიექტურ და ანალიტიკურ ადამიანად, ხოლო შემოქმედებითად მოაზროვნეს კი გაუწონასწორებელ, ზოგჯერ კი ექსცენტრულ ადამიანად მიიჩნევენ. თუმცა, ყველაზე სრულყოფილი საგანმანათლებლო შედეგები ამ ორივეს ბალანსითა და სინთეზით მიიღება *[ნ. ნაცვლიშვილი].*

და, მაინც, ისმის კითხვა, რა არის კრიტიკული აზროვნება?

დ. კლუსტერი ამ ტერმინის გარკვევისათვის გვაძლევს ხუთპუნქტიან განსაზღვრას:

1. კრიტიკული აზროვნება ეს არის დამოუკიდებელი აზროვნება;

2. ინფორმაცია კრიტიკული აზროვნებისათვის წარმოადგენს ამოსავალ წერტილს და არა დამამთავრებელ ფაზას;
3. კრიტიკული აზროვნება იწყება კითხვების დასმითა და იმ პრობლემების ახსნით, რომლებიც უნდა გადაიჭრას;
4. კრიტიკული აზროვნება ისწრაფვის მტკიცე არგუმენტირებისაკენ;
5. კრიტიკული აზროვნება არის სოციალური აზროვნება.

ამ შემთხვევაში საჭიროება მოითხოვს გაანალიზებულ იქნას თითოეული მათგანი.

I. უნდა ითქვას, რომ, პირველ რიგში, კრიტიკული აზროვნება ეს არის **დამოუკიდებელი აზროვნება**, როდესაც გაკვეთილის აგება ხდება კრიტიკული აზროვნების პრინციპებზე. აქ თითოეული მოსწავლე აყალიბებს საკუთარ იდეას, ახდენს შეფასებას სხვებისაგან დამოუკიდებლად. აზროვნება კრიტიკულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ატარებს **ინდივიდუალურ** ხასიათს.

მოსწავლეები ვალდებულნი არიან იფიქრონ თვითონ, დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად გადაჭრან რთული საკითხებიც კი. ეს კი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს უცნობ ტექსტზე მუშაობის დროს. ასეთ დროს აუცილებელი არაა კრიტიკული აზროვნება იყოს ორიგინალური. მთავარია, თითოეულმა მოსწავლემ თქვას ის რასაც ფიქრობს. ასე რომ, კრიტიკული აზროვნებისათვის **დამოუკიდებლობა** ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

II. **კრიტიკული აზროვნებისათვის ინფორმაცია წარმოადგენს საწყის წერტილს და არა დამამთავრებელ ფაზას**.

ცოდნა ქმნის მოტივაციას, რომლის გარეშეც არცერთ ადამიანს არ შეუძლია იაზროვნოს კრიტიკულად. აზრობრივი პროცესისათვის საჭირო და აუცილებელია მოხდეს ტექსტების, ფაქტების, იდეების, მონაცემების შესაბამისი დამუშავება. ამიტომ გაკვეთილებზე საჭიროა როგორც ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავება-განმტკიცება, ასევე ძველ ცოდნასა და ახალ ცოდნას შორის გარკვეული კავშირის დამყარება, წინააღმდეგ შემთხვევაში კრიტიკულ აზროვნებას არანაირი სარგებლობა არ ექნება.

დაეუფლოს მოსწავლე კრიტიკულ აზროვნებას გაკვეთილზე, მხოლოდ ნაწილია მასწავლებლის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი პედაგოგიური მოღვაწეობისა.

III. **კრიტიკული აზროვნება იწყება კითხვების დასმითა და იმ პრობლემების ახსნით, რომლებიც უნდა გადაიჭრას სასწავლო პროცესში**.

ცნობილი ამერიკელი პედაგოგი და ფილოსოფოსი ჯონ დიუი თვლიდა, რომ კრიტიკული აზროვნება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როცა მოსწავლეები იწყებენ კონკრეტული პრობლემის გადაჭრას. მისი აზრით, პრობლემებზე ფოკუსირება სტიმულს აძლევს მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობას და უბიძგებს მათ კრიტიკული აზროვნებისაკენ.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია სასწავლო პროცესის მზადების დროს განსაზღვროს ის პრობლემები, რომლებიც დგას მოსწავლეების წინაშე და, შემდეგ, როცა მოსწავლეები იქნებიან მზად, დაეხმაროს მათ ჩამოაყალიბონ ეს პრობლემები დამოუკიდებლად. ამდენად, კრიტიკული აზროვნების გზით წარმართული საგაკვეთილო მეცადი-

ნეობა გაცილებით უფრო მიზანმიმართული და შინაარსობრივად უფრო მდიდარი გახდება.

IV. **კრიტიკული აზროვნება ისწრაფვის მტკიცე არგუმენტირებისაკენ**.

კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნება მუდმივად ეძებს პრობლემის გადაჭრის მისეულ გზას და ცდილობს გაამყაროს იგი არგუმენტირებული დასკვნებითა და ფაქტებით. ამავე დროს მის მიერ უნდა იქნას გაცნობიერებული, რომ არსებობს პრობლემის გადაჭრის სხვა ალტერნატიული გზებიც. გარდა ამისა, ყოველი არგუმენტაცია შეიცავს სამ მთავარ ელემენტს: პირველი და მთავარი ეს არის **დამტკიცება**, მეორე – **დამამტკიცებელი, დამაჯერებელი საბუთებისა და მაგალითების მოძიება-მოხმობა**, და მესამე – **დასკვნა**. ამ სამ ელემენტს კი აუცილებლად უნდა დაემატოს მეოთხე ელემენტი – **საფუძველი**, რომელსაც უნდა დაემყაროს ზემოთხსენებული სამი ელემენტი.

V. **კრიტიკული აზროვნება არის სოციალური აზროვნება.**

ყოველი გამოთქმული აზრი მოწმდება, როდესაც ხდება მისი გაზიარება სხვებთან. გაკვეთილზე კრიტიკული აზროვნების გამოყენებისას კამათის, კითხვების დასმის, განხილვის, აზრთა ურთიერთგაცვლისას ხდება ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავება და საკუთარი პოზიციების გამყარება. ამიტომ პედაგოგი, რომელიც გაკვეთილზე მიმართავს კრიტიკულ აზროვნებას, უნდა ცდილობდეს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენოს ინდივიდუალური, წყვილური და ჯგუფური მუშაობის ფორმები, სადაც აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული სწავლების ისეთი სახეები, როგორიცაა დისკუსია, დებატები და სხვ.

ასეთი სასწავლო საქმიანობის პროცესში საჭიროა ყურადღება მიექცეს მოსწავლეებში შემდეგი უნარების გამომუშავებას, როგორიცაა: მოთმინება, სხვისი მოსმენა, პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება და სხვ. კრიტიკული აზროვნების ეს ხუთივე პუნქტი წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ნებისმიერ სასწავლო საქმიანობაში.

ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ **კრიტიკული აზროვნება** არის მრავალმხრივი მიზნებით განპირობებული აზროვნება, რომლის დახმარებითაც ხდება არსებული ფაქტების, მსჯელობათა და წარმოდგენების ხელახალი გააზრება, დასაბუთებული და ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი დასკვნის გამოტანის მიზნით, ე. ი. კრიტიკული აზროვნების დროს არსებითია არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოძიება, მთლიანი სიტუაციის გაანალიზება და, შესაბამისად, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დასკვნის გაკეთება.

კრიტიკული აზროვნება ეს არის აზრობრივი სტრატეგიებისა და კომუნიკაციურ თვისობრიობათა სისტემა, რომელიც იძლევა ეფექტური ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთთანამშრომლობის განხორციელების საშუალებას სწავლების პროცესში. კრიტიკული აზროვნება ნიშნავს შემფასებლურ, რეფლექსიურ აზროვნებას. ეს არის აზროვნება, რომელიც ვითარდება პირადი ცხოვრებისეული გამოცდილების ხარჯზე ახალი ინფორმაციების მოპოვებისას.

სწორედ ამით განსხვავდება კრიტიკული აზროვნება შემოქმედებითი აზროვნებისაგან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ შორის გავავლოთ გამმიჯვნელი ზღვარი, ეს შეუძლებელია და წარმოუდგენელიც. კრიტიკული აზროვნება არ არსებობს შემოქმედებითი აზროვნების გარეშე და პირიქით, ისინი ურთიერთთანაარსებობაში ვითარდებიან.

კრიტიკული აზროვნება ეს არის აქტიური, კოორდინირებული და რთული პროცესი, რომელიც გულისხმობს ფიქრს რაღაც რეალურზე. მისი სწავლება კონკრეტული გარემოს, კონტექსტიდან მოწყვეტით შეუძლებელია. მისი სწავლება სასკოლო პროგრამის ზოგადი კურსიდან, ან ყოველდღიური ცხოვრებიდან დამოუკიდებლად ძალზე ძნელია. კრიტიკულ აზროვნებას მოსწავლე მაშინ ეუფლება, როცა მას საშუალება აქვს გამოიყენოს ასეთი აზროვნება ყოველდღიურად – სასწავლო პროცესში. მისი რაღაც დონემდე განვითარება და შემდეგ მიტოვება შედეგს არ იძლევა.

არსებობს კრიტიკული აზროვნების დონეები, სადაც თითოეული მათგანი ხასიათდება სხვადასხვა ლოგიკური და კოგნიტური კომპონენტების თავსებადობით. ეს დონეებია:

- **ემპირიული** – ფაქტების კრიტიკული გადამოწმება;
- **თეორიული** – თეორიის კრიტიკული გადამოწმება;
- **მეტათეორიული** – ნორმებისა და ფასეულობების კრიტიკული გადამოწმება.

კრიტიკული აზროვნების განვითარებას, თავისთავად ცხადია, განაპირობებს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა. თავისუფალი აზროვნება ამავე დროს დაკავშირებულია გამბედაობასთან, სხვისი აზრის (შეხედულების) პატივისცემასთან, დაფასებასთან, გაზიარებასთან, მოსმენასთან, საკუთარი თავის რწმენასთან.

მოკლედ რომ ვთქვათ, კრიტიკული აზროვნება თვითმართვადი, თვითდისციპლინირებადი, თვითშემფასებლური და თვითმაკორექტირებელი აზროვნებაა.

➢ **გაკვეთილის ჩატარების ეტაპები და სტადიები.**

კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგია წარმოადგენს სწავლებისადმი პიროვნულ-ორიენტირებული მიდგომის პრაქტიკულ რეალიზაციას. მოცემული პედაგოგიური ტექნოლოგიის ძირითად არსს წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეებმა სწავლების პროცესში რეალური და კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე თავად უნდა დაგეგმონ ეს პროცესი, თავად წარმართონ თვითგანვითარება, თავად განსაზღვრონ საბოლოო შედეგები.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე უნდა იქნეს რეალიზებული სწავლების შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ამოცანები:

- ენისა და ლიტერატურის შესახებ მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნის მიცემა (ცნებები, მათი კლასიფიკაციები, მიმართებები მათ შორის და სხვ.);
- ქართული ენის პრაქტიკული ფლობის (ენის ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური თუ კულტურულ-სამეტყველო ნორმები, ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის სტრატეგიები და ა. შ.);
- სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში ზეპირი და წერითი მეტყველებისას საკუთარი აზრების მკაფიოდ და ნათლად გამოხატვის უნარ-ჩვევების ფორმირება;
- სიტყვისადმი, ქართული მეტყველების გამომხატველობისა და სილამაზისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების გრძნობის აღზრდა.

ლიტერატურის გაკვეთილების ძირითადი ამოცანაა არა მხოლოდ ლიტერატურისმცოდნეობის ცნებებისა და ტექსტის ანალიზის ელემენტების დაუფლება, არამედ დინჯი, კომპეტენტური, მიზანსწრაფული მკითხველის აღზრდა, ფორმირება ის-

ეთი კომუნიკაციური პიროვნებისა, რომელიც მუდმივად და მიზანმიმართულად მიისწრაფვის თვითრეალიზაციისა და სოციალიზაციისაკენ.

ამ ამოცანების ამოხსნისათვის სკოლის დღევანდელობა მოითხოვს, სასწავლო პროცესში დაინერგოს ინოვაციური მეთოდიკები, რომლებიც განაპირობებენ სწავლების ინდივიდუალიზაციას და მოსწავლეთა დამოუკიდებლობის განვითარებას. ამ მხრივ ახალ მეთოდებს შორის უპირატესობა ენიჭება კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს.

კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგია წარმოადგენს სასწავლო სტრატეგიებისა და მეთოდ-ხერხების ერთობლიობას, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე.

აღნიშნული საგანმანათლებლო ტექნოლოგია ორიენტირებულია არა მარტო მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობაზე, არამედ იმ კომფორტული პირობების შექმნაზეც, რომელიც ხსნის ფსიქოლოგიურ დაძაბულობას. კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიით მუშაობისას მოსწავლე რეალიზებას ახდენს თავისი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობებისა, ისწავლოს თავისი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრა, აგრეთვე, სწავლობს თავისი მოქმედების შეფასების ხერხებს.

კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგიას გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები:

- სასწავლო პროცესის აგება მეცნიერულად დასაბუთებულ კანონზომიერებებზე;

- საგანმანათლებლო ტექნოლოგიის ეტაპების (გამოწვევა, გაცნობიერება, რეფლექსია) გამოყენებისას მასწავლებლის ორიგინალურობა და მოქნილობა ნებისმიერ სასწავლო სიტუაციაში. აქ იგულისხმება სხვადასხვა თვალსაჩინო (ვიზუალური) ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენება ტექსტზე მუშაობის დროს, დისკუსიის ორგანიზება, პროექტების რეალიზების პროცესი;
- ტექნოლოგიური სტრატეგიების გამოყენების გზით ყოველი სასწავლო პროცესის წარმართვა თანამშრომლობის, ერთობლივი დაგეგმვისა და გააზრების პრინციპების საფუძველზე.

მოცემულ მომენტში ტერმინი **ტექნოლოგია** არ გულისხმობს ალგორითმული დავალების მოცემულობას, არამედ, აქ უკვე იგულისხმება სტრატეგიების ღიადობა, რომელიც განაპირობებს პიროვნების (მოსწავლის) დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების ფორმირებას.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგიის გამოყენებით მასწავლებელი ავითარებს მოსწავლის პიროვნებას, რის შედეგადაც მიმდინარეობს კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირება, რაც უზრუნველყოფს კომფორტულ პირობებს შემეცნებითი მოქმედებისა და თვითსრულყოფისათვის.

კრიტიკული აზროვნების განვითარების ძირითადი პარამეტრები (გლობალური აზროვნების კომპონენტები) განათლების მიზნებს განსაზღვრავენ და ამდიდრებენ შინაარსით. ეს არის:

- თანამედროვე სამყაროს ერთიანი აღქმა;

- სამყაროს შემეცნება მასში არსებული ურთიერთქმედებებით, შემმეცნებელთან ერთად ამ სამყაროში;
- პიროვნების ღიადობა ახალთან მიმართებაში;
- პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების ხედვა;
- სტერეოტიპების დაძლევა.

კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია კომპლექსური ტექნოლოგიაა, რომელიც უზრუნველყოფს აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებას. იგი აყალიბებს იდეათა შორის ერთ-ერთის უპირატესობის დასაბუთების, რთული პრობლემების ამოხსნის, კამათის არგუმენტირებულად წარმართვის უნარს.

კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგიით წარმართული გაკვეთილის ძირითადი ეტაპებია: **გამოწვევა**, **გაცნობიერება** და **რეფლექსია**.

გამოწვევა. გამოწვევის სტადიაზე, სხვადასხვა ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით (ინდივიდუალური/წყვილებში/ჯგუფური მუშაობა; გონებრივი იერიში; შინაარსის პროგნოზირება; პრობლემური კითხვები და ა. შ.) ადრე მიღებული ცოდნა გამოდის გაცნობიერების დონეზე. ახლა იგი შეიძლება ახალი ცოდნის მიღებისათვის ბაზა გახდეს, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას ეფექტურად დაუკავშიროს ძველი ინფორმაცია ახალს და შეგნებულად, კრიტიკულად მიუდგეს ახალი ინფორმაციის გაგებას.

გამოწვევის სტადიაზე მოსწავლეებს შეუძლიათ შესასწავლ თემასთან დაკავშირებით გამოთქვან საკუთარი თვალსაზრისი (შეხედულება) თავისუფლად, ძალდაუტანებლად. აუცილებელია მოსწავლეთა მოსაზრებები დაფიქსირდეს, რად-

გან ეს მოსაზრებები შესაძლებელია გახდეს საჭირო მათი შემ-დგომი სწორი მიზანმიმართული მუშაობისათვის.

ამიტომ ამ ეტაპზე არ არსებობს სწორი თუ არასწორი მოსაზრებები. აუცილებელია ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პროცესში მოხდეს აზრთა ურთიერთშეთანხმება. ინ-დივიდუალური მუშაობა მოსწავლეებს ხელს უწყობს მოახდი-ნონ საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების აქტუალიზირება. ხოლო ჯგუფური მუშაობა შესაძლებელს ხდის მოსწავლეებმა გადმოსცენ და დააფიქსირონ საკუთარი თვალსაზრისი, მოი-სმინონ განსხვავებული აზრი. აზრთა ურთიერთგაცვლის პრო-ცესში შესაძლოა გაჩნდეს და ჩამოყალიბდეს ახალი იდეები, საინტერესო კითხვები, რომლებზედაც პასუხების ძიება განაპი-რობებს მოსწავლეების მიყვანას ახალ ცოდნამდე.

გაცნობიერება. გაცნობიერების სტადიაზე, როცა მოსწა-ვლე ახალ ინფორმაციასთან ან იდეასთან შედის კონტაქტში, რასაც არ უნდა აკეთებდეს: ტექსტს კითხულობს, მასალის ახს-ნას უსმენს თუ სხვა, სწავლობს იმას, რომ ყურადღება უნდა მი-აქციოს ახლის გაგებას, დაუკავშიროს ახალი ინფორმაცია არ-სებულ ცოდნას, გამოიკვლიოს რაც ყველაზე უფრო აინტე-რესებს, ჩაიწეროს შენიშვნები, უყურადღებოდ არ დატოვოს არც ერთი ხარვეზი გაგებაში, მოემზადოს მოსმენილის ან წაკი-თხულის ანალიზისა და განხილვისათვის. თითოეული მოსწავ-ლე ვალდებულია თქვას რა გაიგო, როგორ გაიგო ესა თუ ის მნიშვნელობა, რა ორიენტაციები დაეხმარა მას ამაში და ა.შ.

რეფლექსია. კრიტიკული აზროვნების განვითარების ტე-ქნოლოგიის პირველ ორ სტადიასთან დაკავშირებით შეიძ-ლება გაკეთდეს ერთგვარი დასკვნა, რომ ამ ორივე სტადიაზე, მართალია, ხდება მუშაობის გაწევის ერთგვარი რეფლექსიუ-

რი ანალიზი და შეფასება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მას სულ სხვა ფორმები და ფუნქციები გააჩნია. მესამე სტადიაზე რეფლექსიური პროცესი უკვე მასწავლებლისა და მოსწავლეების სასწავლო საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

ტერმინ **რეფლექსიის** (ლათ. **Reflexso** – უკან მიმართვა; უკან მიბრუნება; ასახვა) განმარტება ქ.ე.გ.ლ.-ის მიხედვით ასეთია: 1. ფილოს. იდეალისტურ ფილოსოფიაში – ცნობიერების მიერ თავისი თავის შემეცნება. 2. საკუთარი აზრებისა და განცდების ანალიზი.

ზოგადად მისი განმარტება შეიძლება ასეთნაირად ჩამოყალიბდეს: საკუთარი აზრებისა და განცდების ანალიზი, ჩაფიქრება, საკუთარი მოქმედებისა და მდგომარეობის ანალიზი, სწრაფვა თვითშემეცნებისაკენ.

საერთოდ ფსიქოლოგიაში განასხვავებენ რამდენიმე სახის რეფლექსიას: კომუნიკაციურს, პიროვნულსა და ინტელექტუალურს, რომლებიც სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს



კომუნიკაციური რეფლექსიის ობიექტია მეორე, სხვა ადამიანის შინაგან სამყაროსა და მისი ქმედების მიზეზებზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა. **პიროვნული რეფლექსიის** შემეცნების ობიექტს კი წარმოადგენს თავად შესამეცნებელი პიროვნება, მისი თვისებები, ქცევა, სხვებთან ურთიერთობის სისტემა. **ინტელექტუალური რეფლექსია** გამოიხატება სხვადას-

ხვა სახის დავალების შესრულებითა და შესაბამისად შესრულების გზების გაანალიზებით.

რეფლექსია შეიძლება გვქონდეს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური. **ინდივიდუალურია** რეფლექსია, როდესაც მოსწავლის მიერ ხდება საკუთარი გაწეული სამუშაოს ანალიზი და შეფასება. ხოლო **ჯგუფურია** მაშინ, როდესაც ჯგუფის თითოეული მონაწილე აქცენტს აკეთებს მაქსიმალურ შედეგზე.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, რეფლექსია მთელი საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მიმდინარეობს და სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. ასეთ დროს კი მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთმიმართების საკითხი.

უნდა აღინიშნოს შემდეგიც, რომ რეფლექსია ფორმის მიხედვით გვაქვს ორი სახის: **ზეპირი** და **წერილობითი**.

რეფლექსია **ზეპირია** მაშინ, როდესაც წარმოებს კონკრეტული საკითხის ან პრობლემის გადაჭრა მოსწავლეების მიერ საუბრის (დიალოგის, დისკუსიის, ჯვარედინი დისკუსიის და სხვ.) გზით და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებასაც.

ყურადსაღებია ის ფაქტორი, რომ პედაგოგიკის სპეციალისტები და ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ პიროვნების განვითარებისათვის ზეპირ რეფლექსიაზე უფრო მნიშვნელოვანია **წერილობითი რეფლექსია**. შესაბამისად გამოიყოფა წერილობითი რეფლექსიის შემდეგი ფორმები: ესე (თხზულება), სხვადასხვა სახის დღიური, წერილობითი ინტერვიუ და სხვ.

როგორც ვხედავთ, სწავლებაში რეფლექსიური ანალიზი ძირითადად მიმართულია ახალი მასალის დედააზრის კიდევ უფრო გარკვევა-გაშუქებისაკენ, სწავლების შემდგომი გზის დაგეგმვისაკენ (რა გაიგო, რა ვერ გაიგო, რა უნდა გაიგ-

ოს კიდევ). ამ სტადიაზე მოსწავლე ფიქრობს იმაზე, რა გაიგო და როგორ შეუთავსდა ახალი გაგებული ძველს. მოსწავლეთა შორის იდეების გაცვლა-გამოცვლა ხელს უწყობს სხვადასხვა თვალსაზრისს შეხედოს კრიტიკულად. მოსწავლე ღრმავდება თავის თავში. რეფლექსია გულისხმობს ახალი შეძენილი ცოდნის შემოქმედებითად გამოყენებას.

ამგვარად, **ტექნოლოგია მოსწავლეს აძლევს**:

- ინფორმაციის აღქმის ეფექტურობის ამაღლებას;
- ინტერესის ამაღლებას როგორც ახალი მასალის, ისე სასწავლო პროცესის მიმართ;
- კრიტიკულად აზროვნების უნარს;
- საკუთარი განათლებისადმი პასუხისმგებლობით მოკიდებას;
- სხვებთან თანამშრომლობაში შრომის უნარს.

ტექნოლოგია მასწავლებელს აძლევს საშუალებას:

- შექმნას კლასში თანამშრომლობის ატმოსფერო;
- გამოიყენოს ეფექტური მეთოდები კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზნით;
- გახდეს პრაქტიკოსი, რომელსაც შეუძლია ანალიზი გაუკეთოს საკუთარ შემოქმედებას.

კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიის მიზნების აქცენტები ასეთია:

- ფორმირდება აზროვნების განვითარების ახალი სტილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ღიადობა, მოქნილობა, რეფლექსიურობა.
- ცნობიერდება პოზიციების, შეხედულებების, გადაწყვეტილებათა ალტერნატიულობის შინაგანი მრავალმნიშვნელობა.

- ვითარდება პიროვნების ისეთი საბაზო თვისებები, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, რეფლექსიურობა, კომუნიკაციურობა, კრეაციულობა, მობილურობა, დამოუკიდებლობა, ტოლერანტობა და ა. შ.

როგორც ცნობილია, კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია ძირითადად განიხილება კითხვისა და წერის სწავლების ბაზაზე. ასეთი სწავლების ამოცანებია ასწავლოს მოსწავლეს:

- გამოყოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.
- განიხილოს ახალი ცოდნა და იდეები ძველთან კონტექსტში.
- უკუაგდოს არასაჭირო ან არასწორი ინფორმაცია.
- გაიგოს, როგორაა დაკავშირებული ერთმანეთთან ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილები.
- გამოყოს შეცდომები მსჯელობებში.
- გააკეთოს დასკვნა იმის შესახებ, თუ კონკრეტულად ვის ფასეულობათა ორიენტაციებს, ინტერესებს, იდეურ განწყობებს ასახავს ტექსტი ან მოლაპარაკე ადამიანი.
- მოერიდოს კატეგორიულობას მტკიცებებში.
- იყოს პატიოსანი თავის მსჯელობებში.
- გაარკვიოს ცრუ სტერეოტიპები, რომელთაც არასწორი დასკვნები მოსდევს.
- გამოავლინოს წინასწარ აკვიატებული აზრები და მტკიცებები.
- შეძლოს, გაარჩიოს ფაქტი, რომლის შემოწმება შეიძლება, ვარაუდის ან პირადი აზრისაგან.
- დაეჭვდეს ლოგიკურ არათანმიმდევრულობაში ზეპირი ან წერითი მეტყველების დროს.

- შეეძლოს ტექსტში მთავარი გაარჩიოს მეორეხარისხოვანისაგან.

კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგიის კონცეპტუალური თავისებურებებია:

- არა ცოდნის მოცულობა ან ინფორმაციის რაოდენობა არის განათლების მიზანი, არამედ ის, თუ როგორ მართავს მოსწავლე ამ ინფორმაციას.
- არა მითვისება მზამზარეული ცოდნისა, არამედ ახალი, საკუთარი ცოდნის კონსტრუირება.
- სწავლების კომუნიკციურ-მოქმედებითი პრინციპი, რომელიც გულისხმობს მეცადინეობის დიალოგურ, ინტერაქტიურ რეჟიმს, თანამშრომლობით მიმართებას მასწავლებელთან.
- კრიტიკულად აზროვნების შეძლება, ეს არ არის ხარვეზების გამოძიება, არამედ შესამეცნებელი ობიექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების ობიექტური შეფასება.

კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის საწყისი მიმოხილვა;
- არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების მოძიება გადაწყვეტილების მიღების საფუძვლის შესაქმნელად;
- პირველადი დასკვნების გაკეთება;
- სხვა შესაძლო მოსაზრებების განხილვა საკითხის შემდგომი დაზუსტების მიზნით;
- შეჯამება – საბოლოო დასკვნის გაკეთება.

1. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის ტექნოლოგიური ალგორითმი (**ალგორითმი** – ნებისმიერი ამო-

ცანის ამოხსნის თანამიმდევრული ელემენტარული ოპერაციების შესრულება) შეიძლება ასეთი იყოს:

პირველი ტექნოლოგიური ეტაპი – გაკვეთილის პირველი სტადია. გამოწვევა:

- ადრე მიღებული ცოდნის აქტუალიზაცია;
- ახალი ინფორმაციის მიღებისადმი ინტერესის გაღვივება;
- მოსწავლის მიერ სწავლების საკუთარი მიზნების დაყენება.

მეორე ტექნოლოგიური ეტაპი – გაკვეთილის მეორე სტადია. შინაარსის გაგება-გააზრება:

- ახალი ინფორმაციის მიღება;
- მოსწავლის მიერ სწავლების დაყენებული მიზნების კორექტირება.

მესამე ტექნოლოგიური ეტაპი – გაკვეთილის მესამე სტადია. რეფლექსია:

- ფიქრები, საკუთარ თავში ჩაღრმავება, ახალი ცოდნის წარმოქმნა;
- მოსწავლის მიერ სწავლების ახალი მიზნების დაყენება.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის სტადიების შესაბამისი მეთოდიკური ხერხები შეიძლება ასეთი იყოს:

პირველი სტადია – გამოწვევა.

მასწავლებლის საქმიანობა ორიენტირებულია:

- მოსწავლეებში შესასწავლ საკითხზე ადრე მიღებული ცოდნის გამოწვევაზე;
- მათი საქმიანობის აქტივიზაციაზე;
- შემდგომი მუშაობის მოტივაციაზე.

მოსწავლეთა საქმიანობა: მოსწავლე იხსენებს, რა არის მისთვის ცნობილი შესასწავლ მასალასათან დაკავშირებით, სისტემაში მოჰყავს ინფორმაცია ახალი მასალის შესწავლამდე, იძლევა კითხვებს, რომლებზეც უნდა პასუხის მიღება.

შესაძლო მეთოდები და ხერხები: დგება „ცნობილი ინფორმაციის“ სია: ვარაუდები საკვანძო სიტყვების მიხედვით; მასალის სისტემატიზაცია (გრაფიკული); სწორი და არასწორი მტკიცებები; არეული ლოგიკური ჯაჭვები და სხვა.

გამოწვევის სტადიაზე მიღებული ინფორმაცია მოისმინება, ჩაიწერება, განიხილება. მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში.

მეორე სტადია – შინაარსის გააზრება.

მასწავლებლის საქმიანობა ორიენტირებულია:

- თემისადმი ინტერესის შენარჩუნებაზე;
- ძველი ცოდნიდან ახალი ცოდნისაკენ თანდათანობითი სვლა.

მოსწავლეთა საქმიანობა: მოსწავლე კითხულობს (უსმენს) ტექსტს, იყენებს მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ კითხვის აქტიურ მეთოდებს, აკეთებს ჩანაწერებს ახალი ინფორმაციის გააზრების კვალდაკვალ.

შესაძლო მეთოდები და ხერხები: აქტიური კითხვის მეთოდები: მარკირებისათვის იყენებენ სიმბოლოებს: „V“, „+“, „–“, და სხვ., რომლებსაც სვამენ ველზე. აკეთებენ ჩანაწერებს: ეძებენ პასუხებს გაკვეთილის პირველ ნაწილში დასმულ კითხვებზე.

შინაარსის გააზრების სტადიაზე ხორციელდება ახალ ინფორმაციასთან უშუალო კონტაქტი. მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად და წყვილებში.

მესამე სტადია – რეფლექსია.

მასწავლებლის საქმიანობა:

- აბრუნებს მოსწავლეებს საწყის ჩანაწერებთან;
- შეაქვს ცვლილებები, დამატებები;
- შესწავლილი ინფორმაციის საფუძველზე აძლევს დავალებებს.

მოსწავლეთა საქმიანობა: მოსწავლეები ერთმანეთს უფარდებენ ახალსა და ძველ ინფორმაციებს, იყენებენ შინაარსის გააზრების სტადიაზე მიღებულ ცოდნას. მოსწავლეთა საქმიანობის შესაძლო მეთოდები და ხერხებია:

- კლასტერებისა და ცხრილების შევსება;
- ინფორმაციის ბლოკებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება;
- საკვანძო სიტყვებთან, სწორ და არასწორ მტკიცებებთან დაბრუნება;
- პასუხები დასმულ კითხვებზე;
- ზეპირი და წერითი მრგვალი მაგიდის ორგანიზება;
- სხვადასხვა დისკუსიის ორგანიზება და სხვა.

რეფლექსიის სტადიაზე ხორციელდება შესწავლილი ინფორმაციის ანალიზი, შემოქმედებითი გადამუშავება, ინტერპრეტაცია. მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში.

აღსანიშნავია, რომ გაკვეთილის სტადიებს თავისი ფუნქციები გააჩნიათ:

გამოწვევა: მოტივაციური; ინფორმაციული; კომუნიკაციური.

შინაარსის გააზრება: ინფორმაციული; მოტივაციური; სისტემატიზაციური.

რეფლექსია: კომუნიკაციური; ინფორმაციული; მოტივაციური; შემფასებლური.

პრაქტიკუმისათვის
სადისკუსიო საკითხები:

- *კრიტიკული აზროვნების არსი და მნიშვნელობა;*
- *კრიტიკული აზროვნების გარკვევის დ. კლუსტერის ხუთპუნქტიანი განსაზღვრა;*
- *რეფლექსიის სახეები და მათი დახასიათება;*
- *კრიტიკული აზროვნების განვითარების საგანმანათლებლო ტექნოლოგიით წარმართული გაკვეთილის ძირითადი ეტაპები და სტადიები.*

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროექტების ტექნოლოგია

➢ **საგანმანათლებლო პროექტების ტექნოლოგია.**

ახალი საგანმანათლებლო პარადიგმა იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს და განუვითარდეს უნარ-ჩვევები, მოიყვანოს საკუთარი ცოდნა სისტემაში და მწყობრი სახე მისცეს მას. სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეფორმების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს გადასვლა ტრადიციული მეთოდებიდან განმავითარებელ საგანმანათლებლო ტექნოლოგიებზე.

თანამედროვე სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა ისეთი სასწავლო პირობების შექმნა, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს აქტიური პოზიცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. მოსწავლის აქტიური პოზიციის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს სასწავლო პროცესის ორგანიზება საქმიანობრივი და პიროვნულ-ორიენტირებული მიდგომებით. ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოიქმნას წინააღმდეგობრიობა სწავლების ტრადიციულ-ილუსტრაციულ მეთოდებსა (ცოდნის გადაცემა მასწავლებლიდან მოსწავლეზე) და სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ახალ მოთხოვნებს შორის: მოსწავლე ვალდებულია თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთობლივი საქმიანობის პროცესში გამოიმუშაოს სწავლის უნარი. ამ წინააღმდეგობრიობის გადაწყვეტა კი მოითხოვს პრობლემების გადახედვას.

აქედან გამომდინარე კი შეიძლება დაისვას ლოგიკური კითხვა: როგორ ვასწავლოთ მოსწავლეს დაინახოს პრობლემა, დასახოს შესასრულებელი საქმიანობის მიზანი, განსაზღვროს შესაბამისი ამოცანები, შეადგინოს მოქმედების გეგმა, შეა-

ფასოს სწავლების პროცესში მიღწეული შედეგები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ ვასწავლოთ მოსწავლეს რომ ისწავლოს?

ამ მხრივ განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს სწავლების ორგანიზაციული საქმიანობის მეთოდები. აქტიური დამოუკიდებელი საქმიანობით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარება. არსებული სწავლების ცოდნის მოდელიდან ახალ სისტემაზე გადასვლის დიდ შესაძლებლობას იძლევა სწავლებაში **პროექტების ტექნოლოგიის** გამოყენება, რომელიც თანამედროვე პედაგოგიკაში მეტად აქტუალურია და სასკოლო-საგანმანათლებლო სივრცეშიც თანდათანობით იკიდებს ფეხს.

პროექტების ტექნოლოგიით სწავლება ძირითადად მიმართულია კონკრეტული ინიციატივის რეალიზებისაკენ ან გარკვეული პრობლემის გადაჭრისაკენ და მოსწავლე/მასწავლებელს კვლევა-ძიებითი მუშაობით შეძენილი მნიშვნელოვანი გამოცდილების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობებს აძლევს.

პროექტების ტექნოლოგია მსოფლიოს მრავალ სკოლაში ფართოდ გამოიყენება და ნიშნავს დამოუკიდებელი გზების ძიებას.

პროექტი, როგორც მეთოდი განათლების სფეროში XX საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური. ის არის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო. იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევის განვითარებას. ეს მეთოდი იძლევა საშუალებას სწავლა-სწავლება გახდეს უფრო აქტიური და მიზანმიმართული *[მ. ბოჭორიშვილი...].*

მათი მიხედვით **პროექტი** ერთ-ერთი აქტივობაა საკითხის დამოუკიდებლად გამოსაკვლევად, რომელსაც მოსწავლეები გარკვეული დროის განმავლობაში ამუშავებენ.

პროექტზე მუშაობა მოსწავლისაგან მოითხოვს შემოქმედებითობას, დაგროვილი ცოდნის გააქტიურებას, სხვადასხვა სასკოლო საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას. მათი აზრით, ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, სწავლა-სწავლება გახდეს გაცილებით უფრო აქტიური და მიზანმიმართული.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის განმარტებით ლექსიკონშიც მითითებულია, რომ **პროექტი** წარმოადგენს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისაკენ მიმართულ მრავალმხრივ სამუშაოს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ - ჩვევების განვითარებას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად.

გვაქვს პროექტის შემდეგი განსაზღვრა, როგორც მეთოდისას და როგორც პედაგოგიური ტექნოლოგიისა. პროექტების მეთოდის საფუძველში დევს მოსწავლეთა შემეცნებითი უნარის განვითარება, საკუთარი ცოდნის დამოუკიდებლად აგება, ორიენტირება ინფორმაციულ სივრცეში, კრიტიკული აზროვნების განვითარება.

პროექტების მეთოდი პიროვნულ-ორიენტირებული ტექნოლოგიის ერთ-ერთი სახეა და მას საფუძვლად უდევს:

- მოსწავლის შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
- საკუთარი ცოდნის დამოუკიდებლად კონსტრუირებისა და გაკონტროლების უნარის განვითარება;

- ინფორმაციულ სივრცეში მოსწავლის დამოუკიდებელი ორიენტაციის უნარის განვითარება;
- მოსწავლის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება *[ჯ. ჯინჯიხაძე].*

მაგრამ თუ პროექტების მეთოდი გამოიყენება კერძოსაგნობრივ დონეზე, მაშინ იგი ამ საგნის მეთოდიკას ეკუთვნის. პროექტების მეთოდი ყოველთვის ორიენტირებულია მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობაზე (ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფურად), რომელსაც ისინი ასრულებენ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. ეს მეთოდი ორგანულად ეწყობა სწავლებისადმი ჯგუფურ მიდგომას.

მ. ინასარიძისა და სხვათა შეხედულებით პროექტი ეს არის რომელიმე პრობლემის ინდივიდუალური ან ჯგუფური (შეიძლება წყვილებში) გადაჭრა, რომლითაც ფასდება მოსწავლეების არა მარტო ცოდნა, არამედ სააზროვნო, საკომუნიკაციო და სოციალური უნარები, შემოქმედებითობა და ცხოვრებისეული გამოცდილება.

ამ მეთოდის ქმედიანობა განპირობებულია იმით, რომ ის აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე განსაზღვრონ თავიანთი საქმიანობა, რომელიც შესაბამისი უნდა იყოს მათი შესაძლებლობების და მიმართული უნდა იყოს მოსწავლეთა ცოდნის, უნარ-ჩვევების ფორმირებისაკენ.

ამდენად, როგორც ვხედავთ, თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ პერსპექტიულ განვითარებას წარმოადგენს მოსწავლეების პროექტული საქმიანობა, ოპერატიულად დაეუფლოს ცოდნას სოციალიზაციის პროცესში. თანამედროვე ეტაპზე მასწავლებლისა და მოსწავლისადმი მაღალი მოთხოვნების წაყენება მასწავლებელს უბიძგებს საქმიანობის ინოვაციური ფო-

რმების ძიებისაკენ, ინტერაქტიური მეთოდებისაკენ, და მათ შორის პროექტების გამოყენებისაკენ. საქმიანობის მოცემული სახეობა კი გაცილებით მრავალფუნქციურია, ვიდრე სხვა.

პროექტების მეთოდი ყოველთვის გულისხმობს რომელიღაც პრობლემის ამოხსნას. პრობლემის ამოხსნა კი ითვალისწინებს, ერთის მხრივ, სწავლების ნაირგვარი მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობის გამოყენებას, ხოლო მეორეს მხრივ, – მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან, ტექნიკიდან, ტექნოლოგიიდან, შემოქმედებითი დარგებიდან ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინტეგრირების აუცილებლობას. პედაგოგიურ პრაქტიკაში პროექტების მეთოდის გამოყენება საშუალებას მოგვცემს, მიზანმიმართულად გადავჭრათ პიროვნულ-ორიენტირებული საგანმანათლებლო ამოცანები.

პროექტების შესრულებისას მოსწავლეები ითვისებენ ინოვაციური შემოქმედებითი საქმიანობის ალგორითმს, სწავლობენ დამოუკიდებლად მოიძიონ და გაანალიზონ ინფორმაცია, მიიღონ, გამოიყენონ და დააკავშირონ თავიანთი ცოდნა სხვადასხვა საგნებთან მიმართებაში, გადაჭრან პრობლემები, გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება შემოქმედებითი ამოცანების რეალიზებისას.

პროექტულ სწავლებას გააჩნია დამოუკიდებელი მუშაობის მაღალი ხარისხი, იგი ამავე დროს უძლიერებს მოსწავლეებს შემეცნებითი მოტივიციისადმი ინიციატივას ჯგუფური მუშაობის პროცესში, ურთიერთთანამშრომლობისას უვითარებს სოციალურ უნარებს, ხდება კვლევით-შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილების შეძენა-დაუფლება, ცოდნის საგანთაშორისი ინტეგრაცია და სხვ.

სწავლების ეს მეთოდი იძლევა საშუალებას მოსწავლეებს განუვითარდეთ არაორდინალური, შემოქმედებითი (კრე-

აციული) მიდგომები სასწავლო პრობლემების გადასაწყვეტ-ად, დამოუკიდებელი აზროვნების გზით დაეუფლოს ცოდნას და შესაბამისად გამოიყენოს იგი. პროექტების მეთოდი წარ-მოდგენილია როგორც ერთობლივი სასწავლო-შემეცნებითი, კვლევითი, შემოქმედებითი საქმიანობა, რომელთაც გააჩნიათ ერთი საერთო მიზანი, შეთანხმებული მეთოდები, რომლებიც მიმართულია საერთო შედეგების მიღწევისათვის.

ამავე დროს საჭიროდ და აუცილებლად მიგვაჩნია გან-ვსაზღვროთ ცნებები **პროექტული სწავლება**, **პროექტების მე-თოდი** და **სასწავლო პროექტული საქმიანობა**.

პროექტული სწავლება შეიძლება განვიხილოთ როგ-ორც დიდაქტიკური სისტემა;

პროექტების მეთოდი – როგორც სისტემის კომპონენტი, როგორც პედაგოგიური ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწ-ინებს არა მხოლოდ ცოდნის ინტეგრაციას, არამედ აქტუალი-ზირებული ცოდნის გამოყენებას უნარ-ჩვევების შესაძენად. სწავლების ამოცანათა კომპლექსური გადაწყვეტისას გამოი-ყენება სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტები, რომლის მიზანია ჩართოს მოსწავლეები გარდამ-ქმნელი საქმიანობის პროცესში იდეების შემუშავებიდან მის განხორციელებამდე.

პროექტულ სწავლებაზე შეიძლება ვისაუბროთ მხოლ-ოდ იმ შემთხვევაში, თუკი პროექტების მეთოდი სწავლების პროცესში წამყვანი მეთოდია, ხოლო სხვა დანარჩენი მეთო-დები გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალებები.

მოსწავლეთა **სასწავლო პროექტული საქმიანობა** – ეს არის პროექტული სწავლების კომპონენტი. იგი წარმოადგენს შემოქმედებით სასწავლო საქმიანობას, შეიცავს პრაქტიკულ ამოცანებს, მისი მიზანი და შინაარსი განისაზღვრება და ხორ-

ციელდება მოსწავლეთა მიერ თეორიული დამუშავების პროცესში და პრაქტიკულად რეალიზდება მასწავლებლის კონსულტაციითა და ხელმძღვანელობით. იგი ამავე დროს ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი და კონსტრუქციული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მიზანმიმართული ინტელექტუალური საქმიანობის შესაძლებლობების დაუფლებას და მზადყოფნას თანამშრომლობისათვის. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროექტული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს მასწავლებლის საქმიანობა.

მოსწავლეთა ცოდნაზე და ინტერესებზე დაყრდნობით, მასწავლებელი ეხმარება მათ, აირჩიონ სასწავლო საქმიანობის მიმართულება, მიზანი და შინაარსი, მათი რეალიზაციის გზები და ფორმები, მიღწეული შედეგების ანალიზისა და შეფასების მეთოდები, გეგმიურად ააგონ თავიანთი საქმიანობა.

ასე რომ, ცნებები **პროექტული სწავლება**, **პროექტების მეთოდი** და **სასწავლო პროექტული საქმიანობა** ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია, ხოლო პროექტების მეთოდი და პროექტული სასწავლო საქმიანობა წარმოადგენს პროექტული სწავლების მხარეებს, კომპონენტებს.

პროექტები უვითარებს მოსწავლეებს უნარს, გამოავლინონ თავიანთი ინტელექტუალური შესაძლებლობები, ზნეობრივი და კომუნიკაციური თვისებები, მოახდინონ შესაბამისი ცოდნის დონის ფლობისა და საერთოსასწავლო უნარების დემონსტრირება, მიზანდასახულობა, სწრაფვა თვითგანათლებისაკენ. პროექტული საქმიანობა შეიძლება წინ უძღოდეს „გონებრივ იერიშს“, რომლის პროცესშიც თავს იჩენს ახალი საინტერესო პრობლემები.

პროექტული სწავლების პროცესში მოსწავლეები ახდენენ ცოდნის სინთეზირებას, ასევე მომიჯნავე დისციპლინების ინფორმაციების ინტეგრირებას, ეძებენ გაცილებით ეფექტურ გზებს პროექტული დავალების გადასაწყვეტად, ამყარებენ კავშირს ერთმანეთთან.

ერთობლივი საქმიანობა იძლევა თანამშრომლობითი შესაძლებლობების რეალურ დემონსტრირებას, რომლის მსვლელობისას მოსწავლეები ისახავენ მიზნებს, განსაზღვრავენ მათი მიღწევის ოპტიმალურ შესაძლებლობებს, ყოველმხრივ ამოწმებენ პიროვნების კომპეტენტურობას.

პროექტული საქმიანობა თვალნათლივ ახდენს ერთი და მრავალსაგნობრიობის, ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტების შესაძლებლობების დემონსტრირებას.

სასწავლო-შემეცნებითი პროექტები განსაზღვრულია დროში, მიზანმიმართულია ძირითადი კონკრეტული მოთხოვნების საფუძველზე შეიტანოს გარკვეული ცვლილება ცოდნის დადგენილ სისტემაში შედეგობრივი ხარისხების გაუმჯობესების მიზნით, შეუწყოს ხელი მოსწავლეებს დამოუკიდებელი ძიების გზით გადაჭრან პრობლემები. განსაზღვრულ დროში მოსწავლეები ასრულებენ შემეცნებით, შედეგობრივ, კონსტრუირებულ ან სხვა დავალებას. აუცილებელია ახალი ცოდნის მიღება სასწავლო-შემეცნებითი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში.

პროექტული სწავლების მიზანია, რომ მოსწავლე დაეუფლოს ცოდნას და გამოუმუშავდეს შესაბამისი უნარ-ჩვევები. ამავე დროს, პრიორიტეტი ენიჭება დამოუკიდებელ სწავლებას ჯგუფებში და ასევე სოციალური შეგნების განვითარებას.

პროექტების ტექნოლოგია იძლევა საშუალებას მოვახდინოთ როგორც სწავლებისადმი ორიენტირებული მიდგომ-

ის, ასევე მოსწავლის თვითმოტივირების რეალიზება. პროექ-ტები მოხერხებულია იმიტომ, რომ ისინი ძალიან განსხვავდე-ბიან ფორმით, შინაარსით, საქმიანობის ძირითადი მახასიათე-ბლებით, მონაწილეთა რაოდენობით, დავალების შესრულე-ბის ხანგრძლივობით.

პროექტების მეთოდი იძლევა საშუალებას, მოვახდინოთ პიროვნების თვისებების ფორმირება, რომელიც ვითარდება მხოლოდ საკუთრივ ინდივიდის საქმიანობისას კოლექტიურ პროცესში, ან ჯგუფური მუშაობისას. პირველ რიგში შეგვიძლია გამოვყოთ ისეთი თვისებები, როგორიცაა გუნდური მუშაობის უნარები, არჩევანის პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე, საკუთარი თავის გუნდის წევრად შეგრძნება.

პროექტების მეთოდი პრობლემური კვლევების ფართო სპექტრის გამოყენების საშუალებას იძლევა. იგი ხელს უწყობს ისეთი მეთოდების ძიებას, რომელიც ორიენტირებულია რეა-ლურ პრაქტიკულ შედეგზე და მნიშვნელოვანია როგორც მო-სწავლისათვის, ასევე მასწავლებლისათვის, ხოლო მეორე მხრივ – მნიშვნელოვანია პრობლემების მთლიანი დამუშავე-ბა, მისი გადაწყვეტა და შედეგის რეალიზაცია სხვადასხვა ფაქ-ტორისა და პირობების გათვალისწინებით.

როგორც წესი, პროექტის საფუძველში თავს იჩენს რო-მელიღაც პრობლემა. იმისათვის, რომ ეს პრობლემა გადაიჭ-რას, საჭიროა შესაბამისი ცოდნისა და განსაზღვრული ხერხე-ბის ფლობა:

- **ინტელექტუალური** – ინფორმაციის, ტექსტის დამუშავე-ბა; ინფორმაციის მოძიება და მისი ანალიზი, დასკვნის გაკეთება.

- **შემოქმედებითი** – იდეების გენერირება, პრობლემის გადაჭრის მრავალვარიანტულობა, შედეგის პროგნოზირება.
- **კომუნიკაციური** – დისკუსიის წარმართვა, თანამოსაუბრის მოსმენა, საკუთარი თვალსაზრისის დაცვა, აზრების ლაკონიურად გადმოცემა, თანამოსაუბრესთან კომპრომისის მონახვა.

თანამედროვე საგანმანათლებლო პროექტი – ეს არის დამოუკიდებელი შემეცნებითი და შემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურების, მოსწავლის პიროვნული თვისებების ფორმირების დიდაქტიკური საშუალება.

პროექტების მეთოდის გამოყენება ქართული ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში, მოგვცემს საშუალებას, მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ობიექტური წარმოდგენა თავიანთ ცოდნაზე, მისი რეალიზების შესაძლებლობებზე და უნარებზე. მოსწავლეები დაეუფლებიან ცოდნას, არა მხოლოდ გაიგონ მათი სწავლის არსი, არამედ დამოუკიდებლად გაიცნობიერონ ის, განსაზღვრონ კონკრეტული დავალებები, მოახდინონ საკუთარი საქმიანობის პროგრამირება, შეარჩიონ ადეკვატური საშუალებები მიზნის მისაღწევად, განსაზღვრონ თავიანთი მოქმედების შედეგები.

სასწავლო საქმიანობის გეგმაზე მუშაობისას აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს საკუთარი ქმედების შედეგების შუალედური და საბოლოო ობიექტური შეფასება. სასწავლო პროცესში მთავარია, მოსწავლემ შეძლოს თავისი ქმედების კორექტირება, ე. ი. მოახდინოს თავისი ქმედებების რეკონსტრუქცია ისე, რომ შედეგები ემთხვეოდეს წაყენებულ მოთხოვნებს. ასეთი მიზნით აუცილებელია პროექტული საქმიანობის რეფლექსიის წარმართვა ეტაპობრივად.

ასე რომ, პროექტულ სწავლებას საფუძვლად უდევს რეფლექსიურ-საქმიანობრივი პარადიგმა, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა აქტიურ ქმედებას, აუცილებელ რეფლექსიას, რომელსაც მივყავართ პრობლემის გააზრებულ აღქმასთან, და რომელიც, თავის მხრივ, იწვევს თვითგანვითარებას. სწავლებაში რეფლექსიურ-საქმიანობრივი საშუალების გამოყენება ცვლის მასწავლებლის პოზიციას, ასევე ცვლის მოთხოვნების პროფესიულ თვისებებს. მზამზარეული ცოდნის მატარებლიდან ის გადაიქცევა ორგანიზატორად მოსწავლეებისათვის შემეცნებითი, კვლევითი, დამოუკიდებელი საქმიანობის პროცესში, კომპეტენტური კონსულტანტის როლის შემსრულებლად. რეფლექსიურ-საქმიანობითი სწავლება გვაძლევს მასწავლებლის სამ ძირითად ფუნქციას:

- დამოუკიდებელ შემეცნებით-შემოქმედებით საქმიანობაში მოსწავლეთა ჩასართავად პირობების შექმნა;
- თითოეული მოსწავლისათვის წარმატების მიღწევის სტიმულირების სიტუაციის შექმნა;
- მოსწავლეებთან ერთად რეფლექსიური საქმიანობის წარმართვა.

რეფლექსიის წარსამართავად ოპტიმალურ ნიმუშებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ ისეთები, როგორიცაა რეფლექსიური სამიზნე, რეფლექსიური წრე, მცირე თხზულება.

ურთიერთთანამშრომლობის პრიორიტეტულ ფორმას ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე პროექტულ საქმიანობას წარმოადგენს მასწავლებელის მუშაობა ჯგუფებში. პროექტული საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია – მასალების შეგროვება, პრაქტიკაში მიღწეული შედეგების გამოყენება, მთავარი მომენტები, რომელთა საშუალებითაც მო-

სწავლეები შეიცნობენ ცხოვრებას და სწავლობენ, როგორ დაუკავშირონ მას საკუთარი ცოდნა.

პროექტული სწავლება ეფუძნება მოსწავლეების დამოუკიდებელ აქტიურობას, რამდენადაც ჭეშმარიტი სწავლება მომდინარეობს სასწავლო საქმიანობიდან. მასწავლებელი ვალდებულია ასწავლოს არა იმდენად, რამდენადაც მიაწოდოს აზრი, არა იმდენად გადმოცემა, რამდენადაც გამოყენება, არა იმდენად დაძალება, რამდენადაც გასცეს პასუხი მასწავლებლის მოთხოვნებს. მოსწავლეთა ყურადღება მუდამ დაძაბულობაშია, რადგან მათგან მოითხოვება მუდმივი აქტიურობა. ისინი ვალდებულნი არიან თვითონ დასახონ სამოქმედო გეგმა და ინტენსიურად შეასრულონ იგი, რომ წარმატებით განხორციელებული ერთი დავალება გამოიყენონ მეორის შესასრულებლად. ასე რომ, პროექტული საქმიანობის გამოყენება იძლევა საშუალებას, სასწავლო მუშაობა დაუახლოვდეს კვლევითს.

იმისდა მიუხედავად, საქმიანობის თუ რომელი სახეა ჩადებული პროექტის სტრუქტურაში ძიებითი, შემოქმედებითი, როლური თუ გამოყენებითი, გამოიყოფა პროექტების შემდეგი ტიპები: კვლევითი, შემოქმედებითი, როლურ-თამაშობითი, ინფორმაციული, პრაქტიკულორიენტირებული პროექტები და სხვ., რომლებიც წარმატებით და მაღალეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში.

კვლევითი პროექტები მოითხოვს კარგად მოფიქრებულ სტრუქტურებს, მიზნების დასახვას, საგნის დასაბუთებული აქტუალურობის კვლევას ყველა მონაწილესათვის, შესაბამისი საინფორმაციო წყაროების, მოფიქრებული მეთოდების, შედეგების განსაზღვრას. ისინი მთლიანად ექვემდებარებიან მცირე

კვლევით ლოგიკას და გააჩნიათ სტრუქტურა, რომელიც მიახლოებულია ჭეშმარიტ მეცნიერულ კვლევასთან, ან მთლიანად ემთხვევა მას:

- მისაღები საკვლევი თემის არგუმენტირებული აქტუალურობა;
- საკვლევი პრობლემების განსაზღვრა, მისი საგანი და ობიექტი;
- საკვლევი ამოცანების აღნიშვნა;
- კვლევითი მეთოდების განსაზღვრა;
- ინფორმაციის წყაროები;
- აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის ჰიპოთეზის წინ წამოწევა;
- მისი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა;
- მიღებული შედეგების განხილვა, დასკვნების გამოტანა; კვლევითი შედეგების გაფორმება;
- ახალი პრობლემების აღნიშვნა შემდგომი კვლევითი პროცესისათვის.

ყოველივე ეს მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ენობრივი მომზადების დონეს სწავლების განსაზღვრული ეტაპის მიხედვით.

შემოქმედებითი პროექტები გულისხმობს შედეგების გაფორმების შესაბამისობას. მათ, როგორც წესი, არ გააჩნიათ დეტალურად შემუშავებული სტრუქტურა მონაწილეთა თანამშრომლობითი საქმიანობისათვის, ის მხოლოდ აღნიშნავს და შემდეგ ვითარდება, ექვემდებარება მოცემული ჯგუფის ერთობლივი საქმიანობის ლოგიკას, ემსახურება პროექტის მონაწილეთა ინტერესებს.

მოცემულ შემთხვევაში საჭიროა მოლაპარაკება შედეგების დაგეგმვაზე და მათი წარმოდგენის ფორმაზე (თხზულების

შედგენა, როლური თამაში და სხვ.). ეს შეიძლება იყოს პრობლემები, რომლებიც უკავშირდება რომელიმე ნაწარმოების შინაარსს, სტატიას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს.

პროექტის შედეგების გაფორმება მოითხოვს ნაწარმოების გეგმის, სტატიის, რეპორტაჟის კარგად და ზუსტად მოფიქრებულ სტრუქტურებს.

როლურ-თამაშობითი პროექტების სტრუქტურა ასევე მხოლოდ აღნიშნავს და რჩება ღია პროექტის დასრულებამდე. მონაწილეები ირგებენ განსაზღვრულ როლებს, რომლებიც განპირობებულია თავისი ხასიათით და პროექტის შინაარსით, პრობლემის განსაკუთრებულობის გადასაჭრელად. ეს შეიძლება იყოს ლიტერატურული ნაწარმოების გმირები ან გამოგონილი გმირები, იმიტირებული ან საქმიანი დამოკიდებულება, გართულებული სიტუაციები, მოფიქრებული მონაწილეთა მიერ. ასეთი პროექტების შედეგები შეიძლება აღინიშნოს პროექტის დასაწყისში, ან შეიძლება გაჩნდეს მისი დასრულების პროცესში. შემოქმედებითი ხარისხი აქ ძალიან მაღალია, მაგრამ ძირითადად დომინირებს როლურ-თამაშობითი საქმიანობა. მისი გამოყენება საკვანძოთ შესაძლებელია მეტი ეფექტურობისა და შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე.

ინფორმაციული პროექტების ეს ტიპი ერთპიროვნულად მიმართულია რომელიმე ობიექტის, მოვლენის ან ფაქტის ინფორმაციის შეკრებაზე. პროექტის მონაწილეთა გაცნობა ამ ინფორმაციებთან, მისი ანალიზი და ფაქტების განზოგადება განკუთვნილია ფართო აუდიტორიისათვის. ასეთი პროექტები, ისევე როგორც კვლევითი, მოითხოვს კარგად მოფიქრებულ სტრუქტურებს, მუშაობის პროცესში პროექტში სისტემატური კორექტირების შესაძლებლობების გამოყენებას. ასეთი

პროექტის სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით: პროექტის მიზანი, საგნის ინფორმაციული ძიება, ინფორმაციის წყაროები: მონაცემთა ბაზა, მათ შორის ელექტრონული, ანკეტირება, „გონებრივი იერიშის“ გამოყენება და სხვ.; დამუშავების საშუალებები: ანალიზი, განზოგადება, მოცემული ფაქტების წარმოდგენა, არგუმენტირებული დასკვნები, ინფორმაციული ძიების შედეგები; პრეზენტაცია.

პრაქტიკულ-ორიენტირებული პროექტები თავიდანვე განასხვავებს პროექტის მონაწილეთა საქმიანობის მკაფიოდ გამოხატულ შედეგებს, რომლებიც აუცილებლად მიმართულია (ორიენტირებულია) მონაწილეთა ინტერესებისადმი (იმ დოკუმენტისადმი, რომელიც მიღებულია ენის, ლიტერატურის, ისტორიის კვლევის შედეგების საფუძველზე; მოქმედების პროგრამა, რეკომენდაციები მიმართულია ენის სისტემაში გამოვლენილი შეუსაბამისობის ლიკვიდაციისათვის; მასალის ცნობარი; ლექსიკონი და სხვ.). ასეთი პროექტი საჭიროებს კარგად მოფიქრებულ სტრუქტურას, ასევე სცენარს მისი მონაწილეების საქმიანობისათვის და თითოეული მათგანისათვის ფუნქციის განსაზღვრას, ერთობლივი საქმიანობის მკაფიო შედეგები და თითოეულის მონაწილეობა პროდუქციის საბოლოო გაფორმებაში. აქ საჭიროა ძალიან კარგი ორგანიზაციული კოორდინირებული მუშაობა, მისი ეტაპობრივი განხილვა გეგმის მიხედვით, ინდივიდუალური და ერთობლივი ძალისხმევით შესწორებების შეტანა, მიღებული შედეგების პრეზენტირება და შესაძლო საშუალებების დანერგვა პრაქტიკაში.

პროექტის საგნობრივ-შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით შეიძლება გამოვყოთ მონოპროექტები და საგანთაშორისი პროექტები:

მონოპროექტები ტარდება მხოლოდ ერთი სასწავლო საგნის ჩარჩოებში. ამასთან ირჩევა შედარებით რთული სავარჯიშოები ან პროგრამირებული თემები. მონოპროექტებზე მუშაობა ითვალისწინებს ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა დარგიდან ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად. მსგავსი სახის პროექტი ასევე ითხოვს გაკვეთილების საგულდაგულო სრუქტურიზებას, გამომდინარე არა მხოლოდ პროექტის ამოცანებიდან და მიზნებიდან, არამედ – მისი ცოდნისა და უნარების დაუფლების აუცილებლობიდანაც, რომლებიც უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა. ყოველ გაკვეთილზე წინასწარ იგეგმება მუშაობის ლოგიკურად წარმართვა ჯგუფებში, სადაც როლებს ინაწილებენ მონაწილეები; პრეზენტაციის ფორმა, რომელსაც დამოუკიდებლად ირჩევენ მოსწავლეები. ასეთ პროექტებზე მუშაობას გააჩნია გაგრძელება ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტების სახით კლასგარეშე მუშაობის დროს.

საგანთაშორისი პროექტები, როგორც წესი, სრულდება კლასგარეშე მუშაობის დროს. ეს შეიძლება იყოს მცირე პროექტები, ასევე საკმაო მოცულობის, ხანგრძლივი, საერთოსასკოლო, ამა თუ იმ საკმაოდ რთული პრობლემის გეგმიური გადაჭრა, რომელიც მნიშვნელოვანია პროექტის ყველა მონაწილისათვის. ასეთი პროექტები მოითხოვს სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა მოქმედების კვალიფიციურ კოორდინაციას, შემოქმედებითი ჯგუფების მოწესრიგებულ მუშაობას, რომელთაც აქვთ მტკიცედ განსაზღვრული კვლევითი დავალება, კარგად დამუშავებული ფორმები პრეზენტაციის შუალედურ და დასკვნით ეტაპზე.

- **პროექტული საქმიანობის ორგანიზება ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე.**

მოცემული პროექტების მეთოდი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, თუ საუბარი მიდის ერთი ციკლის საგანთაშორის კავშირებზე. გარდა ამისა, ზემოთ მოყვანილი ორი მაღალკვალიფიციური პროექტის გვერდით შეიძლება მოვიხსენიოთ პროექტთა ის ტიპები, რომლებიც ხასიათდება კოორდინაციით და ატარებენ უშუალო ან ფარულ ხასიათს; პროექტების დიფერენციაციით, მახასიათებელი კავშირებიდან გამომდინარე; პროექტის მონაწილეთა რაოდენობით (ინდივიდუალური, წყვილური, ჯგუფური) და ხანგრძლივი გეგმიური საქმიანობით.

პროექტების მეთოდი შესაძლებელია გამოვიყენოთ ლიტერატურის სწავლების ყველა ეტაპზე. ე.ი. ლიტერატურის დაწყებითი კურსი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პროექტების მეთოდი გამოყენებულ იქნას სწორად და მიზანმიმართულად.

დაწყებით კლასებში ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე პროექტების მეთოდის გამოყენება გულისხმობს პედაგოგის მიერ სასწავლო პროცესის სპეციალურ ორგანიზაციას და მოსწავლეთა მიერ კომპლექსურ მოქმედებათა დამოუკიდებელ შესრულებას, რომელიც მთავრდება შემოქმედებითი სამუშაოს შექმნით. აქედან ჩანს უკვე, რომ პროექტული საქმიანობის მიზანს წარმოადგენს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რომელიც იძლევა საშუალებას გადაიჭრას მთელი რიგი ამოცანები, როგორებიცაა ჰქონდეს მოსწავლეს

- ფართო წარმოდგენა შესასწავლი საგნის შესახებ;
- განუვითარდეს შემეცნებითი უნარები;

- განუვითარდეს პრეზენტაციისა და რეფლექსიური საქმიანობის უნარები.

პროექტის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს სხვადასხვა ავტორთა (მწერალთა) ნაწარმოებები, რომლებიც ეძღვნება თუ ეხება პროექტის თემას. ასეთი მიდგომა საფუძველს უყრის მოსწავლის ორიენტირებული საქმიანობის არსებობას: მოსწავლე გებულობს და აცნობიერებს თავისი საქმიანობის მიზანდასახულობას და მისი მიღწევის საშუალებებს; პროექტის საფუძველი შეიძლება გახდეს კონკრეტული ნაწარმოები, რომელიც წაკითხება გაკვეთილზე. ამისათვის საჭიროა მხატვრული ნაწარმოების ანალიზი მიმართული იყოს ვთქვათ, არა მხოლოდ გმირების დახასიათების, ნაწარმოების თემისა და იდეის განსაზღვრის, არამედ პრობლემის (პრობლემების) გამოვლენის შესაძლებლობაზე, რომელიც შეიძლება გადაიჭრას პროექტული საქმიანობისას ინდივიდუალურად, ჯგუფურად ან გუნდურად.

პროექტული საქმიანობის საფუძველი შეიძლება იყოს არა კონკრეტული მხატვრული ნაწარმოები, არამედ საერთო გმირის ან ფოლკლორული ნაწარმოებებისა და ლიტერატურული ზღაპრების გმირების დახასიათება, რომლებიც ისწავლება ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე. პროექტული სწავლების პროცესში მოსწავლეთა მიერ შეიძლება შედგეს, მაგალითად, ასეთი სქემაც:

ხალხური ზღაპარი	ლიტერატურული ზღაპარი
საერთო: • ზღაპრის დასაწყისი და დასასრული. • ზღაპრის შინაარსი (ამბავი). • ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები	
განსხვავება: • ავტორი - ხალხი. • ერთი ზღაპრის შესაძლო რამდენიმე ვარიანტი.	**განსხვავება**: • ავტორი - კონკრეტული პიროვნება, მწერალი. • ავტორის ტექსტი არაა შეცვლილი, ან ნაწილობრივ შეცვლილია.

ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოვიყენოთ ეილერ-ვენის დიაგრამაც:



ასეთი მიდგომა სწავლებისადმი აუცილებლად დააინტერესებს მოსწავლეებს. მათ შეგვიძლია მივაწოდოთ ალგორითმი და დავავალოთ შეადგინონ ზღაპარი:

- მოიფიქრე გმირები;
- მოიფიქრე კომპოზიცია და სიუჟეტი;
- შეადგინე გეგმა;

- დაწერე ზღაპარი (შესაძლებელია მისი ილუსტრირება);
- შეამოწმე, ხომ არაა დაშვებული ლოგიკური შეცდომები;
- გაასწორე ტექსტი;
- მოემზადე ზეპირი თხრობისათვის.

ან შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთნაირად, მაგალითად: ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“ მოსწავლეები ეცნობიან ნაწყვეტს „არაგვს“, სადაც პოეტის მიერ მოცემულია ბუნების ულამაზესი პეიზაჟები; ხოლო ხალხურ ლექსში „გაზაფხულ იყო მაშინა“ და ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „შვლის ნუკრის ნაამბობი“ მოცემულია ადამიანის დამოკიდებულება ბუნებისადმი; ასევე რევაზ ინანიშვილის „მუხა“, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია აღმზრდელობით საკითხებზე (V კლასი).

ამ დასახელებულ ნაწარმოებებში ბუნებასთან მიმართება მოცემულია სხვადასხვაგვარად. ჯგუფური საკვლევი თემა იქნება „ბუნება ადამიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში“, პირველ, კვლევით ნაწილში კვლევით გაიხსნება თემის აღმზრდელობითი პრობლემატიკა: როგორ უნდა მოვექცეთ ბუნებას? წინ წამოიწევა ბუნების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში, უშუალოდ თვითონ როგორია მოსწავლეთა დამოკიდებულება ბუნებასთან, შედგება სამახსოვრო ბუნების დაცვასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ – შეიქმნება ბუნების ამსახველი სურათები მხატვრულ ნაწარმოებებში (ლექსებში, აპლიკაციებში და ა. შ.).

მოცემული მაგალითი გვიჩვენებს, რომ პროექტული საქმიანობისას კლასში ლიტერატურული გმირის სახის შექმნა მოსწავლეებს შეიძლება მივაწოდოთ სხვადასხვა საშუალებებით,

რომელიც კიდევ უფრო აფართოებს მოსწავლის წარმოსახვით სამყაროს, ხსნის მის შემოქმედებით შესაძლებლობებს საკუთარი მხატვრული სახის შექმნისას.

პროექტული საქმიანობის თემატიკა დაწყებით კლასებში ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი: მეგობრობის თემა მხატვრულ ნაწარმოებებში, წარსულის გმირები, ადამიანი და ბუნება და სხვ.

მ. ინასარიძისა და სხვათა რეკომენდაციის მიხედვით პროექტის დაგეგმვის დროს უნდა განისაზღვროს **პრობლემა** (გათვალისწინებული იყოს პრობლემის აქტუალურობა), განისაზღვროს მკაფიო და მიღწევადი **მიზანი**, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული, კონკრეტული **ამოცანები** – ამ მიზნის განხორციელების გზები თითოეული ამოცანის შესატყვისი **კონკრეტული საქმიანობები**, **გაწერილი დროში** (სამუშაო გეგმა) პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით, **მოსალოდნელი შედეგები** და **რესურსები**, რომლებიც საჭიროა პროექტის რეალიზებისათვის.

მ. ბოჭორიშვილი, ნ. ნამიჭეიშვილი და ნ. ნაბულიშვილი გვთავაზობს პროექტის შედგენის შემდეგ სქემას:

ა) **პრობლემის ანალიზი** – გულისხმობს სიტუაციის ანალიზს;

ბ) **პრობლემის განსაზღვრა** – იმ პრობლემების ხაზგასმას გულისხმობს, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი;

გ) **მიზანი** – ეს არის მოკლედ ჩამოყალიბებული ის, თუ რისი მიღწევა გსურთ;

დ) **ამოცანები** – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად;

ე) **განხორციელების გზები** – ეს არის კიდევ უფრო კონკრეტული ნაბიჯები დასმული ამოცანების შესასრულებლად. ეს გზები არის პროცესი, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს: 1. როგორ? 2. ვინ?

ვ) **სამუშაო გეგმა** – ეს არის პროექტი გაწერილი დროში;

ზ) **ბიუჯეტი** /რესურსები/ – ეს არის იმ რესურსების ჩამონათვალი, რომელთა დახმარებითაც უნდა განხორციელდეს პროექტი;

თ) **შედეგები** – ყოველი ამოცანის გადაჭრის შემდეგ მიიღება კონკრეტული შედეგები;

ი) **შეფასება** – პროექტი უნდა შეფასდეს იმ კრიტერიუმებით, რომლებიც წინასწარ იქნება მასწავლებლის მიერ განსაზღვრული *[მ. ბოჭორიშვილი ...].*

პროექტის შედგენის დროს მონაწილეებმა ღრმად უნდა შეისწავლონ საკითხი (საკვლევი თემა) და თავიანთი გამოკვლევა სხვასაც გაუზიარონ. პროექტზე მუშაობის წინ მასწავლებელი ვალდებულია გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეებს, იმისათვის რომ

- ზუსტად ჩამოაყალიბონ და განმარტონ საკვლევი თემა;
- გასაგებად ჩამოაყალიბონ საკვლევი თემის მიზნები, ამოცანები, საბოლოო შესრულების თარიღი;
- განმარტონ საკვლევი თემის რეალიზების გზები (წერილობითი, შემოქმედებითი ან სხვა ფორმით);
- გაითვალისწინონ ობიექტური და სუბიექტური პირობები;
- შექმნან ისეთი პირობები, როდესაც თავიანთ შედეგებს წარუდგენენ აუდიტორიას, დააინტერესებენ სხვა მოსწავლეებსაც და გაარკვევენ საკითხში;

- იმსჯელებენ შედეგებზე.

ტექნოლოგიური გამოცდილება განზოგადებული ფორმით შეიძლება ასეთნაირად წარმოვადგინოთ:

- მასწავლებლის მიერ მხატვრული ნაწარმოების ანალიზი, ნაწარმოების სულიერ-ზნეობრივი და შემეცნებითი პრობლემური საკითხების წამოჭრა და განხილვა, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია პროექტული საქმიანობისას;
- მეთოდ-ხერხების შერჩევა, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეებს ვუბიძგებთ თვითონ მივიდნენ და ჩამოაყალიბონ პროექტის სულიერ-ზნეობრივი და შემეცნებითი პრობლემური საკითხები;
- პროექტის მიახლოებითი გეგმის შედგენა;
- სხვადასხვა სახის მოქმედებათა დაგეგმვა (შემეცნებითი, ძიებითი, კვლევითი, გამოყენებითი, მხატვრული);
- პროექტის ორგანიზება და მისი განხორციელება (პროექტის მსვლელობის მოტივირება, კონსულტირება, კორექტირება);
- პროექტის პრეზენტაციის ორგანიზება და მისი რეფლექსია.

სასწავლო პროექტის ორგანიზაციამ ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე და კლასგარეშე მუშაობის დროსაც, მისი რეალიზებისას შეიძლება გამოიწვიოს ზოგი გართულებები:

- დროის ხანგრძლივობა. ამისდა მიხედვით პროექტი შეიძლება იყოს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი. ამავე დროს ყოველ ეტაპზე საჭიროა მოსწავლეთა მოტივირება და სტიმულირება;

- სასწავლო უნარ-ჩვევების არასაკმარისი ფორმირება, რომლებიც აუცილებელი და საჭიროა პროექტის შესრულებისას (პრეზენტაციის შედგენა, საჭირო ინფორმაციის მოძიების უნარი, მოხსენების მომზადება და ა. შ.).

ყოველივე აქედან გამომდინარე პროექტების შესრულებისას საჭიროა გავითვალისწინოთ და ვიცოდეთ მისი ჩატარების შემდეგი ეტაპები:

1. პროექტზე მუშაობის მოსამზადებელი ეტაპი

- პროექტის მიზნებისა და თემების განსაზღვრა;
- პროექტზე მომუშავე ჯგუფების ფორმირება;
- ეტაპობრივი მუშაობის დაგეგმვა.

2. პროექტზე მუშაობა ჯგუფებში

- მუშაობის დაგეგმვა;
- კვლევა;
- შედეგებისა და დასკვნების ფორმირება.

3. წარმოდგენა – პროექტის დაცვა

4. პროექტის შეფასება (შეფასების რამდენიმე დონე)

- თვითშეფასება;
- სხვა ჯგუფების შეფასება;
- მასწავლებლის შეფასება;
- სპეციალურად შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის შეფასება.

5. რეფლექსია – საერთო საქმეში საკუთარი მონაწილეობის ანალიზი

- რას ვაკეთებდით?
- როგორ გავაკეთეთ?

- როგორია შედეგები?
- როგორია ჩემი წვლილი პრობლემის გადაწყვეტაში?

მოცემული თანამიმდევრული მუშაობა სხვადასხვა პროექტების ტიპებზე და სახეობებზე უნივერსალურია სქემატურად. ეს სქემა შეიძლება უფრო ფართოდ გავშალოთ შემდეგნაირად:

მოსამზადებელი ეტაპი (პროექტის დატვირთვა)

- თემის არჩევა და მისი კონკრეტიზაცია (პროექტის ჟანრის განსაზღვრა).
- ამოცანის ფორმულირება და მისი მიზნის განსაზღვრა.
- საპროექტო ჯგუფების ფორმირება, მათი მოვალეობის განსაზღვრა.
- წერილობითი რეკომენდაციების მიცემა თითოეული ჯგუფისათვის (მოთხოვნა, დრო, გრაფიკი, კონსულტაცია და სხვ.)
- პროექტის თემატიკის დამტკიცება და თითოეული ჯგუფის ინდივიდუალური გეგმის შედგენა.
- პროექტის პროცედურისა და კრიტერიუმების დადგენა და მისი წარმოდგენის ფორმები.

კვლევით-ძიებითი ეტაპი

- ინფორმაციის წყაროების განსაზღვრა.
- ინფორმაციის ანალიზისა და ხერხების დაგეგმვა.
- კვლევისათვის მზადება და მისი დაგეგმვა.
- კვლევის ჩატარება. მასალის შეკრება და მისი სისტემაში მოყვანა ჟანრული და მიზნობრივი სამუშაოსათვის, ილუსტრაციის შერჩევა.
- ორგანიზაციულ-კონსულტაციური მეცადინეობა. მოსწავლეთა შუალედური ანგარიში, პროექტის რეალიზებ-

ის პროცესში წარმოქმნილი ალტერნატივების განხილვა.

ტრანსლაციურ-გასაფორმებელი ეტაპი

- პროექტის „წინადაცვა".
- პროექტის დამუშავება შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.
- პროექტის დაცვისათვის მზადება.
- დროისა და ადგილის გარკვევა.
- პროგრამისა და სცენარის გარკვევა, დავალების განაწილება ჯგუფში.

დასკვნითი ეტაპი

- პროექტის დაცვა.
- შედეგების შეჯამება, გაწეული მუშაობის კონსტრუქციული ანალიზი.

თანამედროვე ეტაპზე სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით სრულიად დასაშვებია სწავლებაში ისეთი საშუალებებისა და სწავლების ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც იწვევს მოსწავლეებში დამოუკიდებელი და კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას. სწორედ ამ საქმეს ემსახურება სწავლების პროექტების მეთოდები.

აქ შეიძლება გამოვყოთ ის აქტუალური უპირატესობები, რომლებიც ახასიათებს სწავლების პროექტების მეთოდს:

- მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელოვანი ზრდა;
- დამოუკიდებელი ძიების გზით შეძენილი ჩვევები და აუცილებელი ინფორმაციის დამუშავება;
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება სწავლებაში;

- სწავლების პროცესი ხდება თვითმოტივირებული, რადგანაც იზრდება ინტერესი და ჩართულობა სამუშაო პროცესში მისი შესრულების დროს;
- მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების აქტივიზირება;
- პროექტირებული მუშაობის პროცესში მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლება;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება;
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება;
- შეძენილი უნარ-ჩვევებისა და შესრულებული სამუშაოს პრეზენტირება სხვადასხვა ფორმით: ზეპირი, წერილობითი, უახლესი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი სახის დასკვნა: მუშაობა პროექტულ საქმიანობაზე ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, რომლის დროსაც მოსწავლე სწავლობს, გაარკვიოს და განსაზღვროს საკუთარი დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის შესაძლებლობები და საზღვრები.

ამდენად, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე პროექტული საქმიანობის გამოყენებისას რეალიზდება მოსწავლის კომპეტენტური მიდგომა სწავლებისადმი, ეუფლება დამოუკიდებელ საქმიანობას როგორც ინდივიდულურ, ასევე წყვილებსა და ჯგუფური მუშაობის პროცესში. უფრო მეტად აქტივიზირდება მოსწავლეთა დამოუკიდებელი შემოქმედებითი საქმიანობა, რომლის დროსაც ყველაზე მეტად გამოიყენება პროექტულ-კვლევითი მიდგომა.

სწავლების პროცესში გამოიყენება ახალი მეთოდებიც, კერძოდ, ხდება ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგი-

ების ინტეგრირება, რომლის გამოყენების დროსაც მაღლდება მოსწავლეთა ინტერესი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისადმი.

გარდა ამისა, სასწავლო პროექტების ტექნოლოგიას გააჩნია უდიდესი აღმზრდელობითი ფუნქცია: მოსწავლეთა ზნეობრივი, კომუნიკაციური, ინფორმაციული, სამართლებრივი, ინტელექტუალური, კულტურული და სხვ., რომელიც ძირითადად ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე წარმოებს.

ასე რომ, პროექტული სწავლება წარმოადგენს ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში ცოდნის ოპერატიულად დაუფლების საქმეში.

პრაქტიკუმისათვის
სადისკუსიო საკითხები:

- *საგანმანათლებლო პროექტების ტექნოლოგიის არსი და მისი გამოყენების გზები სასწავლო პროცესში;*
- *პროექტების ტიპები და მათი დახასიათება;*
- *ლიტერატურული კითხვის გაკვეთილის დაგეგმვა პროექტების მეთოდის გამოყენებით;*
- *პროექტების ჩატარების ეტაპები.*

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილის ორგანიზაცია და სწავლების თანამედროვე მიდგომები

➢ **ლიტერატურული კითხვის სწავლების გზები და მეთოდები.**

საგანმანათლებლო დაწესებულების, სკოლის პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს ის, რომ დაწყებით საფეხურზე საფუძველშივე უნდა ჩაიდოს მოსწავლის წიგნიერება, მისი სწრაფვა ცოდნისაკენ, რასაც ემსახურება ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი. იგი განსაკუთრებული გაკვეთილია, რომელიც ემსახურება მოსწავლის როგორც გონებრივ, ისე ზნეობრივ-ესთეტიკურ აღზრდასა და განვითარებას.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში მითითებულია, რომ კითხვა არის საფუძველი წიგნიერებისა, რომელიც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება ნაირგვარი წერილობითი ინფორმაციის წაკითხვისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას. მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის სწავლების ძირითადი სტრატეგიები, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული, სტატიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით, სპეციალური საძიებლებისა და ლექსიკონების გამოყენება, ტექსტების სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა.

წიგნიერების ამოსავალი წერტილი კითხვის უნარის განვითარებაა, რომელიც მოიცავს გარკვეული აზროვნებითი პროცესების ერთობლიობას – წარმოთქმული და დაწერილი

სიტყვების დეკოდირებითა და გაგებით დაწყებული, ტექსტის სიღრმისეული აღქმით დამთავრებული. კითხვის უნარის განვითარება მრავალი კომპონენტისაგან შედგება, რომლებიც ფონოლოგიურ, ორთოგრაფიულ, სემანტიკურ, სინტაქსურ და მორფოლოგიურ ერთეულებს მოიცავს და აუცილებელ საფუძველს ქმნის გამართული და გააზრებული კითხვისათვის.

თუ ეს უნარები სათანადოდაა განვითარებული, მკითხველი წიგნიერების მაღალ დონეს აღწევს, და, შესაბამისად, წარმატებით შეუძლია ბეჭდვითი მასალის კითხვისას კრიტიკული აზროვნება, დასკვნების გამოტანა და სინთეზირება, ამასთან, წერის პროცესში სიზუსტის, ლოგიკურობისა და მკაფიობის გამოვლენა, ტექსტიდან მიღებული ინფორმაციისა და ამოცანების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და ადეკვატური ქმედება *[ნ. კოსტავა].*

თანამედროვე გაგებით, წიგნიერება ეს არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს.

ჯ. ავალიანი სამართლიანად მიუთითებს, რომ დაწყებით საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპისა და სახის ტექსტების გაცნობა და შესწავლა მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლების კარგ შესაძლებლობას იძლევა. ნებისმიერი ტექსტის კითხვის მიზანია: ა) მოსწავლემ სათანადოდ აღიქვას წაკითხულის შინაარსი; ბ) გამოხატოს თავისი დამოკიდებულება წაკითხულ ტექსტთან დაკავშირებით; გ) შეძლოს სათანადო ინფორმაციის მოპოვება, კონცეპტუალური წინადადების გამოკვეთა და სხვ.; დ) დაეუფლოს

წიგნთან მუშაობის საწყის ჩვევებს; ე) განუვითარდეს სწორი მეტყველების კულტურა, კრიტიკულ-ანალიზური აზროვნების უნარი და სხვ.

შესაბამისად, ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი ითვალისწინებს:

- შევასწავლოთ მოსწავლეებს სხვადასხვა ჟანრის განსაზღვრული რაოდენობის ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორც ხალხური შემოქმედებიდან, ისე კლასიკური ლიტერატურიდან;
- ვასწავლოთ ნაწარმოებებში ყველაზე არსებითის დანახვა და გამოყოფა, ნაწარმოების წაკითხვა, გააზრებაგაგება, განსჯა, პრობლემური საკითხების დანახვა, მათი გადაჭრა და ანალიზი;
- ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევის გამომუშავებას.

ლიტერატურული კითხვის დროს მასწავლებლის მიერ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

- **ნაწარმოების მოცულობა**: რაც უფრო ვრცელია ნაწარმოები, მით უფრო იზრდება შინ წასაკითხ მასალათა ხვედრითი წილი და პირიქით.
- **ნაწარმოების ენობრივი სირთულე**: რაც უფრო რთული და ძნელად გასაგებია ენობრივად ტექსტი, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მის კითხვას კლასში;
- სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების სწავლების თავისებურებანი;
- **დრო**: ნაწარმოებისათვის გამოყოფილი საორიენტაციო დრო ზუსტად უნდა იქნეს დაგეგმილი ისე, რომ კითხვასთან ერთად იგი ტექსტზე მუშაობის სხვა ძირითად მომენტებსაც შეიცავდეს;

- მოსწავლეთა მომზდების დონე და მათი ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

ტექსტები, რომლებიც V-VI კლასებში ისწავლება, მოცულობით საკმაოდ დიდია. ამიტომ მასწავლებელი ვალდებულია გარკვეული დოზით გამოიყენოს ე. წ. „კომენტირებული კითხვა“, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მიერ ნაწარმოების შინ წაკითხვას, წაკითხული ტექსტის შესახებ ჩანაწერების გაკეთებას, ნაწარმოების კომენტირებისათვის ადგილების გამოყოფას, ციტირებას, ადგილების ზეპირად დასწავლას. კომენტირებული კითხვის ორი სახე გვაქვს: კლასში კომენტირება და შინ წაკითხულის კომენტირება *[ნ. მაღლაკელიძე].*

ყოველივე აქედან გამომდინარე, ლიტერატურული კითხვის უმთავარეს მიზანს წარმოადგენს:

- მოსწავლე ლიტერატურული კითხვის გზით დაეუფლოს სრულყოფილ კითხვას;
- განუვითარდეს შემოქმედებითი და კომუნიკაციური შესაძლებლობები;
- ტექსტის აღქმის გზით ჩამოუყალიბდეს აღმზრდელობით-ესთეტიკური ფასეულობები;
- მოახდინოს მოსწავლის სტიმულირება შემოქმედებითი კითხვის დროს.

ამ მიზნის მიღწევა კი განაპირობებს გადაიჭრას შემდეგი ამოცანები, როგორიცაა:

საგანმანათლებლო:

- ნებისმიერი მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტის კითხვის მოთხოვნილების განვითარება სინტაგმური კითხვის (**სინტაგმა** – ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებული წინადადების ორი წევრი), ტექსტის სხვა-

დასხვა ინტონაციითა და ნაწარმოების გაგების დაუფ-ლების გზით;

- მხატვრული ტექსტის შემოქმედებითი ხედვის გააზრე-ბის შესაძლებლობების განვითარება;
- მოსწავლის მიერ ახალი პოზიციის შერჩევა, როგორც მკითხველისა ავტორთან (მწერალთან) მიმართებაში.

განმავითარებელი:

- ლიტერატურული გემოვნების, მხატვრული სიტყვის „მაგიური“ ძალის შეგრძნების განვითარება;
- კომუნიკაციური შესაძლებლობების განვითარება;
- მეტყველების განვითარება.

აღმზრდელობითი:

- კულტურული ჩვევების ფორმირება ლიტერატურული ნაწარმოებების შემოქმედებითი აღქმის გზით;
- წიგნთან, როგორც ცოდნისა და სულიერების წყაროს-თან, ესთეტიკური გრძნობების გამომუშავება.

აღნიშნულ მიზანს ორგანულად უკავშირდება შემდეგი შინაარსობრივი მომენტები:

- **ლიტერატურული სამყაროს აღქმა** – სხვადასხვა მწერ-ლისა და შესაბამისად ახალი ნაწარმოებების გაცნობა, ჟანრული თვალსაზრისით სხვადასხვა ტექსტების (მო-თხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი) თავისებურებების დან-ახვა, ავტორის მიერ პოზიციის გამოხატვის ხერხები, სხვადასხვა ავტორთა მიერ ერთი თემის გარშემო სხვა-დასხვაგვარი დამოკიდებულება და სხვ.
- **მხატვრული ტექსტის გაგების ხერხების დაუფლება** (ანალიზი და ინტერპრეტაცია) – ხატოვანი აზროვნების განვითარება, კითხვის თანამედროვე სტრატეგიების

დაუფლება, ნებისმიერი ნაწარმოების შემოქმედებითი პოტენციალის გახსნის უნარის ფორმირება.

- **სინტაგმური კითხვის უნარის სრულყოფა** – გააზრებული კითხვის ხერხების დაუფლება სინტაგმების გამოყენებით, ინტონაციის ყველა ელემენტის დაცვით (**მახვილი** – გრამატიკული, ლოგიკური, ფსიქოლოგიური; **პაუზა** – გრამატიკული, ლოგიკური, მხატვრული; რიტმი, ინტონაციის შერჩევა, ტემპის შერჩევა).
- **მოსწავლეთა შემოქმედებითი საქმიანობა** – საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ახალი პროდუქციის შექმნასთან წაკითხული ლიტერატურული ტექსტების საფუძველზე: თხზულება, ილუსტრაცია, სქემები, მოდელები, პრეზენტაცია; პროექტული საქმიანობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი განსაკუთრებული გაკვეთილია, რამდენადაც ამ შემთხვევაში თვითონ საგნის შესწავლა ხელოვნებაა. ხოლო ასეთ გაკვეთილებზე მუშაობის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარება – სრულფასოვნად აღიქვან და გააცნობიერონ მხატვრული ნაწარმოები.

თავისთავად ცხადია, რომ მასწავლებლის მიერ წარმართული ყოველი გაკვეთილი უნდა იყოს საინტერესო, მიმზიდველი, სახალისო, ლოგიკურად აგებული, შემეცნებითი, საქმიანობრივი. ასეთმა გაკვეთილმა მოსწავლეს უნდა გამოუმუშაოს მთავარი – სრულყოფილი კითხვის უნარ-ჩვევა. მასწავლებელმა უნდა დასახოს სასწავლო ამოცანები და სტიმული მისცეს მოსწავლეებს ლიტერატურული ტექსტის, ნაწარმოების წასაკითხად.

მოსწავლის პიროვნების განვითარება და ფორმირება, როგორც მკითხველისა, ძირითადად წარმოებს პირველივე

კლასიდან კითხვის გაკვეთილებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. მაღლაკელიძე მიუთითებს, რომ I-IV კლასებში მხატვრულ ტექსტებზე მუშაობის მეთოდიკას ტრადიციულად „ახსნითი კითხვა“ ეწოდება, ხოლო რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა მხატვრულ ტექსტებზე მუშაობის მეთოდიკა V-VI კლასებში. აქ, ამ მიზნით ძირითადად ე. წ. „ლიტერატურული კითხვა“ გამოიყენება. მისივე აღნიშვნით, დღეს არსებითი განსხვავება ამ ტერმინებს შორის „ახსნითი კითხვა“ და „ლიტერატურული კითხვა“ თითქმის დაკარგულია და განსხვავებას ძირითადად აქ სასწავლო მასალა ქმნის.

ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები, ეს იქნება მოთხრობა, იგავ-არაკი, ზღაპარი, ლექსი თუ სხვა, დამუხტულია იმით, რომ მოსწავლეს გაუჩნდეს სურვილი, მოძებნოს მასში ახალი აზრები, შეხვდეს ავტორს. ეს შეხვედრა კი შეიძლება აიგოს, როგორც მთავარი საქმიანობა, რადგან ამ გააზრების პროცესში ხდება არა მხოლოდ წაკითხული ტექსტის აღქმა, გაგება და შეფასება, არამედ ისწავლოს მიზნის დასახვა, მოიფიქროს და გაიაზროს ამ მიზნის მიღწევის გზები, შემდეგ კი თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად განიხილოს მის მიერ მიღწეული შედეგი. ასეთ დროს მოსწავლეს, ერთის მხრივ, უყალიბდება შემოქმედებითი შესაძლებლობები, ხოლო მეორეს მხრივ, იძენს ზნეობრივ-მორალურ თვისებებს.

მხატვრული ნაწარმოები არა მხოლოდ უნდა გაიგოს მოსწავლემ, არამედ ღრმად განიცადოს, სხვანაირად ის ვერ ეზიარება მხატვრული ნაწარმოების იდუმალ სამყაროს. ამ საქმეში კი, უდიდესი და მნიშვნელოვანი როლი სხვა კომპონენტებთან ერთად მხატვრულ-გამომეტყველებითმა კითხვამ უნდა შეასრულოს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ

ლიტერატურული კითხვის სწავლებას დაწყებით კლასებში თან ახლავს გარკვეული სახის სპეციფიკა და თავისებურებები.

ჯ. ავალიანი შენიშნავს, რომ ტექსტზე მუშაობა დაწყებით კლასებში შეიცავს ზოგ თავისებურებას, რომლებიც, პირობითად, დიფერენცირდება I-III და IV-VI კლასებისათვის.

მაგალითად, დაწყებითი საფეხურის პირველ ეტაპზე ტექსტის კითხვისას გასათვალისწინებელია მთელი რიგი ძირითადი პრინციპები, კერძოდ, ტექსტის შესაბამისი ინტონაციით წაკითხვა, ლექსიკური ანალიზი, ტექსტის გახსენება ნაწილობრივ მასწავლებლის თხრობისა და ნაწილობრივ კითხვების საშუალებით და სხვ.

ტექსტზე მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარეობს სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის კითხვები, რომლებიც ორიენტირებული უნდა იქნეს მთლიანი შინაარსის გაგებასა და პირადი დამოკიდებულების ფიქსირებაზე (რა მოგეწონათ? რატომ? როგორ ფიქრობთ? და ა.შ.).

რაც შეეხება დაწყებითი საფეხურის მეორე ეტაპს (IV-VI კლ.), სასურველია დამუშავდეს ტექსტის მისაწვდომი მხარეები და ასევე მისაწვდომ ფორმებში გაეცნოს ბავშვებს მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულებანი.

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი შეიძლება განვიხილოთ როგორც კომუნიკაციური მოვლენა – მოსწავლისა (მკითხველის) და მწერლის (ავტორის) შეხვედრა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს მოსწავლის პიროვნება. იმისათვის, რომ მოსწავლემ სწავლით შეცვალოს თავისი შინაგანი სამყარო, თითოეულმა მასწავლებელმა კარგად უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს ცვლილება – მკითხველის ფორმირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში. ასეთ დროს კი მოსწავლის პოზიცია არ უნდა იყოს პასიური, რადგან მხოლოდ მოქმედებაში იბადება პიროვნების განუმეორებელი შე-

მოქმედითობა, ინდივიდუალურობა. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლე ასევე იძენს თავისი საქმიანობის რეფლექსიურ შეფასებას.

განმავითარებელი სწავლების გაკვეთილს გააჩნია მუდმივი ფსიქოლოგიური სტრუქტურა. ასეთი გაკვეთილი კი იწყება განსაკუთრებული სიტუაციით – მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთკავშირის დამყარებით, ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნით, კეთილგანწყობით. აქ უკვე მასწავლებელმა ხელი უნდა გაუწოდოს თითოეულ მოსწავლეს თანამშრომლობისათვის, დიალოგისათვის.

მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის კავშირის დამყარებასა და ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნის შემდეგ უკვე შეიძლება მოსწავლეები ჩავრთოთ სასწავლო-საგნობრივ საქმიანობაში – გავაცნოთ ახალი ლიტერატურული ნაწარმოები. დროთა განმავლობაში ეს პროცესი გახდება ბუნებრივი, ნაცნობი; მოსწავლეებისათვის ყოველი ახალი ლიტერატურული მასალა იქნება კომუნიკაციური მოვლენა, რომელიც მოამზადებს მწერალთან, ნაწარმოების ავტორთან შესახვედრად. მწერლის ვინაობის გაცნობა ეს არის მწერლის შესწავლის ის პირველი ეტაპი, რომელმაც უნდა გაუღვივოს ღრმა ინტერესი მოსწავლეს ნაწარმოების შესწავლისადმი. ამიტომ ლიტერატურული კითხვის ამ ეტაპზე მასწავლებლის ერთ-ერთი მოვალეობაა მარტივ, გასაგებ და საინტერესო ფორმებში გააცნოს მოსწავლეებს შესასწავლ ნაწარმოებთან დაკავშირებით მწერლის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები არა მხოლოდ სიტყვიერი ფორმით, არამედ გამოიყენოს სწავლების სხვადასხვა მიდგომები.

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე სასურველია მასწავლებელმა გამოიყენოს შესაფერისი სურათები, პლაკა-

ტები, სქემები, რომლებიც უკავშირდება შესასწავლ ნაწარმოებსა და მწერლის ცხოვრებას. კარგი იქნება, ასევე, ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებასთან მიმართებაში გამოიყენოს **ლიტერატურული ექსკურსიაც**. ყველაფერი ეს წარმოადგენს ტექსტთან მისასვლელ გზას. უმთავრეს მომენტს კი წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების წაკითხვა, გააზრება-გაგება და ანალიზი.

სწავლების პროცესში კარგი იქნება თუ მასწავლებელი გამოიყენებს შემდეგი სახის სქემებსა და ცხრილებს.

მაგალითად, ბიოგრაფიულ და ავტობიოგრაფიულ ტექსტებთან დაკავშირებით ასეთი სქემის გამოყენება: დაასაბუთეთ, რომელ ჟანრს მიეკუთვნება თქვენ მიერ წაკითხული ტექსტი?

სათაური	**ტექსტის ჟანრი**	**დასაბუთება**

ბიოგრაფიულ და ავტობიოგრაფიულ ტექსტებთან დაკავშირებით შესაძლებელია შემდეგი ცხრილის გამოყენებაც:

ჟანრი და მისი მახასიათებლები	ვისი ცხოვრება აღიწერება საკუთრი თუ სხვისი?	რომელ პირში არის მოცემული თხრობა?	რას ეყრდნობა მთხრობელი? (მოგონებებს, სხვის ნაამბობს თუ ისტორიულ მასალებს?)	რა მიზანი აქვს მთხრობელს? (საკუთარი მოგონებების საინტერესოდ გადმოცემა, სხვა ადამიანების დაინტერესება, მათთვის გამოცდილების გაზიარება)
ავტობიოგრაფია				
ბიოგრაფია				

ასევე შეიძლება მოსწავლეებს შევთავაზოთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და ტექსტში დასახელებულ ავტორთა გვარებითა და ნაწარმოების სათაურების მიხედვით შეავსონ იგი.

ავტორი	ნაწარმოები	მთავარი პერსონაჟი

ან

ავტორი	ნაწარმოები	მოქმედი პერსონაჟები	რა მოგვწონა ყველაზე მეტად	რა არ მოგვწონა

კარგი იქნება შემდეგი სახის ცხრილის გამოყენებაც. მაგ. გადაავლეთ თვალი წლის განმავლობაში შესწავლილ ნაწარმოებებს და შეავსეთ მოცემული ცხრილი:

ნაწარმოები	ავტორი	ტექსტის ტიპი	რას მეუბნება ეს ნაწარმოები? რისი თქმა სურდა ავტორს?
„მზიანი დღე“	ილია ჭავჭავაძე	ნაწყვეტი	

ბუნებრივია, რომ ეს მოცემული სქემები და ცხრილები მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ამ თუ იმ მხატვრული ნაწარმოების სწავლებისას საჭიროების შემთხვევაში, ეს თავად მან უნდა განსაზღვროს.

სწავლების პროცესში ასევე სასურველია მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს ერთ-ერთ მთავარ საკითხზე, რადგან მხატვრულ ნაწარმოებებში მეტწილად საქმე გვაქვს ორგვარ ენასთან, ესაა **მწერლის ენა** და **პერსონაჟის ენა**. მწერ-

ლის ენა არის ავტორისეული მეტყველების ფორმა, მხატვრულ ნაწარმოებში ყველა ის სიტყვა, რომელიც პირადად ავტორს წარმოუთქვამს თუ დაუწერია. ასეთია: ამბავთა გადმოცემა, გმირთა დახასიათება, გარემოს აღწერა, საკუთარი აზრებისა და გრძნობების გამოთქმა, ე. წ. ლირიკული გადახვევები.

ენა ეს არის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება, რომელიც ეხმარება მწერალს ხატოვნად გამოსახოს ნაწარმოების შინაარსი. ამისათვის კი მწერლი იყენებს შედარება-შეპირისპირებას, ეპითეტს, მეტაფორას, გაპიროვნებას, ალეგორიას, ალიტერაციას, იუმორს, ირონიას, კონტრასტს, ჰიპერბოლას. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ჟანრს, ტექსტის თემას, ტექსტის დედააზრს (იდეას), სტილს (მხატვრული, მეცნიერულ -პუბლიცისტური, საქმიანი), ტექსტის სახეს (აღწერითი, თხრობითი, განხილვითი), კომპოზიციას (როგორ არის ტექსტი აგებული), კავშირის ძიებას (მაგ. ამბავი (შემთხვევა), საიდანაც იწყება მოქმედება მხატვრულ ნაწარმოებში), კულმინაციას (მოქმედების უმაღლეს წერტილამდე განვითარება), კვანძის გახსნას (კონფლიქტის გადაჭრა, ამბავის დასასრული), ფოლკლორს (ხალხური ზღაპრები, ლექსები, სიმღერები, ანდაზები, თქმები, გამოცანები).

აქვე უნდა ვიცოდეთ, რომ ავტორის ენაში არ შედის გმირთა ენა, რომელშიც ავტორი იცავს ისტორიულსა და ადგილობრივ კოლორიტს. პერსონაჟის ენა, სამეტყველო ლექსიკა არ ჰგავს და არც შეიძლება ჰგავდეს მწერლის სამეტყველო ლექსიკას. მწერლის ოსტატობა იმაშია, თუ რამდენად ახერხებს იგი პერსონაჟის მეტყველების თავისებური მანევრირების გზით მისი სახის ტიპიზაციასა და ინდივიდუალიზაციას, მისთვის დამახასიათებელი კოლორიტული ნიშნებით მის გამოყოფას სხვა მოქმედი პირისაგან.

მწერლის სტილისა და პერსონაჟების ენის შესწავლის, სალექსიკონო მუშაობის გაღრმავების მიზნით კარგი იქნება, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, ამა თუ იმ მხატვრულ ტექსტზე მუშაობისას, გამოვიყენოთ ნაწარმოების მწერლისეული ვარიანტები და ნათელვყოთ მოსწავლეთა წინაშე ის პროცესი, რომელიც გავლილი აქვს მწერლის მხატვრულ აზროვნებაში პირველი ვარიანტიდან უკანასკნელ ვარიანტამდე ამა თუ იმ სიტყვას, წინადადებას, სცენას, სახეს. ავტორისეულ მეტყველებას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შემოქმედებითი თავისებურებისა და ნაწარმოების შინაარსის გასაგებად და აღსაქმელად. ბევრია აგრეთვე დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ, რა დონეზე ფლობს მასწავლებელი საგანს, მის შინაარსს, როგორ აგებს გაკვეთილს მოცემულ თემაზე.

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს მკითხველის კომპეტენტურობის ფორმირება. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა გადაიჭრას შემდეგი ამოცანები:

- კითხვის ტექნიკის, აღქმის უნარებისა და ტექსტის ანალიზის ფორმირება;
- კითხვის პროცესის, კითხვისადმი მოთხოვნილების ინტერესის გაღვივება და განვითარება;
- პიროვნების თავისუფალი და დამოუკიდებელი აზროვნების აღზრდა;
- ესთეტიკურ-ზნეობრივი ფასეულობების წინ წამოწევა;
- ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარება (სალექსიკონო მარაგის გამდიდრება);
- მეტყველებითი და კომუნიკაციური კულტურის დაუფლება;
- შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება;

- მოსწავლეთა მიმართება ლიტერატურასთან, როგორც სიტყვის ხელოვნებასთან;
- გამომეტყველებითი საშუალებების გამოყენებით ტექსტის ანალიზი და ცალკეული თეორიულ-ლიტერატურული ცნებების გაცნობა.

ლიტერატურული კითხვის თანამედროვე გაკვეთილის მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:



აქ მასწავლებელი ხელმძღვანელობს არა რეპროდუქციული, არამედ პროდუქციული მეთოდებით, ინტერაქტიური, ე.ი. სწავლების შინაგანი აქტიური მეთოდებისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა ილუსტრაცია, ინსცენირება, დიდაქტიკური თამაში და სხვ.

იმისათვის, რომ ლიტერატურის გაკვეთილზე მიზანი კიდევ უფრო მიღწევადი გახდეს, საჭიროა გაკეთდეს მხატვრული ნაწარმოების ანალიზური სქემა, რომელიც ზოგადად შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

- ავტორი (მწერალი), პრობლემატიკა, თემა;
- რომელ ჟანრს განეკუთვნება ნაწარმოები;
- მოცემული ნაწარმოების თემა;
- იდეური მიმართულება;
- მთავარი გმირები, მათი როლი ნაწარმოებში, ქმედებები და ქმედების მოტივები;
- მეორეხარსიხოვანი პერსონაჟები, მათი კავშირი ერთმანეთთან და მთავარ გმირებთან;
- სიუჟეტი და მათი ელემენტები. მისი როლი ნაწარმოების შინაარსობრივი იდეის გახსნაში;
- კომპოზიცია, მისი კომპონენტები და როლი იდეის გახსნაში;
- მწერლისა და პერსონაჟების ენა;
- ნაწარმოების ესთეტიკურ-აღმზრდელობითი ფასეულობების წარმოჩენა მკითხველის (მოსწავლის) მიერ, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.

მხატვრული ნაწარმოების გეგმა შეიძლება გვქონდეს შემდეგი სახის, სადაც მოსწავლეებმა უნდა

- განსაზღვრონ ნაწარმოების ჟანრობრივი სახე;
- დაადგინონ ნაწარმოების თემა;

- განსაზღვრონ ტექსტის სახე (აღწერითი, თხრობითი, განხილვითი);
- აღადგინონ სიუჟეტი – კვანძის გახსნა, კულმინაცია, ანალიზი;
- ისაუბრონ ტექსტის კომპოზიციურ თავისებურებებზე;
- გააკეთონ მხატვრულ სახეთა აღწერა – პორტრეტი, ქმედებები, მეტყველება, დამოკიდებულება;
- გააკეთონ მწერლის სტილის ანალიზი – ჰიპერბოლა, კონტრასტი, ეპითეტი, მეტაფორა, შეპირისპირება, გა-პიროვნება.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს პერსონაჟის მოქმედების ანალიზური სქემა:



ნაწარმოების პერსონაჟთა შესახებ მსჯელობის გეგმა შეიძლება იყოს ასეთი:

- ისაუბრე იმ პერსონაჟის შესახებ, რომელიც უფრო მოგეწონა (ყველაზე უფრო მომეწონა..., ყველაზე უფრო დამამახსოვრდა..., საინტერესო იყო..., აღტაცებული ვარ..., ძალიან არ მომეწონა...).
- აღწერე პერსონაჟის გარეგნული მხარე (სახე, ტანსაცმელი, ქცევის მანერა).
- გაიხსენე, ყველაზე უფრო კარგად მოთხრობის რომელ ნაწილში ჩანს მოქმედი პირის მახასიათებელი თვისებები.
- ჩამოთვალე იმ პირის ძირითადი მახასიათებლები, რომელიც მოგწონს (არ მოგწონს).
- ისაუბრე მთავარი პერსონაჟის დამოკიდებულების შესახებ სხვა მოქმედ პირებთან დაკავშირებით.
- დაასახელე სხვა ნაწარმოებთა პერსონაჟები, რომლებიც ახლოს დგას შენს მიერ მოწონებულ პერსონაჟთან.
- მოიფიქრე და ისაუბრე რაში გინდა (არ გინდა) დაემსგავსო მოცემულ პერსონაჟს.
- გაიხსენე, რომელი ანდაზა, თქმა ან ფრაზა მოუხდებოდა ამა თუ იმ პერსონაჟს.
- შენ რომ მხატვარი იყო, რომელ მომენტს გამოიყენებდი სასურველი გმირის აღსაწერად, როგორი იქნებოდა მისი სახის გამომეტყველება.

იმისათვის, რომ შევძლოთ გეგმის წარმატებით განხორციელება გაკვეთილზე, სასურველია, მოსწავლეთა დახმარებით ავაგოთ მოთხრობის სქემა (პირამიდა)



1. რითი იწყება ისტორია? (კავშირის ძიება)
2. როგორ გაგრძელდება ისტორია? (მოქმედების განვითარება)
3. რომელია ყველაზე უფრო მწვავე მომენტი? (კულმინაცია)
4. როგორ ხდება კონფლიქტური სიტუაციის გადაჭრა? (კვანძის გახსნა)
5. როგორ მთავრდება ისტორია? (დასასრული).

როგორც ვხედავთ, გაკვეთილის შინაარსი, რომლის მიზანია ცოდნის მიცემა და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება, წარმოადგენს მოსწავლეთა დამოუკიდებელ და შემოქმედებით მიდგომას შესასწავლი მასალისადმი.

➢ **ანტიციპაცია და მისი გამოყენების გზები.**

ძალიან მნიშვნელოვანად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე სხვა მეთოდებთან ერთად გამოვიყენოთ სწავლების ისეთი საშუალება, როგორიცაა **ანტიციპაცია**.

ანტიციპაცია (**anticipatio**) ლათინური სიტყვაა და გააჩნია ორი მნიშვნელობა: 1. რისამე წინასწარ განჭვრეტა, წინასწარ გამოცნობა; 2. რაიმე მოვლენის სავარაუდო დროზე ადრე დადგომა; რისამე ვადაზე ადრე შესრულება.

ეს ტერმინი მეცნიერულ ფსიქოლოგიაში შემოიტანა და დანერგა გერმანელმა ფსიქოლოგმა ვილჰელმ ვუნდტმა 1880 წელს. ვ. ვუნდტი **ანტიციპაციას** განსაზღვრავდა როგორც ადამიანის, პიროვნების შესაძლებლობას, რომელსაც წინასწარ შეუძლია განჭვრიტოს თავისი საქმიანობის შედეგები მის განხორციელებამდე.

ანტიციპაცია ფართო მნიშვნელობის ტერმინია და იგი გამოიყენება არა მხოლოდ ფსიქოლოგიაში, არამედ ფილოსოფიაში, მედიცინაში, ასტრონომიაში, ლინგვისტიკაში და სხვა მეცნიერებებში.

თანამედროვე პედაგოგიკურ-მეთოდიკურ ლიტერატურაში ანტიციპაცია დაკავშირებულია კითხვის ჩვევის ფორმირებასთან. იგი განიხილება როგორც უნარი ან შესაძლებლობა შესასწავლი ტექსტის შინაარსისა და ელემენტების წინასწარ გამოცნობა, წინასწარ განსაზღვრა, წინასწარ განჭვრეტა.

ანტიციპაცია შემოქმედებითი პროცესის თანმხლებ მოვლენას წარმოადგენს, რომლის დროსაც ხელოვანს წარმოსახვაში წინასწარ ეძლევა თავის მიერ შექმნილი პროდუქტი მთლიანობაში და სახიერად, რაც შემდგომში იგი ლექსის, ნა-

ხატის, მუსიკის, სკულპტურის და ა. შ. სახით უნდა განხორციელდეს *[ნ. გოგიჩაიშვილი, თ. ბალანჩივაძე]*.

პედაგოგიკის სპეციალისტები გამოყოფენ ანტიციპაციის სამ ძირითად ფუნქციას: რეგულატორულს, კოგნიციურს და კომუნიკაციურს.

ანტიციპაციის **რეგულატორული ფუნქცია** გამოიხატება წინასწარი მომზადების პროცესში, როდესაც ხდება მოქმედების შედეგების წინასწარი პროგნოზირება. აქ, ამ შემთხვევაში, უპირველესად მოიაზრება **პედაგოგიური პროგნოზირება**, რაც გულისხმობს პიროვნების განვითარებაში, განათლებაში, ფორმირებაში სამომავლო ცვლილებების განჭვრეტას, პიროვნების სრულყოფის გზების განსაზღვრას, პედაგოგიური პროცესის მსვლელობის განვითარებას. ყოველივე ეს კი განსაზღვრავს შექმნილი სიტუაციის მიმართულებასა და ქმედების ხასიათს. ანტიციპაციურ პროცესებს მიეკუთვნება მთავარი როლი უმცროსკლასელთა საქმიანობის რეგულირებისას, მიზნის დასახვისა და ფორმირებისას, საკუთარი საქმიანობის დაგეგმვისა და პროგრამირებისას, გადაჭრის მიღებისას, კონტროლის განხორციელებისას.

ანტიციპაციის **კოგნიციური ფუნქცია** დაკავშირებულია სხვადასხვა შემეცნებითი პროცესების განხორციელებასთან, რომლებშიც ყოველთვის გვაქვს მომენტი, და რომელიც მომავალს ეხება. ანტიციპაციურ პროცესებთან უმჭიდროეს კავშირშია კოგნიტივიზმის ისეთი უმთავრესი სტრატეგიები, როგორიცაა **მეხსიერება** და **აზროვნება**. მეხსიერება ეს არის გარემოდან მიღებული ინფორმაციის დამახსოვრების, შენახვისა და აღდგენის პროცესი. იგი წარმოადგენს ადამიანის უნარს, რომლის გარეშეც ნორმალური ფსიქიკური აქტივობა ფაქტობრივად წარმოუდგენელია. მეხსიერება ადამიანის თანდაყოლი-

ლი უნარია, რომელიც ყველა ადამიანს გააჩნია და ამავე დროს ადამიანის ინდივიდუალობის გამომხატველიცაა, რადგან ამ მხრივ ადამიანები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რადგან ისინი ავლენენ სხვადასხვაგვარ მნემურ უნარებს: ზოგიერთი ადვილად იმახსოვრებს და მერე ძნელად მოიგონებს, ზოგიერთი კი – პირიქით. ფსიქოლოგიაში გვაქვს კვლევის 7 მეთოდი, რომელიც მოგვცა ფსიქოლოგმა ებინგჰაუსმა. ეს მეთოდებია: დასწავლის, შენარჩუნების, სწორი პასუხების, ცნობის, რეკონსტრუქციის, დახმარების და მომარაგების მეთოდები.

აზრობრივი პროცესი ეს არის გზა ახლის ძიებისა და გახსნისა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ პროგნოზირების, წინასწარი ჭვრეტის გზით. პროგნოზირება წარმოადგენს ინფორმაციის დამახსოვრების, შენახვისა და აღდგენის ძირითად კომპონენტს.

ნ. ჯაშის აღნიშვნით სწავლების უმნიშვნელოვანესი მიზანი მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების ხელშეწყობაა.

მ. ჯაფარიძე და ნ. თომაძე განიხილავენ რა პედაგოგიურ სწავლებაში კოგნიციური მიდგომის თავისებურებებს, მიუთითებენ, რომ კოგნიტივიზმი სვამს კითხვას – როგორ ხდებიან ბავშვები მოაზროვნენი და როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ მათ იყვნენ უფრო პროდუქტულები, პრაქტიკულები და შემოქმედებითები. მათი შეხედულებით, თუ ბიჰევიორიზმი დაინტერესებულია ქცევითი სტიმულებით, წახალისებით და დასჯით, კოგნიტივიზმს ყველაზე მეტად აზროვნება აინტერესებს. კოგნიტივიზმი თვლის, რომ მოსწავლემ, ერთის მხრივ, საკუთარი თავი უნდა გააცნობიეროს, როგორც შემმეცნებელმა სუბიექტმა, რომელიც გადაამუშავებს ინფორმაციას, მეორეს მხრივ, მან უნდა განავითაროს და პრაქტიკულად გამოიყენოს ის მიდ-

გომები და სტრატეგიები, რომლებიც მონაწილეობენ კრიტიკული, შემოქმედებითი, ეფექტური აზროვნების ამოცანის გადაჭრის პროცესში.

ნ. ჯანაშიასა და სხვათა მიხედვითაც კოგნიციური განვითარება გულისხმობს მოსწავლეთა აზროვნების, შემეცნებითი თუ განსჯის უნარებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსწავლეებმა უნდა განივითარონ მეტაკოგნიციური ჩვევები და მათი შესატყვისი სტრატეგიები. სწორედ სწავლის სწავლა უზრუნველყოფს ამ ჩვევების დაუფლებას.

ლ. ჭეიშვილი სტატიაში „კრიტიკული აზროვნების გამომუშავება მოსწავლეებში ქართული ენის სწავლებისას“ ყურადღებას ამახვილებს კოგნიტივიზმის უმთავრეს სტრატეგიებზე. იგი მიუთითებს, რომ ქართული ენის სწავლების პროცესში მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების გამომუშავება ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ეს ამოცანა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმიტომაც იძენს, რომ ენის საკითხების შესწავლა ძირითადად მასალის მრავალგზის გამეორების ხარჯზე ხდება, ანუ წამყვანი როლი **მეხსიერებას** ეკუთვნის, **აზროვნება** კი ახალ ამოცანას წყვეტს, რაც ახალი მასალის, ანუ უკვე შესწავლილის ახალ სიტუაციაში გააზრების გზით მიმდინარეობს.

აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკურ შეხედულებებში გარკვეული ადგილი უჭირავს სწავლების პროცესში აზროვნების, მეხსიერების და სხვა ფსიქიკური თვისებების როლს. მისი აზრით, აზროვნებას, მეხსიერებას, ნებისყოფას, ყურადღებას შესაბამისი აღზრდა-განვითარება ესაჭიროება. ი. გოგებაშვილს ცოდნის შეძენის ერთ-ერთ აუცილებელ ფსიქოლოგიურ ფაქტორად მეხსიერე-

ბის განვითარება მიაჩნია. თუმცა, იგი იმასაც განმარტავდა, რომ მეხსიერების განვითარებაზე ზრუნვა ცალმხრივად კი არ უნდა მიმდინარეობდეს, არამედ საჭიროა და აუცილებელი ყველა ფსიქიკური ფუნქციის ურთიერთკავშირში განვითარება.

ანტიციპაციის **კომუნიკაციური ფუნქციისას** ვლინდება მოსწავლეთა ნებისმიერი ურთიერთქმედება. პროგნოზირების თუ წინასწარი ჭვრეტის პროცესში ადგილი აქვს როგორც სხვისი მეტყველების გაგებასა და აღქმას, ასევე საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას. ასეთ დროს საკითხის, თემის, ფაქტის თუ მოვლენის პროგნოზირება, წინასწარ გამოცნობა ძირითადად ხდება ინტუიციის ხარჯზე.

ო. ალავიძისა და სხვათა მოსაზრებითაც ანტიციპაცია ინტუიციური ხილვის გზით ხორციელდება, ანუ ანტიციპაცია ემყარება ინტუიციას.

გაკვეთილის, თემისა და მიზნის დადგენა ხდება მასწავლებლის მიერ სპეციალურად შემუშავებული ხერხებითა და მიდგომებით, სადაც აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს მოსწავლეთა თავისუფალი და დამოუკიდებელი აზროვნება: გამოიცნონ ვინ არის ნაწარმოების ავტორი, ნაწარმოების სათაური, შეძლებისდაგვარად განსაზღვრონ ნაწარმოების შინაარსი, ჩამოაყალიბონ გაკვეთილის თემა და მიზანი.

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი იძლევა იმის საშუალებას, რომ სწავლების პროცესის ორგანიზებისას მასწავლებლის მიერ სათანადოდ გამოყენებულ იქნეს სწავლების აღნიშნული ეს მიდგომა. ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე ანტიციპაცია საჭიროა ძირითადად გამოვიყენოთ მოსწავლეთა შემოქმედებითი მუშაობის პროცესში. სწავლების ამ საშუალების სწორად გამოყენება ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე მოსწავლეს უბიძგებს:

- იყოს დაინტერესებული;
- იყოს აქტიურად ჩართული სასწავლო საქმიანობაში;
- მიიღოს აქტიური მონაწილეობა გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში;
- განივითაროს მეტყველება სხვა ინტელექტუალურ უნარებთან ყურადღებასთან, აზროვნებასთან, მეხსიერებასთან ერთად.

ამასთან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთსწავლების სტრატეგიას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული ტექსტის კითხვის დაუფლებისკენაა მიმართული.

ასეთ შემთხვევაში, როგორც მ. ჯაფარიძე და ნ. თომაძე მიუთითებენ, მოსწავლეებს ძირითადად ასწავლიან ოთხ კოგნიციურ სტრატეგიას, ესენია:

- კითხვების დასმის ხელოვნება;
- შედეგების შეჯამება;
- სიტყვათა მნიშვნელობის წვდომასა და გარკვევას, რთული ტექსტის გაგების მცდელობა;
- იმის წინასწარ განჭვრეტას, თუ რა მოხდება შემდეგ.

დაწყებით კლასებში ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე წამყვანია **მიზანმიმართული მკითხველის საქმიანობის ფორმირების ტექნოლოგია**, ანუ **შემოქმედებითი კითხვის ტექნოლოგია**, რომელიც აყალიბებს უმცროსკლასელთა კითხვის კომპეტენტურობას. ეს ტექნოლოგია საკუთარ თავში რთავს ტექსტზე მუშაობის სამ ეტაპს:

პირველი ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვამდე.

- ანტიციპაცია (მოსალოდნელი საკითხავი მასალის წინასწარ გათვალისწინება, გამოცნობა); ტექსტის აზრობრივი, თემატური და ემოციონალური მიმართულების განსაზღვრა; დასახელებულ ნაწარმოებში გმირების

გამოყოფა; ავტორის დასახელება; საკვანძო სიტყვები; მოსალოდნელი ტექსტის ილუსტრირება მკითხველის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

- გაკვეთილის მიზნების დადგენა საერთო (სასწავლო, მოტივაციური, ემოციონალური, ფსიქოლოგიური) ფაქტორების გათვალისწინებით, მოსწავლეთა მზადყოფნა სასწავლო საქმიანობისათვის.

მეორე ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვის პროცესში.

- **ტექსტის პირველადი წაკითხვა.** დამოუკიდებელი კითხვა ან კითხვა-მოსმენა, პაუზებით კითხვა, ან კომბინირებული კითხვა (მასწავლებლის არჩევით) ტექსტის თავისებურებებიდან გამომდინარე და მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; პირველადი აღქმის გამოვლენა დიალოგის გზით; პირველადი შთაბეჭდილების (შთაბეჭდილებების) ფიქსირება; ვარაუდების გამოთქმა და სქემის შედგენა; მოსწავლეთა მიერ პირველადი წინადადებების შედარება მხატვრული ნაწარმოების შინაარსთან და ამ შედარების გამოვლენა; წაკითხული ტექსტის ემოციურად გამოხატვა.
- **ტექსტის ხელახალი წაკითხვა.** მთლიანი ტექსტის ან მისი ცალკეული ნაწილების განმეორებითი დაკვირვებული კითხვა; ტექსტის ანალიზი – კომენტირებული კითხვა, საუბარი წაკითხულთან დაკავშირებით; საკვანძო სიტყვების გამოყოფა და ა. შ.
- **მსჯელობა ტექსტის შინაარსზე.** წაკითხულის განზოგადება; ტექსტის გარშემო განზოგადებული კითხვების

დასმა; საჭიროების შემთხვევაში ტექსტის ცალკეული ნაწილების წაკითხვა გამომეტყველებით.

მესამე ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვის შემდეგ.

- **კონცეპტუალური (აზრობრივი) საუბარი ტექსტის მიხედვით**. წაკითხულის გუნდური განხილვა, დისკუსია; მკითხველის ინტერპრეტაციის (განმარტებითი, შემფასებლური) შეფარდება მწერლის ნაწარმოების პოზიციებთან; ტექსტის ძირითადი იდეების გამოვლენა და მისი ჩამოყალიბება.
- **მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა**. საუბარი მის პიროვნულობაზე. მუშაობა საკითხავ მასალაზე დამატებითი წყაროების გამოყენებით.
- **მუშაობა სათაურზე, ილუსტრაციებზე**. სათაურის გააზრება და მისი განხილვა. მოსწავლეთა მიმართება მზა ილუსტრაციებზე. მხატვრის ხედვისა და მკითხველის წარმოდგენის ერთმანეთთან შედარება.
- **შემოქმედებითი დავალება,** რომელიც დაეყრდნობა მოსწავლეთა მკითხველობითი საქმიანობის რომელიმე სფეროს – ემოციებს, წარმოსახვას, შინაარსის გააზრებასა თუ სხვა მხატვრულ ფორმებს.

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი თავისთავად ცხადია ითვალისწინებს როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის საქმიანობასაც, აქედან გამომდინარე მისი ტექნოლოგიური სქემა შეიძლება ასეთი იყოს:

პირველი ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვამდე.

შინაარსობრივი მხარე:

- მოსწავლეთა საერთო მზადყოფნა გაკვეთილისათვის;
- მოსწავლეთა ყურადღების კონცეტრირება;

- მოქმედების საერთო გეგმა;
- საშინაო დავალების შემოწმება;
- არსებული ცოდნის სისტემაში მოყვანა, პრობლემების წინ წამოწევა;
- კითხვის ანტიციპაცია;
- გაკვეთილის მიზნების წარმოჩენა.

მასწავლებლის საქმიანობა:

- მოსწავლეთა მზადყოფნის შემოწმება;
- მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებისათვის ეფექტური ხერხის შერჩევა;
- მოსწავლეთა შემოწმების კრიტერიუმების განსაზღვრა: შემოწმების აუცილებლობა, შესაძლებლობების გააქტიურება, თემისა და გაკვეთილის ტიპის თავსებადობა, თვითშეფასებისა და თვითკონტროლის უნარ-ჩვევის გამომუშავება;
- შერჩეული სავარჯიშოების სიზუსტე და მისი კავშირი ახალ საგაკვეთილო მასალასთან. გაკვეთილზე პრობლემური საკითხების დაყენება;
- მოსწავლეთა მომზადება ტექსტის წასაკითხად, ტექსტის შინაარსის წინასწარი პროგნოზირება (ანტიციპაცია), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება;
- გაკვეთილის მიზნების დადგენა საერთო (სასწავლო, მოტივაციური, ემოციონალური, ფსიქოლოგიური) ფაქტორების გათვალისწინებით, მოსწავლეთა მზადყოფნა სასწავლო საქმიანობისათვის.

მოსწავლეთა საქმიანობა:

- მზადყოფნის თვითკონტროლი;

- ყურადღების მობილიზება;
- თვითგანსაზღვრა: „ვიცი რაც უნდა ვაკეთო“..., „ვფიქრობ, რომ შემიძლია გავაკეთო“...;
- განვლილი მასალის თავისუფალი ფლობა, დამოუკიდებლად მუშაობის უნარის გამოვლენა ინდივიდუალური, წყვილური და ჯგუფური მუშაობის პროცესში;
- გაკვეთილის თემის დამოუკიდებლად ფორმულირება, ტექსტის სათაურისა და ავტორის ვინაობის გამოცნობა, საკვანძო სიტყვების გამოყოფა ტექსტის წინმსწრები ილუსტრაციის მიხედვით, ტექსტის მიმართულების განსაზღვრა აზრობრივი, თემატური და ემოციურობის თვალსაზრისით, ტექსტის გმირების გამოცნობა და გამოყოფა.

შესაძლო მეთოდები და ხერხები: გონებრივი იერიში, ვარაუდები საკვანძო სიტყვების გამოყენებით, სწორი და არასწორი მტკიცებები, კითხვების დასმის სწავლება.

მეორე ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვის პროცესში.
შინაარსობრივი მხარე:

- ტექსტის პირველადი წაკითხვა;
- ტექსტის ხელახალი წაკითხვა;
- ტექსტის შინაარსზე მსჯელობა.

მასწავლებლის საქმიანობა:

- ტექსტის პირველადი წაკითხვის სახის შერჩევა მისი სპეციფიკიდან გამომდინარე: ინდივიდუალური, კომბინირებული, პაუზებით კითხვა, ხმამაღალი ან ჩუმი კითხვა, მასწავლებლის მიერ; მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, საგაკვეთილო მასალის მიზნე-

ბისა და ამოცანების განსაზღვრა და დადგენა. პირველადი აღქმის გამოვლინებისათვის შესაბამისი მიდგომების (საუბარი, ტესტი, პირველადი შთაბეჭდილებების ფიქსირება, კითხვებზე პასუხის გაცემა ვარაუდების (ანტიციპაციის) გზით, დასაშვებია წერილობითი ფორმითაც) შერჩევა როგორც ტექსტის, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე. მოსწავლეთა პირველადი აღქმის შესაბამისობა მოსალოდნელი მუშაობის შინაარსობრიობასთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კორექტივების შეტანა.

- მეორე ეტაპის მიზნობრივი დასაბუთება და კავშირის დამყარება პირველადი აღქმის შედეგებთან. გააზრებული კითხვის ორგანიზაცია, ავტორთან დიალოგი ტექსტის მეშვეობით. სხვადასხვა აზრობრივი საკითხების დასმა ტექსტთან მიმართებაში. ტექსტის პაუზებით კითხვა და თითოეული ნაწილისადმი შესაბამისი კითხვების დასმა. ტექსტის მოკლე და მკაფიო კომენტირება, სალექსიკონო მუშაობის წარმართვა.
- წაკითხულის განზოგადება. ტექსტის გარშემო განზოგადებული კითხვების დასმა. საჭიროების შემთხვევაში ტექსტიდან ცალკეული ფრაგმენტების მოხმობა და მისი გამომეტყველებით წაკითხვა.

მოსწავლეთა საქმიანობა:

- დამოუკიდებელი კითხვა. ტექსტთან მიმართებაში მისი ემოციური დამოკიდებულება. საკუთარი გრძნობებისა და აზრების გამოხატვის უნარი. საკუთარი ვარაუდის გადამოწმება ტექსტის შინაარსთან და პერსონაჟებთან

მიმართებაში. რეფლექსია: რატომ გამოდგა მისი პროგნოზი სწორი? არასწორი? რომელი ინფორმაცია აღმოჩნდა საკმარისი? არასაკმარისი?

- მასწავლებლის კითხვებზე პასუხის გაცემა ტექსტზე დაყრდნობით, საკუთარი თვალსაზრისის (მოსაზრების) დასაბუთება. სწრაფვა მონახოს და გამოიცნოს ავტორისეული მინიშნებები ტექსტში.
- თხრობისა და გამომეტყველებითი კითხვის გამოყენების გზით პასუხის გაშლის უნარი, ტექსტის თემის განსაზღვრის უნარი.

შესაძლო მეთოდები და ხერხები: გონებრივი იერიში, გონებრივი რუკა, პაუზებით კითხვა, ვარაუდების სქემა, თავისუფალი წერა „დამიტოვეთ სათქმელი“.

მესამე ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვის შემდეგ.
შინაარსობრივი მხარე:

- კონცეპტუალური (აზრობრივი) საუბარი ტექსტის ირგვლივ.
- მწერლის (ავტორის) გაცნობა.
- მუშაობა სათაურზე, ილუსტრაციებზე.
- შემოქმედებითი დავალება.

მასწავლებლის საქმიანობა:

- აზრობრივი კითხვების დასმა ტექსტთან მიმართებაში (სასურველია პრობლემურობის თვალსაზრისით). დისკუსიის ორგანიზება. მონაწილეთა მიყვანა ერთობლივ გადაწყვეტილებამდე ავტორის პოზიციის გათვალისწინებით. ტექსტის ძირითადი იდეების ფორმულირება.

- საუბარი მწერალზე, მის ბიოგრაფიაზე. დამატებითი საინფორმაციო წყაროების მოძიება და მუშაობა საკითხავ მასალაზე.
- ტექსტის სათაურის განხილვის ორგანიზება და განხილვის ფორმების შერჩევა. მოსწავლეთა მიმართება მზა ილუსტრაციებზე.
- შემოქმედებითი დავალების შერჩევა, რომელიც დაეყრდნობა მოსწავლეთა მკითხველობითი საქმიანობის რომელიმე სფეროს – ემოციებს, წარმოსახვას, შინაარსის გააზრებასა თუ სხვა მხატვრულ ფორმებს. მოსწავლეთა ლიტერატურული თავისებურებების განვითარება. დავალების შესრულების ორგანიზაციული ფორმების შერჩევა. მოსწავლეთა მეტყველების განვითარებაზე ზრუნვა. შედეგების შეჯამება.

მოსწავლეთა საქმიანობა:

- დისკუსიაში მონაწილეობა. ჰიპოთეზების წინ წამოწევა, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ჩამოყალიბება. საკუთარი მოსაზრების შეცვლა და კორექტირების უნარი. ტექსტიდან ძირითადი საკითხების დამოუკიდებლად გამოყოფა.
- წაკითხული ტექსტის საფუძველზე მწერლის პიროვნების დახასიათების უნარის გამომუშავება. მწერალზე საწყისი წარმოდგენის გადათვასება და მისი შესაბამისად კორექტირება. დამატებითი საინფორმაციო წყაროების მოძიება და მათზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარება.
- ნაწარმოების სათაურის განსაზღვრა. მხატვრული ტექსტისა და ილუსტრაციების ურთიერთმიმართება, წაკი-

თხულიდან გამოტანილი შეხედულების შედარება-შეპირისპირება მხატვრის ხედვასთან.

- როლებად გათამაშება (მოსწავლეთა მიერ როლების – ავტორის, პერსონაჟების – მორგება). შემოქმედებითი დავალების შესრულება დამოუკიდებლად (წყვილებში, ჯგუფებში) როგორც ზეპირი, ასევე წერითი ფორმით.
- საკუთარი და გუნდური საქმიანობის შეფასება და რეფლექსია („დღეს მე ვისწავლე"... „მე ჯერ კიდევ კარგად ვერ ვკითხულობ გამომეტყველებით"...). მთავარი შედეგის დემონსტრირება: გამომეტყველებითი კითხვა, ტექსტის ინტერპრეტაცია, პასუხები პრობლემურ კითხვებზე და სხვ.

შესაძლო მეთოდები და ხერხები: კვლევითი და ევრისტიკული საუბრები, ინფორმაციულ ბლოკებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება; საკვანძო სიტყვებთან და სწორ და არასწორ მტკიცებებთან დაბრუნება, პასუხები დასმულ კითხვებზე, სხვადასხვა სახის დისკუსიის ორგანიზება და სხვ.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე პედაგოგმა გამოიყენოს სწავლების მეთოდი – **მოთხრობის (ამბის) რუკა**, რომელსაც გვთავაზობს მ. ბოჭორიშვილი, ნ. ნამიჭეშვილი და ნ. ნაბულიშვილი. ეს მეთოდი ძირითადად იმით არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება გაკვეთილის სამივე ეტაპზე: წაკითხვამდე (პირველი ეტაპი), რათა მოსწავლეებმა შეძლონ წინასწარი ვარაუდების გამოთქმა ნაწარმოების პერსონაჟების, გარემოებების, სიუჟეტის შესახებ; უშუალოდ კითხვის, ტექსტზე მუშაობის პროცესში (მეორე ეტაპი) – როდესაც მოს-

წავლეები აკეთებენ ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების მნიშვნელოვანი დეტალების სტრუქტურიზებულ ჩანაწერს და წაკითხვის შემდგომ ტექსტზე მუშაობისას (მესამე ეტაპი) მისი გამოყენება მოსწავლეებს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს წერის პროცესში, ხელს შეუწყობს „გონებრივი იერიშის“ შედეგად გამოთქმული მოსაზრებების კონსტრუირებაში.

ამ მეთოდის გამოყენების საფეხურები ასეთია:

1.დახაზეთ მოთხრობის (ამბის) რუკა დაფაზე.

მოთხრობის (ამბის) რუკის ნიმუში

სათაური: _____

პერსონაჟები:	გარემოებები:
_____	_____
_____	_____
_____	_____

პრობლემა: _____

_____

მოვლენა 1: _____

_____

მოვლენა 2: _____

_____

მოვლენა 3: _____

_____

შეჯამება: _____

_____

2.ხმამაღლა წაიკითხეთ მოთხრობის სათაური და სთხოვეთ მოსწავლეებს ივარაუდონ, რის შესახებ შეიძლება იყოს იგი. გამოთქმული ვარაუდები პერსონაჟების, გარემოებებისა და პრობლემის შესახებ ჩაწერეთ შესაბა-

მის გრაფებში. მნიშვნელოვანია, რომ ჩაინიშნოთ ყველა განსხვავებული მოსაზრება.

3. ხმამაღლა წაიკითხეთ (ან მოსწავლეებმა ჩუმად წაიკითხონ) მოთხრობის პირველი ნაწილი.
4. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ ვარაუდებით შევსებულ მოთხრობის რუკას. ჰკითხეთ, ხომ არ სურთ შეცვალონ/შეავსონ თავიანთი მოსაზრებები. სთხოვეთ მათ, ხმამაღლა წაიკითხონ ტექსტიდან ის მონაკვეთები, რომელთა საფუძველზეც გადაწყვიტეს საკუთარი ვარაუდების შეცვლა. მსჯელობის შემდეგ შეიტანეთ დაფაზე დახაზულ რუკაში შესაბამისი ცვლილებები.
5. ხმამაღლა წაიკითხეთ (ან მოსწავლეებმა ჩუმად წაიკითხონ) მოთხრობის შემდეგი მონაკვეთი.
6. დაუბრუნდით მოთხრობის რუკას, კვლავ განაგრძეთ არსებული ვარაუდების გადახედვა და რუკის ახალი ინფორმაციით შევსება.
7. გაიმეორეთ ეს პროცედურა მანამდე, ვიდრე მოთხრობა არ დასრულდება.
8. როდესაც მოსწავლეები კითხვას მთლიანად დაასრულებენ, სთხოვეთ მსურველებს ხმამაღლა შეაჯამონ ნაწარმოები რუკაში თავმოყრილ ინფორმაციაზე დაყრდნობით *[მ. ბოჭორიშვილი...]*.

იმისათვის რომ, ახალი ნაწარმოები თითოეული მოსწავლისათვის იყოს საინტერესოდ აღსაქმელი და გასააზრებელი, მასწავლებელი ხშირად უნდა ქმნიდეს ისეთ განსაკუთრებულ პრობლემურ სიტუაციას (სიტუაციებს), რომ მოსწავლეებმა თვითონ შეძლონ გამოცნობა, გარკვევა ტექსტში, ანუ შეძლონ მწერლის ნააზრევის ამოცნობა. ასეთი პრობლემური სიტუაცია შეიძლება შევქმნათ იმ მხატვრულ ტექსტზე დაყრდნობით,

რომელიც გამოიყენება არა მხოლოდ წაკითხვისათვის, არა-მედ კვლევისთვისაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ტექსტის შერჩევა, როცა მასში ჩადებულია ავტორის მიერ რა-ღაც საიდუმლო, საინტერესო ჩანაფიქრი, რომელიც გინდა გა-იგო, გამოიცნო და, რომელსაც მიჰყავს მკითხველი გააზრე-ბისაკენ, დიალოგისაკენ.

სწორედ ასეთი სიტუაცია, შესვლა ახალ, ჯერ კიდევ გაუ-რკვეველ ტექსტში მოითხოვს მოსწავლეთა განსაკუთრებულ დიალოგურ ურთიერთობას. ლიტერატურული კითხვის გაკვე-თილებზე დიალოგის სირთულე შეიცავს მწერლის პერსონას-თან თანამოსაუბრის არსებობას, რომელიც, როგორღაც უხი-ლავად იქნება წარმოდგენილი განხილვის დროს. ავტორი არსებითი სახეა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დია-ლოგი მკითხველთან.

თუკი მოსწავლეებს სურთ გაიგონ მოცემული მხატვრუ-ლი ნაწარმოების დედააზრი, ისინი უნდა ჩაებან დიალოგში, დასვან შეკითხვები, საკუთარი თავის წინაშე დასახონ ამოცა-ნები და თვითონვე უნდა ისწრაფვოდნენ მის გადასაჭრელად. სწორედ ასე წარმოიქმნება სასწავლო-შემეცნებითი მოტივი, რომელიც უბიძგებს მოსწავლეებს შემოქმედებითი საქმიანო-ბისაკენ. ამ ეტაპზე მასწავლებელი ვალდებულია გაუკეთოს ორგანიზება მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობას, რათა მათ შეძლონ ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი და ინტერ-პრეტაცია. სწორედ ეს მოქმედებები განსაზღვრავს მათ წინაშე დასმული პრობლემის გადაჭრას.

გაკვეთილზე მუშაობის ფორმები შეიძლება იყოს სხვა-დასხვანაირი: ფრონტალური, ჯგუფური, წყვილური, კომბინი-რებული. მასწავლებელი განსაკუთრებული ყურადღებით უნ-და მოექცეს მოსწავლეთა იმ გამოთქმებს, მოსაზრებებს, ჰიპო-

თეზებს, რომლებიც ტექსტის წაკითხვის შემდეგ ჩნდება. ყველა ეს ბავშვური აღმოჩენები აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს საკლასო ან ინტერაქტიურ დაფაზე კითხვების სახით, რომლებიც უნდა გადაიჭრას ერთობლივი ძიებით.

მასწავლებელი, რომელმაც იცის საგნობრივი შინაარსი, აგებს დიალოგს გაკვეთილზე წარმოქმნილი ლიტერატურული ამოცანების შესაბამისად. აქ აუცილებელია დიალოგის ლოგიკური წარმართვა ნაწარმოების ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის. მოსწავლეთა გუნდური საქმიანობა თანდათანობით უნდა გადავიდეს ინდივიდუალურში. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა წაიკითხონ, გაიაზრონ, შექმნან საკუთარი ტექსტი, ჩაიწერონ კითხვები, გააკეთონ ნაწარმოების ილუსტრირება. ეს აზრობრივი საქმიანობა ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შემოქმედებით ზრდას.

გაკვეთილზე უმთავრესია, მასწავლებელმა თამამად მიიყვანოს მოსწავლე ისეთ მომენტამდე, რომ მოხდეს განსაზღვრული მიახლოება ავტორის იდეასთან. ბოლომდე ამოხსნა იმისა, რა ჩაიფიქრა ავტორმა, შეუძლებელია. მაგრამ მიახლოება მის მსოფლმხედველობასთან, მცდელობა მისი თვალსაზრისის ღრმად წვდომისა და პერსონაჟთან შინაგან დია-ლოგში შესვლა, საჭიროცაა და აუცილებელიც. მაქსიმალური მიახლოება მწერლის ჩანაფიქრთან და უმთავრესი თვალსაზრისის გაცნობიერება წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების ახლებურად აღქმასა და გაგებას კვლევით-შემოქმედებითი მიდგომებით. სწორედ ამ მომენტში იგრძნობა მკითხველის ემოციური დამოკიდებულება, მისი შინაგანი სამყაროს ცვლილება, ნაწარმოების დედააზრის წარმოჩენა და მისი წინ წამოწევა.

მოცემულ ეტაპზე შეიძლება აიგოს მოდელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს, ჩაწვდნენ ავტორის თვითგამოხატვის ახალ გამომსახველობით საშუალებებს, ასევე დაეხმარება, განსაზღვრონ ახალი ლიტერატურული ფორმა ჟანრობრივი თვალსაზრისით.

დასკვნით ფაზაში, რეფლექსიისას, მოსწავლეები განიხილავენ, იპოვეს თუ არა პასუხები მათ მიერ ადრე დასმულ კითხვებზე, მივიდნენ თუ არა იდეის ახალ გაგებამდე და ა. შ. ასეთი მსჯელობა განსხვავდება ლოგიკური, კონსტრუქციული, საქმიანი მახასიათებლებისაგან. თითოეულმა მოსწავლემ უნდა გაარკვიოს, რა წვლილი შეიტანა პირადად თვითონ ჯგუფის თუ კლასის საერთო საქმიანობაში. თითოეული მათგანი ვალდებულია გაიგოს და გააცნობიეროს მისი მონაწილეობის აუცილებლობა ლიტერატურული ტექსტის კვლევაში.

მასწავლებელი ვალდებულია, სწორად ააგოს თავისი პედაგოგიური საქმიანობა და განსაკუთრებულად მოემზადოს ყოველი გაკვეთილისათვის. უნდა გაიაზროს კონკრეტული შესწავლილი მასალით რა ინფორმაციას მიიღებენ მოსწავლეები გარესამყაროზე, როგორი იქნება მათი ცოდნა, რაში მდგომარეობს ამ ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელი ზნეობრივი თვისების განვითარებას შეუწყობს ხელს, როგორ გრძნობებსა და ემოციებს აღძრავს და რა ინტერესებს გააღვიძებს მასში. ყოველი მხატვრული ნაწარმოები კი თავისი არსით ხელს უწყობს არამხოლოდ მოსწავლეთა მეტყველების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, აზროვნების მრავალმხრივ განვითარებას.

პრაქტიკუმისათვის
სადისკუსიო საკითხები:

- *ლიტერატურული კითხვის გაკვეთილის მიზანი და ამოცანები;*
- *ანტიციპაციის მნიშვნელობა და ფუნქციები;*
- *შემოქმედებითი კითხვის ტექნოლოგია და ტექსტზე მუშაობის ეტაპები.*

გაკვეთილის ჩატარების ნიმუში

თემა: დარუბანდის კარები (ლეგენდა)

გაკვეთილის მიზანი: ლექსიკაზე მუშაობა, კითხვის უნარის განვითარება, ლეგენდის შინაარსის გაგება, ინფორმაციის მოგროვება ქართველი მეფეების შესახებ.

გამოყენებული მეთოდები: გონებრივი იერიში, გონებრივი რუკა, პაუზებით კითხვა, თვისუფალი წერა „დამიტოვეთ სათქმელი".

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, ჯგუფური.

გამოწვევა: გაკვეთილის საწყის ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვას - რა არის ლეგენდა?

შინაარსის რეალიზება: მასწავლებელი კლასს აცნობს ლეგენდის სათაურს და სთხოვს გამოთქვან ვარაუდი რის შესახებ იქნება ლეგენდა. ამის შემდეგ ეუბნება მოსწვლეებს, რომ ისინი ერთად წაიკითხავენ ლეგენდას, ამიტომ ტექსტში წინასწარ ჩახედვა არ არის საჭირო.

- ლეგენდის სათაურია „დარუბანდის კარები". თქვენი აზრით, რა პრობლემა იქნება მოცემული ამ ლეგენდაში?
- რატომ ფიქრობთ ასე?

პირველი ვარაუდის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს წაიკითხონ ტექსტი პირველ პაუზამდე.

ერთ ქართველ ვაჭარს საქონელი წაეღო დარუბანდში გასაყიდად. გზაში თურმე ლეკები დაეცნენ და თუ რამ ებადა, ყველაფერი წაართვეს. ვაჭარი მივიდა ლეკების უფროსთან.

- შენს საბრძანებელში მოვედი. საქონელი მოვიტანე გასაყიდად და შენმა ხალხმა სულ წამართვა. სამართალს ვითხოვ, წართმეული დამიბრუნეო.

პაუზა:

1. რა გრძნობა აღგიძრათ წაკითხულმა?
2. როგორ ფიქრობთ, დაუბრუნებენ ვაჭარს წართმეულს?
3. რატომ ფიქრობთ ასე?
4. როგორი ადამიანია თქვენი აზრით ლეკების უფროსი?

ტექსტის კითხვა:

- *შენ სადაური ხარ? - ჰკითხა ლეკების უფროსმა.*
- *ქართველი ვარ.*
- *ჰოდა, აბა მიდი საქართველოს, შენს მეფე დავითს ფეხქვეშ ჩაუგორდი და სამართალი იმას სთხოვეო. - უთხრა ლეკმა.*
- *სამართალს შენ გთხოვ, თორემ დავითს ეს რომ ვუთხრა საქმე ცუდად წავივა.*
- *ჰმ! ცუდად წამივა? რას იზამს დავითი? დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნასო.*

პაუზა:

1. თქვენი აზრით, რატომ თხოვა სამართალი ლეკების უფროსს?
2. რატომ ფიქრობს ვაჭარი, რომ ლეკების უფროსს საქმე ცუდად წაუვა?
3. თქვენი აზრით, რატომ ფიქრობს ლეკების უფროსი, რომ დავითი ვერაფერს დააკლებს?
4. თქვენ როგორ ფიქრობთ?
5. წარმოიდგინეთ თქვენი თავი ვაჭრის ადგილას, რას იზამდით?
6. იქნებ სჯობდეს ვაჭარმა ქუდი დაიხუროს, სახლში წავიდეს და არ ეცადოს თავისი ქონების დაბრუნებას?
7. როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ?

კითხვის გაგრძელება შემდეგ პაუზამდე:

ვაჭარი დაბრუნდა საქართველოში და ყოველივე უამბო დავით მეფეს. ისიც დასძინა ლეკმა რაც უთხრა: „დავითმა დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნასო“. დავითს ეწყინა ლეკთა უფროსის საქციელი.

პაუზა:

1. როგორ ფიქრობთ, უნდა ეთქვა თუ არა ვაჭარს დავითისათვის ლეკების უფროსის სიტყვები?
2. რას გააკეთებს დავითი? როგორ მოაგვარებს ამ საკითხს?
3. ხომ არ ფიქრობთ, რომ ისიც ისევე არ მიაქცევს ვაჭრის დანაკარგს ყურადღებას, როგორ ეს გააკეთა ლეკთა უფროსმა?
4. დავითის წყენა ხომ არ გამოიწვევს შუღლს და ომს?

კითხვის გაგრძელება შემდეგ პაუზამდე:

დავითმა მოაყვანინა ათასი ცხენი, გააკეთებინა ორი ათასი კიდობანი და თითოში თითო შეირაღებული ქართველი ჩასვა. ცხენების წინამძღოლები ვაჭრულად გამოაწყო, წინ წარუმძღვარა მომჩივანი და გაისტუმრა დარუბანდში. თვითონ კი უკან გაჰყვა.

პაუზა:

1. ელოდით დავითის ასეთ საქციელს?
2. რა მინიშნება გქონდათ საამისოდ?
3. რატომ ჩასვა დავითმა მეომრები კიდობნებში?
4. რა მოხდება შემდეგ? გამოთქვით თქვენი აზრი.
5. მხოლოდ ვაჭრის ქონების დასაბრუნებლად გადაწყვიტა დავით მეფემ საომარი მოქმედება?
6. რა მინიშნება გაქვთ საამისოდ?

კითხვის გაგრძელება შემდეგ პაუზამდე:

როცა დარუბანდს მიუახლოვდნენ, დავითმა გააგზავნა კაცი ლეკთა უფროსთან, საქონელი მომაქვს გასაყიდად და ქალაქის კარი გააღეთო. ლეკებს გაუხარდათ, უფრო ბევრ საქონელს ვიშოვითო და გაუღეს კარი. დაღამდა. შუაღამისას დავითმა გაახსნევინა კიდობნები და ამოაშვებინა იქიდან შეიარაღებული კაცები. ფეხზე იდგა ორი ათასი გულადი მეომარი. დაერივნენ და აიღეს დარუბანდი. წაართვეს ქალაქის კლიტეები ლეკთა მეთაურს.

პაუზა:

1. ელოდით, რომ ასე მოხდებოდა? რატომ ფიქრობთ ასე?
2. რას იზამს დავითი? მოხსნის დარუბანდის კარებს თუ არა? რაში ჭირდება, რატომ მოხსნის?
3. როგორ მოექცევა ლეკთა მეთაურს? გამოთქვით თქვენი აზრი.
4. თქვენი აზრით მამაცია თუ არა დავითი?
5. რა მინიშნება გაქვთ საამისოდ?
6. როგორ ადამიანს ჰქვია მამაცი?
7. რატომ ფიქრობდა დავითი, რომ მაინდამაინც გაიმარჯვებდა? ხომ შეიძლება დამარცხებულიყო?

კითხვის გაგრძელება შემდეგ პაუზამდე:

დავითმა ჩამოახსნევინა რკინის კარები, რომელიც დარუბანდის შესასვლელ გზას იცავდა, შეაბა შიგ ლეკები და ისე ჩამოიტანა გელათში.
ლეკების მთავარს მაინც ლმობიერად მოეპყრო, დანაშაული აპატია და გაუშვა. მაშინ განთავისუფლებულმა უთხრა მეფეს:
- რადგან ასეთი სიკეთე მიყავი, ეს მადლიც ზედ დასძინე, ერთი ხარის ტყავის სიფართე მიწა მიბოძე ზედ დასასახლებლადო.

პაუზა:

1. სწორად მოიქცა თუ არა დავითი, როცა დამარცხებული მეთაური დაინდო და გაუშვა?
2. იქნებ სჯობდა დაესაჯა იგი?
3. ვაჟკაცურად მოიქცა თუ არა დავითი?
4. როგორ ფიქრობთ, სანანებელი ხომ გაუხდება დავითს თავისი ვაჟკაცური საქციელი?
5. როგორ ფიქრობთ, ტყავის სიფართე მიწაზე შეუძლია ლეკს დასახლება?
6. თუ არ შეუძლია, რად უნდა ერთი ტყავის სიფართე მიწა?
7. როგორ ფიქრობთ, მისცემს დავითი ამ ტყავის სიფართე მიწას? გამოთქვით თქვენი აზრი.

ტექსტის ბოლო აბზაცის წაკითხვა:

დავითმა უბოძა მიწა. ლეკთა მთავარმა მოატანინა ხარის ტყავი. დაჭრა წვრილ-წვრილ თასმებად. გადააბა ერთმანეთს და ამ სახით იმ სიგრძე შეიქმნა, რომ მთელ დარუბანდის კარს შემოწვდა. დავითმა ვერაფერი თქვა და დარუბანდის კარები ისევ ლეკებს დაუბრუნა.

რეფლექსია:

1. ელოდით ასეთ დასასრულს?
2. ახლა როგორ ფიქრობთ, სწორად მოიქცა დავით მეფე, როცა დათანხმდა ერთი ტყავის სიფართე მიწის მიცემაზე?
3. რატომ დათანხმდა, რა იყო მისი ქცევის მიზეზი?
4. რა გრემოებები შეიძლება ყოფილიყო, რაც დავითს თავიდან ააცილებდა ამ ამბავს?
5. რატომ არ გატეხა დავითმა სიტყვა და რატომ მისცა უკან დარუბანდი?
6. დათანხმდებოდა თუ არა დავითი წინასწარ რომ ცოდნოდა როგორ მოიქცეოდა ლეკების უფროსი?
7. რას გვასწავლის ეს ლეგენდა?
8. რა მიგაჩნიათ ამ ლეგენდაში სწორად და არასწორად? თუ პასუხები გაქვთ, ჩამოწერეთ მოცემულ სქემაში.

სწორი	**არასწორი**
1. 2. 3. 4. 5. 6.	1. 2. 3. 4. 5. 6.

მოსწავლეებს შეუძლიათ მოცემულ კითხვებზე პასუხი ჩამოაყალიბონ წერილობითი სახითაც. ანუ მივმართოთ თავისუფალ წერას „დამიტოვეთ სათქმელი“. ამ დროს მოსწავლეები უფრო იხსნებიან და თავისუფლადაც აზროვნებენ.

კონკრეტული სიტუაციების ტექნოლოგია

დაწყებით სკოლაში ნებისმიერი საგნის სწავლება, ამ შემთხვევაში ქართული ენისა და ლიტერატურის, ისე უნდა იყოს ორგანიზებული მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლე თვითონ უნდა ინტერესდებოდეს და ისწრაფვოდეს ახალი ცოდნის დაუფლებისაკენ. იმისათვის, რომ მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში იყოს აქტიურად ჩართული და ნაყოფიერი, აუცილებელია მასწავლებლის მიერ სწავლების ინტერაქტიური მეთოდების მიზანმიმართულად გამოყენება.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებამ უნდა განაპირობოს და გამოიწვიოს მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა სასწავლო პროცესში, რომელიც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა თვითონ, დამოუკიდებლად გადაჭრან მათ წინაშე დასმული ესა თუ ის პრობლემური საკითხი.

სწავლების ინტერაქტიური მეთოდები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემური სიტუაციების დროს აზროვნების გააქტიურებაში, გაკვეთილზე ძირითადის დამახსოვრებაში, გაუღვივებს ინტერესს შესასწავლი მასალისადმი, გამოუმუშავებს ცოდნის დამოუკიდებლად ათვისების მოთხოვნილებას.

ამ მხრივ სხვა მეთოდებთან შედარებით საინტერესოა სწავლების ერთ-ერთი მეთოდი – **კონკრეტული სიტუაციების მეთოდი**.

ვიდრე კონკრეტულად გადავიდოდეთ აღნიშნული მეთოდის გამოყენების აუცილებლობაზე სწავლებაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უპირველესად ამ მეთოდის სახელწოდების გარკვევა და დადგენა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პედაგოგიკის სპეციალისტები ამ მეთოდს სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ: ზოგი მას უწოდებს კონკრეტული სიტუაციების ანალიზის მეთოდს, ზოგი – კონკრეტული სიტუაციების გადაჭრის მეთოდს, ზოგი – კონკრეტული შემთხვევის ანალიზის მეთოდს, ზოგიც – სიტუაციურ ამოცანას.

რადგანაც ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კონკრეტული სიტუაციების როგორც ანალიზთან, ასევე გადაჭრასთან, ჩვენი აზრით, ალბათ, უმჯობესია ვიხმაროთ ტერმინი **კონკრეტული სიტუაციების ანალიზისა და გადაჭრის მეთოდი**, ან უფრო რომ დავკონკრეტდეთ – **კონკრეტული სიტუაციების მეთოდი**.

კონკრეტული სიტუაციების მეთოდს მოკლედ **კეის-მეთოდი** ეწოდება და არა ქეის-მეთოდი როგორც მოიხსენიებენ.

სწავლებაში არსებული პრობლემების დაძლევა მოითხოვს სწავლების ისეთი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებას, რომლის საფუძველშიც დევს პიროვნების განვითარების იდეა, კერძოდ, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, გადაწყვეტილების მიღების, ურთიერთთანამშრომლობის უნარების გამომუშავება.

სასწავლო პროცესში კონკრეტული სიტუაციების ტექნოლოგიას გააჩნია თავისი სპეციფიკა და გამოყენების თავისებურებები. ის, ისევე როგორც სხვა საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, მოწოდებულია, განუვითაროს მოსწავლეს შემოქმედებითი აზროვნება და მოიძიოს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები.

კეისებით სწავლების ძირითადი ფუნქციაა, ასწავლოს მოსწავლეებს ისეთი რთული არასტრუქტურული პრობლემების გადაჭრა, რომელთა ამოხსნა შეუძლებელია მხოლოდ ანალიზური ხერხით. მეთოდის უპირატესობად შეიძლება ჩაი-

თვალოს პრობლემური სწავლების პრინციპების გამოყენება – რეალური პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავება, ჯგუფის ერთიან პრობლემაზე მუშაობის საშუალება, ამასთან, სწავლების პროცესი რეალური ცხოვრების იმიტაციას ემსგავსება და არა მარტო ტერმინების ცოდნასა და გაგებას საჭიროებს, არამედ მათზე მოქმედებებს, საკუთარი აზრის დასაბუთებას *[მ. ბოჭორიშვილი...]*.

სწავლების კეისური ტექნოლოგია – ეს არის სწავლება მოქმედებით და მოქმედებაში. კეის-მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ცოდნის ათვისება და უნარ-ჩვევათა ფორმირება წარმოადგენს მოსწავლეთა აქტიური დამოუკიდებელი საქმიანობის შედეგს, მიღებულს წინააღმდეგობათა გადაჭრის გზით, რის შედეგადაც მოსწავლეები შემოქმედებითად ეუფლებიან პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, ვითარდება მათი აზროვნებითი უნარები *[ჯ. ჯინჯიხაძე]*.

როგორც ვხედავთ, კონკრეტული სიტუაციების მეთოდი იძლევა საშუალებას, მოსწავლე დაეუფლოს თეორიულ ცოდნასა და მასთან ერთად მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება, გამოთქვას საკუთარი აზრი, იდეა, ჰქონდეს ალტერნატიული მოსაზრების მოსმენის უნარი, შეეძლოს საკუთარი აზრის დასაბუთება. ამ მეთოდის დახმარებით მოსწავლეებს შეუძლიათ სრულყონ თავიანთი ანალიზური და შემფასებლური ჩვევები, მიეჩვიონ ჯგუფში მუშაობას, თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენებას. ამ მეთოდის გამოყენება აუცილებელია იმისათვისაც, რომ მათ დაინახონ რეალურ ცხოვრებაში პრობლემების არაერთგვაროვნება.

ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენება პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, რადგანაც სასწავ-

ლო პროცესში იმპროვიზაციულობის გამოყენება მაქსიმალურად მოითხოვს მოსწავლეთა მიახლოებას რეალურ სიტუაციებთან და მათ შესაბამის ანალიზსა და გადაჭრას.

კონკრეტული სიტუაციების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს ეძლევათ რეალური ცხოვრებისეული სიტუაცია, რომლის აღწერილობა ასახავს არა მხოლოდ პრაქტიკულ პრობლემას, არამედ ახდენს განსაზღვრული ცოდნის აქტუალიზირებას, რომლის ათვისება აუცილებელია მოცემული პრობლემის გადაჭრისას.

კონკრეტული სიტუაციების მეთოდი, ჩვენი აზრით, ეს არის:

- რეალური სიტუაციის აღწერა;
- ეპიზოდის ან ფაქტის მოხმობა რეალური ცხოვრებიდან;
- ფაქტი, მოვლენა, რომელიც რეალურად მოხდა ამა თუ იმ საქმიანობის სფეროში და აღწერილია ავტორის (მწერლის) მიერ, იმისათვის, რომ მოხდეს დისკუსიის პროვოცირება სწავლების პროცესში, მოსწავლეთა მიერ სიტუაციის ანალიზი და განხილვა, გადაწყვეტილების მიღება;
- არა მხოლოდ მოვლენის ან ფაქტის რეალური აღწერა, არამედ ერთიანი ინფორმაციული კომპლექსი, რომელიც იძლევა სიტუაციის გაგების საშუალებას.

კონკრეტული სიტუაციების მეთოდის განსაკუთრებულობას წარმოადგენს ერთის მხრივ საგანმანათლებლო გახსნილობა, ხოლო მეორეს მხრივ შედეგობრივი სწავლების სიმკაცრე და ჩაკეტილობა. სწორად მომზადებული კონკრეტული სიტუაციების მეთოდი ახდენს დისკუსიის პროვოცირებას, აჯაჭ-

ვებს მოსწავლეებს რეალურ ფაქტებთან, იძლევა რეალური პრობლემის მოდელირების საშუალებას.

კონკრეტული სიტუაციების ძირითად მასალას წარმოადგენს:

- პრობლემური რეალური სიტუაციები;
- საინტერესო ფაქტები;
- ლიტერატურული წყაროები.

სპეციალისტები იძლევიან კონკრეტული სიტუაციების კლასიფიცირებას სწავლების თვალსაზრისით:

სიტუაცია-პრობლემა – რეალური პრობლემის პროტოტიპი, რომელიც მოითხოვს ოპერატიულ გადაჭრას. ასეთი სიტუაციების მოხმობით შესაძლებელია, მოსწავლეს გამოუმუშავდეს პრობლემის ოპტიმალური გადაჭრის ძიების გზების უნარი.

სიტუაცია-შეფასება – რეალური სიტუაციის პროტოტიპი შემოთავაზებული მზა გადაწყვეტილებით, რომელიც უნდა შეფასდეს „სწორია-არასწორიას“ პრინციპით და საკუთარი ადეკვატური გადაწყვეტილების შეთავაზება.

სიტუაცია-ილუსტრაცია – რეალური სიტუაციის პროტოტიპი, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართულია ფაქტის ან მოვლენის სახით. მსგავსი მაგალითებით იწყება კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენება სპეციალურ მეცადინეობებზე, რომლის დროსაც ხდება განსახილველი საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა. ვიზუალური ხატოვანი სიტუაცია მოსწავლეებს ხელს უწყობს ამოხსნის მარტივი ხერხისათვის ინფორმაციის ვიზუალიზირების უნარის გამომუშავებას.

ამ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილზე გამოიყენოს **დემონსტრირების მეთოდი**, რომელიც გულისხ-

მობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას. ეს კი შედეგის მიღწევის საკმაოდ ეფექტური გზაა. ეს მეთოდი მასწავლებელს დაეხმარება, კიდევ უფრო თვალსაჩინო და ხარისხობრივი გახადოს სასწავლო მასალის აღქმა, დააკონკრეტოს, თუ რისი შესრულება მოუწევთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს ამა თუ იმ საკითხის (პრობლემის) არსს.

კლასიკური სიტუაცია. სიტუაცია შეიძლება იყოს აღებული ლიტერატურიდან, პრაქტიკიდან, ანაც შეიძლება ხელოვნურად იყოს აგებული. მთავარია მოსწავლეებმა შეძლონ სიტუაციის კონტექსტიდან გამოყონ განსახილველი თემა (საკითხი), რომელიც შემდგომში უნდა გადაიჭრას მათ მიერ.

ცოცხალი სიტუაცია – შეიძლება მოხმობილ იქნას უშუალოდ მოსწავლის ცხოვრებიდან. მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება არავისთვის არ უნდა იყოს ცნობილი. სწორედ ეს გადაწყვეტილებაა საძიებელი, ხოლო თვითონ სიტუაცია აღწერილი უნდა იყოს თანამიმდევრობით, როგორც ეს მოხდა სინამდვილეში. ასეთ დროს გაკვეთილზე მასწავლებლის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას როლური და სიტუაციური თამაშები. სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები მოსწავლეებს დაეხმარება სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს და ჩამოაყალიბონ ალტერნატიული თვალსაზრისი.

ისევე როგორც დისკუსია, როლური და სიტუაციური თამაშებიც უყალიბებს მოსწავლეს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

არსებობს კონკრეტული სიტუაციების გამოყენების სამი დონე:

I **დონე** – გაკვეთილზე მასწავლებელს ფაქტის ან მაგალითის სახით მოჰყავს კონკრეტული სიტუაცია და სთავაზობს მოსწავლეებს. ამ შემთხვევაში მოსწავლე ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მოიძიოს მისი გადაჭრის გზები. მაგრამ პედაგოგი თვითონ აკეთებს მოცემული სიტუაციის ანალიზს და სთავაზობს მოსწავლეს გადაწყვეტილების საკუთარ, ოპტიმალურ ვარიანტს. ასეთი მიდგომა კი წარმოადგენს მოსწავლეთა თავისებურ მომზადებას მსგავსი კონკრეტული სიტუაციის შესრულებისას.

II **დონე** – მასწავლებელი სასწავლო პროცესში რთავს კონკრეტულ სიტუაციას და მოუწოდებს მოსწავლეებს ინდივიდუალური მიდგომით გაანალიზონ და გადაჭრან არსებული საკითხი. მოფიქრებისათვის მიეცემა გარკვეული დრო, ამის შემდეგ მოისმენს რამდენიმე მოსწავლის პასუხს, გაუკეთებს ანალიზს და აუხსნის რომელი მათი გადაწყვეტილებაა დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი და რატომ? თუკი მოსწავლეთა პასუხები არ არის სწორი, მაშინ თვითონ მასწავლებელმა უნდა უჩვენოს საკითხის ანალიზისა და გადაჭრის სწორი გზა. მაგრამ აქ მაინც მთავარია მოსწავლეთა მხრიდან სიტუაციის ანალიზისა და გადაწყვეტის მცდელობა. ასე თანდათანობით უნდა დაინერგოს სწავლებაში კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენება.

III **დონე** – კონკრეტული სიტუაციების გამოყენების გაცილებით უფრო მაღალ დონეს წარმოადგენს, და მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელმა ძალიან კარგად იცის მოსწავლეთა შესაძლებლობები და დარწმუნებულია, რომ კონკრეტულ მოსწავლეს შეუძლია გასცეს ოპტიმალური პასუხი. კონკრეტული სიტუაციების მეთოდის

გამოყენების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია მიმართოს პრა-ქტიკულ მეცადინეობას.

ასეთ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ მეცადინეობის სამი ვარიანტი: კლასიკური, თავისუფალი და შერეული.

კლასიკური ვარიანტი – კლასის დაყოფა ჯგუფებად. თი-თოეულ ჯგუფში ლიდერის არჩევა. ინდივიდუალური გადაწყ-ვეტილების მისაღებად მიეცემათ რეგლამენტი. შემდგომ მო-ხდება ამ გადაწყვეტილებების ერთობლივი განხილვა ჯგუფში და საერთო გადაწყვეტილების ჩამოყალიბება. ამის მერე შე-იძლება გაიმართოს ჯგუფური დისკუსია: ლიდერთა გამოსვლა და გადაწყვეტილების ჯგუფური ვარიანტების განხილვა. ამის მერე შეიძლება სხვა კონკრეტული სიტუაციის მოხმობა და ხდება ზემოთ ნათქვამის გამეორება ტექნოლოგიური გეგმის მიხედვით.

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ბ. კოპალიანის აზრიც: სიტუაციურ ამოცანას მასწავლებელი, საჭიროებისამე-ბრ, კლასის ინტერესებიდან გამომდინარე ირჩევს და იგონებს. თითოეული ჯგუფი აანალიზებს შემოთავაზებულ სიტუაციას, ღებულობს საერთო გადაწყვეტილებას, პოულობს გამოსავ-ალს და აკეთებს შესაბამის დასკვნებს, ამისთვის ჯგუფები მუშა-ობენ შეთანხმებულად და მიდიან საერთო შეთანხმებამდე. იმ შემთხვევაში თუ ჯგუფის წევრებს უჭირთ საერთო აზრამდე, შეთანხმებამდე მისვლა, მაშინ შესაძლებელია მათ მასწავლე-ბელმა შესთავაზოს კენჭისყრის წესის ხერხი, სადაც 4-5 კაციანი ჯგუფის წევრი თითო ხმის უფლებით სარგებლობს. წინადადე-ბა, რომელიც მეტ ხმას მიიღებს, ფასდება ჯგუფურ გადაწყვე-ტილებად.

თავისუფალი ვარიანტი – ასეთ შემთხვევაში კლასი არ იყოფა ჯგუფებად, კონკრეტული სიტუაცია წაიკითხება მასწავ-

ლებლის მიერ და თითოეული მოსწავლე შესთავაზებს აუდიტორიას თავის გადაწყვეტილებას. მასწავლებელი უკეთებს ანალიზს მოსწავლეთა ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს და გამოაქვს სწორი გადაწყვეტილება დასკვნის სახით.

შერეული ვარიანტი – ეს არის კლასიკური ვარიანტი უფრო მეტი თვითდაჯერებისა და დამახსოვრებისათვის. აქ სიტუაცია გარდაიქმნება „ცოცხალ“ სიტუაციად და ხდება მისი გათამაშება. გათამაშება შეიძლება წარმოვადგინოთ **თავისუფალი ვარიანტის** გამოყენების გზითაც.

გაკვეთილის ჩატარება შესაძლებელია სხვა ტექნოლოგიებითაც, მაგრამ ყველაფერი ეს დამოკიდებულია თემაზე, მიზანზე, მოსწავლეთა მომზადებულობაზე, მასწავლებლის შემოქმედებით შესაძლებლობებსა და დროზე. თუ მეცადინეობა ტარდება მცირე ჯგუფებში, მაშინ სიტუაციის ანალიზისა და გადაჭრის ეფექტური შედეგის მისაღწევად საჭიროა გამოვიყენოთ ისეთი მეთოდები, როგორიცაა გონებრივი იერიში, ინციდენტი, კონსულტაცია, ტექსტისა და კონტექსტის ანალიზის, დისკუსიის, როლური და სიტუაციური თამაშების, დემონსტრირების და სხვ.

გაკვეთილზე კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მოსწავლეთა შემდეგი სახის ფსიქოლოგიური სირთულეები: მიზეზის დადგენა, გამოუცდელობა ანალიზის კეთების დროს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება, სხვისი აზრის გათვალისწინება-დათანხმება და სხვ.

კონკრეტული სიტუაციების ტექნოლოგია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ინდივიდუალურ-გუნდური სასწავლო საქმიანობა, სადაც რეალიზდება შემდეგი პრინციპები: პრობლემურობა, პროფესიონალური სიტუაციების მოდელირება

და მათი გადაჭრა, ინდივიდუალური და გუნდური საქმიანობა, დიალოგური ურთიერთქმედება.

პრობლემურობა მოცემულ სიტუაციაში დაკავშირებულია პრობლემების რაოდენობასთან, რადგანაც მასში მოცემულია გარკვეული სახის წინააღმდეგობრიობა. მიუხედავად იმისა, როგორიც არ უნდა იყოს სიტუაცია კლასიკური, საბაზო, კონფლიქტური თუ სხვა, მასში მაინც იქნება „პრობლემა“. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება მოტივაცია გარკვეული ჰიპოთეზების გამოსავლენად და, შესაბამისად, პრობლემური სიტუაციის გადასაწყვეტად, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

იმისათვის, რომ მოინახოს სიტუაციის ოპტიმალური გადაწყვეტის ოპერატიული გზები, საჭიროა პრობლემა აზრობრივად გარდაიქმნას შემოქმედებით ამოცანად, დაისვას კონკრეტული კითხვა და გააზრებულად გადაიჭრას იგი.

მოსწავლეთა **ინდივიდუალური** საქმიანობა გაკვეთილზე კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენებით წარმოადგენს საწყის ეტაპს, რომელშიც თავს იყრის შემდეგი სახის ოპერაციები – პრობლემების გამოვლენა, პრობლემათა გარდაქმნა შემოქმედებით ამოცანად, ოპტიმალური გადაჭრის გზების მოძიება და შესაბამისად მათი რეალიზება.

ინდივიდუალური ოპერაციების გარდა მოსწავლე ვალდებულია ითანამშრომლოს ჯგუფებთან, რადგანაც აუცილებელია, რომ მას გამოუმუშავდეს შექმნილ სიტუაციასთან სწორი მიდგომა. ოპტიმალური კოლეგიალური ანალიზისა და მისი გადაწყვეტის უნარის გამომუშავება ხდება ეტაპობრივად, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური და გუნდური ანალიზისა და გადაწყვეტის საფუძველზე.

დიალოგურ ურთიერთობაში იგულისხმება აზრების, ინფორმაციების, იდეების, ემოციების, საკითხის ანალიზისა და გადაჭრის გზების ურთიერთგაზიარება. დიალოგურ ურთიერთობაში იგულისხმება სწავლების ისეთი მეთოდი, როგორიცაა **დიდაქტიკური მეთოდი**, რომლის დროსაც ხდება ინფორმაციის მიწოდება დიალოგის ფორმით. ასეთ დროს მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა, კერძოდ, მოსწავლეთა ინფორმირება, მათი ცოდნის გამომჟღავნება და დახვეწა. დიდაქტიკური მეთოდით მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეთათვის უნდა იყოს გასაგები და პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: რა, სად და რატომ? ხდება ახალი და ძველი ცნებების ერთმანეთთან დაკავშირება. ინფორმაციის გაცვლის პროცესში მასწავლებელი და მოსწავლე ერთად მონაწილეობს და ერთად აგებენ ახალ ცოდნას.

მოცემული პროცესი წარმოიქმნება მოსწავლეთა მოთხოვნილებებიდან და ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე. მეცადინეობაზე კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენებისას, დიალოგური ურთიერთობის საფუძველზე მოსწავლეებს უყალიბდებათ ისეთი ძირითადი თვისებები, როგორიცაა, კომუნიკაციურობა, სხვათა პოზიციებისა და აზრების მოსმენა და გაგება. გარდა ამისა, აქ წარმოებს შემოქმედებითი იდეების აქტივიზაცია, ჩქარდება სწავლების ახალ ტექნოლოგიასთან ადაპტაცია, რომელიც, თავის მხრივ, ხელს კიდევ უფრო შეუწყობს ინტერესის ამაღლებას საგნისადმი.

საერთოდ, ცნობილია და რეკომენდებულია კეისების ამოხსნის ჩატარების ხუთი ეტაპი:

პირველი ეტაპი – სიტუაციისა და მისი თავისებურებების გაცნობა;

მეორე ეტაპი – ძირითადი პრობლემის გამოყოფა, ფაქტორებისა და პერსონალიის გამოყოფა, ვისაც და რასაც შეუძლია რეალური ზემოქმედება;

მესამე ეტაპი – კონცეფციების ან თემების შერჩევა „გონებრივი იერიშისათვის“;

მეოთხე ეტაპი – ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების შედეგების ანალიზი;

მეხუთე ეტაპი – კეისის ამოხსნა.

კონკრეტული სიტუაციების მეთოდით წარმართული ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის სცენარი შეიძლება ასეთი იყოს:

მოსამზადებელი ეტაპი. მასწავლებელი ამზადებს სიტუაციას, როგორც დამატებით საინფორმაციო მასალას, განსაზღვრავს გაკვეთილის ჩატარების ადგილს, გაკვეთილის მიზანსა და ამოცანას.

გაცნობითი ეტაპი. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს მოსწავლეთა ჩაბმა რეალური პროფესიონალური სიტუაციის ცოცხალ განხილვაში: სიტუაციის გაცნობა, სიტუაციის აღწერა, საინფორმაციო მასალა, ლექსიკონზე მუშაობა.

ძირითადი ეტაპი.

- მასწავლებლის შესავალი სიტყვა;
- მოსწავლეთა დაყოფა ჯგუფებად;
- ჯგუფური მუშაობის ორგანიზება: ჯგუფის წევრების მიერ წაკითხული მასალის მოკლედ გადმოცემა და მისი განხილვა, პრობლემური მომენტების გამოყოფა, მომხსენებლების განსაზღვრა;
- **დისკუსიის პირველი ნაწილი** – პრობლემური მომენტების განხილვა მცირე ჯგუფებში, არგუმენტებისა და გადაჭრის გზების ძიება;

- **დისკუსიის მეორე ნაწილი** – ანალიზის შედეგების წარმოდგენა, საერთო ჯგუფური დისკუსია, დისკუსიის შედეგებისა და მოძიებული გადაჭრის გზების შეჯამება.

დასკვნითი ეტაპი.

- ანალიზური მუშაობის შედეგების დასკვნითი პრეზენტაცია (მოსწავლეებს შეუძლიათ გაიგონ და შეადარონ ერთმანეთს ერთი პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ვარიანტი).
- სიტუაციის ანალიზის წარმოჩენა განზოგადებული ფორმით მასწავლებლის მიერ.
- მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა შეფასება.

მეცადინეობაზე კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენება იძლევა საშუალებას, მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, გამოუმუშავდეთ და განუვითარდეთ დამოუკიდებელი და შემოქმედებითი ძიების უნარი.

სწავლების ეს მეთოდი მოსწავლეებს უვითარებს შემდეგი სახის უნარ-ჩვევებს:

- **ანალიზურს** (კლასიფიცირება, მთავარის გამოყოფა მეორეხარისხოვნისაგან, ლოგიკური აზროვნება, გაანალიზება და სხვ.);
- **პრაქტიკულს** (პრობლემური სიტუაციის გადაჭრის თეორიული უნარი პრაქტიკული საქმიანობის პროცესში);
- **შემოქმედებითს** (აქ მთავარი და აუცილებელია შემოქმედებითი ჩვევების გამოყენება ალტერნატიული გადაჭრის გენერირებისას, მხოლოდ ლოგიკით პრობლემური სიტუაციის გადაჭრა შუძლებელია);
- **კომუნიკაციურს** (დამტკიცებისა და დისკუსიის წარმართვის უნარი, თვალსაჩინო მასალის (ილუსტრაციების,

სქემების, ტაბულების) გამოყენების უნარი, საკუთარი მოსაზრების დაცვის უნარი).

- **სოციალურს** (ქცევის შეფასება, მოსმენა, მხარდაჭერა დისკუსიისას ან საწინააღმდეგო აზრის არგუმენტირება, თვითკონტროლის რეალიზება და სხვ.);
- **თვითანალიზის** (აქ აუცილებელია, საკუთარი აზრის მქონე პიროვნებამ ანგარიში გაუწიოს და გაანალიზოს დისკუსიაში მონაწილე სხვა პირთა მოსაზრებებიც).

კონკრეტული სიტუაციების მეთოდს გააჩნია პრობლემის გადაჭრის მრავალვარიანტულობა. ამ მეთოდის ძირითადი ფუნქციაა, მოსწავლეები დაეუფლონ რთული, არასტრუქტურიზებული პრობლემების ანალიზსა და გადაჭრას.

ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მასწავლებელმა გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საკუთარი კონკრეტული სიტუაციების გამოყენება. ეს მისცემს მასწავლებელს შესაძლებლობას, გამოავლინოს საკუთარი ცოდნა და პრაქტიკული უნარები კონკრეტულ საკითხთან (მასალასათან) დაკავშირებით.
- მეთოდები და ხერხები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს გაკვეთილის მიზანს.
- კონკრეტული სიტუაციების მეთოდი უნდა უვითარებდეს მოსწავლეს შემდეგ უნარებს: ანალიზურს, შემოქმედებითს, კომუნიკაციურს, პრაქტიკულს, სოციალურს.
- გამოყენებული მეთოდის შედეგი უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ მიღებულ ცოდნასა და პრაქტიკული უნარების ფორმირებას, არამედ – მოსწავლის სისტემური ფასეულობების, პროფესიული პოზიციის განვითარებას.

- აუცილებელია სასწავლო პროცესის დაგეგმვა კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენებით. ამასთან, მოსწავლემ უნდა იცოდეს კეისების ამოხსნის შემდეგი ეტაპები:

  პირველი ეტაპი – კონკრეტული სიტუაციების მოხმობა და მისი თავისებურებების გაცნობა;

  მეორე ეტაპი – სიტუაციის ანალიზი;

  მესამე ეტაპი – საკითხის (თემის) გადაჭრის პრეზენტაცია;

  მეოთხე ეტაპი – საერთო დისკუსია;

  მეხუთე ეტაპი – დისკუსიის შედეგების შეჯამება.
- სასურველია, კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენება სხვა მეთოდებთან ერთად: გონებრივი იერიში, საქმიანი თამაშები, დისკუსია და სხვ.

ასე რომ, კონკრეტული სიტუაციების მეთოდის პედაგოგიური პოტენციალი გაცილებით დიდია ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, ასევე მოსწავლეთა შორის მუდმივი ურთიერთმოქმედება განაპირობებს სასწავლო პროცესში არა მხოლოდ მათი ქცევის ფორმებს, არამედ, უპირველესად მათი ქმედების მოტივირებასა და არგუმენტირებას.

ამდენად, როგორც ვხედავთ, სწავლების ინტერაქტიური მეთოდები, და მათ შორის, რა თქმა უნდა, კონკრეტული სიტუაციების მეთოდიც, იძლევა საშუალებას, განვუვითაროთ მოსწავლეს არა მხოლოდ შემოქმედებითი შესაძლებლობები, არამედ, ჩამოყალიბდეს იგი როგორც შემოქმედებითი პიროვნება.

პრაქტიკუმისათვის
საკითხები განხილვისათვის:

- *კონკრეტული სიტუაციების (კეის) მეთოდის არსი და მნიშვნელობა;*
- *კონკრეტული სიტუაციების კლასიფიკაცია და მისი გამოყენების დონეები;*
- *კონკრეტული სიტუაციების ამოხსნის ჩატარების ეტაპები.*

გაკვეთილების გეგმები (ნიმუშები)

გეგმა №1

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა
სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი საფეხური, I კლასი.
მოსწავლეთა რაოდენობა: 20 მოსწავლე.
გაკვეთილის თემა: „კეთილი სანდალა“ - იაკობ გოგებაშვილი (2 საათი) დაწყვილებული გაკვეთილი.

პირველი გაკვეთილი

გაკვეთილის მიზანი
მოსწავლეებმა შეძლონ:

- წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმა;
- წიგნზე მუშაობის ჩვევების გამომუშავება - ვარჯიში კითხვაში;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- წაკითხულისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- გაბმული ნაწერიდან სიტყვების გამოკრება.

აქტივობები:

- მოსწავლე კითხულობს და ისმენს ტექსტს.
- სვამს კითხვებს. უპასუხებს კითხვებზე.
- სწავლობს ახალ ლექსიკურ ერთეულებს.
- მონაწილეობს დისკუსიაში: გამოთქვამს საკუთარ აზრებს და ასაბუთებს მას.
- ასრულებს წიგნში მოცემულ სავარჯიშოს.
- მუშაობს როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად.

ქართული დაწყ.: (I). 7: მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება-გააზრება. ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მიწოდებული ინფორმაციის ურთიერთდაკავშირება.

ქართული დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.
ქართული დაწყ.(I).11: მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.
ქართული დაწყ.(I).12: მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.
ქართული დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.
რესურსები: სახელმძღვანელო, ფანქარი, რვეული, კალამი, დაფა, ცარცი.

აქტივობა 1.
კითხვისათვის მზადება. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ შემთხვევა, როცა მათ დაეხმარნენ, მათზე იზრუნეს. ვინ იყვნენ ის ადამიანები? ნაცნობები თუ უცნობები? უფროსები თუ მათივე ტოლები? რას განიცდიდნენ ამ დროს? თვითონ თუ დახმარებიან ვინმეს? რას გრძნობენ, როცა სხვას ეხმარებიან? როგორ ადამიანზე იტყვიან კეთილიაო? თვითონ თუ მიიჩნევენ თავს კეთილ ბავშვებად?
ჩვენ ახლა წავიკითხავთ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას პატარა კეთილი ბიჭის სანდალას შესახებ. (5 წთ.).

აქტივობა 2.
ტექსტის პაუზებით კითხვა: მასწავლებელი ტექსტს წინასწარ დაყოფს ნაწილებად და სთხოვს ბავშვებს დამოუკიდებლად წაიკითხონ მხოლოდ პირველი სამი წინადადება (მიუთითებს ბოლო სიტყვებს: არ საუზმობდა). მას შემდეგ, რაც ყველა წაიკითხავს, მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გონებაში წარმოიდგინონ წაკითხული ნაწყვეტი სურათების სახით, შემდეგ სვამს კითხვებს: სად ხდება მოქმედება? რო-

გორ ფიქრობთ, დილაა, შუადღე თუ საღამო? როგორ მიხვდით? („საუზმის დრო დაუდგათ“). შუადღის კვებას რა ჰქვია? (სადილი). საღამოსას? (ვახშამი). სადილსა და ვახშამს შორის? (სამხარი).
როგორ ფიქრობთ, რატომ არ საუზმობდა ერთი ბავშვი? მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს (არ შიოდა, არ ჰქონდა საჭმელი, დაავიწყდა წამოღება, შესვენებაზე თამაში ერჩია...), რასაც მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს. ამის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს განაგრძონ კითხვა მეორე პაუზამდე („ამხანაგების საუზმისაკენ“).
გამართლდა თქვენი ვარაუდი? რას მიშნავს „თვალები გაურბოდა“? როგორ ფიქრობთ, შიოდა თუ არა მას? რომელი სიტყვები მიუთითებს ამაზე? (საწყალი, თვალები გაურბოდა).
როგორ ფიქრობთ, რა მოხდება ამის შემდეგ?
თუ მოსწავლეები ყურადღებას გაამახვილებენ ილუსტრაციაზე, მივანიშნოთ.
გამართლდა თქვენი ვარაუდი?
მოგეწონათ სანდალას საქციელი? როგორი ბიჭი ყოფილა იგი?
შენ როგორ მოიქცეოდი?
რა აზრისა ხართ მოთხრობის შესახებ? რისი თქმა სურდა ავტორს? ხომ არ გაგახსენდათ ანდაზა? („ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“). (15 წთ.)

აქტივობა 3.
მასწავლებელი კითხულობს მოთხრობას თავიდან ბოლომდე და სთხოვს მოსწავლეებს დაუკვირდნენ სასვენ ნიშნებს, ინტონაციას. შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, გაგრძელებებით. ყურადღება მახვილდება ახალ სიტყვებზე და გამოთქმებზე: ხელცარიელი, თვალები გაურბოდა, შესთავაზა. როგორ საუბარში იხმარება სიტყვა „შესთავაზა?“ (მასწავლებელი გაახსენებს მოსწავლეებს ნასწავლ სასაუბროს, სადაც თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები შეისწავლეს) (5 წთ.)

აქტივობა 4. მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს შესასრულებლად წიგნში მოცემულ დავალებას: „სიტყვებს შორის ჩა-

მოუსვი ხაზი“. მოსწავლეები ჯგუფურად იმსჯელებენ, შეაჯერებენ პასუხებს და უპასუხებენ მასწავლებლის კითხვას: რამდენი სიტყვა მიიღეთ? (11) (5 წთ.)

შესრულებული სამუშაოს შეჯამება:
მოსწავლეები გაიხსენებენ, რა წაიკითხეს, რომელი ახალი სიტყვები და გამოთქმები ისწავლეს: ვისაუბრეთ სიკეთის შესახებ. წავიკითხეთ მოთხრობა „კეთილი სანდალა“. გამოვთქვით ჩვენი ვარაუდები ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით. ვისაუბრეთ სანდალას საქციელზე. გავიხსენეთ ანდაზა და თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები. შეავსრულეთ სავარჯიშო. (3 წთ.).

განმავითარებელი შეფასება:
გავაკეთოთ ჩანიშვნები დაკვირვების დღიურში დასახული მიზნებიდან გამომდინარე. ინდივიდუალურად მივუთითოთ, როგორ შეასრულეს დავალება და როგორ გააუმჯობესონ შედეგი.

მეთოდური რეკომენდაცია:
იმისათვის რომ პაუზებით კითხვის დროს მოსწავლეს თვალი არ გაეპაროს მომდევნო წინადადებებისაკენ, სასურველია შრომის გაკვეთილზე თვითონვე დაამზადონ და მოხატონ ტექსტზე დასაფარებელი მუყაოს ქაღალდი.

II გაკვეთილი

მიზანი:
ორი სიტყვის შეერთებით ახალი სიტყვის წარმოქმნაზე დაკვირვება. მიღებული სიტყვის მართლწერა.
ქართული ხალხური ლექსი „თაგვმა ლხინი გადიხადა“.

აქტივობები:

- მოსწავლე აკვირდება, როგორ მიიღება ორი სიტყვის შეერთებით ერთი ახალი სიტყვა.
- სვამს კითხვებს. უპასუხებს კითხვებზე.
- მუშაობს როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად.

აქტივობა 1.
მოცემული დავალების შესასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: წინა გაკვეთილზე ჩვენ წავიკითხეთ „კეთილი სანდალა“. მოთხრობის მიხედვით, როგორი გული ჰქონია სანდალას? სანდალას კეთილი გული ჰქონია. მასწავლებელი ფრაზას **კეთილი გული** წერს დაფაზე და მოსწავლეებს სთხოვს ისე უპასუხონ კითხვას, რომ ორი სიტყვა **კეთილი გული** შეცვალონ ერთი სიტყვით. მაშ, როგორ ბიჭი ყოფილა სანდალა? ამგვარად დასმულ კითხვაზე მოსწავლემ უნდა გასცეს პასუხი - **გულკეთილი**. ახლა ვნახოთ, როგორ მივიღეთ ეს სიტყვა. იგი ორი სიტყვის შეერთებით (გული და კეთილი) მივიღეთ. იგი ერთი სიტყვაა და ერთად იწერება. მოსწავლეები მიღებულ სიტყვას ჩაწერენ რვეულში.
ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოთხრობაში მოძებნონ სიტყვა, რომელიც ორი სიტყვის შეერთებით არის მიღებული (**ხელცარიელი**).
მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით გაანალიზებენ სხვა სიტყვებსაც – ვაჟკაცი, ფეხბურთი, ფრენბურთი, დედამიწა, გულუხვი, ენაგრძელი.
მოცემულ სიტყვებს სწორად ჩაწერენ რვეულებში. (12 წთ.).

აქტივობა 2.

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ქართულ ხალხურ ლექსს „თაგვმა ლხინი გადიხადა“.

თაგვმა ლხინი გადიხადა,
ფეხდამწვარი წიწილითა,
კატა მაყრულს ეუბნება,
თაგვი კვდება სიცილითა.

განმარტავს სიტყვებს: **მაყრული** (საქორწილო სიმღერა, რომელსაც მაყრები მღერიან ქორწილში)

მაყარი (ნეფე-დედოფლის მხლებლები ქორწილში). **გადიხადა** ეს სიტყვა სწორად როგორ უნდა ვთქვათ? - **გადაიხადა**. ეს ფორმა ლექსს უხდება და ამიტომაც არის გამოყენებული. ლექსი სევდიანია თუ მხიარული? რომელი სტრიქონი ადასტურებს რომ ლექსი მხიარულია? (თაგვი კვდება სიცილითა). რას ნიშნავს „კატა მაყრულს ეუბნება?“ (კატა მღერის მაყრულს). დავაკვირდეთ მეორე სტრიქონს - „ფეხდამწვარი წიწილითა“. სიტყვა „**ფეხდამწვარი**“, რომელი სიტყვების შეერთებით არის მიღებული? (ფეხი + დამწვარი). როგორ იწერება ეს სიტყვა? (ერთად). ჩაწერეთ ეს სიტყვა რვეულში. (10 წთ.).

აქტივობა 3.

მიზნობრივი თამაში „გამოიცანი ვინ რას ამბობს“.

მასწავლებელი კლასს ჰყოფს გუნდებად და ურიგებს წინასწარ გამზადებულ ბარათებს, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა განწყობილების ამსახველი სახეები. თითოეულმა გუნდმა უნდა გამოიცნოს, რომელ წინადადებას რომელი ნახატი შეეფერება.



თამაშის წესი ასეთია: მასწავლებელი წარმოთქვამს წინადადებას. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს შესაბამის ნახატს. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც მეტ სწორ პასუხს გასცემს (10 წთ.).

საშინაო დავალება:

1. სიტყვა გულკეთილის გამოყენებით შეადგინონ 2 წინადადება და ჩაწერონ რვეულში.
2. „კეთილი სანდალა“ კითხვით.

შესრულებული სამუშაოს შეჯამება:

მოსწავლეები გაიხსენებენ რა წაიკითხეს, რომელი ახალი სიტყვები და გამოთქმები ისწავლეს, როგორ მიიღება ორი სიტყვის შეერთებით ერთი სიტყვა, მოვისმინეთ ხალხური ლექსი „თაგვმა ლხინი გადიხადა“ (3 წთ.).

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

- შეძლო ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება;
- შეძლო ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- შეძლო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

შეფასება:

- დაკვირვება მუშაობის პროცესზე;
- შეფასება წინასწარი შემუშავებული რუბრიკით;
- განმავითარებელი შეფასება.

მასწავლებელი მთელ საგაკვეთილო პროცესში, აქტივობებიდან გამომდინარე აძლევს განმავითარებელ შეფასებას.

დანართი.შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
შეძლოს ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება, კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა.	კარგად შეუძლია მოცემული ინფორმაციის გაგება-გააზრება. კითხვებზე ყოველთვის აქვს ადეკვატური პასუხი.	შეუძლია ტექსტის წაკითხვა, გაგება, პასუხობს დასმულ შეკითხვებს. ზოგჯერ პასუხი არაადეკვატურია.	შეუძლია ტექსტის წაკითხვა, საჭიროებს დახმარებას კითხვებზე პასუხის გაცემისას.
ლექსიკური მარაგის გამდიდრება	კარგად განმარტავს და შეადგენს წინადადებებს ტექსტში არსებული ახალი სიტყვით.	მასწავლებლის დახმარებით განმარტავს ტექსტში არსებულ ახალ სიტყვას.	უჭირს აქტიური ლექსიკური ერთეულების ადეკვატურად გამოყენება.
საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა	კარგად შეძლო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.	შეძლო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.	უჭირს საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.
საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა და ქცევის წესების დაცვა.	აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში, იცავს საკლასო ქცევის წესებს.	მეტნაკლებადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში, საჭიროებს ქცევის წესების შეხსენებას.	უჭირს საგაკვეთილო პროცესში ჩართვა. საჭიროებს ქცევის წესების შეხსენებას.

გეგმა №2

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა.
სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი საფეხური, II კლასი.
მოსწავლეთა რაოდენობა: 20 მოსწავლე
გაკვეთილის თემა: „ველოსიპედის ბორბალი“ - ნანა კაციაშვილი (პირველი გაკვეთილი).
გაკვეთილის მიზანი:
მოსწავლეებმა შეძლონ:

- ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

ქართული დაწყ.: (II). 2: მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.
ქართული დაწყ.: (II). 7: მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება-გააზრება. ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მიწოდებული ინფორმაციის ურთიერთდაკავშირება.
ქართული დაწყ.: (II). 12: მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტანდარტების გამოყენება მიზნის შესაბამისად.
ქართული დაწყ.: (II). 13: მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.
გაკვეთილის მიზანი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან, პასუხობს II კლასის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნებს. გაკვეთილის თემა და მიზანი შეესაბამება სასწავლო წლის მოცემულ პერიოდს და კათედრის მიერ დამტკიცებულ თემატურ გეგმას.

№	**აქტივობის მიზანი და აღწერა**	**გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები**	**კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები**	**სასწავლო რესურსები**	**დრო**
1	საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. **აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა მზაობა საგაკვეთილო პროცესისათვის. მასწავლებელი ესალმება მოსწავლეებს, ქმნის კეთილგანწყობილ გარემოს. იხსენებენ ერთად შემუშავებულ ქცევის წესებს.	ვერბალური	მთელი კლასი	საკლასო ჟურნალი. ქცევის წესები	1 წთ.
2	ვიდეორგოლის ჩვენება. **აქტივობის მიზანი:** შეძლოს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და საგაკვეთილო თემის ამოცნობა. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეთა პროვოცირების მიზნით პროექტორით აჩვენებს ვიდეორგოლს, სადაც ჩანს, როგორ აახლებენ ძველ ნივთებს, მასწავლებელი პაუზებით აჩვენებს კადრებს და სხვადასხვა ტიპის შეკითხვის დასმით მოსწავლეებს გააზრებინებს ვიდეორგოლის მთავარ აზრს: • რას ხედავთ კადრებში? • რას აკეთებენ ისინი? • გაგიახლებიათ თუ არა ძველი ნივთი/ნივთები? ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ტექსტის შესაბამის ილუსტრაციას და ცდილობს	სამოტივაციო გამოწვევა. კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	პროექტორი ვიდეორგოლი **მიზანშეწონილობა:** ინტერესის ამაღლებისა და გაკვეთილის თემის ამოცნობის ხელშეწყობა	6 წთ

	კითხვების დახმარებით ამოაცნობინოს გაკვეთილის თემა. მოსწავლეები გამოთ-ქვამენ ვარაუდებს, რაში შეიძლება დაჭირდეს ბიჭს ველოსიპედის ძველი ბორბალი.				
3	**აქტივობის მიზანი:** გაკვეთილის თემის, მიზნებისა და შეფასების რუბრიკის გაცნობა.	ვერბალური	მთელი კლასი	ფლიპჩარ ტზე წინას-წარ დაწე-რილი გაკვეთილ-ის თემა, მიზნები, შეფასების რუბრიკა.	2 წთ
4	**ტექსტზე მუშაობა.** **აქტივობის მიზანი:** შეძლონ ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ტექსტს კითხულობს პაუზებით, მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, განმარტავენ უცნობ სიტყვებს კონტექსტის მიხედვით. შემდეგ მასწავ-ლებელი სთხოვს მოსწავ-ლეებს ტექსტის ნაწილ-ნაწილ წაკითხვას და პასუ-ხობენ შეკითხვებს, რაც მათ ეხმარება ტექსტის უკეთ გაგება-გააზრებაში. - რაზე დაფიქრდა ბორბა-ლი? - როგორ მოიქცა ველოსი-პედისტი, როცა ბორბალი გაჩერდა? - სად აღმოჩნდა ბორბალი	პაუზებით კითხვა. კითხვა-პასუხი.	მთელი კლასი. ინდივიდუა ლური	სახელმძღ ვანელო	12 წთ

	საბოლოოდ?				
5	ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა სქემის გამოყენებით. **აქტივობის მიზანი:** ლექსიკური მარაგის გამდიდრება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით, ისინი განმარტავენ და განიხილავენ სიტყვას **„ამაოდ“** და სთხოვს მათ, რომ სიტყვაზე სამუშაოდ გამოიყენონ გრაფიკული სქემა **„სიტყვის პირამიდა“.** მასწავლებელი დაფაზე გააკრავს წინასწარ გამზადებულ სქემას და მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ სქემის შევსების პროცედურა: • პირამიდის მწვერვალზე, ზედა საფეხურზე წერია სამიზნე სიტყვა. • მე-2 ველში წერენ სიტყვის განმარტებას. • მე-3 ველში წერენ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვას. • მე-4 ველში, ბოლო საფეხურზე მოსწავლეები ამ სიტყვის გამოყენებით მოიფიქრებენ და დაწერენ წინადადებას.	კოგნიტური სქემის შევსება.	საერთო საკლასო	ფლიპჩარტზე წინასწარ დახაზული „სიტყვის პირამიდა“. **მიზანშეწონილობა:** ლექსიკური მარაგის გამდიდრება	4 წთ.
6	**შეჯამება-შეფასება** „იმსჯელე“ **აქტივობის მიზანი:** საკუთარი დამოკიდებულების	დაფიქრდი! დაწყვილდი! გაუზიარე!	წყვილებში მუშაობა.	სახელ მძღვანელო	10 წთ.

	გამოხატვა. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს შესასრულებელი აქტივობის ინსტრუქციას, ურიგებს თაბახის ფურცლებს და სთხოვს წყვილებს ჯერ იმსჯელონ, შემდეგ კი დაწერონ ან დახატონ როგორ მოიქცეოდნენ ველოსიპედისტის ნაცვლად.	პრეზენტაცია.		ფერადი ფანქრები. **მიზანშეწონილობა:** არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარების ხელშეწყობა	
7	საშინაო დავალების მიცემა. **აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებს განუვითარდეთ ორგანიზებულობისა და სწავლის უწყვეტობის განცდა. • ნანა კაციაშვილი - „ველოსიპედის ბორბალი“ (პირველი თავი) კითხვით. გვ. 13. • ტექსტი წარმოადგინეთ კომიქსის სახით.	ინსტრუქტაჟი	მთელი კლასი	ფურცლებზე წინასწარ დაწერილი საშინაო დავალება. **მიზანშეწონილობა:** საშინაო დავალების გააზრების ხელშეყობა.	1 წთ.
8	**შეფასება** მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აფასებს განხორციელებულ აქტივობებს კრიტერიუმების მიხედვით. მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასებას.	სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი. მოსწავლეთა თვითშეფასება	მთელი კლასი, ინდივიდუალური.	შეფასების რუბრიკა (იხ. დანართი 1). **მიზანშეწონილობა:** სწავლა/სწავლების პროცესის თანმიმდევრულად გაუმჯობესების ხელშეწყობა	

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

- შეძლო ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება;
- შეძლო ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- შეძლო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

შეფასება:

- დაკვირვება მუშაობის პროცესზე;
- შეფასება წინასწარი შემუშავებული რუბრიკით;
- განმავითარებელი შეფასება.

მასწავლებელი მთელ საგაკვეთილო პროცესში, აქტივობებიდან გამომდინარე აძლევს განმავითარებელ შეფასებას.

დანართი 1.შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
შეძლოს ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება, კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა.	კარგად შეუძლია მოცემული ინფორმაციის გაგება-გააზრება. კითხვებზე ყოველთვის აქვს ადეკვატური პასუხი.	შეუძლია ტექსტის წაკითხვა, გაგება, პასუხობს დასმულ შეკითხვებს. ზოგჯერ პასუხი არაადეკვატურია.	შეუძლია ტექსტის წაკითხვა, საჭიროებს დახმარებას კითხვებზე პასუხის გაცემისას.
ლექსიკური მარაგის გამდიდრება	კარგად განმარტავს და შეადგენს წინადადებებს ტექსტში არსებული ახალი სიტყვით.	მასწავლებლის დახმარებით განმარტავს ტექსტში არსებულ ახალ სიტყვას.	უჭირს აქტიური ლექსიკური ერთეულების ადეკვატურად გამოყენება.
საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა	კარგად შეძლო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.	შეძლო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.	უჭირს საკუთარი დამოკიდებულებ ი ს გამოხატვა.
საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა და ქცევის წესების დაცვა.	აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში, იცავს საკლასო ქცევის წესებს.	მეტნაკლებადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში, საჭიროებს ქცევის წესების შეხსენებას.	უჭირს საგაკვეთილო პროცესში ჩართვა. საჭიროებს ქცევის წესების შეხსენებას.

გეგმა № 3

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი საფეხური, II კლასი.

მოსწავლეთა რაოდენობა: 20 მოსწავლე.

გაკვეთილის თემა: „ველოსიპედის ბორბალი“ - ნანა კაციაშვილი (მე-2 გაკვეთილი).

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლეებმა შეძლონ:
- ტექსტის კითხვა;
- ტექსტის სიუჟეტური ხაზის აღდგენა;
- პერსონაჟის საქციელის შეფასება.

ქართული დაწყ.: (II). 7: მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება-გააზრება. ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მიწოდებული ინფორმაციის ურთიერთდაკავშირება.

ქართული დაწყ.:(II).11: მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

ქართული დაწყ.:(II). 12: მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

ქართული დაწყ.:(II). 17: მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

გაკვეთილის მიზანი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან, პასუხობს II კლასის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნებს. გაკვეთილის თემა და მიზანი შეესაბამება სასწავლო წლის მოცემულ პერიოდს და კათედრის მიერ დამტკიცებულ თემატურ გეგმას.

№	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსი/ რესურსები	დრო (წთ.)
1	საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. **აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა მზაობა საგა-კვეთილო პროცესისათვის. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავ-ლეებს ესალმება, აცნობს გაკვეთილის თემას, მიზ-ნებს, შეფასების რუბრიკას და ახსენებს ქცევის წესებს.	ვერბალური	მთელი კლასი	საკლასო ჟურნალი ფურცლებზე წინასწარ დაწერილი გაკვეთილის თემა, მიზნები, შეფასების რუბრიკა, ქცევის წესები.	2 წთ
2	საშინაო დავალება. **აქტივობის მიზანი:** საშინაო დავალების შემოწმება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლ-ეებს სთხოვს წარმოადგი-ნონ წინა დღის საშინაო დავალება, ტექსტის ილუ-სტრაციის ან კომიქსის სა-ხით წარმოდგენა. მოსწავ-ლეები გააკეთებენ მათი ნა-მუშევრების პრეზენტაციას.	კითხვა-პასუხი პრეზენტაცია	ინდივიდუ ალური	ილუსტრაცი-ები **მიზანშეწო ნილობა:** სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტობის ხელშეწყობა	3 წთ
3	კითხვა, შინაარსის გადმოცემა. **აქტივობის მიზანი:** შეძლონ ტექსტის წაკით-ხვა, ილუსტრაციების ეპიზოდებთან დაკავში-რება და მოკლე შინაარ-სის გადმოცემა.	„კითხვის მატარებელი“ კითხვა-პასუხი „თავიდან, მერე, ბოლოს“. „მასწავლებელი კალამი“.	მთელი კლასი, ინდივიდუ ალური	ფლიპჩარტი, მარკერი, სქემა - „თავიდან, მერე, ბოლოს“ **მიზანშეწონი-ლობა:** ინფორმაციის დახარისხებასა და ქრონო-ლოგიურად	10 წთ.

	აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავ-ლეებს ტექსტს აკითხებს ბოლომდე და უსვამს კითხვებს. აჩვენებს ტექს-ტის შესაბამის ილუსტრა-ციებს. ეპიზოდების შინა-არსს კი გადმოსცემენ მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით. მოსწავლეთა აქტიურო-ბით მოხდება ტექსტის მოკლე შინაარსის ფლიფჩარტზე გადატანა: • რა მოხდა დასაწყისში? • რა მოხდა შუა ნაწილში? • რა მოხდა ბოლოს?			დალაგებაში ხელშეწყობა.	
4	პერსონაჟის დახასიათება **აქტივობის მიზანი:** პერსონაჟის საქციელის შეფასება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლე-ებს სთხოვს იმუშაონ წყვი-ლებში, ერთმანეთს გაუზია-რონ მოსაზრება ნაწარმოე-ბის მთავარი პერსონაჟების შესახებ. არგუმენტირებისას მოიძიონ ტექსტიდან სათა-ნადო ადგილები და შეავ-სონ „პერსონაჟის რუკის“ სქემა. მოსწავლეები აკეთე-ბენ პრეზენტაციას და ნამუ-შევრებს აკრავენ დაფაზე.	დაწყვილდი! დაფიქრდი! გაუზიარე! სქემებით სწავლება პრეზენტაცია	მუშაობა წყვილებში	სქემა „პერ-სონაჟის რუკა“. **მიზანშეწო-ნილობა:** არგუმენტირებუ-ლი მსჯელობის უნარების გან-ვითარების ხელშეწყობა.	1 0 წთ.
5	**შეჯამება.** **აქტივობის მიზანი:** სააზროვნო უნარების განვითარება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებლის მითითე-	კითხვა-პასუხი მინი დისკუსია	საერთო საკლასო ინდივიდუ ალური		4 წთ.

	ბით მოსწავლეები მსჯელობენ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ • რა დაასკვნა გახარებულმა ბორბალმა? • ეთანხმები მის მოსაზრებას?				
6	**საშინაო დავალება.** **აქტივობის მიზანი**: განუვითარდეთ ორგანიზებულობისა და სწავლის უწყვეტობის განცდა. • აღწერე, დახატე (საკუთარი) ველოსიპედი და ჩაწერე.	ინსტრუქტაჟი	მთელ კლასთან	სახელმძღვანელო ფორმატზე წინასწარ გამზადებული საშინაო დავალება. **მიზანშეწონილობა:** საშინაო დავალების გააზრების ხელშეწყობა.	1 წთ.
7	**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა შესაძლებლობების გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აფასებს განხორციელებულ აქტივობებს, ყურადღებას ამახვილებს თვითშეფასების რუბრიკაზე, რომელიც მოსწავლეებს წინასწარ აქვთ დარიგებული. მასწავლებელი მთელ საგაკვეთილო პროცესში აქტივობებიდან გამომდინარე აძლევს განმავითარებელ შეფასებას.	დაკვირვება საკუთარი აზროვნების პროცესზე. განმავითარებელი კომენტარი.	საერთო საკლასო	შეფასების რუბრიკები. თვითშეფასების კითხვარი (დანართი 2). **მიზანშეწონილობა:** სწავლა/სწავლების პროცესის თანმიმდევრულად გაუმჯობესების ხელშეწყობა.	

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

- შეძლო ტექსტის კითხვა;
- შეძლო ტექსტის სიუჟეტური ხაზის აღდგენა;
- აფასებს პერსონაჟის საქციელს, მსჯელობას ამყარებს არგუმენ-ტებით.

შეფასება

- მოსწავლეები ფასდებიან სიტყვიერი განმავითარებელი კომენ-ტარებით მთელი გაკვეთილის განმავლობაში, წინასწარ შემუშა-ვებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით (იხ. შეფასების რუბრიკა, დანართი 1).
- თვითშეფასების ბარათი (იხ. დანართი 2).

დანართი 1.

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
შეძლო ტექსტის კითხვა	კითხულობს თავისუფლად და დამოუკიდებლად	კითხულობს მასწავლებლის დახმარებით	უჭირს ტექსტის კითხვა
შეძლო ტექსტის სიუჟეტური ხაზის აღდგენა	კარგად შეუძლია ტექსტის სიუჟეტური ხაზის აღდგენა	შეუძლია ტექსტის სიუჟეტური ხაზის აღდგენა, ზოგჯერ საჭიროებს დახმარებას.	უჭირს ტექსტის სიუჟეტური ხაზის აღდგენა
აფასებს პერსონაჟთა საქციელს, ამყარებს არგინეტირებული მსჯელობით.	შეუძლია პერსონაჟთა საქციელის შეფასება, ყოველთვის ასაბუთებს არგუმენტირებული მსჯელობით.	შეუძლია პერსონაჟთა შეფასება, საჭიროებს დახმარებას არგუმენტების მოძებნაში.	შეუძლია პერსონაჟთა შეფასება, ვერ ახერხებს არგუმენტების მოძიებას.

დანართი 2
თვითშეფასება

რომელი აქტივობა მომეწონა ყველაზე მეტად?	
ჩემთვის რთული აღმოჩნდა...	
რა მასწავლა ამ გაკვეთილმა?	

დანართი 3.
თვითშეფასების ბარათი
მოსწავლის სახელი და გვარი: _____

აქტივობები	ამ აქტივობაში ყველაფერი კარგად გავიგე	კიდევ დამრჩა შეკითხვები	ვწუხვარ, ეს საკითხი ჩემთვის გაუგებარი დარჩა
ტექსტის შინაარსის მიხედვით ილუს-ტრაციების თანმიმ-დევრულად დალაგება.			
ტექსტის კითხვა			
პერსონაჟის დახასიათება			

გეგმა № 4

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი საფეხური, II კლასი.

მოსწავლეთა რაოდენობა: 20 მოსწავლე.

გაკვეთილის თემა: „როგორ შეიქმნა ველოსიპედი“ (საინფორმაციო)

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეებმა შეძლონ:

- საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება;
- აქტიური ლექსიკის ადეკვატურად გამოყენება;
- მონაცემების დახარისხება და ორგანიზება;
- წინადადების შედეგენა ახალი ნასწავლი ლექსიკური ერთეულის გამოყენებით.

ქართული დაწყ.:(II). 7: მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება-გააზრება. ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მიწოდებული ინფორმაციის ურთიერთდაკავშირება.

ქართული დაწყ.:(II).11: მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

ქართული დაწყ.:(II). 12: მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

გაკვეთილის მიზანი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან, პასუხობს II კლასის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნებს. გაკვეთილის თემა და მიზანი შეესაბამება სასწავლო წლის მოცემულ პერიოდს და კათედრის მიერ დამტკიცებულ თემატურ გეგმას.

№	**აქტივობის მიზანი და აღწერა**	**გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები**	**კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები**	**სასწავლო რესურსები**	**დრო**
1	საორგანიზაციო საკითხების მოგვა-რება. **აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა მზაობა საგაკვეთილო პროცესისათვის. მასწავლებელი ესალმება მოსწავ-ლეებს, ქმნის კეთილგანწყობილ გარემოს, იხსენებენ ერთად შემუშავებულ ქცევის წესებს.	ვერბალური	მთელი კლასი	საკლასო ჟურნალი ქცევის წესები	2 წთ.
2	**აქტივობის მიზანი:** საშინაო დავალების შემოწმება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და გააკრან დაფაზე, შემდეგ გაისეირნონ გალერეაში და შეა-ფასონ ერთმანეთის ნამუშევარი. ბოლოს მასწავლებელი სთხოვს გაიხსენონ რა იციან და რა უნდათ გაიგონ ველოსიპედის შესახებ, მასწავლე-ბელი ავსებს სქემის სვეტებს „ვიცი“, „მინდა ვიცოდე“.	გასეირნება გალერეაში კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	ნახატები სქემა „ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე“. **მიზანშეწონილობა:** ინტერესის ამაღლება	5 წთ

3	**აქტივობის მიზანი:** გაკვეთილის თემის, მიზნებისა და შეფასების რუბრიკის გაცნობა.	ვერბალური	მთელი კლასი	ფლიფჩარტზე წინასწარ დაწერილი გაკვეთილის თემა, მიზნები, შეფასების რუბრიკა.	2 წთ
4	**ტექსტზე მუშაობა.** **აქტივობის მიზანი:** შეძლონ ტექსტის კითხვა, გაგება-გააზრება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ტექსტს კითხულობს პაუზებით, მოსწავ-ლეები აჯამებენ წაკითხულს, განმა-რტავენ უცნობ სიტყვებს,შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ტექსტის წაკითხვას ნაწილ-ნაწილ და კითხვების დახმარებით ასათაურებენ აბზა-ცებს, რომელიც მოსწავლეებს დაეხ-მარება ტექსტის უკეთ გაგება-გააზრებასა და სქემის მესამე სვეტის შევსებაში.	პაუზებით კითხვა. გამოკრებითი კითხვა კითხვა-პასუხი	მთელი კლასი ინდივიდუალური	სახელ მძღვანელო **მიზანშეწონი-ლობა:** ტექსტის გაგება-გააზრების ხელშეწყობა	13 წთ
5	**დახარისხება, შეჯამება.** **აქტივობის მიზანი:** ინფორმაციის ორგანიზება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი	კოგნიტური სქემის „ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე“ შევსება.	მთელი კლასი	სქემა **მიზანშწონილ-ობა:** დახარისხება	8 წთ

	მოსწავლეებს კითხ-ვების საშუალებით გაახსენებს საინფო-რმაციო ტექსტს, სთხოვს გაიხსენონ ტექსტის წაკითხვის შემდეგ მიღებული ინფორმაცია და ინდივიდუალურად შეავსონ სქემის მესამე სვეტი, შემდეგ მოხდება ნამუშევ-რების პრეზენტაცია.				
6	წაკითხული ტექსტების ანალიზი და შეფასება. **აქტივობის მიზანი:** შედარება, მსგავსე-ბები, განსხვავებები. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს გაახ-სენებს ველოსიპედის თემაზე შესწავლილ მხატვრულ და საინფორმაციო ტექსტებს და სთხოვს შეადარონ და იპოვონ მსგავსებები, ბოლოს მოსწავლეების დახმა-რებით ავსებს სქემას.	ვენის დიაგრამა „მასწავლებე ლი კალამი“	საერთო საკლასო	დიაგრამა **მიზანშწონილ ობა:** ანალიზური უნარების განვითარების ხელშეწყობა	5 წთ
7	საშინაო დავალების მიცემა. **აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებს განუ-ვითარდეთ ორგანი-ზებულობისა და სწავლის უწყვეტობის განცდა, ვიდეოს „ელექტროვე-ლოსიპედის“ ნახვა.	ინსტრუქტაჟი	მთელი კლასი	ბუკის საშუალებით ვიდეოს გადაგზავნა https://www.youtube.com/watch?v=M2TOwbe9uKc	

8	**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა შესაძ-ლებლობების გაუმ-ჯობესების გზების გამოვლენა. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განხორციე-ლებულ აქტივობებს კრიტერიუმების მიხედვით.	სიტყვიერი განმავითარებ ელი კომენტარი	მთელი კლასი ინდივიდუალუ რი	შეფასების რუბრიკა (დანართი 1). **მიზანშეწონილ-ობა:** სწავლა/ სწავლების პროცესის თანმიმდევრულ ად გაუმჯობესე ბის ხელშეწყობა.	4 წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

- შეძლო ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება;
- შეძლო აქტიური ლექსიკური ერთეულების ადეკვატურად გამო-ყენება;
- შეძლო წინადადების შედგენა ახალი ნასწავლი ლექსიკური ერ-თეულის გამოყენებით.
- მონაცემების დახარისხება და ორგანიზება.

შეფასება:

- დაკვირვება მუშაობის პროცესზე;
- შეფასება წინასწარ მომზადებული რუბრიკით;
- განმავითარებელი შეფასება.

მასწავლებელი მთელ საგაკვეთილო პროცესში, აქტივობიდან გა-მომდინარე, აძლევს განმავითარებელ შეფასებას.

დანართი 1. შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება, კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა.	შეუძლია მოცემული ინფორმაციის გაგება-გააზრება, კითხვებზე ყოველთვის აქვს ადეკვატური პასუხი.	შეუძლია ტექსტის წაკითხვა, გაგება, პასუხობს დასმულ შეკითხვებს, ზოგჯერ პასუხი არაადეკვატურია.	შეუძლია ტექსტის წაკითხვა, საჭიროებს დახმარებას კითხვებზე პასუხის გაცემისას.
აქტიური ლექსიკური ერთეულების ადეკვატურად გამოყენება	ყოველთვის ახერხებს აქტიური ლექსიკური ერთეულების ადეკვატურად გამოყენებას.	შეუძლია აქტიური ლექსიკური ერთეულების ადეკვატურად გამოყენება. ზოგჯერ საჭიროებს დახმარებას.	უჭირს აქტიური ლექსიკური ერთეულების ადეკვატურად გამოყენება.
მონაცემების დახარისხება და ორგანიზება.	კარგად შეუძლია მონაცემების დახარისხება და ორგანიზება.	შეუძლია მონაცემების დახარისხება და ორგანიზება.	უჭირს მონაცემების დახარისხება და ორგანიზება.

გეგმა № 5

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა
სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი საფეხური, II კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 20
გაკვეთილის თემა: „ჯაჭვი“ - ჯანი როდარი (პირველი გაკვეთილი)
გაკვეთილის მიზანი:
მოსწავლეებმა შეძლონ:

- ტექსტის კითხვა, გაგება-გააზრება;
- პერსონაჟის საქციელზე დაკვირვება;
- ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

ქართული დაწყ. IV (3): მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულებების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ, მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.
ქართული დაწყ. I (11): მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.
ქართული დაწყ. I (15): მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

გაკვეთილის მიზანი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან, პასუხობს II კლასის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნებს. გაკვეთილის თემა და მიზანი შეესაბამება სასწავლო წლის მოცემულ პერიოდს და კათედრის მიერ დამტკიცებულ თემატურ გეგმას.

№	**აქტივობის მიზანი და აღწერა**	**გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები**	**კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები**	**სასწავლო რესურსი/ რესურსები**	**დრო**
1	საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. **აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა მზაობა საგაკვეთილო პროცესისათვის. მასწავლებელი ესალმება მოსწავლეებს, ქმნის კეთილგანწყობილ გარემოს, იხსენებენ ერთად შემუშავებულ ქცევის წესებს.	ვერბალური	მთელი კლასი	საკლასო ჟურნალი ქცევის წესები	1 წთ.
2	**გამოიცანი** **აქტივობის მიზანი**: მოსწავლეთა მოტივაციისა და ინტრერესის ამაღლება. **აქტივობის აღწერა**: მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფორმატის ფურცელზე დაწერილ გამოცანას (გ. წერეთელი), სთხოვს წაიკითხონ და გამოიცნონ. მოსწავლეები ამით ამოიცნობენ გაკვეთილის თემას და ისაუბრებენ ამოცნობილი ნივთის შესახებ შესახებ.(ჯაჭვი)	სამოტივაციო გამოწვევა	მთელი კლასი	ფორმატის ქაღალდზე დაწერილი გამოცანა **მიზანშეწონილობა:** საგაკვეთილო თემასთან დაკავშირების ხელშეწყობა, მოსწავლეთა მოტივაციისა და ინტერესის ამაღლება.	5 წთ.
3	**აქტივობის მიზანი**: გაკვეთილის თემის, მიზნის და შეფასების რუბრიკების გაცნობა.	ვერბალური	მთელი კლასი	ფლიპჩარტებზე წინასწარ დაწერილი გაკვეთილის თემა, მიზანი, შეფასების რუბრიკა.	2 წთ.

4	ტექსტის კითხვა, გაგება-გააზრება. **აქტივობის მიზანი:** შეძლონ ტექსტის კითხვა, გაგება-გააზრება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი კითხულობს ტექსტს, მოსწავლეები იმეორებენ მასწავლებლის წაკითხულს. უკეთ გააზრების მიზნით მოსწავლეები კვლავ კითხულობენ ტექსტს ნაწილ-ნაწილ, პასუხობენ მასწავლებლის დასმულ კითხვებს, მოსწავლეები აჯამებენ წაკითხულს. გზადაგზა აიხსნება გაუგებარი ლექსიკური ერთეულები.	ექო კითხვა კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	სახელ-მძღვანელო **მიზანშეწონილობა**: ტექსტის გაგება-გააზრების ხელშეწყობა.	10 წთ
5	**აქტივობის მიზანი:** პერსონაჟების გამოყოფა და მათზე დაკვირვება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს გამოაყოფინებს მთავარ პერსონაჟებს, ამახვილებინებს ყურადღებას მათ ქმედებაზე და ავსებს შესაბამის სქემას.	კითხვა-პასუხი სქემის შევსება	საერთო საკლასო	სახელმძღვანელო. ფლიფჩარტზე შესრულებული სქემა **მიზანშეწონილობა**: პერსონაჟის საქციელზე დაკვირვება და თვისებების ამოცნობა.	7 წთ.
6	**აქტივობის მიზანი:** ლექსიკური მარაგის გამდიდრება **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს დააკვირვებს სამუშაო რვეულებში მოცემულ დავალებას, აცნობს ინსტრუ-	დაწყვილდი! დაფიქრდი! გაუზიარე!	წყვილებში მუშაობა	სამუშაო რვეული სავარჯიშო-2 **მიზანშეწონილობა**: ლექსიკური მარაგის გამდიდრება.	7 წთ.

	ქციას, მოცემული ასოების გამოყენებით შეადგინონ სიტყვები, შემდეგ კი შეარ-ჩიონ სამი სიტყვა და ჩახატონ.				
7	**შეჯამება** **აქტივობის მიზანი:** სააზროვნო უნარების განვითარება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებლის მითი-თებით იხსენებენ მნიშვნელოვან დეტა-ლებს და წერილობით პასუხობენ კითხვას: როგორ შეიცვალა ჯაჭვის ცხოვრება?	გასვლითი ბართები	მთელი კლასი-ინდივიდუ ალური		4 წთ.
8	საშინაო დავალება: სამუშაო რვეული, დავალება 1. **აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებს განუვი-თარდეთ ორგანიზებუ-ლობისა და სწავლის უწყვეტობის განცდა.	ინსტრუქტაჟი	მთელი კლასი	ფურცელზე წინასწარ დაწე-რილი საშინაო დავალება. **მიზანშეწო ნილობა**: საშინაო დავა-ლების აღქმაში ხელშეწყობა.	1 წთ.
9	**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა შესაძლებ-ლობების გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავ-ლეებთან ერთად აფასებს განხორციელებულ აქტი-ვობებს კრიტერიუმების მიხედვით, მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასებას.	სიტყვიერი განმავითა-რებელი კომენტარი	მთელი კლასი ინდივი-დუალური	შეფასების რუბრიკა (იხ. დანართი 1) . **მიზანშეწო-ნილობა**: სწავლა/სწავ-ლების პროცე-სის თანმიმდე-ვრულად გაუმ-ჯობესების ხელშეწყობა.	5 წთ.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

- შეძლო ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება;
- განმარტავს უცნობ სიტყვებს ლექსიკონის დახმარებით;
- აკვირდება პერსონაჟის საქციელს.

შეფასება:

- დაკვირვება მუშაობის პროცესზე;
- განმავითარებელი შეფასება;
- თვითშეფასება.

მასწავლებელი მთელ საგაკვეთილო პროცესში აქტივობებიდან გამომდინარე აძლევს განმავითარებელ შეფასებას.

შეფასების რუბრიკა

დანართი 1

კრიტერიუმები	მაღალი	საშუალო	დაბალი
ტექსტის კითხვა, გაგება-გააზრება. უცნობი სიტყვების განმარტება.	ტექსტს გამართულად კითხულობს და კარგად იაზრებს. განმარტავს უცნობ სიტყვებს.	კითხულობს ტექტს, ტექსტის გაგება-გააზრებაში, უცნობი სიტყვების განმარტებაში.	კითხულობს ტექსტს; უჭირს გაგება-გააზრება, უცნობი სიტყვების განმარტება.
ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა	შეუძლია მოცემული ასოების გამოყენებით სიტყვების შედგენა.	მასწავლებლის მითითებით შეუძლია მოცემული ასოების გამოყენებით სიტყვების შედგენა.	უჭირს მოცემული ასოების გამოყენებით სიტყვების შედგენა.
პერსონაჟის საქციელზე დაკვირვება.	შეუძლია პერსონაჟის საქციელზე დაკვირვება.	მეტნაკლებად შეუძლია პერსონაჟის საქციელზე დაკვირვება.	უჭირს პერსონაჟის საქციელის დაკვირვება.

გეგმა №6

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა
სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი საფეხური, II კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 20
გაკვეთილის თემა: „ჯაჭვი“ - ჯანი როდარი (მეორე გაკვეთილი)
გაკვეთილის მიზანი
მოსწავლეებმა შეძლონ:

- წინა გაკვეთილზე წაკითხული ტექსტის ანალიზი;
- იგავის სიუჟეტური ხაზის აღდგენა;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- წერითი მეტყველების განვითარება.

ქართული დაწყ. I (3): მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულებების ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ, მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.
ქართული დაწყ. I(9): მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულებების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.
ქართული დაწყ. I (14) მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობის ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

გაკვეთილის მიზანი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან, პასუხობს II კლასის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნებს. გაკვეთილის თემა და მიზანი შეესაბამება სასწავლო წლის მოცემულ პერიოდს და კათედრის მიერ დამტკიცებულ თემატურ გეგმას.

№	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	განხორციელებული რესურსი/ რესურსები	დრო
1	საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. **აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა მზაობა საგაკვეთილო პროცესისათვის. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ესალმება მოსწავლეებს, აცნობს გაკვეთილის თემას, მიზნებს, შეფასების რუბრიკას და ახსენებს ქცევის წესებს.	ვერბალური	მთელი კლასი	საკლასო ჟურნალი ფურცლებზე წინასწარ დაწერილი გაკვეთილის თემა, მიზნები, შეფასების რუბრიკა (იხ. დანართი 1). ქცევის წესები.	2 წთ
2	საშინაო დავალება **აქტივობის მიზანი:** საშინაო დავალების შემოწმება. **აქტივობის აღწერა**: მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს წარმოადგინონ წინა დღის საშინაო დავალება.	პრეზენტაცია	ინდივიდუალური	ილუსტრაცია **მიზანშეწონილობა**: სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტობის ხელშეწყობა.	7 წთ
3	**იგავზე მუშაობა** **აქტივობის მიზანი:** შესწავლილი ტექსტის გახსენება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს წააკითხებს შემდეგი მითითებებით: წაიკითხავს ის, ვისაც ჰყავს ძმა, ახლა წაიკითხავს ის ვისაც უყვარს ტკბილეული.	„კითხვა ამორჩევით“	საერთო საკალასო. ინდივიდუალური	სახელმძღვანელო **მიზანშეწონილობა:** ტექსტის უკეთ გაგება-გააზრება და სწორი ინტონაციით კითხვა.	4 წთ
4	**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებმა	მოთხრობის	ინდივიდუალური	თაბახის ფურცელზე	12

	შეძლონ ტექსტის გააზრება თავიანთი შემოქმედებითი უნარების აქტიური გამოყენებით. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი შეკითხვების მეშვეობით ყურადღებას გაამახვილებინებს ტექსტის მნიშვნელოვან ნაწილებზე, დაურიგებს ფურცლებს, სადაც მოთხრობის ნაწილები კონტურების სახითაა წარმოდგენილი და სთხოვს წერილობით უპასუხონ კითხვებს.	ჩარჩო		შესრულებული ეპიზოდების კონტურები. ფერადი ფანქრები **მიზანშეწონილობა:** ტექსტის სიუჟეტური ხაზის აღდგენა.	წთ
5	**შეჯამება** **აქტივობის მიზანი**: ტექსტის შეფასება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებლი მოსწავლეებს სთხოვს გახდნენ პატარა მწერლები და გააგრძელონ მოთხრობა, (სამუშაო რვეული, დავალება 3)	„პატარა მწერალი“	მთელი კლასი	სამუშაო რვეული	10 წთ
6	საშინაო დავალება •„ჯაჭვი“-თხრობით. •დაამზადე შენი ხელით - ყვავილების ვაზა. გვ.17. **აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებს განუვითარდეთ ორგანიზებულობისა და უწყვეტობის განცდა.	ინსტრუქტაჟი	მთელი კლასი	ფურცელზე წინასწარ დაწერილი საშინაო დავალება. **მიზანშეწონილობა**: საშინაო დავალების აღქმაში ხელშეწყობა	1 წთ
7	**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა შესაძლებ-	სიტყვიერი განმავითა-	მთელი კლასი	გასვლითი ბარათები	6

	ლობების გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავ-ლეებთან ერთად აფა-სებს განხორციელებულ აქტივობებს, ყურადღე-ბას ამახვილებს თვითშე-ფასების რუბრიკაზე, მასწავლებელი მთელ საგაკვეთილო პროცესში აქტივობებიდან გამომ-დინარე აძლევს განმავი-თარებელ შეფასებას.	რებელი კომენტარი. მოსწავლეთა თვითშეფასება	ინდივი-დუალური	(იხ. დანართი 2). **მიზანშეწო-ნილობა:** სწავლა/ სწავლების პროცესის თანმიმდე-ვრულად გაუმჯობესების ხელშეწყობა.	წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

- შეძლო ტექსტის ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობა.
- შეძლო ტექსტის სიუჟეტური ხაზის აღდგენა.
- შეძლო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

შეფასება:

- დაკვირვება მუშაობის პროცესზე;
- შეფასება წინასწარ შემუშავებული რუბრიკით;
- თვითშეფასება.

მასწავლებელი მთელ საგაკვეთილო პროცესში აქტივობებიდან გა-მომდინარე აძლევს განმავითარებელ შეფასებას.

დანართი 1

შეაფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	მაღალი	საშუალო	დაბალი
სიუჟეტური ხაზის აღდგენა.	კარგად შეძლო სიუჟეტური ხაზის აღდგენა.	შეძლო სიუჟეტური ხაზის აღდგენა მცირედი ხარვეზებით.	გაუჭირდა ტექსტის სიუჟეტური ხაზის აღდგენა.
არგუმენტირებული მსჯელობა.	კარგად შეძლო ტექსტის მთავარი იდეის შესახებ მსჯელობა, შესაბამისი არგუმენტების დასახელებით.	შეძლო ტექსტის მთავარი იდეის შესახებ მსჯელობა, არგუმენტების დასახელებისას საჭიროებს დახმარებას.	ვერ შეძლო ტექსტის მთავარი იდეის შესახებ მსჯელობა, ვერ ასახელებს შესაბამისს არგუმენტებს .
წერითი მეტყველების განვითარება.	წერს გამართულად; სწორად იყენებს ლექსიკასა და ენობრივ საშუალებებს.	ცდილობს მართლწერის ელემენტარული წესების დაცვას.	ვერ იცავს მართლწერის ელემენტარულ წესებს.

დანართი 2

მოთხრობის ჩარჩო

დასაწყისი	მოქმედი პირები	რა მოხდა?	დასასრული
ერთხელ...	•	1.	

ლიტერატურა

1. აბულაძე ი. შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობა და მისი განვითარება. www.mastsavlebeli.ge
2. ავალიანი ჯ. ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხთა სწავლება სკოლაში). მასწავლებლის წიგნი. თბილისი, 2022.
3. ავალიანი ჯ. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები დაწყებით საფეხურზე. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის III საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შრომები. ქუთაისი, 2012. გვ. 236-241.
4. ავალიანი ჯ. მხატვრული ტექსტის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის აღქმისა და გაცნობიერების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები (დაწყებითი სკოლის საფეხური). აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები. ქუთაისი, 2013. გვ. 90-93.
5. ავალიანი ჯ. გამომეტყველებითი კითხვის პედაგოგიურ-მეთოდიკური ასპექტები (დაწყებითი სკოლის საფეხური). აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პედაგოგიური ფაკულტეტი. V საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შრომები. ქუთაისი, 2014. გვ. 208-214.
6. ალავიძე ო., გოგიჩაიშვილი ნ., ბალანჩივაძე თ. კრეატული პედაგოგიკა. თბილისი, 2011.
7. არაბული ა. ქართული მეტყველების კულტურა. თბილისი, 2004.
8. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ. სწავლისა და სწავლების პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება. ქუთაისი, 2005.
9. ბასილაძე ი., ძოწენიძე ქ. მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება. ქუთაისი, 2008.
10. ბასილაძე ი., ახვლედიანი მ., სოხაძე ნ., დვალი ნ. მოკლე საგანმანათლებლო დიდაქტიკური ლექსიკონი. ქუთაისი, 2009.

11. ბასილაძე ი. ქრისტიანული პედაგოგიკის საგანი, ამოცანები, პრინციპები და მეთოდები. ქუთაისი, 2010.
12. ბესელია ნ., მეიფარიანი თ., მიქიაშვილი ლ., ჯალაღანია ი. ინტერაქტიური სწავლება (რეკომენდაციები პედაგოგიური ტრენინგისათვის). თბილისი, 2004.
13. ბიბილაშვილი ნ. პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლება. სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები. „თანამედროვეობის მეცნიერული საკითხები“. გორი, 2013. გვ. 280-287.
14. ბრეგაძე კ. ჰერმენევტიკა და მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია. სჯანი. ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში. № 10. თბილისი, 2009. გვ. 38-53.
15. ბუხულეიშვილი ი., ნინოშვილი ნ. შემოქმედებითი, კრეატული აზროვნების ფორმირება, როგორც პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური პრობლემა. სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები. „თანამედროვეობის მეცნიერული საკითხები“. გორი, 2013. გვ. 263-266.
16. გაგუა ვ. პედაგოგიკა. თბილისი, 1996.
17. განმარტებითი ლექსიკონი. პირველი ნაწილი. განათლების სპეციალისტებისათვის. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი, 2007.
18. გოგებაშვილი ი. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. I. თბილისი, 1989.
19. გოგებაშვილი ი. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. IV. თბილისი, 1990.
20. გორგოძე ს., ბოჭორიშვილი მ., ჭიაბრიშვილი ნ., ჭიაბრიშვილი ქ., გახელაძე გ. ვისწავლოთ და ვასწავლოთ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. თბილისი, 2013.
21. გორდეზიანი ცვ. პედაგოგიური ტექნოლოგიების თეორიული ანალიზი. თბილისი, 2005.
22. ეროვნული სასწავლო გეგმა. თბილისი, 2011-2016.

23. ეროვნული სასწავლო გეგმა. თბილისი, 2018-2024.
24. ვასაძე ნ. პედაგოგიკა. თბილისი, 2000.
25. ვაჟა-ფშაველა. ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. თხზულებანი. ტ. V. თბილისი, 1994. გვ. 331-348.
26. თავდგირიძე ლ. თამაში, როგორც სწავლების მეთოდი. ჟურნ. „საზრისი“, № 25. თბილისი, 2009. გვ. 95-98.
27. თოფურია ა. ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა. თბილისი, 1983.
28. ინტერაქტიური გაკვეთილის ელემენტები. ნაწ. I. შემდგ. მ. ბოჭორიშვილი, ნ. ნაბულიშვილი. თბილისი, 2006.
29. ინტერაქტიური გაკვეთილის ელემენტები. ნაწ. II. შემდგ. მ. ბოჭორიშვილი, ნ. ნაბულიშვილი. თბილისი, 2007.
30. ინტერაქტიური მეთოდების კრებული და ტესტები. შემდგ. მ. ბოჭორიშვილი, ნ. ნამიჭეიშვილი, ნ. ნაბულიშვილი. თბილისი, 2013.
31. იმედაძე ნ. ინტელექტი და შემოქმედებითობა (კრეატიულობა). განათლების ფსიქოლოგია. რედ. მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2005.
32. იაშვილი ი., ქისტაური ლ., მესხორაძე ნ., რაზმაძე ხ., აბესაძე მ., ქართული ენა და ლიტერატურა. II კლასი, მოსწავლის წიგნი, I ნაწილი. თბილისი, 2018.
33. ინასარიძე მ. მეთოდიკური მითითებები კომუნიკაციური გრამატიკის სახელმძღვანელოსათვის. თბილისი, 2007.
34. კიკნაველიძე ნ. კოგნიტური განვითარება. კრებ. განათლების ფსიქოლოგია. რედ. მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2005.
35. კოსტავა ნ. მოზარდთა კითხვის უნარების განვითარება. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პედაგოგიური ფაკულტეტი. V საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შრომები. ქუთაისი, 2014. გვ. 227-231.
36. კოპალიანი ბ. მასწავლებლის სამაგიდო წიგნი. თბილისი, 2009-2010.
37. ლობჟანიძე ს. როგორ დავგეგმოთ პროექტგაკვეთილი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. www.tpdc.ge

38. ლორთქიფანიძე დ. კ. უშინსკის პედაგოგიური მოძღვრება. თბილისი, 1955.
39. ლიპარტელიანი რ. დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები. თბილისი, 1999.
40. ლიპარტელიანი რ. მართლწერის სავარჯიშოთა კრებული. თბილისი, 1999.
41. მაჭარაშვილი ნ. ეფექტური სწავლების ტექნოლოგიები და სტრატეგიები (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება). თბილისი, 2012.
42. მაღლაკელიძე ნ. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა. თბილისი, 2004.
43. მაღლაკელიძე ნ. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა (I-VI კლასები). თბილისი, 2013.
44. მაღლაკელიძე ნ., მიქაძე მ. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა. თბილისი, 1996.
45. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. მშობლიური ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური). თბილისი, 2008.
46. მეგრელაძე ცბ. ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის, გაგების სტრატეგიები. თბილისი, 2009.
47. მელაშვილი კ. პედაგოგიური ხელოვნება. თბილისი, 2004.
48. ნარგიზიშვილი ა., ნარგიზიშვილი-მიქაძე მ. პედაგოგიკა. თბილისი, 2006.
49. ნაცვლიშვილი ნ. მე უნდა ვიყო შემოქმედებითი. https://mastsavlebeli.ge/?p=479
50. პაპავა პ. „დიალოგი პირველი“. პროფესიული საგანმანათლებლო ჟურნალი კითხვის, წერისა და აზროვნების შესახებ. – „წიგნიერი“, ანთოლოგია. თბილისი, 2002-2004.
51. რამიშვილი ვ. განმავითარებელი სწავლების პრობლემატიკა დედაენაში. თბილისი, 1982.
52. რამიშვილი ვ. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა. თბილისი, 1999.
53. როდონაია ვ. და სხვ. მშობლიური ლიტერატურა. V კლ. თბილისი, 2006.

54. სალია მ. ჰუმანიზმის აღზრდის ისტორიული და თანამედროვე ასპექტი. თბილისი, 2006.
55. სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის. ვგეგმავთ, ვატარებთ, ვაფასებთ. თბილისი, 2005.
56. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი, 2005.
57. სულაბერიძე ტ., გაჩეჩილაძე ო. მეთოდური მითითებანი ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში. თბილისი, 1995.
58. ტყემალაძე რ. სწავლება და შეფასება. დამხმარე სახელმძღვანელო. I., თბილისი, 2008.
59. ტყემალაძე რ., დალაქიშვილი ნ., თოფაძე ქ., პაჭკორია თ., ბუწაშვილი თ. სწავლება და შეფასება. დამხმარე სახელმძღვანელო II. თბილისი, 2008.
60. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. თბილისი, 2005.
61. უშინსკი კ. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. ტ. II. თბილისი, 1954.
62. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შემდგ. მ. ჭაბაშვილი. თბილისი, 1964.
63. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. IV. თბილისი, 1955.
64. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VI. თბილისი, 1960.
65. ცუცქირიძე ზ. ლექციების კურსი პედაგოგიკაში. ნაწ. I. თბილისი, 1997.
66. ჭავჭავაძე ი. „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არ გვაქვს“. თხზულებანი ორ ტომად. ტ. II. თბილისი, 1977. გვ. 131-135.
67. ჭავჭავაძე ი. „პასუხი“. თხზულებანი ორ ტომად. ტ. II. თბილისი, 1977. გვ. 25-48.
68. ჭეიშვილი ლ. მოსწავლეთა აზროვნებისა და მეტყველების განვითარება ქართული ენის სწავლების პროცესში. თბილისი, 1989.
69. ჭეიშვილი ლ. კრიტიკული აზროვნების ელემენტების გამომუშავება მოსწავლეებში ქართული ენის სწავლებისას. ჟურნ. „საზრისი“, №7. თბილისი, 2002. გვ. 30-33.

70. ჭილაია ა., შუშანია ო. ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი. თბ., 1957.
71. ხუხუა გ. მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს პედაგოგიური მემკვიდრეობა. თბილისი, 1996.
72. ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს. განვითარებისა და სწავლების თეორიები. დამხმარე სახელმძღვანელო I. თბილისი, 2010.
73. ჯანაშია ს., წერეთელი მ., ბერძენიშვილი თ. და სხვ. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისათვის. თბილისი, 2008.
74. ჯაფარიძე მ. დიდაქტიკური თამაშის შემეცნებითი ღირებულების შესახებ. წიგნ. დაწყებითი სწავლების ფსიქოლოგია. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 1981. გვ. 95-122.
75. ჯაფარიძე მ. განათლების ფსიქოლოგია. თბილისი, 2005.
76. ჯაფარიძე მ. განათლების ფსიქოლოგია: სწავლება და სწავლა. კრებ. განათლების ფსიქოლოგია. რედ. მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2005.
77. ჯაფარიძე მ., თომაძე ნ. აზროვნება და მეხსიერება - კოგნიტური სტრატეგიები. კრებ. განათლების ფსიქოლოგია. რედ. მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2005.
78. ჯაში ნ. ორთოგრაფიულ ჩვევათა ფორმირება დაწყებით სკოლაში. თბილისი, 2016.
79. ჯაყელი თ. ქართული ენა და ლიტერატურა. I-VI კლასები. გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. თბილისი, 2011.
80. ჯინჯიხაძე მ. წერითი მეტყველების განვითარება. სოხუმი, 1960.
81. ჯინჯიხაძე ჯ. თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები. თბილისი, 2012.
82. ჯინჯიხაძე ჯ. პედაგოგიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 2017.
83. ჯინჯიხაძე ლ. ქართული ენისა და მათემატიკის საგანთაშორისი კავშირების ზოგიერთი ასპექტი. თბილისი, 2000.

84. ჯინჯიხაძე ლ. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგია. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. II. თბილისი, 2011. გვ. 410-419.
85. ჯინჯიხაძე ლ. სასწავლო საქმიანობის სტიმულირების მეთოდები და პრობლემურ-ძიებითი სწავლება. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. III საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შრომები: „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. ქუთაისი, 2012. გვ. 141-143.
86. ჯინჯიხაძე ლ. პედაგოგიკურ-მეთოდიკური წერილები ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკაში. თბილისი, 2012.
87. ჯინჯიხაძე ლ. ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა და ტექნოლოგია. თბილისი, 2014.
88. ჯინი ლ. სთილი, ქერთის ს. მერედითი, ჩარლზ თემფლი. ცნებათა მონახაზი კრიტიკული აზროვნებისათვის. პროექტისათვის კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის. სახელმძღვანელო I. 1998.
89. ჯინი ლ. სთილი, ქერთის ს. მერედითი, ჩარლზ თემფლი. გაკვეთილის დაგეგმვა და შეფასება. პროექტისათვის კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის. სახელმძღვანელო VI. 1998.
90. ერთობლივი (კოოპერაციული) სწავლა. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი. http://ncp.ge/ge/ertoblivi-kooperatsiuli-stsavla?resid=156

სარჩევი

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი ორიენტირი.....6

სწავლების მეთოდოლოგიური პრინციპები და კლასიფიკაცია 16
სწავლების მეთოდთა კლასიფიკაცია.....16
მოტივაციის სახეები და ტიპები. სწავლების მეთოდები.....26

მიმართებათა კომუნიკაციური ამოცანები პედაგოგიურ პროცესში 41
პედაგოგიური ურთიერთობის სახეები 41
კომუნიკაციურ-თანამშრომლობითი სწავლების ძირითადი პრინციპები 52

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კომუნიკაციური ტექნოლოგია.....67
კომუნიკაციური ტექნოლოგიის გაკვეთილის სახეები.
სწავლების მეთოდები 67
მოსწავლეთა მეტყველებითი კომპეტენტურობის ფორმირება 82

მოსწავლეთა აზროვნებისა და მეტყველების განვითარების გზები და მეთოდები.....96
პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები 96
აზროვნებისა და მეტყველების განვითარების მეთოდები
და სტრატეგიები.....106

პრობლემური სწავლება და მისი რეალიზების გზები 133
პრობლემური სწავლების ძირითადი ასპექტები.....133
პრობლემური გაკვეთილის დაგეგმვა და სწავლების მეთოდები.....141

შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ტექნოლოგია..... 159
განმავითარებელი სწავლების არსი, როლი და მნიშვნელობა.....159
თამაშობითი და კვლევით-ძიებითი მეთოდები.....172

კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია 200
კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობა და მისი განვითარების გზები.....200
გაკვეთილის ჩატარების ეტაპები და სტადიები.....212

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროექტების ტექნოლოგია.....226
საგანმანათლებლო პროექტების ტექნოლოგია 226
პროექტული საქმიანობის ორგანიზება ლიტერატურული კითხვის
გაკვეთილებზე 242

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილის ორგანიზაცია და თანამედროვე მიდგომები.....254
ლიტერატურული კითხვის სწავლების გზები და მეთოდები 254
ანტიციპაცია და მისი გამოყენების გზები.....272

კონკრეტული სიტუაციების ტექნოლოგია.....296

გაკვეთილების გეგმები (ნიმუშები).....312

ლიტერატურა 348

ლევან ჯინჯიხაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა და ტექნოლოგია

Levan Jinjikhadze

Integrated teaching methods and technology of Georgian language and literature

გამომცემლობა „მერიდიანი“
ვახუშტი ბაგრატიონის №84

E-mail: meridiani777@gmail.com